საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ძველი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
XXII

ხ ე ლ ე წ რ ი

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსს, პროფესორ
გ ი ო რ გ ი ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე
ჩ ი ტ ა ი ა ს

დაბადების 95 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური
მოღვაწეობის 70 წლისთავზე

П о с в я щ а е т с я

Академику АН Грузинской ССР, профессору

Георгию Спиридоновичу Читая

к девяностопятилетию со дня рождения и семидесятилетию научной и педагогической деятельности

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1985

902.7(C41)
63.5(2Г)
902.7(47.922)
ხ 393

კრებულში შეტანილია გამოჩენილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოკვლევები. მათში გაშუქებულია ეთნოგრაფიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, სამართლისმცოდნეობისა და ფოლკლორის აქტუალური საკითხები. კრებულში გარკვეული ადგილი უჭირავს გამოჩენილი საბჭოთა ეთნოგრაფის აკად. გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ წერილებს. კრებული გათვალისწინებულია როგორც სპეციალისტების, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ვ ა ლ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. კანდ. ნ. მ ი ნ დ ა ძ ე

0508000000
ხ ——————— 179—83
M 607(06)—85

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985

ვალერიან ითონიშვილი

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია

დაბადების 95 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 70 წელი შეუსრულდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელსა და დღემდე უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას. გ. ჩიტაიას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა ერთ-ერთ დიდ ეროვნულ დარგს — მშობელი ხალხის უძველესი და უმდიდრესი კულტურის, ყოფისა და ტრადიციების შემსწავლელ მეცნიერებას მაშინ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში. 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გ. ჩიტაია სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხანგრძლივი დროიდან 65 წელი განუყრელად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების უწყვეტ განვითარებასთან.

გიორგი ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ფოთში. მისი მშობლები ფოთში დასახლებამდე სოფ. ორპირში ცხოვრობდნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. 1907 წლამდე გ. ჩიტაია ფოთის სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა და თან მუშაობდა პორტში, რკინიგზაზე და სტამბაში. იმავე პერიოდში მოემზადა სიმწიფის ატესტატისათვის და 1910 წელს შეიდი კლასის გამოცდების ჩაბარების შემდეგ შევიდა თბილისის მეორე გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1911 წელს.

იმავე წელს გიორგი ჩიტაიამ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. სრულიად ახალგაზრდა კაცმა ჩინებული სწავლითა და მეცნიერული კვლევის უნარით იმთავითვე მიიპყრო თავისი დიდი მასწავლებლების — ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და ი. ორბელის ყურადღება. უნივერსიტეტის ამ სწავლულთა რეკომენდაციით 1912 წელს გ. ჩიტაია კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნება ქ. კენიგსბერგში, საიდანაც კელავ პეტერბურგში ბრუნდება სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის. იგი ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მონაწილეობდა ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნ. მარის ხელმძღვანელობით და შირაქის ეპიგრაფიკულ ექსპედიციაში ი. ორბელის მიწვევით. იმავე დროიდან გ. ჩიტაია აქტიურად ებმება პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ. ამ წრის მუშაობას წარმართავდა გამგეობა, რომელშიაც შეყავდათ რჩეული სტუდენტები. გამგეობის თავმჯდომარედ ირჩევდნენ სამეცნიერო კვლევის უნარით გამორჩეულ სტუდენტს. აკაკი შანიძესა და დავით ყიფშიძესთან ერთად, ამ საპატიო მოვალეობას გ. ჩიტაიაც ასრულებდა. ეს წრე კოორდინაციას უწევდა

რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობასაც. ყველა მათგანის ამოცანას შეადგენდა ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების აღრიცხვა-შესწავლა, ბიბლიოგრაფიებისა და ლექსიკონების შედგენა და ა. შ. სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მუშაობის დროიდან გამოიკვეთა გ. ჩიტაიას მომავალი სამეცნიერო-კვლევითი მიზნები და ამოცანები.

1917 წელს გიორგი ჩიტაია საქართველოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. იგი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში, მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ დროებითი საქმიანობა იყო. გ. ჩიტაიას ფიქრები ქართულ ეთნოგრაფიას დასტრიალებდა და თავის მოწოდებად მას მხოლოდ ამ დარგში მუშაობა ესახებოდა. საამისო პერიოდიც მალე დადგა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გ. ჩიტაიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომელიც მაშინ ეროვნულ სამეცნიერო კერას წარმოადგენდა ქართულ ეთნოგრაფიაში. სხვადასხვა დროს მუზეუმში იგი იყო სწავლული მდივანი, ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ამავე განყოფილების გამგე და ბოლოს მისი კონსულტანტი.

ზოგად ეთნოგრაფიაში ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა და კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის საკითხებში ჩახედულმა მკვლევარმა იმთავითვე ნათლად წარმოიდგინა საქართველოს ეთნოგრაფიაში მუშაობის დიდი სირთულეებიც და მომავლის პერსპექტივებიც. მან გაითვალისწინა, რომ ქართულ ეთნოგრაფიას განვითარების გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი და საკმაოდ მდიდარი ტრადიციებიც გააჩნდა, რაც თავის მხრივ მოითხოვდა პირველ რიგში არსებული მემკვიდრეობის შესწავლას და მეცნიერულად შეფასებას. გ. ჩიტაიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქართველთა წინაპრებისა და ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების ამსახველი მონაცემები საუკუნეების განმავლობაში აღიბეჭდებოდა ქართულ საისტორიო მწერლობაში, სამართლის წიგნებში, სიგელ-გუჯრებში, მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში; უძველესი დროიდან მოღწეულ ხეთურ, ასურულ, ურარტულ წარწერებში; არამეულ, ებრაულ, ბერძნულ, რომაულ, სომხურ წყაროებში; რუს და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში. მკვლევარმა იმთავითვე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში გამოჩნდა მეცნიერულად ღირებული დაკვირვებებიც (ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ძველ მკვიდრთა საერთო წარმომავლობა-მონათესაობის შესახებ, ვახუშტის მიერ ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ეთნოგრაფიული აღწერილობა მის მიერვე გამოყენებული მასალების მაღალ დონეზე მოცემული კლასიფიკაციითა და მეცნიერული კვალიფიკაციით). ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან გ. ჩიტაია საგანგებოდ გამოყოფს XIX საუკუნეს, როდესაც შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება (1851 წ.), დაარსდა კავკასიური მუზეუმი (1852 წ.) და ქართველი სამოციანელების აქტიური მონაწილეობითა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ინტენსიური ხასიათი მიეცა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, დამუშავებას და პუბლიკაციას. ეს ის დროა, როდესაც ილია ჭავჭავაძემ შეადგინა ეთნოგრაფიული მუშაობის პროგრამა, როდესაც დაიწერა და გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის, ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელი), ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი), ივანე გვარამაძის (ვინმე მესხი), ნიკო ჯანაშიას, თედო სახოკიას და სხვათა შესანიშნავი ეთნოგრაფიული ნარკვევები. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოკალმეთა შემ-

დეგ ეთნოგრაფიული მუშაობა გააგრძელა ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დაფუძნება-განვითარების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ივანე ჯავახიშვილის მონუმენტურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მიეძღვნა სამეურნეო ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის ფართო მონოგრაფიულ შესწავლას.

ქართულ ეთნოგრაფიაში შექმნილ ესოდენ მდიდარ მემკვიდრეობას გ. ჩიტაია ჩვენი მეცნიერების, მწერლობისა და კულტურის დიდ მონაპოვრად მიიჩნევს. მისი შეხედულებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პერიოდში ეთნოგრაფიას შემდგომი განვითარებისათვის მყარი ნიადაგი ჰქონდა შემზადებული, მაგრამ ყოველივე ეს როდი კმაროდა. საბჭოთა მეცნიერების აღმავალი განვითარების ინტერესები მოითხოვდა ქართული ეთნოგრაფიის ამაღლებას საკუთარი მეთოდის მქონე ისტორიულ მეცნიერებად, რომელიც თავისი კვლევა-ძიების მთავარ წყაროდ გაიხდიდა ცოცხალ სინამდვილეში ინფორმატორთა გამოკითხვით ან უშუალო დაკვირვებით მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო საველე მასალებთან ერთად ფართოდ გამოიყენებდა მომიჯნავე დისციპლინების (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ფოლკლორი, ანთროპოლოგია, გეოგრაფია...) მონაცემებსაც. მეცნიერების ამ გზით განვითარება თავის მხრივ მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი, საველე-საექსპედიციო და სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობის ჯეროვან ორგანიზაციას, კვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვას და ახალი კადრების მომზადებას.

მანამდე არსებული რარიტეტული, ანტიკვარული და სხვა მეთოდების ნაცვლად გ. ჩიტაიას შრომებში თანდათანობით გამოიკვეთა და ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დაინერგა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული ყოფა შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიული განვითარების ასპექტში. ამ მეთოდის თანახმად, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა და დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი...) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიაც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან. ამასთან, მოვლენების ფიქსაციის დროს, ნაცვლად მათი სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობისა აუცილებელია ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა (გ. ჩიტაია).

გ. ჩიტაიამ, პირველმა, თავისი გამოკვლევებით ნათელჰყო აღნიშნული მეთოდის უპირატესობა. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მის მიერ დაწერილი შრომებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით კვლევა ითვალისწინებდა კონკრეტული საკითხებისა და მოვლენების გაშუქებას მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ჭრილში.

მეცნიერი ასეთსავე მიდგომას იჩენდა სამუზეუმო საქმიანობათა მიმართ. მისი თაოსნობით თბილისის სხვადასხვა მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული

კოლექციები გადაეცა ეთნოგრაფიის განყოფილებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც შეიქმნა საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზა. ინტენსიური ხასიათი მიეცა აგრეთვე სამუზეუმო ფონდების შევსებას საქართველოს ყველა კუთხეში შეგროვილი ახალი კოლექციებით, რაც ეკალებოდათ როგორც მრავალრიცხოვანსა და მცირერიცხოვან ეკსპედიციებს, ისე ინდივიდუალურად მივლინებულ ეთნოგრაფებს.

დროის მცირე მონაკვეთში გაწეული ნაყოფიერი შემკრებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საფუძვლად დაედო რეგიონალურსა და თემატიკურ ეთნოგრაფიულ გამოფენებს. 1931 წელს აკად. გ. ჩიტაიას და პროფ. ვერა ბარდაველიძის გეგმითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელმაც 1953 წლამდე იარსება. ამას მოჰყვა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენაც. თითოეული მათგანი მნახველს აცნობდა კუთხის უმთავრეს ეთნოგრაფიულ თავისებურებებს მატერიალური კულტურის ელემენტებით, სამეურნეო ყოფის სპეციფიკით, სოციალური განვითარების საფეხურებისა და სულიერი კულტურის ძირითადი ნიშნების ჩვენებით. ამ გამოფენებმა, რომლებიც თავის დროისათვის მეცნიერულად გამართულ ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული სამუზეუმო საქმიანობისა და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების სფეროში.

რეგიონალურთან ერთად გ. ჩიტაია დიდ ყურადღებას აქცევდა თემატიკურ გამოფენებსაც. 1939 წელს მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ქართული ჩაცმულობის გამოფენა, სადაც მისი მრავალფეროვნება გამოჩნდა საქართველოს ცალკეული კუთხეებისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით. ამ გამოფენის მნიშვნელობა დიდი იყო არა მარტო ისტორიული, არამედ გამოყენებითი თვალსაზრისითაც, რამდენადაც ექსპონირებული კოლექციებით სარგებლობდნენ მხატვრები, რეჟისორები და ქართული ტანსაცმლის დემონსტრირებით დაინტერესებული სხვა დარგების წარმომადგენლები. ასევე მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ხალხთა ხალიჩა-ფარდაგების გამოფენას 1938–1939 წლებში, რომლის მოწყობა კვლავ გ. ჩიტაიას სახელთან იყო დაკავშირებული. მის მიერ მოწყობილ თემატიკურ გამოფენათა შორის არანაკლებად საინტერესო იყო ქართული ხის ჩუქურთმებისა და იარაღის გამოფენა 1939 წელს, რაც მნახველს აცნობდა ხალხური ნახელავის ძვირფას ნიმუშებს საქართველოს ყველა კუთხიდან.

სამუზეუმო-საექსპოზიციო, საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ზრდა-განვითარების შედეგად ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მომწიფდა საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობის იდეა. მისი განხორციელების მიზნით გ. ჩიტაიამ 1951 წელს შეადგინა გეგმა და თავის ირგვლივ შემოიკრიბა მის მიერვე აღზრდილი კვალიფიციური ეთნოგრაფები — მუზეუმისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც საექსპოზიციოდ შერჩეულ თემებზე მიამაგრა. ეს გამოფენა, რომელსაც დაეთმო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მესამე სართული, გაიხსნა 1954 წელს. მან მაღალი შეფასება მიიღო როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო ჟურნალ-გაზეთებსა და კომპეტენტურო სამეცნიერო ორგანიზაციებში. ეთნოგრაფთა საკავშირო სესიაზე მოსკოვში 1955 წელს ეს გამოფენა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევად იქნა მიჩნეული. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომლის თემასაც შეადგენს „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა“, მნახველთა ფართო მასებს სამუზეუმო სა-

შუალებებით აცნობს ქართველი ხალხის ცხოვრების ნიშანდობლივ მხარეებს წარსულსა და თანამედროვეობაში. იმავე მუზეუმში გ. ჩიტაიას თაოსნობით 1958 წელს მოეწყო კავკასიის ხალხთა მრავალფეროვანი ჩაცმულობის გამოფენა, რამაც თვალნათლივ წარმოაჩინა როგორც მუზეუმის ფონდებში დაუნჯებული კავკასიური კოლექციების სამეცნიერო-სანახაობრივი მნიშვნელობა, ისე საექსპოზიციოდ მისი დამუშავების მაღალი დონე. მუზეუმთმცოდნეობის დიდი სპეციალისტი კონსულტაციებს უწევს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს. მისი აქტიური ჩარევით მოეწყო მრავალთემიანი გამოფენა „ქართველები“ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ქ. ლენინგრადი).

სამუზეუმო საქმიანობის განვითარებაში მხცოვანმა მეცნიერმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბოლო წლებში. მის მიერ შემუშავებული გეგმითა და კონსულტაციით თბილისში მოეწყო ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცისქვეშ, რომლის შემდგომი ზრდა-განვითარება მისივე ხელმძღვანელობით წარიმართება.

აკად. გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობაში და ქართული ეთნოგრაფიის შემდგომ განვითარებაში საერთოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. 1936 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში („ენიმკი“) ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. ჩიტაია. ამავე განყოფილებას ხელმძღვანელობდა იგი ისტორიის ინსტიტუტში იმის შემდეგ, რაც „ენიმკის“ ბაზაზე შეიქმნა სამი ინსტიტუტი (ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის). 1961 წლიდან, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაარსდა ეთნოგრაფიის სექტორი სამი განყოფილებით (საქართველოს ეთნოგრაფიის, კავკასიის ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის), გ. ჩიტაია ამ სექტორს განაგებს. ამავე დროს, 1970 წლიდან იგი არის საქართველოს ეთნოგრაფიის ერთ-ერთი განყოფილების გამგეც. 1981 წლიდან სექტორში 5 განყოფილებაა.

ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში გ. ჩიტაია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საველე-საექსპედიციო მუშაობას. თავის მოწაფეებს იგი ყოველთვის შთააგონებს, რომ სრულფასოვანი მასალა საკვლევი თემის შესრულებაში თითქმის სამუშაოს ნახევარს შეადგენს. იგი გულდასმით ეცნობა თანამშრომელთა საველე ჩანაწერებს და თვითონაც ასეთივე პასუხისმგებლობით იწერდა მასალებს საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით იმუშავა 30-ზე მეტმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომელთაგან თავისი მასშტაბურობითა და ხანგრძლივობით უნდა გამოეყოთ ქართლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1946—1947 წლებში და კოლხეთის ექსპედიცია 1958—1960 წლებში. ექსპედიციათა მუშაობის სამეცნიერო ანგარიშებს, რომლებშიც მიღებული შედეგების შეფასებაც ხდებოდა და მომავლის პერსპექტივებიც ისახებოდა, გ. ჩიტაია სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. საველე მუშაობაში გ. ჩიტაია სპეციალისტებთან ერთად იყენებდა ადგილებზე მყოფ კორესპონდენტებსაც. სათანადო კონსულტაციის შემდეგ მათ ეძლეოდათ პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ დეტალურად შედგენილი ვრცელი კითხვარები. რომელთა მეშვეობითაც ისინი მასალებს იწერდნენ მრავალ საინტერესო საკითხზე. ასე შეგროვდა ძალზე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, რაც დაცულია ეთნოგრაფიის სექტორის არქივში. ამ მასალის ნაწილი, რაც ფშავ-ხევსურეთში ჩაიწერეს

ალ. ოჩიაურმა, მ. ბალიაურმა და ნ. მაკალათიამ, გამოქვეყნდა 1940 წელს, ნაწილი 1981 წელს დაიბეჭდა, ხოლო დანარჩენი გამოსაცემად მზადდება.

გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანი შრომები ძირითადად საველე მასალების საფუძველზეა შექმნილი. დიდი ერუდიციისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი დაჯილდოებულია ფაქტობრივი მონაცემების მიკვლევის, ფიქსაციის, კლასიფიკაციისა და მეცნიერული ანალიზის დიდი უნარით. თავის გამოკვლევებში იგი გამოყოფს თავდაპირველ, ტრადიციულ, განვითარებად, ამასთანავე დრომოჭმულსა და გადმონაშთურ მოვლენებს. ნებისმიერი საკითხის შესწავლაში მკვლევარი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიზმსა და შესადარებელ მონაცემებს. ამგვარი პრინციპების საფუძველზე დაწერილი მისი შრომები მიეძღვნა უმთავრესად ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის კვლევას.

გ. ჩიტაიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე შეისწავლა მემინდვრეობის სისტემები საქართველოსა და კავკასიაში, სახვნელებისა და შრომის სხვა იარაღების სახეობები, ხორბლეულის ენდემური ჯიშები, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებანი, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები. ხანგრძლივი ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად მან დაადგინა, რომ საქართველო ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყანას წარმოადგენს, რომლისთვისაც ტრადიციულად დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა, ე. ი. მთის, მთისძირისა და ბარის მიწათმოქმედების თანაარსებობა ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული მარცვლეული კულტურებით, ნიადაგების დამუშავების ემპირიული ცოდნით, შესაფერისი სამეურნეო იარაღების გამოყენებით და მოსავლიანობის გადიდების ეფექტური საშუალებებით.

სახვნელი იარაღების მრავალი სახეობის შესწავლის საფუძველზე, რაც განხორციელდა თითოეული მათგანის ტექნიკის, სტრუქტურისა და ფუნქციის მიხედვით, გ. ჩიტაიამ მოგვცა სახვნელების კლასიფიკაცია. პირველადსა და მარტივ სახეობად მას მიაჩნია კავწერად წოდებული სახვნელი, ხოლო ყველაზე უფრო განვითარებულსა და რთული შედგენილობის სახვნელად თვლის დიდ მუხრანულ გუთანს. სახვნელი იარაღების გენეალოგიასა და განვითარებაში მკვლევარი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ ასპექტში დანახულ მის ფუნქციას. მემინდვრეობის სისტემებისა და სახვნელი იარაღების განვითარების ისტორიის მეცნიერული კვლევის შედეგები მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული აგროეთნოგრაფიის დარგში და გაზიაროებული დეპუტების სახით ცნობილი გახდა ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ხსენებულ პრობლემაში ასეთი მიღწევების გამო კომპეტენტური მეცნიერი არჩეულია აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

მატერიალური კულტურის პრობლემებიდან აღსანიშნავია გ. ჩიტაიას გამოკვლევები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ხალხური ავეჯის ცალკეული ელემენტები, ტანსაცმელი და ორნამენტი. ქართველ ეთნოგრაფთა შორის პირველმა გ. ჩიტაიამ შეისწავლა დარბაზული ტიპის საცხოვრებლები სამხრეთ საქართველოში, ხევსურული სახლის ძირითადი თავისებურებანი სამეურნეო დანიშნულების სათავსებით და ა. შ. საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მკვლევარმა დასახლების ტიპებს, რაც შესრულებულია მთიულეთის ერთი სოფლის (გოგნაური) მაგალითზე. ქარ-

თული ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიისათვის მეტად ფასეულია მისი გამოკვლევები სიცოცხლის ხის მოტივისა და ლაზური ორნამენტის შესახებ. ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზების საფუძველზე, ვ. ბარდაველიძესთან ერთად, გ. ჩიტაიამ გამოამზეურა ქართული ხალხური ორნამენტის მოტივები და შინაარსი. ფართოდ ილუსტრირებული ნაშრომი ამ თემაზე გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

გ. ჩიტაია ყოველ მოვლენას და საკითხს შეისწავლის ქართველი ხალხის კულტურის თავისთავადობასთან მჭიდრო კავშირში. მეცნიერმა იმთავითვე აღიმაღლა ხმა ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი თეორიების წინააღმდეგ, თითქოს საქართველო და კავკასია იყო მხოლოდ გამანადგურებელი ომების შედეგად შემოხიზნულ ტომთა თავშესაფარი, მხოლოდ კორიდორი ან შარაგზა, რომელზედაც გაივლიდნენ ესა თუ ის ხალხები და თავიანთ კულტურას გადასცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. გ. ჩიტაიამ ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომებში დაასაბუთა „კულტურული მიგრაციებისა“ და „იძულებითი სესხების“ ეს უსაფუძვლო შეხედულებები. ამასთან ერთად, მკვლევარი არაერთგზის შეეხო საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობისა და მოსახლეობის მოძრაობის საკითხებს. ეთნონიმიკური გადმოცემებისა და მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტული მონაცემების შესწავლის საფუძველზე გ. ჩიტაია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თრიალეთში მცხოვრები ურუმები ეთნიკურად ნარევი მოსახლეობისაგან შედგებოდა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ სამხრეთ საქართველოს ძველი ქართული პროვინციების (ჰასიანის, ჰაჯეთის) მცხოვრებნი, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობით ქართველებს განეკუთვნებიან და არა თურქებს. ეთნიკური ისტორიისათვის ასევე საყურადღებოა გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის კვლევის შედეგები, რითაც მხილებულია XIX საუკუნის ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი შეხედულება ჯავახოსნებთან ხევსურების მონათესაობის შესახებ (ზისერმანი).

გ. ჩიტაიამ ასევე თავის დროზე მიაქცია ყურადღება მოსახლეობის მოძრაობის ისტორიულ პროცესს, რაც წარმოაჩენს მთისა და ბარის მრავალმხრივი ურთიერთობის ხასიათს. კონკრეტული მონაცემების მიხედვით მეცნიერმა დაადგინა მთიელთა ბარში ჩამოსახლების პროცესი. ყვარელელთა ადრინდელი საცხოვრისისა და მათი მერმინდელი განსახლების დადგენის საფუძველზე გაირკვა, რომ მოსახლეობის მთიდან ბარში გადანაცელება შეპირობებული იყო არსებული კონკრეტული ვითარებით, სამეურნეო-ეკონომიკური პირობებით, როდესაც მთის ნაკლები მოსახლეობის ბარში გადმონაცელების პროცესი თანდათანი გადასახლების, გაჟონვის ხასიათს ატარებდა. აქედან მიღებულია მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნიკურ-სოციალური ისტორია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა განისილებოდეს.

ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში გ. ჩიტაია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური საზოგადოების ყოფისა და კულტურის შესწავლას, რაშიაც თავისი გამოკვლევებითაც სათანადო წვლილი აქვს შეტანილი. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ასევე თავის დროზე მიაქცია ყურადღება კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ შესწავლას, რაც დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ მასალებს, რაც მოპოვებულია ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მხარეში გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მომუშავე კომპლექსური ექსპედიციების მიერ, მკვლევარი ფართოდ იყენებს თავის შრომებში. კონკრე-

ტული საკითხების კვლევაში მეცნიერი ასევე დიდ ადგილს უთმობს ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადი ეთნოგრაფიის შესაბამის მონაცემებს, ხოლო რამდენიმე ნაშრომში საგანგებოდ აშუქებს ზოგადი ეთნოგრაფიის კონკრეტულ საკითხებს.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისათვის გ. ჩიტაია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას, რაც უნდა განხორციელდეს სპეციალისტთა ერთობლივი მონაწილეობით. მისი დიდი ხნის ოცნებაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის რამდენიმე ნაკვეთად მომზადება, რომლის შედგენის პრინციპები მის მიერვეა შემუშავებული. ატლასის გეგმა მოიცავს მიწათმოქმედების, საცხოვრებელი ნაგებობების, დასახლების ფორმების, კოსტიუმის, მესაქონლეობისა და ტრანსპორტის საკითხებს. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მასალები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის. გათვალისწინებულია ატლასის ტომებად გამოცემა ზემოხსენებული საკითხების მიხედვით. მეცნიერს ასევე ახლო მომავლის ამოცანად მიაჩნია საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს მომზადება, ხოლო პერსპექტიულ საქმედ ესახება საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების მრავალტომეულზე მუშაობა.

გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სარედაქციო საქმიანობას. მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა ნ. ხიზანაშვილის, თ. სახოკიას, ი. ციციშვილის ნაწერები. გ. ჩიტაია რედაქტორია აგრეთვე იმ მონოგრაფიების, კრებულების, ალბომების, კატალოგების, გზამკვლევებისა და სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების უმრავლესობისა, რაც საქართველოში 60 წლის განმავლობაში გამოვიდა.

ქართული ეთნოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში სათანადო როლი შეასრულეს გ. ჩიტაიას მიმოხილვებმა ამ დარგში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი და საექსპედიციო საქმიანობათა შესახებ, რაც დროდადრო იბეჭდებოდა რესპუბლიკურსა და საკავშირო გამოცემებში.

გ. ჩიტაია დიდი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურება კადრების მომზადების საქმეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი სისტემატურად კითხულობს ზოგადი ეთნოგრაფიის, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფიის კურსს, სპეცსემინარებს უტარებს სტუდენტებს, ასპირანტებსა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს. მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილი სპეციალისტები — მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. გ. ჩიტაია დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს თავის აღზრდილთა შორის. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც რიგით მეორეა საბჭოთა კავშირში მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ (უფრო მოგვიანებით ეთნოგრაფიის კათედრა დაარსდა ლენინგრადის უნივერსიტეტში). თბილისის უნივერსიტეტში ეთნოგრაფიის კათედრის შექმნა ნიშნავდა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისა და მისი ხელმძღვანელის აღიარებას.

გ. ჩიტაია სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მუშაობაში. მისი ინიციატივით თბილისში რამდენჯერმე გაიმართა ეთნოგრაფთა საკავშირო სესია. მისივე ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკური სამეცნიერო სესიები ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დარგში. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მიწვეული იყო ბერლი-

ნის, ფილადელფიის, პარიზის, მოსკოვის, ტოკიოს, ჩიკაგოსა და დელის საერთაშორისო კონგრესებზე.

გ. ჩიტაია დიდი ენთუზიაზმით ეკიდება საზოგადოებრივ საქმიანობას. ივი არის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კაბინეტის კონსულტანტი.

ესოდენ მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით შეხედა პატივცემული იუბილარი თავისი დაბადების 95 წლისთავს. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი დიდი ღვაწლი. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის ის დაჯილდოებულ იქნა ხალხთა მეგობრობის ორდენით. მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მრავალრიცხოვანი მოწაფეები და კოლეგები ჯანმრთელობას და თავის საყვარელ დარგში კიდევ დიდხანს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ გამოჩენილ საბჭოთა ეთნოგრაფს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ გიორგი ჩიტაიას.

ალექსანდრე ბარამიძე

ფოთის გიმნაზიაში (ნაწყვეტი მოგონებიდან)

ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მეექვსე კლასამდის (1912—1918 წლები) ვსწავლობდი. შემდეგ ხაშურში გადავედი და საშუალო სასწავლებელი 1920 წელს იქ დავამთავრე.

ფოთის გიმნაზია იყო ერთ-ერთი მოწინავე საშუალო სასწავლებელი. იქ საუცხოოდ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზკულტურას, მოწაფეთა ჯანმრთელობას, პირად ჰიგიენას, ყოფა-ცხოვრებას, ჩაცმა-დახურვას, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ქუჩაში თავის დაჭერას.

კარგად ისწავლებოდა ენები (გერმანული, ფრანგული, ლათინური), განსაკუთრებით რუსული. სამაგიეროდ სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული, იგი არასავალდებულო საგნად ითვლებოდა და ნებაყოფლობითს საფუძველზე მხოლოდ ბოლო საათები (მეექვსე კლასის) ეთმობოდა.

თებერვლის რევოლუციამდე გიმნაზიას ხელმძღვანელობდა განათლებული პედაგოგი, პირქუში, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ადმინისტრატორი ალექსანდრე იოსების ძე იაგულოვი. გვიან გავიგეთ, რომ იგი თურმე ქართველი იყო, იაგულაშვილი (კათოლიკე მესხი). იაგულოვმა ფოთის გიმნაზიაში თავი მოუყარა მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებს. დიდი სიამოვნებით ვიგონებ ალექსანდრე მიხეილის ძე ნერონოვს (მათემატიკოსს, ჩვენი კლასის დამრიგებელს), ისტორიკოსებსა და ლათინისტებს ანდრეი ივანეს ძე ვოლობუევსა და იური ფერდინანდის ძე გილერტს, ანატოლი ალექსანდრეს ძე იასტრებოვს (გეოგრაფს), ჰენრიხ ვაცლავის ძე ბოურს (გიმნასტიკის მასწავლებელს, ჩეხს).

ნერონოვი ხშირად სიამაყით ახსენებდა თავის უნივერსიტეტის ამხანაგს, შემდეგ განთქმულ ქართველ მათემატიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის წევრს ანდრია რაზმაძეს. ნერონოვი იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი, კეთილი, ჰუმანური, ზრდილი, ტაქტიანი, ბილწსიტყვაობას ერიდებოდა (სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებელი ხშირად ხმარობდა უწმაწურ სიტყვებს). ერთხელ ნერონოვმა საკლასო ჟურნალი გასინჯა და შეამოწმა, თუ ვინ არ ესწრებოდა ქართულის გაკვეთილებს. მან სასტიკად დატუქსა ის ქართველი ბავშვები, რომლებიც მშობლიურ ენას არ სწავლობდნენ, სამაგიეროდ ძალიან შეაქო ვანო აფენდოპულო (ბერძენი), რომელიც ქართულ გაკვეთილს არ გააცდენდა. სხვათა შორის, ნერონოვმა ცოლად ქართველი ქალი შეირთო და მყუდრო ოჯახი შექმნა. სამწუხაროდ, ადრე დაიღუპა (რიონში ბანაობისას დაიხრჩო).

1914 წელს, ომის დასაწყისში, შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები, მათ შორის ფოთი, დაბომბეს გერმანიის სამხედრო ხომალდებმა „გებენმა“ და „ბრეს-

ლაუმ“. ამის გამო ფოთის, ბათუმისა და სოხუმის გიმნაზიები გახიზნეს. ფოთის გიმნაზია ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ შეიკედლა, 1914—1915 სასწავლო წელი იქ გავატარეთ. თუმცა მაშინ მეორე კლასის მოწაფე ვიყავი, კარგად ვხედავდი, როგორი განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა ქუთაისის გიმნაზიაში. მე ბევრჯერ მინახავს ამ გიმნაზიის სახელოვანი დირექტორი იოსებ ოცხელი (ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი, ჰაღარა წვერ-ულვაშით დამშვენებული სანდომიანი კაცი), ტკბილი ქართულით რომ ემუსაიფებოდა მის გარშემო თავმოყრილ მოწაფეებს. როგორ შევნატროდით მათ! ასეთი რამ ჩვენთვის საოცნებოდ რჩებოდა.

განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მოვიგონო ფოთის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლები. დაწყებითს კლასებში ამ საგანს გვასწავლიდა ლადი გაგუა, ფრიად სიმპათიური ადამიანი. იგი ბალღონეს არ იშურებდა და ყოველმხრივ ცდილობდა ჩაენერგა ჩვენთვის მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარული. სახელმძღვანელოდ გვქონდა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. უფროსკლასელები გვიქებდნენ მელიტონ კელენჯერიძეს (ლიტერატურისმცოდნესა და ფოლკლორისტს, მწერლობაში ცნობილი იყო ტონკმელის ფსევდონიმით). იგი რუსულ ენაზე საღვთო სჯულს გვასწავლიდა, ამ საგნისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა. როცა შემთხვევით ილიასა და აკაკიზე სიტყვას ჩამოაგდებდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გამოცოცხლდებოდა, ჩვენც აღტაცებით ვუსმენდით.

თებერვლის რევოლუციამ მეოთხე კლასში მომისწრო, მეხუთე კლასიდან დაიწყო სკოლის ეროვნულ ლიანდაგზე გადაყვანა. ქართულმა ენამ და ლიტერატურამ ამ დროიდან ცენტრალური ადგილი დაიჭირა. საბედნიეროდ, პედაგოგიც ღირსეული დაგვინიშნეს — გიორგი ჩიტაია, აწ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მან პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილთან მუშაობაში გაიწაფა, მასწაელებლობა ფოთის გიმნაზიაში დაიწყო, თავის საგანს მშვენივრად უძღვებოდა. ბევრს გვაკითხებდა და გვაწერინებდა. ერთხელ მან საკონტროლო თემა დაგვაწერინა — „სამშობლოს სიყვარული ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების მიხედვით“. რამდენიმე დღის შემდეგ რვეულები მოიტანა. ჩემი ნაწერი მოსწონებოდა, შენგან კრიტიკოსი გამოვაო, მითხრა. მისი პროგნოზი თითქოს ნაწილობრივ გამართლდა.

გიორგი ჩიტაია ძლიერ ახლო იყო მოწაფეებთან, იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს, ხელმძღვანელობდა თვითმოქმედებას. ბატონ გიორგის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მოწაფეთა, მასწავლებელთა და ფართო საზოგადოებას შორის. მას დიდ ანგარიშს უწევდა, კერძოდ, გიმნაზიის დირექტორი სერგი დანელია.

1918 წლის მაისი იყო. სასწავლო წელი იწურებოდა. მეხუთეკლასელები ვემზადებოდით ლიტერატურული საღამოს მოსაწყობად. ხელმძღვანელობას გვიწევდა გიორგი ჩიტაია. სწორედ იმ დღეს, როდესაც „გენერალური რეპეტიცია“ გვქონდა, ფრანგულ ენაში დაგვინიშნეს შემაჯამებელი საკონტროლო წერა. მასწავლებელმა ალმა იურიევნამ წაგვიკითხა ფრანგულ ენაზე რაღაც პატარა მოთხრობა და დაგვავალა მისი მოყოლით გადმოცემა ფრანგულადვე. მე წერას შევუდექი, მაგრამ ამხანაგებმა ჩოჩქოლი ატეხეს, ძნელი დაკალებაა, ან მოყოლა ქართულად მოგვეთხოვოს (ალმა იურიევნამ ქართული არ იცოდა), ან „დიქტანტზე“ გადავიდეთო. სიტყვა ავიღე და მასწავლებელს ვთხოვე მოყოლა შეეცვალა „დიქტანტით“. ის გაგულისდა, ჩვენ უკან არ და-

ვიხიეთ, მაშინ დემონსტრაციულად დაგვტოვა და დირექტორთან დაგვასმინა. მალე დირექტორიც გაჩნდა. დეზორგანიზატორები და წესრიგის დამრღვევნი გვიწოდა, დაგვტუქსა. პასუხის გაცემა მე ვიკისრე, როგორც საკლასო თვითმმართველობის თავმჯდომარემ. ჩემმა ახსნა-განმარტებამ დირექტორი უფრო ააღელვა, აღშფოთდა, დამემუქრა, შენ ყოფილხარ „ბუნტის“ თავიო, გამაგდო, შენი ფეხი ამოიკვეთება გიმნაზიიდანო. გულდაძმარული წავედი შინ. საღამოს მაინც გამოვცხადდი რეპეტიციაზე, გიორგი ჩიტაიას ნახვა მინდოდა, უნდა მეამბნა გასაჭირი. ბატონ გიორგის ყველაფერი გაეგო, მანუგეშა და დამაიმედა, დირექტორს გაცხარება გაუვლის და ყველაფერი კარგად დასრულდებაო.

მეორე დღეს გიმნაზიაში არ წავედი. დილის 10 საათი იქნებოდა, ივლიანე დარაჯმა მომაკითხა, დირექტორი გიბარებსო, ფრთხილად იყავი, გაჯავრებული ჩანსო. დაუყოვნებლივ ვეახელი. თავის კაბინეტში შემიყვანა. ძლიერ ღელავდა, სად იყავი ამდენხანს, მეცადინეობას რად აცდენო, მკვახედ შემომაგება სიტყვა. მე იხტიბარი არ გავიტეხე, ცოტა არ იყოს, უტიფრად ვუპასუხე, გუშინ თქვენ თვითონ დამითხოვეთ, გამაძევეთ, როგორღა უნდა მოვსულიყავი უნებართვოდ-მეთქი. პასუხი უზრდელობად ჩამითვალა, გამლანძღა და გამთათხა, შენ უკეთეს მაგალითს უნდა აძლევდე ამხანაგებსო. მიბრძანა, წადი და სწავლა განაგრძე, მსგავსი რამ აღარ განმეორდესო. ბოლოს დასძინა, შენი „გამოხსნა“ გიორგი ჩიტაიას დაუმადლეო.

რევოლუციის შემდეგ ერთხანს გიმნაზიაში დისციპლინა შეირყა, ამან უარყოფითი გავლენა იქონია აკადემიურ წარმატებაზე. მოწაფეთა კომიტეტის ხელში ბევრი უფლება გადავიდა. კომიტეტის პირველი აქტი ის იყო, რომ დირექტორობიდან მოხსნეს იაგულოვი (ვითომ ძველი რეჟიმის მომხრეაო). მის ნაცვლად მოიწვიეს სერგი დანელია (იგი ადრე, იაგულოვის დროს, ფოთის გიმნაზიაში მასწავლებლობდა), შემდეგ ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ს. დანელია დიდად განსწავლული, ბრწყინვალე პედაგოგი იყო, თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე პედაგოგი მეცადინეობას გააცდენდა, მას თვითონ ცვლიდა. ს. დანელიას არაერთხელ ჩაუტარებია ჩვენთან გაკვეთილი — საუბარი ისტორიაში, გეოგრაფიაში, რუსულ ენაში, უცხო ენებში. ყველაფრის კარგ ცოდნას და გადაცემის იშვიათ უნარს იჩენდა. დაუზარელი იყო, ბეჯითი, ენერგიული, მომთხოვნი, ოღონდ ზომაზე მეტად ნერვიული. ჩემი აზრით, ადმინისტრაციული საქმე არ იყო მისი მოწოდების სფერო. ს. დანელია ფოთიდან მალე წაიყვანეს, დააწინაურეს, რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლების მთავარ ინსპექტორად დანიშნეს.

ოჯახური პირობების გამო VI კლასიდან ფოთის გიმნაზია დავტოვე და ხაშურში გადავედი. მერვე, დამამთავრებელი კლასის მოწაფე ვიყავი, როცა სარევიზიოდ მთავარი ინსპექტორი სერგი დანელია გვეწვია. მასწავლებელმა გამიძახა, კითხვები დამისვა და პასუხის გაცემას შეეუდექი. ინსპექტორმა შემომხედა, მიცნო, გამიღიმა. შესვენების ზარი რომ დაირეკა, ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მომესალმა, მომიალერსა, აქ რა გინდაო, მკითხა. მერე დირექტორს (შალვა სიმონის ძე მხეიძეს) და მასწავლებელს (კონსტანტინე გეგელიძეს) მიუბრუნდა და უთხრა: ხომ ხედავთ, ფოთის გიმნაზიის მაღლი გამოჰყოლიაო. ინსპექტორის ყურადღებამ ჩემი ავტორიტეტი ძალიან აამაღლა.

ფოთის გიმნაზიის თანაკლასელთაგან ვმეგობრობდი იასე ცინცაძეს (შემდეგში უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი), სიკო დოლიძეს (ცნობილი კინორეჟისორი), გიორგი ბეღელაძეს (ერთ დროს თვალსაჩინო პარტიული მუშაკი იყო), ძმებს ლევან და დავით კელენჯერიძეებს (ლევანი პოლიტექნიკუ-

რი ინსტიტუტის დოცენტი), (დავითის ბედისა არა ვიცი რა), კაკო მარს (ცნობილი ალპინისტია, ნიკო მარის ნათესავი). კაკო მარი ბევრს გვიამბობდა თავისი ბიძის, პეტერბურგელი სწავლულის შესახებ.

სხვათა შორის, მეხუთე კლასში ვცემდით იუმორისტულ ხელნაწერ ჟურნალს „მელა-კუდას“ (ჟურნალს რედაქტორობდნენ სიკო დოლიძე და ჩემი მოგვარე მიხეილ ბარამიძე). ერთი თუ ორი კლასით ჩემზე წინ იყვნენ ეგნატე ფიფია (გამოჩენილი დასტაქარი), ვლადიმერ ზამბახიძე (პედაგოგიკის პროფესორი), მწერალი-კრიტიკოსი კ. ხოჭოლავა (ბიოლოგიის პროფესორი), ნიკო ბოშტარია (მათემატიკოსი, დოცენტი). ყველა ამათთან, ისე როგორც გიორგი როგავასთან (ენათმეცნიერების პროფესორი), რომელიც მომდევნო კლასელი იყო, ამხანაგობა და მეგობრობა მქონდა.

ერთგვარი შურით შევცქეროდით უფროსკლასელებს. კერძოდ, შალვა ამირანაშვილს (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ხელოვნებათმცოდნეს) და იასე შაქარიშვილს (გეოგრაფიის კათედრის გამგე იყო თბილისის უნივერსიტეტში). იასე შაქარიშვილი მთელ გიმნაზიაში პირველ მოწაფედ ითვლებოდა და თითქმის ყოველწლიურად საზეიმო ვითარებაში დირექტორისაგან ქების სიგელს იღებდა.

ფოთის გიმნაზიას ყოველთვის სიყვარულით ვიგონებ. ამ სასწავლებელს უკავშირდება ჩემი პირველი ოცნება, გატაცება, პირველი შეუცნობელი ნაბიჯები რთული ცხოვრების გზებზე.

გიორგი ჯალაბაძე

გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი თავის ისტორიას 1852 წლიდან მოითვლის. ამავე წლიდან მუზეუმში შეიქმნა სპეციალური საეთნოგრაფიო კომისია, რომლის ბაზაზე შემდგომში აღმოცენდა ეთნოგრაფიის განყოფილება. ამავე წლიდან მუზეუმში შემოვიდა პირველი ეთნოგრაფიული კოლექციები.

კავკასიურ მუზეუმში (ასე ეწოდებოდა მაშინ მუზეუმს) ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის პროფილი კარგად იყო გამოკვეთილი. მას აღებული ჰქონდა ორიენტაცია, რომ შეეკრიბა კავკასიის ხალხთა და ცალკეული ტომების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთიერი მასალა, რომ შეექმნა სტაციონარული გამოფენები. კოლექციების მოძებნის მიზნით მუზეუმი ახორციელებდა მივლინებებსა და ექსპედიციებს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ისე მის მეზობელ ქვეყნებში. ამ გზით მუზეუმის ფონდებში დიდძალი საინტერესო ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალა იქნა დაგროვილი.

1921 წლისათვის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება მოითვლიდა 10000-მდე დასახელების ნივთს, ამ რიცხვში შედიოდა 2000-მდე დასახელების ფოტონეგატივი და ფოტომასალა, ჩანახატები და ნახაზები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან როგორც მთლიანად მუზეუმი, ისე ეთნოგრაფიის განყოფილება ახლებურად იწყებს მუშაობას. მიმდინარეობდა არსებული ნივთიერი მასალის გადაბარება, აღრიცხვა, ახალი მასალის მოძიება და დაუნჯება. ეს იყო სამუზეუმო საქმიანობაში გარდატეხის პერიოდი. ამ დროს მთავარი ამოცანა იყო განყოფილების ფონდებში არსებული მასალის დაცვა, მოვლა-შენარჩუნება. საამისოდ საჭირო იყო კადრი, რომელსაც ექნებოდა სათანადო მომზადება და საქმის სიყვარული. 1922 წლიდან მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობას იწყებს გ. ჩიტაია. ამ დროს ეთნოგრაფიის და არქეოლოგიის განყოფილებას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი. განყოფილებაში მუშაობდნენ ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, მ. ბარათაშვილი და სოლ. იორდანიშვილი.

გ. ჩიტაია მუზეუმში მოსვლისთანავე აქტიურად ჩაება სამუზეუმო ცხოვრებაში. ეთნოგრაფიის განყოფილებაში ბევრი რამ იყო გასაკეთებელი — დაწყებული მუზეუმის დაარსებიდან ვიდრე 1920 წლამდე მუზეუმში შემოსულ ნივთებს საინვენტარო დავთრებში ერთი ნომრის ქვეშ ან რამდენიმე ნივთს ატარებდნენ ან მხოლოდ ნივთს ასახელებდნენ. არც ერთ ნივთს აღწერილობა არ გააჩნდა. ამიტომ ძნელი იყო დავთრებში გატარებული ნივთების რაობის დადგენა. ეს მით უფრო ძნელი იყო მათთვის, ვინც ახლად იწყებდა სამუზეუმო საქმიანობას. აღნიშნული ნაკლის გამოსწორება ადვილი საქმე არ იყო. დასაზუსტებელი იყო თვით დავთრებში გატარებული ნივთიერი მასალის ად-

გილზე არსებობის საკითხი. საამისოდ კი უნდა შეჯერებულიყო ფონდები. 1922 წლიდან გ. ჩიტაიას მონაწილეობით შეიქმნა ახალი საკატალოგო დავთარი; მასში გატარებულ იქნა 1865 წლიდან 1902 წლამდე ეთნოგრაფიის განყოფილებაში შემოსული ნივთიერი მასალა, რომელსაც პირობითად ჩვენ ახლა ვუწოდებთ ძველი კოლექციების საინვენტარო დავთარს. ამ დავთარში გატარებულ იქნა გეოგრაფიული საზოგადოების დირისეულ და რადესეულ დავთრებში აღრიცხული ნივთიერი მასალები. ეს დავთარი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ძველი დავთრებიდან გადმოტანილი ნივთიერი მასალის საინვენტარო ნომრები დალაგებულია და ჩაწერილი თანმიმდევრობით და თითოეულ ნივთს მიეცა სათანადო აღწერილობა, ამასთან მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურა. მითითებულია რომელი დავთრიდან არის გადმოტანილი და ძველ დავთარში ეს ნივთი რა ნომრით ირიცხებოდა. სულ დავთარში გატარებულია 1279 ნივთი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნივთები ძველ დავთრებში ვატარებულია რუსულ და გერმანულ ენებზე. ეს ძალიან დიდი და შრომატევადი სამუშაო გიორგი ჩიტაიას თავისი ხელით აქვს შესრულებული. მუზეუმისათვის მნიშვნელოვანი იყო ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალის ზუსტი აღრიცხვის მოგვარება. 1925 წელს ხელახლა დაისვა საკითხი, რომ ძველი დავთრებიდან შედგენილიყო ახალი დავთარი, ახალ დავთარში შეეტანათ ის ნივთები, რაც სახეზე იყო დარჩენილი. აღნიშნული სამუშაო დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ მუზეუმს საფონდო ოთახების სივიწროვე მასალის დარგობრივად გამიჯვნის საშუალებას არ აძლევდა, მუშაობა გარკვეულ ეტაპზე შეჩერდა.

1925—26 წლებში მუზეუმის ერთგვარი რეორგანიზაციისა და აღდგენითი პერიოდი დასრულდა. ამავე წლებში მუზეუმის ეთნოგრაფებმა გამოაქვეყნეს პირველი საბჭოური ეთნოგრაფიული გამოკვლევები. 1925 წელს მუზეუმის მოამბის მე-2 ტომში ქვეყნდება გ. ჩიტაიას „სვანური საკურცხილი“, ხოლო მომდევნო ტომში — „პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები“.

1925 წელს გ. ჩიტაიამ ნაშრომში — „სვანური საკურცხილი“ ჩამოაყალიბა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მომავალი ამოცანები და მუშაობის მეთოდი. დასახელებულ ნაშრომში გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ „ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის, პირველყოვლისა, საჭიროა ფაქტის დეტალური სისრულით აღწუსხვა, სადაც სიფრთხილით უნდა აღდგენა და ფაქტის ყოველმხრივ დანახვის გაადვილება, რაგინდ ცხოვრების წვრილმანს არ უნდა წარმოადგენდეს ეს ფაქტი და ცხოვრების სულ უკანასკნელ ფენების რკალში არ შედიოდეს იგი. შემჩნეულია, რომ წვრილმანი თავისი ერთი შტრიხით ხშირად იძლევა ცხოვრების უდიდესი საკითხების ახსნას. ფაქტების განზოგადება, ტიპოლოგიის შედგენა და თვით შედარებითი მეთოდის მომარჯვებაც კი დეტალების ამგვარად დამუშავების შემდეგ ადვილად შესასრულებელი გახდება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მკვლევარი დაზღვეული შეცდომებისაგან, რომ სხვადასხვა ეპოქებისა და დამოუკიდებელ კულტურულ რკალთა ობიექტების ზერელე შედარებით და უნიადაგო ანალოგიებით არ დააბნელოს გამოსარკვევად მოცემული საკითხები“[1]. ასეთი იყო ის პირველი სახელმძღვანელო მითითება ყველა იმათ მიმართ, ვინც მატერიალური კულტურის ისტორიისა და ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ხაზით აპირებდა მუშაობას.

გ. ჩიტაია 1926 წელს „მიმომხილველში“ აქვეყნებს წერილს, სადაც კონკრეტულად აყენებს საკითხს თუ ქართველმა და საერთოდ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის მკვლევარმა, განსხვავებით ევროპელი ეთნოგრაფებისაგან, რა

[1] გ. ჩიტაია, სვანური საკურცხილი, „მუზეუმის მოამბე“. ტ. II, გვ. 88—89.

მეთოდით, რა კუთხით უნდა აწარმოოს როგორც შემგროვებლობითი, ისე მეცნიერული მუშაობა. იგი მაშინ იძლეოდა გაფრთხილებას, რომ „ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ჩვენს ეთნოლოგიურ სინამდვილეში სადა და უბრალო საქმე როდია. ერთი ხელის მოსმით აქ ვერც ევროპის ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდი გამოგვადგება, რომლებსაც პირველყოფილ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის დროს იყენებენ, საქართველოში და კავკასიაში, მის მკვიდრ ხალხთა შორის პირველყოფილი ხალხები არ არის. აქ მხოლოდ შენახულია პირველყოფილობის რელიქტური მოვლენები, რომელთა გვერდით მაღალი კულტურული მიღწევებია და მრავალი ისტორიული ფაქტები. ამიტომ ამ ხალხთა შესწავლისათვის საჭიროა ორმაგი — ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდი“. შემდეგში „ორმაგი ეთნოლოგიურის“ ქვეშ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით მუშაობა იქნა განვითარებული.

გ. ჩიტაია განსაკუთრებით აღნიშნავდა ეთნოგრაფიული მასალის სირთულეს და ამ მასალის შეკრების დროს მოითხოვდა მრავალმხრივი მოვლენების გათვალისწინებას. იმდენად, რამდენადაც ქართული საბჭოური ეთნოგრაფიული მეცნიერება ახალ ეტაპზე იწყებდა თავისი საქმიანობის გაშლას, ამ ეტაპისათვის საჭირო იყო როგორც კვლევა-ძიების მეთოდის შემუშავება, ისე ამ მეცნიერების ამოცანების განსაზღვრაც. პირველი რიგის ამოცანად ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის გ. ჩიტაიას მიაჩნდა სასწრაფოდ განსორციელებულიყო ეთნოგრაფიული მასალის შემკრებლობითი მუშაობა, რომ ეს მუშაობა უნდა შესრულებულიყო სტაციონარული წესით. „თეორიების შექმნისათვის, — აღნიშნავდა იგი, — დრო ნაადრევია“. სწორად იყო რა შეფასებული მაშინდელი სიტუაცია, 1921—1930-იან წლებში მუზეუმში დაუჯერებული იქნა დიდძალი ნივთიერი მასალა. სამუზეუმო ნივთი, ტანსაცმელი იქნება იგი თუ შრომის იარაღი, ადამიანის შრომითი საქმიანობის, მისი შემოქმედების გამოხატულებას წარმოადგენს. გ. ჩიტაია მოითხოვდა, რომ სამუზეუმო ნივთი ეთნოგრაფს შეესწავლა და განეხილა დამზადების ტექნიკის, კონსტრუქციისა და ფუნქციის მიხედვით. ამ მეთოდს, როგორც წესი, იყენებენ მისი მოწაფეები. ამ მეთოდით ტარდება ნივთების აღწერილობა საინვენტარო დაეთრებში. დღეისათვის ყოველ ეთნოგრაფიულ ნივთს და ჩანაწერ მასალას საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, გ. ჩიტაია აყენებდა საკითხს, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში შექმნილიყო ეთნოგრაფიული სტაციონარები.

იმისათვის რომ მუზეუმში გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობას გავეცნოთ, საჭიროდ მიგვაჩნია წლების მიხედვით გადავხედოთ მის საქმიანობას. 1922 წელს იგი მიღებულ იქნა თანამშრომლად. 1923 წლის იანვარში მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ალ. ნათიშვილი, ბ. შიშკინი, ნ. ყიფიანი და ნ. სევეროვი, გ. ჩიტაია ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუზეუმის მუდმივ მუშაკად დაამტკიცა. 1925 წლიდან უფროსი მეცნიერ მუშაკია, 1925 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია. ზოგად ეთნოგრაფიაში, რომელსაც ამთავრებს 1928 წელს. 1931 წლიდან ეთნოგრაფიის განყოფილების გამგეა, 1936 წლიდან ენიმკის თანამშრომელია, ხოლო 1937 წლიდან მუზეუმის კონსულტანტი.

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელს რამდენიმე პროფილით უხდება მუშაობა: საფონდო, საველე-საექსპედიციო, სამეცნიერო და საგამოფენო ხაზით.

ჩვენ ზემოთ გ. ჩიტაიას სამეცნიერო მუშაობას ზოგადად შევეხეთ. მუზეუმში მოღვაწეობის პერიოდში დაწერილი .ყოველი ნაშრომი წარმოადგენს შესანიშნავ და სანიმუშო გამოკვლევას, სადაც კვლევის ობიექტი განხილულია როგორც ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული მასალის შეჭზე, როგორც მატერიალური, ისე სოციალური ასპექტების ჭრილში. მის გამოკვლევებში ნაჩვეობებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ნივთს და მასთან დაკავშირებულ გადმოცემებს, რათა დაინახო ამა თუ იმ ხალხის შორეული ცხოვრების სურათი.

გიორგი ჩიტაია მუზეუმში მოსვლისთანავე ებმება საექსპედიციო მუშაობაში. იმავე პერიოდში, ს. იორდანიშვილთან ერთად, არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ზემო ავჭალასა და წიწამურთან.

1926 წლიდან გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა მრავალ კუთხეში: 1926 წელს ქვემო ქართლში, 1927 წელს — ხევსურეთში, 1928 წელს — კახეთში, სამეგრელოში, ხევსურეთსა და ქართლში, 1929 წელს — ფშავ-ხევსურეთში, 1931 წელს — სვანეთში, 1932 წელს — თუშეთში, 1933 წელს — აჭარაში, 1934 წელს — ქვემო სვანეთში, 1935 წელს — ზემო სვანეთში, 1936 წელს — ქვემო სვანეთში, 1937 წელს — თრიალეთში, 1938 წელს — წალკასა და ქსნის ხეობაში, 1939 წელს — პატარა ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში, იმერეთში, ივრის ხეობაში, 1940 წელს — დიდოეთში, 1942 წელს — გომბორზე, 1943 წელს — ხევსურეთში, 1945 წელს — მთიულეთში და სხვ.

1947 წლიდან გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით ხორციელდება ქართლის კომპლექსური ექსპედიციები, რომელშიც ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ მუზეუმის ეთნოგრაფები.

გ. ჩიტაიამ ხელმძღვანელობა გაუწია მუზეუმის 33 ეთნოგრაფიულ ექსპედიციას, თუ რამდენად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ექსპედიციები, ეს კარგად ჩანს იმ გამოკვლევებიდან და ანგარიშებიდან, რომელიც იბეჭდებოდა „მუზეუმის მოამბეში“, „მიმომხილველში“, „ანალებსა“ და „ენიმკის მოამბეში“. ამ ექსპედიციების შედეგად ფონდებს შეემატა მრავალი მნიშვნელოვანი ნივთი. ასე, მაგალითად, 1923 წელს მცხეთის ექსპედიციამ მუზეუმს შემატა 13 დასახელების ნივთი, 1927 წელს ხევსურეთის ექსპედიციამ — 220 დასახელების ნივთი, 1929 წელს ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციამ — 208 ნივთი, 1939 წელს ქართლის ექსპედიციამ — 71 ნივთი, 1932 წელს თუშეთის ექსპედიციამ — 180 ერთეული, 1933 წელს აჭარის ექსპედიციამ — 116 ერთეული, 1940 წელს დიდოეთის ექსპედიციამ — 69 ერთეული და სხვ.

ეთნოგრაფიული ფონდების შევსება გ. ჩიტაიას ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. მუზეუმის ფონდების გამდიდრების მიზნით მას არაერთხელ ჩაუყენებია თავი კრიტიკულ მდგომარეობაში.

მუზეუმში დაუნჯებული მრავალი ნივთის ძიებას მიეძღვნა მისი რამდენიმე გამოკვლევა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი“, „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“, „აჭარული დათვა-ბოყვა“ და სხვ.

გ. ჩიტაიას მის მიერ საფუძვლიანად შესწავლილი ნივთები აუწერელი შინაგანი ძალით უყვარს. ამ სიყვარულს, ვფიქრობ, მხოლოდ ის შენიშნავდა, ვისაც თვალყური მიუდევნებია გ. ჩიტაიასათვის გამოფენაზე მუშაობის პერიოდში. იგი რამდენჯერაც კი ეთნოგრაფიულ გამოფენაზე შემოსულა, განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებოდა ლაზური სახლის ჭერის მორთულობასა და

ბუხრისთავის ჩუქურთმასთან. ხშირად თითქოს ეფერებაო, ჩუქურთმის ჭრელზე ხელსაც გააყოლებდა, შემდეგ იგი გადაინაცვლებდა ბოლო დარბაზში, სადაც დიდი გუთანი და რაჭული საბნელია და აქაც თითოეულს, თითქოს პირველად ნახულობსო, გულდასმით აკვირდებოდა. შემდეგ თვალს მოავლებდა დარბაზს მთლიანობაში და ხალისიანი ტოვებდა გამოფენას.

რადგან აქ გამოფენაზე გატანილი მასალა მოვიხსენიეთ, ორიოდე სიტყვით გვინდა გ. ჩიტაიას საგამოფენო მოღვაწეობასაც შევეხოთ. როგორც ცნობილია, 1918 წელს დაიწყო მუზეუმის დღევანდელი საგამოფენო შენობის მშენებლობა. შენობა 1928 წელს გამოფენებისათვის მზად იყო, მაგრამ ახალ შენობას სჭირდებოდა სათანადო საგამოფენო ინვენტარი. მუზეუმის მესამე სართული თავისი შინაგანი აივნებითურთ ეთნოგრაფიულ გამოფენებს დაეთმო. მთელი ეს ფართობი შეადგენდა 1200-მდე მ². იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილი იყო ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობა, საჭირო იყო გამოფენის გეგმის მომზადება და თემებზე მუშაობა. 1928 წელს გ. ჩიტაია იგზავნება მოსკოვსა და ლენინგრადში მუზეუმების მუშაობისა და გამოფენების შესწავლის მიზნით, 1930 წელს კი იგი ეცნობა კიევისა და ხარკოვის მუზეუმების მუშაობას.

1926 წელს ეთნოგრაფიის განყოფილების უფროს მეცნიერ მუშაკს გ. ჩიტაიას დაევალა ეთნოგრაფიული გამოფენის საექსპოზიციო გეგმის შედგენა. მაშინ ამას პროგრამას უწოდებდნენ. პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის ჩვენებას. იმდენად, რამდენადაც ამ გამოფენას ერთგვარად ისტორიული გამოფენის მისიაც ეკისრებოდა, იგი მრავალი საკითხით იყო წარმოდგენილი. პროგრამის განხილვისას წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა. პროგრამაში წარმოდგენილ თემატიკასა და ამოცანებს დადებითი შეფასება მისცა ქართული ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ისეთმა დიდმა სპეციალისტმა, როგორიც იყო პროფ. გ. ჩუბინაშვილი. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა: პროგრამა ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოს მუზეუმი არის საქართველოსთვის ცენტრალური მუზეუმი, რომელიც ვალდებულია გასწიოს არა მარტო კულტურულ-პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, არამედ იგი უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის კერასაც. გ. ჩუბინაშვილი სავსებით ეთანხმებოდა პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული თემატიკის ექსპოზიციაში გატანას.

1927 წელს მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში გამოფენაზე გაეტანათ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ორი კუთხე — ხევსურეთი და სვანეთი. პირველ რიგში მუშაობა დაიწყო ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობაზე. ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა აირჩიეს იმიტომ, რომ მუზეუმი იმ პერიოდში ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. მუზეუმში ხევსურეთიდან შედარებით მდიდარი ნივთიერი მასალა იყო დაუნჯებული და მას ცოტა კიდევ რომ მიმატებოდა, ექსპოზიცია მალე დასრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავიხსენოთ მუზეუმის 1927 წლის წლიური ანგარიში, რომელშიც დირექტორი ალ. ჯანელიძე წერდა: „მუზეუმის მთელი თანხა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვაგროვებდით, ეთნოგრაფიული განყოფილების ერთ ექსპედიციას ძლივს ეყო. ეს უკანასკნელი გაგზავნილ იქნა ხევსურეთში და მას დაევალა როგორც პირაქეთელი, ისე პირიქეთელი ხევსურების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ნივთების შეძენა და გზადაგზა შესაფერი დაკვირვების წარმოება. ექსპედიციის ასეთი ხასიათი მჭიდროდ იყო დაკავშირებული განყოფილების მუშაობის საერთო გეგმასთან. მართალია განყოფილებაში დიდძალი მასალა

არის დაცული, მაგრამ კოლექციების გაცნობამ ნათელყო, რომ საქართველოს არცერთი კუთხე არ არის იმდენად სრულად წარმოდგენილი, რომ მუზეუმის მომავალი გაშლის დროს მისი დამაკმაყოფილებლად გამოფენა შეიძლებოდეს, ამიტომ მუზეუმმა მიზნად დაისახა საქართველოს ეთნოგრაფიული კოლექციების თანდათანი შევსება მომავალი გამოფენის საჭიროებათა გათვალისწინებით. სამეცნიერო საბჭოს დადგენილების თანახმად პირველ რიგში ხევსურეთის საკითხი დაისვა. ეს მეტად თავისებური კუთხე შედარებით უკეთ არის მუზეუმში წარმოდგენილი და ამიტომ სათანადო მასალების შევსებას ნაკლები სიძნელე გადაეღობებოდა წინაო"[2].

1929 წელს ხევსურეთში კვლავ მოეწყო ორი ექსპედიცია. ამ ექსპედიციებმა 245 დასახელების ნივთი შემოიტანეს ფონდებში (იხ. კოლ. № 12—29/1—208; № 13—29/1—37). იმავე წლის შემოდგომაზე მუზეუმი შეუდგა ხევსურეთის ღროებითი გამოფენის ექსპოზიციას. ამ გამოფენას დროებითი ერქვა, რადგან პროგრამა, რომელიც გ. ჩიტაიამ პირველ მონახაზად წარმოადგინა, ითვალისწინებდა საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობას.

ამ გამოფენასთან დაკავშირებული თემები და ყველა საკითხი, რომელიც კი საგამოფენო თემატიკას უკავშირდებოდა, დამუშავებულ იქნა გ. ჩიტაიას მიერ ვ. ბარდაველიძესთან ერთად, რომელიც იმჯერად სწავლობდა ლენინგრადის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის ასპირანტურაში. გამოფენას მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევდა ი. შარლემანი, მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა ესკიზები და საგამოფენო ინვენტარი. მას ეხმარებოდნენ მხატვრები რენე შმერლინგი და ს. საბუკაი.

1931 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 10 წლისთავზე ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა მნახველთათვის გაიხსნა. ამ გამოფენამ 1953 წლამდე იარსება. ეს იყო პირველი საბჭოური ეთნოგრაფიული გამოფენა მოწყობილი მარქსისტული ძეთოდის გამოყენებით. ხევსურეთის გამოფენაზე გატანილი მასალები პერიოდულად ახალი მონაცემებით ივსებოდა და ხდებოდა მისი გადახალისება. 1929 წლიდანვე მუშავდებოდა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენის თემები და თემებთან დაკავშირებული ნივთიერი მასალები. სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენის მხატვრული გაფორმება კვლავ ი. შარლემანს დაევალა. ექსპოზიციის მოწყობის ამ ეტაპზე მუზეუმს დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი და სიძნელეებთან ჭიდილი შედარებით ხევსურეთის გამოფენასთან აქ ცოტა გაიოლებული ჩანდა. სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ ნაჩვენები ყოფილიყო ახალი სვანეთი თავისი ახალი სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი მასალით. ეს პრობლემა ძნელი გადასაწყვეტი იყო როგორც მაშინ, როცა მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში 4 კაცი მუშაობდა, ისე მოგვიანებითაც, როცა იმავე განყოფილებაში ხუთჯერ მეტი თანამშრომელი მუშაობს. სიძნელეს იწვევს ის გარემოება, რომ გამოფენის თვალსაჩინოება ნივთის ჩვენებით უნდა იქნას წარმოდგენილი. ახალი ყოფის ამსახველი ნივთიერი მასალა მუზეუმის არ გააჩნდა. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, რომ თემები ბრტყელი მასალით წარმოეჩინათ. მიუხედავად ამისა სვანეთის ახალი ყოფის ამსახველი კუთხე დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევდა. აქ მნახველი გებულობდა რა არსებითი ცვლილებები მოხდა სვანეთ-

---

2 ალ. ჯანელიძე, მუზეუმის 1927 წლის მუშაობის ანგარიში, „მუზეუმის მოამბე", ტ. IV, 1928, გვ. 375.

ში. ექსპოზიციაში სოციალური მშენებლობის მრავალი ასპექტი იყო წარმოდგენილი (განათლების, ჯანმრთელობის, საკოლმეურნეო მოძრაობის და სხვ.). სვანეთის გამოფენა ხევსურეთის გამოფენასთან შედარებით თემატიკის სიუხვით გამოირჩეოდა. ამ გამოფენაზე დამთვალიერებელი 80-ზე მეტ სხვადასხვა თემაზე პოულობდა პასუხს.

ექსპოზიციაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი უშუალოდ ეთნოგრაფიული ყოფის ასახვას, თუმცა აქ იგნორირებული არ იყო ისტორიზმი და სოციალური უთანასწორობის ამსახველი მასალები. გამოფენის წამყვანი თემები, ისე როგორც ხევსურეთის გამოფენაში, წარმოდგენილი იყო კომპლექსებად. სვანეთის გამოფენაზე ასეთი თემები იყო მიცვალებულის კულტი, საოჯახო ყოფა, მესაქონლეობა, სასოფლო რიტუალები, რელიგიური გადმონაშთები და სხვ.

მომდევნო წლებში გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო ქართული ჩაცმულობის გამოფენა (1939). ამ გამოფენამ წარმოაჩინა ქართული ჩაცმულობის მრავალფეროვნება და თავისებურება. ჩაცმულობა საქართველოს კუთხეების მიხედვით არის წარმოდგენილი. ნაჩვენებია თარგები და აპრილობანი, ამ გამოფენას ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა გააჩნია. ამ გამოფენას აქვს უდიდესი პრაქტიკული დანიშნულება, სარგებლობენ მხატვრები, კინოს და თეატრების მუშაკები, მხატვრული შემოქმედების სახლები და სხვ.

1938—39 წლებში განყოფილება აწყობს კავკასიური ხალიჩის გამოფენას. ხალიჩების ექსპოზიციაში, რომელსაც დაკავებული ჰქონდა 150 მ² საგამოფენო ფართობი, წარმოდგენილი იყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და დაღესტნური ხალიჩა-ფარდაგები. ეს იყო თემატური გამოფენის შესანიშნავი ნიმუში, სადაც ხალიჩის ნიმუშებთან ერთად ნაჩვენები იყო ხალხური ნაწარმის ქსოვის ტექნოლოგიური ხერხები.

1939 წელსვე გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით ეწყობა ქართული ხის ჩუქურთმებისა და იარაღის გამოფენა. ქართული ჩუქურთმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ჩუქურთმის ძვირფასი და იშვიათი ნიმუშები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ფონდებში დაუნჯებული კოლექციების სიუხვე განყოფილებას საშუალებას აძლევდა მუზეუმის დამთვალიერებლისათვის უხვად მიეწოდებინა თემატურად საინტერესო გამოფენები.

1939 წელსვე განყოფილებაში დაწყებულ იქნა მუშაობა ქართლის ეთნოგრაფიული გამოფენის მოსაწყობად. 1940 წელს ქართლის მასალებზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა, მაგრამ 1941 წელს დაწყებულმა ომმა ამ განზრახვას ხელი შეუშალა.

1951 წლიდან მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შეუდგა „ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის (ძველი და ახალი ყოფის) მოწყობას. გამოფენა მუზეუმის მესამე სართულზე მოეწყო. ერთ მხარეზე, რომელიც ორი დიდი დარბაზით და აივნით არის წარმოდგენილი, ახალი ყოფის ამსახველი ექსპოზიცია მოთავსდა, ხოლო მეორე მხარეზე, სადაც სამი დარბაზი და აივანია, ძველი ყოფისა და კულტურის ამსახველი მასალა გამოიფინა. გამოფენის მოწყობაზე მუშაობა აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. იკრიბებოდა ახალი ყოფის ამსახველი მასალები ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, ინსტიტუტებიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

ამ დიდ სამუშაოს შესრულებაში გ. ჩიტაიამ მუზეუმის ეთნოგრაფებთან ერთად დავალებები გაუნაწილა ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყო-

ფილების თანამშრომლებს. ცალკეულ თემებს მიუჩინა შემსრულებლები, ხოლო დიდ პრობლემებს — შემსრულებელთა ჯგუფები, ისე როგორც ხევსურეთისა და სვანეთის გამოფენებზე. ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის ექსპოზიციაში გამოძებნილ იქნა ძირითადი და წამყვანი თემები. კარგად იქნა აგრეთვე გამოყენებული დიაგრამები — გლეხური დარბაზი, თავადის სახლი, რკინის სადნობი წედისური ღუმელი. ახალი ყოფის ამსახველი გამოფენისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით შეიქმნა მოძრავი და გახმოვანებული მაკეტები (ჭიათურა, რუსთავი). ამ გამოფენამ ჩვენი მუზეუმის გამოფენების ისტორიაში დასაბამი მისცა საექსპოზიციო ხელოვნების ახალ ეტაპს. ეს იყო კურსი ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენიდან საქართველოს ერთიანი ისტორიის გამოფენის შექმნისაკენ.

1958 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება ახორციელებს კავკასიის ხალხთა ჩაცმულობის გამოფენას, რომელსაც ისე როგორც ქართულ ჩაცმულობას საგამოფენო კორპუსის აივანი დაეთმო. კავკასიის ხალხთა კოსტუმის გამოფენამ მნახველთა მოწონების გარდა მრავალი დარგის სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გ. ჩიტაიას საგამოფენო ხელოვნების დიდი გამოცდილება აქვს და ჩვენ შემთხვევითად არ გვეჩვენება, რომ მას როგორც დიდ სპეციალისტს ხშირად მიმართავენ სხვადასხვა მუზეუმები კონსულტაციებისა და რჩევა-დარიგებისათვის. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება დიდი საგამოფენო სამუშაოები ხალხური ხუროთმოძღვრების მუზეუმში. იგი უწევდა კონსულტაციას ისეთ დიდსა და შესანიშნავ გამოფენას „ქართველები“, რომელიც მოაწყო ქ. ლენინგრადის საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა.

გ. ჩიტაია არაერთხელ მიუწვევიათ როგორც განსახკომს, ისე კულტურის სამინისტროს, სხვადასხვა მუზეუმის შესწავლის მიზნით. კომისიებში იგი ყოველთვის საქმის მკეთებლის როლში რჩებოდა. იგი შინაგანად განიცდიდა მუზეუმს და თუ რაიმე უჭირდა, ყოველ ღონეს ხმარობდა მის გამოსასწორებლად.

გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მუზეუმს საიმედო კადრი გაუჩნდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ბევრ თანამშრომელს ჰეშმარიტად მან შეაყვარა ეთნოგრაფიულ გამოფენებზე და ფონდებში მუშაობა, რომელიც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. კარგი კოლექციებით მდიდარი ფონდი კარგი გამოფენის ბაზაა, ხოლო კარგ გამოფენებს დიდი მისია აკისრია.

გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოწყობილი ეთნოგრაფიული გამოფენები იყო და არის საუკეთესო საფუძველი საქართველოს სამუზეუმო ხელოვნების განვითარებისა. ამ გამოფენებმა მუზეუმი შეაყვარა ფართო საზოგადოებას. მუზეუმი თანამედროვე ადამიანთა კულტურული ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. მუზეუმს აქვს დიდი აღმზრდელობითი და შთაგონებითი ამოცანები, რომელიც ყოველი ახალი ვითარების თუ კულტურული წინსვლის შესაბამისად ცვლის და ახალისებს საექსპოზიციო ხელოვნებასა და მუშაობის მეთოდს.

გ. ჩიტაია სამუზეუმო ხელოვნებაში ყოველთვის ახლის ძიებაშია. მისი მოღვაწეობა მუზეუმის გამოფენების ორგანიზაციის დარგში ისევე საინტერესოა, როგორც მისი მოღვაწეობა მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში.

ლიანგბინოზ სუმბაძე

გიორგი ჩიტაია — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ ფუძემდებელი

გამოჩენილი ქართველი სწავლულის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მეცნიერული შემოქმედების ერთ-ერთი ასპექტი — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობაა, რომლის დაარსების მთავარი ინიციატორი და სულის ჩამდგმელიც იგი გახლავთ.

მან პირველმა წამოაყენა იდეა ამ მუზეუმის მშენებლობისა, მან დაამუშავა თეორიული საფუძვლები მისი მოწყობისა. მისი დიდი ენერგიისა და ბრძოლისუნარიანობის წყალობით ჩაეყარა საფუძველი ამ საშვილიშვილო საქმეს, მისი ზედამხედველობითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა მუზეუმის გენერალური გეგმის პროექტი: 1968 წლის აპრილში მთავრობის მიერ დამტკიცებულ გენერალურ გეგმას ხელს აწერს აკადემიკოსი გიორგი ჩიტაიაც, როგორც მისი დამუშავების უშუალო მონაწილე და კონსულტანტი.

ნარ-ეკლით იყო მოფენილი ის გზა, რომელიც მხცოვანმა მეცნიერმა და მისმა თანამდგომლებმა, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოთავეებმა, გაიარეს სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მათი მედროშის ბრძოლისუნარიანობის, შეუდრეკელი ნებისყოფისა და საოცარი ენერგიის წყალობით გაიკაფეს გზა გამარჯვებისაკენ და 1976 წლის 16 ივნისს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის კარი საზეიმოდ გაიღო მნახველთათვის. ხეივნის გარდიგარდმო გაბმული ზონარი გადაჭრა ბატონმა გიორგიმ, რომლის ღვაწლითა და თავდადებული შრომითაც იგი აშენდა; ამიერიდან ჩვენს რესპუბლიკას შეემატა კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კერა.

ზრუნვა მუზეუმის გენერალური გეგმის დამუშავებაზე, მისთვის ადგილის შერჩევაზე ჯერ კიდევ 1950-იანი წლების ბოლოში დაიწყო. მიწის პირველი ნაკვეთი მისი მშენებლობისათვის თბილისის აღმასკომმა 1960 წელს გამოყო. ამ დროისათვის მხცოვან მეცნიერს თბილისში, ლენინგრადსა და ტარტუში უკვე წაკითხული ჰქონდა რამდენიმე მოხსენება ღია ცისქვეშ მუზეუმის მნიშვნელობისა და საქართველოში მისი მოწყობის პრინციპების შესახებ.

1963 წლის 18 იანვარს ბატონმა გიორგიმ წაიკითხა მოხსენება საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო-სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. ამ მოხსენებაში იგი ამბობდა ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ძეგლების შესახებ, რომ ისინი შექმნილია „უშუალო მწარმოებლის — მშრომელი მოსახლეობის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული გამოცდილებისა და დაკვირვების წყალობით, რომლებშიც ჩაქსოვილია ხალხის სული და გული, მისი აზრი და გრძნობა, მისი ოსტატობა“. „ჩვენი ვალია — განაგრძობდა იგი — ხალხური შემოქმედების სამაგალითო ნიმუშები შევუნახოთ შთამომავლობას; მათ მიხედვით შემდგომი თაობები გაეცნობიან რეალური საგნებიდან — დრო და ჟამგადასულ ყოფასა და კულტურას“.

მაგრამ, მხოლოდ წარსულის გაცნობა და შესწავლა როდია მეცნიერის აზრით ერთადერთი მიზანი ამ ძეგლების დაცვისა: „ძველთან შედარებით — ამბობდა იგი — ახალი თაობა დაინახავს და შეიცნობს სოციალისტური კულტურის სიდიადეს, ხოლო მეცნიერები გამოიყენებენ კვლევის საგნად".

1966 წელს „ძეგლის მეგობრის" მეშვიდე ნომერში დაისტამბა „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები". ამ წერილში პირველ პლანზე მხცოვანი მეცნიერის მიერ წამოწეულია, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი მუზეუმის ტერიტორიის ზონირება საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების მიხედვით: „არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ისტორიული ჩარჩოები საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარებისა, რომელიც განსაზღვრავს ხალხის ცხოვრებას საერთოდ და კერძოდ დაღს ასვამს მატერიალური კულტურის ძეგლებს და მათ კომპლექსებს" — წერდა იგი.

გამოყენებითი და სოციალური ფუნქციის გარდა, ავტორის მართებული აზრით, კულტურის ძეგლებს გააჩნიათ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციებიც; ისინი „ავლენენ ხალხის დიდად მნიშვნელოვან ესთეტიკურ გემოვნებას, მის მხატვრულ აზროვნებას, რაც ცხადია უნაკლოდ უნდა აისახოს მუზეუმის ექსპოზიციაში" (გვ. 4).

მეცნიერის განსაკუთრებულ ყურადღებას თავიდანვე იმსახურებდა საქართველოს მიწაწყლის ვერტიკალური ზონალობა, რის შესახებაც უფრო სრულყოფილად მოთხრობილია „ძეგლის მეგობრის" ოცდამეხუთე კრებულში. „ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის — აღნიშნავდა აკად. გიორგი ჩიტაია — ძირითადი დამახასიათებელი ვერტიკალური ზონალობაა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენი დასახლებული პუნქტების სიმაღლეების ამპლიტუდა მოიცავს 16-დან 2250 მეტრამდე სიმაღლეს ზღვის დონიდან (უმაღლესი დასახლება საქართველოში — უშგულის თემი გახლავთ). მეცნიერი გამოყოფს საქართველოში სამ ძირითად ზოლს: მთას, მთის ძირს ანუ ფერდას და ბარს (გვ. 47). „ეს დაყოფაო — აღნიშნავს მემდეგ მეცნიერი — სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად კარგად ეგუება ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითად პროცესს: ქართველი ხალხის შექმნაში წილი უდევს სამხრეთ კავკასიონის მთიანეთის ტომებს, სვანებსა და ფხოველებს, ბარის მოსახლეობას — კოლხებსა და იბერებს და მცირე კავკასიის მობინადრეებს — მესხებს" (იქვე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სამი ძირითადი ზოლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი, მკაფიოდ გამონაკვეთული ნიშნები, რომლებიც მხცოვანი მეცნიერის მიერაა გამოვლენილი და შესწავლილი. „ბარისათვის დამახასიათებელია დიდი გუთანი 7—8 უღელი ხარით, დიდი მოდგამი, დიდი ქვევრი, დიდი გელაზი, დიდი ბარული ურემი, კევრი. მთისათვის — აჩაჩა სახვნელი ერთი უღელი ხარით, მოძრავი საქონლის ფეხით ლეწვა, ხოლო ფერდისათვის — ორხელა სახვნელი 2—4 უღელი ხარით, ჩოჩიალა ურემი და ბოლოთრია, მოდგამი და სხვ." (იქვე, გვ. 48).

ბარისათვის დამახასიათებელი სამეურნეო იარაღების დიდი ზომების აღსანიშნავად გ. ჩიტაია ხშირად იყენებს გერმანულ ცნებას riesige-ს, რაც ჯოლოსაურს, გრანდიოზულს, გოლიათურს ნიშნავს. მართლაც, რომ უყურებ ბარულ გუთანს რვა უღელი ხარ-კამეჩი რომ ეწევა, ურემს, ქვევრს, ორი კაცი რომ ჩადის შიგ მის გასარეცხად — გგონია, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანებისთვის კი არა, გოლიათებისთვისაა განკუთვნილი. ზონების განლაგება ღია ცისქვეშ მუზეუმში საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიულ-

ეთნოგრაფიული რაიონების ზუსტი შესატყვისობით, რასაკვირველია, შეუძლებელი საქმეა. ტერიტორია მუზეუმში ისეა დანაწევრებული, რომ ვაკეს უკავია სულ ქვედა პირველი ზოლი, ფერდობა და მცირე კავკასიას — შუა ზოლი, ხოლო კავკასიონის მთიანეთს — სულ ზემოთა ზოლი. სამივე ზონაში არსებული ბუნებრივი ორხევის ერთ მხარეს მოთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები და მეორე მხარეს კი — დასავლეთ საქართველოსი.

დიდი დაქანების მქონე რელიეფის თავისებურება აპირობებს ამ რეგიონების თანმიმდევრულ განლაგებას ქვემოდან ზემოთ. ზოგიერთ კრიტიკოსს არ მოსწონს არც ადგილი ამ მუზეუმისათვის და არც მისი ზონების განლაგება. მინდა გავახსენოთ, რომ ეს ტერიტორია შერჩეული იყო ძეგლთა დაცვის საზოგადოების კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდა: ოთარ თაქთაქიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკო კეცხოველი, შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ლევან გოთუა, ბეჟან ლორთქიფანიძე, ივანე ჩხენკელი და ამ სტრიქონების ავტორი. რაც შეეხება მუზეუმის გეგმარების გადაწყვეტის თავისებურებას, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას უშუალო მონაწილეობითა და კონსულტაციით იყო დამუშავებული, მის შესახებ ზემოთ ნახსენები მეცნიერი პონტელი „Страны и народы Востока-"ს მესამე კრებულში წერდა: „Разнообразный рельеф позволяет экспозицию не на плоскости, как обычно, а если можно так выразиться, по вертикали". „როსრესტავრაციის" მთავარი არქიტექტორი ბ. ვ. გნედოვსკი ჩვენი მუზეუმის გენერალურ პროექტზე წერდა: „Осуществление генерального плана, благодаря зрелищно эффектному расположению построек и четкому графику осмотра с использованием воздушно-канатной дороги, осуществление генерального плана явится большим событием в международной практике строительства подобных музеев".

ამავე წერილში აკად. გიორგი ჩიტაია აუცილებლად მიიჩნევს მუზეუმის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ისტორიული პროვინციების — საინგილოს, ტაო-კლარჯეთის, შავშეთისა და ლაზეთის წარმოდგენას. ქართველმა არქიტექტორებმა და ეთნოგრაფებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მომავალში მაინც ააგონ ამ რაიონების ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ძეგლები, თუნდაც ახლების სახით. თურქეთში მცხოვრები არქიტექტორი აჰმეთ ოზჭან მელაშვილი შეგვპირდა ლაზური სახლის ანაზომებსა და ფოტოებს.

გ. ჩიტაია აქვე აყენებს საკითხს მსგავსი რეგიონალური მუზეუმების მშენებლობის შესახებ საქართველოში. ერთი მათგანი დაბა გეგეჭკორში, მისი ხელშეწყობით, უკვე კარგა ხანია ჩადგა მწყობრში. ობიექტ-ექსპონატების მშენებლობისას მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს მათი ინტერიერის მოწყობაზე. „მისი ავეჯი, ინვენტარი, იარაღ-ხელსაწყოები — წერდა იგი — ორიგინალებით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით ისინი თავიანთი შთამბეჭდავი ძალით, მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან".

მუზეუმის გენგეგმის პირველი ვარიანტის ნაკლად გ. ჩიტაია წყლის ზედაპირის უქონლობას თვლიდა. იგი ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა კუს ტბაზე ფილიალის გახსნას, „სადაც ნაჩვენები იქნება მეგრული ნავები, ლაზური სანდლები და მეთევზეობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნაგებობანიც". დამტკიცებულ გენერალურ გეგმაზე გამოინახა რეალური საშუალება საკმაოდ მოზრდილი წყალსაცავის მოწყობისა და იმედი გვაქვს, რომ

მხცოვანი მეცნიერის ეს განზრახვაც, გვიან თუ მაღე, ხორცს შეისხამს. გ. ჩიტაიას და მისი მეთაურობით მომქმედ მუზეუმის სანეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენს ძველი ქართული ხელოსნობის ნიმუშების დამზადების დანერგვა. მას აუცილებლად მიაჩნია კერამიკული ჭურჭლის, მშენდლობის, ხეზე კვეთილობის ნიმუშების, გიშრის სამკაულების, ქსოვილების ნიმუშების და სხვათა დამზადება მუზეუმში, ხალხური ოსტატების მიერ, ამ პროდუქციის გავრცელება მნახველთა შორის.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ გამომუშავებული ძირითადი პრინციპებიდან მუზეუმის მოწყობისა, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის აზრი, რომ „თბილისის ღია ცისქვეშა მუზეუმი უნდა იყოს ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საექსპოზიციო პავილიონებში ნაჩვენები იქნება ხალხური ხელოვნების ახალი ნიმუშები, სადაც უნდა იყოს ლექტორიუმი კინოკრანით, აქვე უნდა იყოს სამეცნიერო კაბინეტები, აქვე უნდა ეწყობოდეს სახალხო გუნდების გამოსვლები, სახალხო დღესასწაულები, მაგ., სვანური ლამპრობა, ქართლ-კახური ბერიკაობა, მოსავლის დღესასწაული, სხვადასხვა ფესტივალები“. ჩვენი დიდი მეცნიერის ამ მოსაზრებათა ქმედითობის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ მუზეუმში წელს ჩატარებული ბერიკაობა და თბილისობის დღესასწაული, რამაც დიდძალი მნახველი მიიზიდა და შესანიშნავ სანახაობად, სახალხო ზეიმად იქცა. წელსვე ჩატარდა ახლად აგებულ ღია ესტრადაზე გამოჩენილ ქართველ პოეტთან — ირაკლი აბაშიძესთან შეხვედრა, რომელიც შესანიშნავად მიესადაგა მუზეუმის ცხოველხატულ გარემოს, მისი წყალობით შექმნილ საზეიმო განწყობილებას. ამ შეხვედრის მოწყობის ინიციატორი საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გახლდათ.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის სპეციფიკასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის ამაგი, რომელიც მხცოვანმა მეცნიერმა დასდო ხალხური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლის საქმეს.

პირველი მისი გამოკვლევები სწორედ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებისადმია მიძღვნილი. ესენი გახლავთ: 1. 1925 წელს წაკითხული მოხსენება შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის II სამხარეთმცოდნეო ყრილობაზე სათაურით: „Крестянский дом дарбаз в Месхети“ და მეორე — 1926 წელს, „მიმომხილველის“ I ტომში დაბეჭდილი გამოკვლევა „გლეხის სახლი ქვაბლიანში (დარბაზული ტიპი)“. ანაზომები და ნახაზები ამ დარბაზული სახლისა შესრულებული იყო ცნობილი არქიტექტორის უნივერსიტეტის II და III რიგის შენობათა პროექტების ავტორის, მიხეილ შავიშვილის მიერ. ეს გამოკვლევა ერთი პირველთაგანია დარბაზული საცხოვრებლის შესახებ. აქამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ მცირე ზომის ლითოგრაფიული ანაბეჭდი დიღმის დარბაზისა, გამოცემული გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ნიკ. სეევეროვის ანაზომების მიხედვით. ამ მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევაში გიორგი ჩიტაიამ საცხოვრებლის მეცნიერული შესწავლა, მისი გენეზისი ორ მთავარ მომენტს დაუკავშირა: 1. ქვეყნის ბუნებრივ არეს — miliae-ს, რაც გარემოს ნიშნავს და წარმოადგენს მეგნურის სიტყვით „ადამიანის მიერ ბუნების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ასპარეზს“ და 2. „ამ გარემოში მცხოვრები ხალხის კულტურულ მდგომარეობას და მის წარმატებას“. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის ბუნებრივი არსის მნიშვნელობას საცხოვრებელი სახლის

ფორმათა ჩასახვა-განვითარებაში დღესაც კიდევ, ამ გამოკვლევის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, ზოგი მეცნიერი ჯეროვნად ვერ აფასებს.

გიორგი ჩიტაიას იმთავითვე მიაჩნდა, რომ შესწავლილი უნდა ყოს საცხოვრებლის არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი კონსტრუქცია, რაც უგულებელყოფილი იყო მანამდე გამოქვეყნებულ ჰაქსტჰაუზენის, პანტიუხოვის, კარლ ჰაანის დასახ. შრომებში; რომ ეს შესწავლა უნდა მოხდეს მეზობელი ერების საცხოვრებელთან შედარებით.

მესხეთის დარბაზებში გადახურვის წესის მიხედვით გიორგი ჩიტაიამ გამოყო სამი სახის კონსტრუქცია: დარბაზული, ოდური და ლაზური; მან იმთავითვე გამოარჩია ქართული დარბაზების ორი ძირითადი სახე: კომპლექსური, მესხური ტიპისა, რომელშიც ერთჭერქვეშაა მოთავსებული საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები და ბარალური ტიპის ერთსათავსიანი დარბაზები. ამავე გამოკვლევაში პირველადაა მოცემული განსხვავება მესხურ 4 და 8 კუთხოვანი კუთხური წყობის გვირგვინებსა და ქართლურ, პარალელური წყობის ოთხკუთხოვან გვირგვინებს შორის. ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ იმ დროისათვის ქართლის დარბაზებიდან მხოლოდ ერთადერთი ობიექტი იყო ცნობილი. მათი ბრწყინვალე ნიმუშები გიორგი ჩუბინაშვილის რედაქციით გამოიცა 1926 წლის ბოლოსა და 1927 წელს...

ამ გამოკვლევაში პირველად იყო ფიქსირებული დარბაზულ საცხოვრებელთან დაკავშირებული მესხური ტერმინოლოგია და ჯეროვნად განმარტებული თვით ცნება დარბაზისა, როგორც დიდი ოჯახის გვირგვინიან-ერდოიანი სამყოფელი.

დიდი მეცნიერი იმთავითვე ამახვილებდა ყურადღებას სიძნელეებზე, რომლებთანაც არის დაკავშირებული საცხოვრებლის ტიპოლოგიის პრობლემა. „დროისა და სივრცის ზეგავლენის ფენების აღმოჩენა მრავალი დაბრკოლების გადალახვას მოითხოვს — აღნიშნავს ავტორი და გვაფრთხილებს: „უნდა ვეცადოთ განზოგადებული დასკვნების გამოტანას, სანამ არ დაგროვდება ფაქტობრივი მასალა საქართველოში, მეზობელ ქვეყნებში, ვიდრე არ მოიკრიბება მათთან დაკავშირებული ეთნო-არქეოლოგიური მასალა და არ გაღრმავებულა მათი მეცნიერული დამუშავება".

იმ ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც ამ სიტყვების დასტამბვის შემდეგ გავიდა, ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ მათ ჭეშმარიტებაში; და მხოლოდ ამ ნახევარ საუკუნეში დაგროვილმა მასალამ მისცა მეცნიერებს საშუალება ძველქართული საცხოვრებლის გენეზისის საკითხების კვლევისა.

ჩვენი ორი დიდი მეცნიერის გიორგი ჩუბინაშვილისა და გიორგი ჩიტაიას პირველი პუბლიკაციების წყალობით ქართული საცხოვრებლის უძველესი ტიპი — დარბაზი ოციან წლებში პირველად გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე. ქვაბლიანის დარბაზის მაგალითზე, რომელიც გიორგი ჩიტაიას გამოკვლევიდან ფრ. ბაუმჰაუერის ჰამბურგში გამოცემულ შრომაში იყო გადაბეჭდილი, ტაჯიკეთში მომუშავე რუსმა მეცნიერმა მ. ანდრეევმა 1929 წელს წაიკითხა მოხსენება დარბაზული ტიპის სახლის გადახურვის შესახებ, რომელშიც დადგენილი იყო საოცარი მსგავსება კავკასიისა და პამირის სახლების გადახურვის სტრუქტურაში. მართალია ანდრეევის ეს თეზისი დღემდე თეზისად დარჩა, მაგრამ ქვაბლიანის დარბაზის მისია მაინც დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ამ ეტაპური გამოკვლევის შემდეგ მხცოვანმა მეცნიერმა არაერთი შრომა მიუძღვნა ქართული საცხოვრებლისა, ყოფის დამახასიათებელი რეალიებისა

და დასახლების პრობლემებს, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს: წერილი სვანურ საკურცხილზე, რომელიც ლონდონში გამოქვეყნდა 1936 წელს, კაპიტალური ნაშრომი ხევსურულ ორნამენტზე რუსულ-ფრანგულ-ქართული ტექსტით — დაწერილი მის მეუღლესთან, გამოჩენილ ქართველ მეცნიერ ვერა ბარდაველიძესთან ერთად (1939 წ.), გამოკვლევა „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“ (1939 და 1940 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშრომი სოფელ ხანის საცხოვრებელი სახლის შესახებ, რომლის მელნით შესრულებულ სამშენებლო წარწერაში ნათქვამი იყო, რომ იგი აშენდა „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრებ უსტა ომერ ეფენდის“ მიერ. ამ წარწერის კვალი დიდი ხანია გამქრალია და ჩვენამდე მან მოაღწია გ. ჩიტაიას 1937 წლის ჩახაწერით, რომელიც 1941 წელს იყო გამოქვეყნებული.

ხით ხუროობის ეს შესანიშნავი ნიმუში, რომელიც გ. ჩიტაიამ 40 წლის წინ აღმოაჩინა, ჩამოტანილია თბილისში და იგი ახლა ამშვენებს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს.

მეტად მნიშვნელოვანი ცნობები საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა და დასახლების ტიპების შესახებ უხვადაა გაბნეული აკად. გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოწყობილ ეთნოგრაფიული ექსპედიციების ანგარიშებში. იმერეთში (1937 წ.), ქსნის ხეობაში (1939), თიანეთში (1941) პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში (1941), ლეჩხუმში (1944) და სხვ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მშენებლობისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან ორი მათგანი: „აჭარული დათვა-ბოყვა“ და „ხევსურული სახლის სენე“.

„დათვა-ბოყვა“ ორი მუშტისოდენა ხის საკეტი (კლიტე) გახლავთ, ხისავე გასაღებით. შესანიშნავი შრომა მის შესახებ მხცოვანმა მეცნიერმა 1940 წელს გამოაქვეყნა. მასში გაანალიზებულია სხვადასხვა სახელით ცნობილი ხის საკეტები აჭარიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, ქართლიდან, სამხრეთ-ოსეთიდან.

ამ მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და დილსის, ლუშანას, ბლუმნერის, კენიგსბერგერის და სხვათა გამოკვლევების საფუძველზე მოცემულია ადამიანის ტექნიკური შემოქმედების ამ უძველესი ქმნილების მეტად საინტერესო თავგადასავალი, რომელიც თურმე ოთხი ათასი წლის ისტორიას ითვლის და რომლის წარმოშობის ცენტრადაც აკად. გ. ჩიტაიას სუმერეთ-ბაბილონი მიაჩნია. „ამგვარად — ასკვნის მეცნიერი — ეს საკეტი წარმოშობის ცენტრიდან, ჩრდილოეთით გავრცელდა ქართველ-კავკასიელი ტომების მეშვეობით“.

აჭარის მთიანეთში პირველი ნიმუშის აღმოჩენიდან 40 წლის შემდეგ, სოფელ დიდაჭარაში მისმა მოწაფეებმა აღმოაჩინეს ამ საკეტის კიდევ ერთი შესანიშნავი ეგზემპლარი, რომელიც ახლა ჩვენი მუზეუმის აჭარის ზონის ერთ-ერთ ობიექტს ამშვენებს. შემდგომში ამგვარი საკეტების შესანიშნავი ნიმუშები აღმოჩნდა აგრეთვე მესხეთში (ხიზაბავრას ერთ მიტოვებულ დარბაზში) სვანეთში (მესტიაში) და სხვაგან.

„სენე“ ხევსურული საცხოვრებლის ერთ-ერთი სამეურნეო სათავსოს წარმოადგენს, მაგრამ გიორგი ჩიტაიას გამოკვლევა ამ თემაზე ძველქართული საცხოვრებლისა, მისი აღნაგობისა და თავისებურებების ღრმა მეცნიერულად გააზრებული ანალიზია. მხცოვანი მეცნიერის ერთ-ერთმა მიგნებამ ხევსურული სახლის თავგართხმულობის შესახებ ჩვენ მასალები მოგვცა ძველქართული საცხოვრებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრულ-სამშენებლო თავისებურების ასახსნელად.

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის დამაარსებლისა და მამამთავრის აკად. გ. ჩიტაიას უდიდესი ღვაწლის შესახებ კადრების აღზრდაში, სპეციალისტების მომზადებაში ბევრი რამ ითქვა. მე ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი მასთან ახლო ურთიერთობაში მისი მოღვაწეობის 20 წლის მანძილზე, ვყოფილიყავი მისი თანაშემწე მუზეუმის მშენებლობის ძნელ საქმეში, თანამგზავრი მის არაერთ ექსპედიციაში ობიექტ-ექსპონატების საძიებლად.

აკად. გიორგი ჩიტაიასა და მისი განსვენებული მეუღლის — დიდი ქართველი მეცნიერისა და შესანიშნავი ადამიანის — ვერა ბარდაველიძის შთაგონებით, ხელშეწყობითა და დახმარებით არის დაწერილი ჩემი შრომების დიდი ნაწილი ქართულად ხალხური საცხოვრებლის შესახებ. ყველა მათ გზადაელოცათ ამ ორი დიდი მეცნიერის მყუდრო და სტუმართმოყვარე ოჯახში.

ექსპედიციაში მუშაობისას ყველას აოცებდა ჭარმაგი, თითქოსდა ფიზიკურად სუსტი ადამიანის არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური ენერგიაც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ — riesige — გოლიათური ენერგია და დაუოკებელი წყურვილი ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ფესვების ძიებაში.

გიორგი ჩიტაიამ თავისი მეცნიერული შემოქმედების გრძელ მანძილზე რელიეფურად წარმოაჩინა ქართველი ხალხის წვლილი უძველესი ცივილიზაციის დაფუძნებაში. მის შრომებში ქართველი ხალხი გვეხატება როგორც არა მხოლოდ ერთ-ერთი პირველი მხვნელ-მთესველი, ენდემური ხორბლის, ვაზისა და ღვინის კულტურის შემოქმედი, ბრინჯაოსა და რკინის მჭედველი, არამედ როგორც დიდი წვლილის შემტანი ტექნიკისა და სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შემოქმედების სფეროშიც.

ამის კიდევ ერთ შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს ჩვენი მხცოვანი მეცნიერის უშუალო ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური მზრუნველობით აშენებული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი თბილისის ცისქვეშ რომ გაიშალა. კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ნუ მოკლებოდეს მისი მადლიანი მარჯვენა მის ნაშიერს, ქართველი ხალხის ტექნიკური და ხუროთმოძღვრულ-მხატვრული შემოქმედების ამ საგანძურს!

მალხაზ აბდუშელიშვილი

ანთროპოლოგიური მონაცემები და ქართველი ხალხის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პრობლემა

ხალხების წარმოშობისა და ჩამოყალიბების პრობლემა, რომელსაც ეთნოგენეზი ეწოდება, ურთულეს პრობლემათა რიცხვში შედის, რადგან თვით ხალხის ანუ ეთნოსის ფენომენი თავისი არსით ურთულესი შედგენილობის, მრავალმხრივი, არამდგრადი და განვითარებადი მოვლენაა. „ხალხის ეთნოგენეზური შესწავლა — ვკითხულობთ „ეთნოგენეზის“ ენციკლოპედიურ განმარტებაში — უნდა მოიცავდეს მისი წარმოშობის არამარტო საწყის პერიოდს, არამედ მისი თანამედროვე ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური თავისებურებების ფორმირების შემდგომი ისტორიის ყველა ეტაპს. ამ რთული პროცესის გამომჟღავნება მოითხოვს სხვადასხვა მეცნიერებათა: ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების — მონაცემთა გამოყენებას; ამიტომ ეთნოგენეზისის პრობლემა საპჰოურ მეცნიერებაში მუშავდება კომპლექსურად“ (დსე, ტ. 49, გვ. 248). ასეთია საბჭოური მიდგომა ეთნოგენეზური გამოკვლევების მიმართ; ძირითადად, ასეთივე იყო ეს მიდგომა რამდენიმე ათეული წლის წინათაც, თუმცა მაშინაც, ისევე როგორც სამწუხაროდ დღეს, ზოგჯერ ვხვდებით ხოლმე გამოკვლევებს, რომლებშიაც თავს იჩენენ პრობლემისადმი ცალმხრივი მიდგომის, ანუ ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზის საკითხების დაყენების და ზოჯერ გადაწყვეტის ცდები რომელიმე ერთი მეცნიერული დისციპლინის (ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და სხვ.) მონაცემების საფუძველზე. ასეთი მიდგომის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თვითოეული ერის უძველესი ხანის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ მონათესავეობას; იყო დრო, როცა ერთა ნათესაობის ერთადერთ საბუთად მხოლოდ ენა ითვლებოდა: თუ ორი სხვადასხვა ხალხი ერთს მონათესავე ენაზე ლაპარაკობდა, მაშინ მათ მოძმე ერადა სთვლიდნენ ხოლმე. მაგრამ დიდი ხანია უკვე, რაც დამტკიცებულია, რომ ბევრჯერ ენათა ნათესაობა ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ მონათესავეობას არ ამტკიცებს; შეიძლება, მაგალითად, რომელიმე ერი ანთროპოლოგიურად მონღოლებს ეკუთვნოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, საკუთარი დედაენა დაევიწყოს და უცხო ენა დედაენად გადაჰქცეოდეს. ამიტომ, ახლა ერის მონათესავეობის გამოსარკვევად მეცნიერება ორგვარ საშუალებას ხმარობს: ენათმეცნიერულსა და ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ს“ (ივ. ჯავახიშვილი, 1908). ასეთივე დარჩა მისი შეხედულება ბოლომდე, ხოლო ხალხთა გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ უფრო შორსაც წავიდა, რასაც 30-იანი წლების დასასრულს გამოთქმული მისი შემდეგი

მოსაზრებაც ადასტურებს: „ამა თუ იმ ერისა თუ ტომის მონათესაეობის გადასაწყვეტად, ცხადია, მის ფიზიკურ თვისებებს, ვითარცა მტკიცე და ძირითად ნიშანს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1950).

ანთროპოლოგიური მონაცემების მნიშვნელობას ეთნოგენეზურ კვლევაში ხაზს უსვამს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის მთავარი რედაქტორი გ. მელიქიშვილიც: „შეუძლებელია არ აღვნიშნოთ აგრეთვე ის დიდი მნიშვნელობა, რაც ეთნოგენეზის პრობლემებისათვის ანთროპოლოგიურ მასალას გააჩნია“, წერს მკვლევარი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970).

ამრიგად, დღესდღეობით სადავო აღარ არის, რომ ურთულესი და მრავალმხრივი ფენომენის, ეთნოსის გენეზისის სწორი გაგებისათვის მისი ყველა მხარე ერთნაირად უნდა იყოს გაშუქებული სხვადასხვა მეცნიერების მონაცემების მიერ; სხვაგვარად წარმოუდგენელია, ცალმხრივი და მანკიერიც კი კვლევის წარმოება ამ მიმართულებით.

წინამდებარე კრებული გამოჩენილ ქართველ მეცნიერს აკად. გ. ჩიტაიას ეძღვნება. პატივცემულ მკვლევარს ქართველი ხალხის სულიერი თუ მატერიალური კულტურის მრავალი საკითხი უკვლევია და შუქი მოუფენია მათთვის; მას არც ქართველთა ეთნოგენეზისი დარჩენია ყურადღების მიღმა. 36 წლის წინათ გამოქვეყნდა მისი უაღრესად საინტერესო სტატია სათაურით „აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა“, ამ სტატიაში არის ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესო ერთი ადგილი. აი, ისიც: „საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ აკად. ს. ჯანაშიას მიერ მოპოვებულ შედეგს ქართველების ეთნიკური წარმოშობის შესახებ დადებითად უპასუხებს საბჭოთა ანთროპოლოგის პროფ. ვ. ბუნაკის მიერ ანთროპოლოგიური მასალების კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები“ (გ. ჩიტაია, 1949).

ჩვენ არ შევუდგებით ბუნაკისეული (ბუნაკი, 1947) შეხედულებების, მასალებისა და დებულებების განხილვას. ამჟამად ამას, ჩვენის აზრით, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ აკად ს. ჯანაშიასეულ ეთნოგენეზურ დებულებებს აკად. გ. ჩიტაიამ ანთროპოლოგიური საფუძველი დაუდო და მართებულადაც შეეცადა მათი დაპირისპირებით აეხსნა ეთნოგენეზური პროცესის ურთულესი არსი.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით შევეხოთ იმ ანთროპოლოგიურ მასალებსა და დებულებებს, რომლებიც შუქს ფენენ საქართველოს აბორიგენული მოსახლეობის გენეტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც უახლოეს ისე შედარებით შორეულ მეზობლებთან, უძველესი დროიდან დღემდე, რაც საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინოთ ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ. საქართველოს ადრე, შუა და გვიანი პრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა მედიტერანული ანუ ხმელთაშუა ზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობას. ცალკეულ ქრონოლოგიურ სერიებს შორის იმდენად დიდია ტიპოლოგიური მსგავსება და იმდენად უმნიშვნელო მორფოლოგიური განსხვავება, რომ ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ ცალკეულ ქრონოლოგიურ პერიოდებს შორის მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური მემკვიდრეობა. სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული პრინჯაოს ხანის თავის ქალების (აზიზიანი 1965, ალექსეევი 1974, ბუბუშიანი 1972, ბუნაკი 1929, ტერ-მარტიროსიანი 1957) შესწავლა საფუძველს იძლევა გამოვიტანოთ ერთი ზოგადი ხასიათის დასკვნა: საქართველოსა და სომხეთის

მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში ეკუთვნოდა ერთსა და იმავე სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუა ზღვისპირულ ტიპს და ხასიათდებოდა იდენტურობამდე მისული ანთროპოლოგიური ნიშნების უახლოესი მსგავსებით. ეს კი იძლევა იმის უფლებას, რომ ვამტკიცოთ მეორე ზოგადი ხასიათის დებულება: ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ამ ორი რეგიონის მოსახლეობაში ანთროპოლოგიური ტიპების დიფერენციაციის პროცესი; რომ მსგავსება ამ შემთხვევაში პირველადია და ძირითადი, ხოლო განსხვავება მეორადი. ასეთივე დასკვნამდე მივყავართ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მინგეჩაურის მიდამოებში მოპოვებული კრანიოლოგიური სერიის (კასიმოვა, 1960) შესწავლასაც. ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ჩრდ. კავკასიაში (ალექსეევი — 1963, 1974; გაჯიევი, 1962; გინზბურგი 1949; დებეცი 1948) აგრეთვე ეკუთვნოდა იმავე სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუა ზღვისპირულ ტიპს, რომელსაც ჯადღეისოდ არსებული ყველა მასალის მიხედვით ეკუთვნოდა ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის ძირითადი მოსახლეობა.

ამრიგად, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთლიანად კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო: შკვეთრად გამოხატული დოლიქოკრანული ფორმის მაღალი ქალასარქველი; სახეშუალოზე ვიწრო და სახეშუალოზე მაღალი სახე, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტულ სიბრტყეში და ძალიან სწორი — ვერტიკალურში. ცხვირის მაღალი უნაგირი; ცხვირი სახეშუალოზე ოდნავ ვიწრო, სახეშუალო სიმაღლისა და მკვეთრად წინ წაწოზილი. ზუსტად ასეთი ფორმები გვხვდება როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე. ვიწროსახიანი დოლიქოკეფალები ამ დროისათვის, საერთოდ, არც თუ იშვიათი მოვლენაა ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ტერიტორიაზე, მაგრამ კავკასიურ ფორმებთან უახლოესი კომპლექსები უფრო ხშირად ხმელთაშუაზღვისპირეთის (ენგელი, 1943; ბოევი, 1972; ვუ, 1928; ჯუფრიდა რუჯიერი, 1944; მორანტი, 1926; ბატვარი, 1943 და სხვ.), წინა აზიის (კროგმანი, 1940; კეიფტი, 1948; სვინდლერი, 1956; ვალუა, 1940 და სხვ.), შუა აზიისა (ხალილოვი, 1980; ხოჯაიოვი, 1976; ტროფიმოვა, 1957; გინზბურგი, 1972 და სხვ.) და ჩრდილოეთ ინდოეთის (გუჰა, 1932) რეგიონებში. ცხადია, აქ წარმოდგენილი სერიები ყველა ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დომინანტური ამ შემთხვევაში მაინც ვიწროსახიანი დოლიქოკეფალები არიან, რომლებსაც ეპოქალური ტრანსფორმაციის ანალოგიური მიმართულებაც უნდა ჰქონოდათ, ყოველ შემთხვევაში, ენეოლითიდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანამდე მაინც. ამ ზოგად რასობრივ ტიპს ხმელთაშუაზღვისპირულს უწოდებენ ამჟამად. თანამედროვე მოსახლეობის რასობრივ კლასიფიკაციაში ის უნდა შეესაბამებოდეს სამხრეთ ევროპეიდულ ანუ ხმელთაშუაზღვისპირულს: ამდენად, ბრინჯაოს ხანის კავკასიის მოსახლეობა, როგორც ჩანს, შედიოდა ევროპეიდული რასის, უფრო ზუსტად, სამხრეთ ევროპეიდული რასის არეალში და რეგიონალურად ამ არეალის ცენტრალური ნაწილი ეკავა.

რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში კავკასიის და განსაკუთრებით ამიერკავკასიის მოსახლეობაში (მხედველობაში გვაქვს მინგეჩაურის, მცხეთა-თბილისისა და სევანის რეგიონები) ძირითადად წარმოდგენილი იყო იგივე სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი. ამრიგად, მთელი კავკასიის ტერიტორიაზე ერთიანი ანთროპოლოგიური ტიპის არსებობა ამ პერიოდშიც, როგორც ჩანს, საეჭვო არ უნდა იყოს. პერსპექტიული ჩანს თითქოს მეორე საკითხის დაყენებაც: შესწავლილ სამ რეგიონში პალეო-

ანთროპოლოგიური ტიპების შენიშნული მცირეოდენი დიფერენციაცია: ეს სომხეთის სერიებში ბრაქიმორფულობისაკენ ტენდენციაა, ხოლო აზერბაიჯანის სერიებში სახის შუა ნაწილის შედარებით ნაკლები პროფილირებულობა; მაგრამ ამ მიმართულებით მასალების შემდგომი დაგროვებაა საჭირო (აბდუშელიშვილი, 1975). რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანის იმ ორასი თავის ქალიდან, რომლებმაც ჯერჯერობით ჩვენს ხელში გაიარა, არც ერთზე არ იყო ძირითადი მასისაგან ტიპოლოგიურად განსხვავებული ანთროპოლოგიური ნიშნების კომპლექსი; ეს კი ჩვენი დებულების სამტკიცებლად საკმაოდ მყარი არგუმენტია. სტატისტიკური ცდომილება, ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, ნოლს უდრის (ცხადია, შესწავლილი რეგიონისათვის). ამდენად, ამიერკავკასიის მოსახლეობის ტიპოლოგიური ერთიანობა რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში, ზოგადად მაინც, დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, ზოგადი ორიენტაციის მიზნით, საჭიროა აღინიშნოს: რკინის წარმოების ათვისების ხანაში საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობა ანთროპოლოგიურად შედიოდა, პირველ რიგში, წინა აზიისა და შემდგომ ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპების ვარიაციების ფარგლებში (აბდუშელიშვილი, 1975). ამ ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების არეალი მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას: მცირე აზიას, სამხრეთ-დასავლეთ აზიას, ნაწილობრივ ცენტრალურ აზიას, კავკასიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზს. ეს ის ტერიტორიაა, რომელზედაც. ამჟამად განსახლებულია ინდოხმელთაშუაზღვისპირული ანუ სამხრეთ-ევროპეიდული რასის სხვადასხვა ტიპის წარმომადგენლები. ამჟამად, ძნელია დაზუსტდეს, თუ სახელდობრ რომელი პალეოანთროპოლოგიური ვარიანტები რა ურთიერთობაში იყვნენ ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის თანამედროვე განშტოებებთან; მხედველობაში გვაქვს ხმელთაშუა-ბალკანური, წინააზიური და ინდო-პამირული განშტოებები. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიურ პალეოანთროპოლოგიურ ვარიანტებს უშუალო გენეტიკური ურთიერთობა წინააზიურ განშტოებასთან უნდა ჰქონოდათ. ამის საფუძველს გვაძლევს კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში დომინანტური ანთროპოლოგიური ტიპი (აბდუშელიშვილი, 1975).

ადრეანტიკურ ხანაში ამიერკავკასიის მოსახლეობა ძირითადად ისეთივე თავისებურებებით ხასიათდება, როგორც წინამორბედი მოსახლეობა. განსხვავებული ტიპი შეინიშნება მხოლოდ ჩრდ. კავკასიის დაბლობ რაიონებში. ამ რეგიონში მოპოვებული თავის ქალები ზოგადად ხასიათდებიან: ქალას საშუალო გრძივი და განივი დიამეტრებით, ქალას თითქმის ბრაქიკრანული მაჩვენებლით, ქალასარქველის საშუალო სიმაღლით, საშუალოზე ფართო, სწორი სახით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, ცხვირის ზურგის მკვეთრად გამოხატულებით, საშუალოზე მაღალი სიმოტური სიმაღლით, დაბალი თვალბუდეებითა და სხვ. ამრიგად, პალეოანთროპოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ ვიმსჯელოთ ჩრდილო კავკასიაში ადრეანტიკური ხანისათვის ორი მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპის თანაარსებობის შესახებ. ერთი გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის დაბლობ რაიონებში და ხასიათდებოდა თავის მეზობრაქიკრანული ფორმებით და სახის საკმაოდ დიდი სიგანით. ამ ტიპის ანალოგიური ფორმები გვხვდება უფრო ჩრდილოეთითაც, მაგალითად: ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ასტრახანის მიდამოების სარმატებს შორის (დებეცი, 1936). მთისა და მთის წინა ზოლში კი ამავე პერიოდის მოსახლეობა განსხვავებული ანთროპოლოგიური ნიშნებით ხასიათდებოდა. სახელდობრ: ქალას მკვეთრად დოლიქოკრანული ფორმებით, ფართო და სწორი შუბლით, საშუალო სიმაღლისა და სა-

შუალო ან საშუალოზე ვიწრო, მკვეთრად პროფილირებული სახით, მკვეთრად გამოხატული ცხვირითა და ცხვირის მაღალი უნაგირით. ამ ტიპის ანალოგიური ფორმები, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიაშია წარმოდგენილი და ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არსებული ადრეანტიკური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალების მიხედვით მოიცავს ცენტრალური ამიერკავკასიის გარკვეულ რეგიონს (აბდუშელიშვილი, 1978).

ელინისტურ ხანაში საქართველოს მოსახლეობა ზოგადად იმეორებს წინამორბედი ხანის ანთროპოლოგიურ ტიპს. ძირითადად მთელი ამ ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო დოლიჭოკრანული, ვიწროსახიანი, მკვეთრად პროფილირებული, ლეპტორინული, მკვეთრად გამოხატული და, ცხადია, მაღალზურგიანი ცხვირის მქონე ანთროპოლოგიური ტიპი; ამ ტიპის ცვალებადობა შინაგანი ტრანსფორმაციის სახეს ატარებს. ეს ტრანსფორმაცია შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს, სახელდობრ: ქალას მაჩვენებლისა და შუბლის უდიდესი სიგანის შემცირებას, სახის სიგანის მომატებას და სხვ. (აბდუშელიშვილი, 1977), მაგრამ რამდენად კანონზომიერია ეპოქალური ტრანსფორმაციის ეს სურათი, ამას მასალების შემდგომი დაგროვება დაგვანახებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს განსხვავებები აბსოლუტურად ძალზე მცირენი არიან და არავითარ შემთხვევაში ტიპოლოგიურ განსხვავებაზე მსჯელობის საფუძველს არ გვაძლევენ, მაგრამ მათი აღნიშვნა იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც მომდევნო ხანაში ამავე ნიშნებში შემჩნეული განსხვავებანი, თუ ამავე მიმართულებით წავიდნენ, შეიძლება იქცნენ ანთროპოლოგიური ტიპის ეპოქალურ ტრანსფორმაციაზე მსჯელობის საგნად.

გვიანანტიკურ ხანაში ცენტრალური ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მოსახლეობა ეკუთვნის ერთ დიდ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელსაც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ხმელთაშუაზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპი ეწოდება. ცხადია, ჩვენს მიერ კავკასიაში აღწერილი ტიპი ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის რეგიონალურ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ რეგიონალური ნაირსახეობის ძიებას სივრცეში იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მისი ზოგადი გავრცელების არეალი უნდა მოიცავდეს საკმაოდ დიდ რეგიონს: შუა აზიის, წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩათვლით; მაგრამ მთელ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე აღნიშნულის გარდა სხვა რასობრივ ტიპებსაც ეხვდებით, ხოლო კავკასიის, უფრო ზუსტად, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ პერიოდისათვის მხოლოდ ერთი ტიპია ცნობილი — ეს არის ე. წ. ხმელთაშუაზღვისპირული რასის ამიერკავკასიური ნაირსახეობა; რაიმე სხვა ტიპის მოსახლეობა ამ დროისათვის კავკასიაში, ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ, ცნობილი არ არის. ეს ფაქტი კი თავის მხრივ კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ კავკასიის ტერიტორია უნდა შედიოდეს იმ არეალში, რომელზედაც ხდებოდა ინდოხმელთაშუაზღვისპირული, ანუ სამხრეთევროპეიდული რასის კავკასიური ნაირსახეობების თავდაპირველი წარმოშობა, ჩამოყალიბება და განვითარება. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული, თუნდ მცირერიცხოვანი და ფრაგმენტული მასალები, ჩვენის აზრით, იძლევიან ზოგადი და ანთროპოლოგიური ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონე ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას (აბდუშელიშვილი, 1978).

საქართველოს ადრე, შუა და გვიანფეოდალური ხანის განზოგადებული ძონაცემების ურთიერთდაპირისპირებისას უდავოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ ეპოქალურ სერიებს შორის მთავარი ტიპოლოგიური ერთიანობაა, ხოლო მორფოლოგიური განსხვავებები ეპოქალური ტრანსფორმაციის სრულიად

კანონზომიერი მიმართულებით უნდა აიხსნას. ამავე დროს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის დღევანდელ ტერიტორიებზე, უკვე შუაფეოდალურ ხანაში, თანდათან ჩნდებიან ფართოსახიანი, ბრაქიკრანული ფორმები ვიწროსახიანი დოლიქოკრანების ადგილზე. ამავე დროს, მთელ აღნიშნულ ტერიტორიაზე სტაბილურ განმასხვავებელ ნიშნებად რჩება სახის მკვეთრი პროფილირება, ცხვირის მკვეთრი წარზიდულობა, ცხვირის მაღალი უნაგირი და ორთოგნატული, სწორი სახე. დამახასიათებელი ნიშნების მთელი ეს კომპლექსი წარმოდგენილია ფეოდალური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული როგორც მამაკაცების, ისე ქალების სერიებზე. ასეთივე კომპლექსია წარმოდგენილი როგორც გარნის, ისე მინგეჩაურის ტერიტორიაზე მოპოვებულ თავის ქალებზედაც. ამავე დროს, ბრაქიკეფალიზაციისა და ეურიპროზოპიზაციის პროცესი დამახასიათებელია ყველა ხსენებული თავის ქალებისათვის. მსჯელობის ეს გზა გვაძლევს საფუძველს ვიფარაუდოთ, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გვიანფეოდალურ ხანამდე მოსახლეობდა ერთი ანთროპოლოგიური ტიპის ხალხი, რომელიც განიცდიდა ეპოქალური ტრანსფორმაციის ძვრებს ერთი მიმართულებით. ფეოდალური ხანის მოსახლეობაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან, უკვე გარკვევით იჩენს თავს თანამედროვე მოსახლეობისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური კომპლექსები: ასეთია, მაგ., ადიღეს რეგიონში წარმოდგენილი პონტური ტიპის ვიწროსახიანი და დოლიქომეზოკრანული ფორმები და კავკასიონის მთიანეთში (ყაბარდო-ბალყარეთი, ოსეთი, ჩეჩენ-ინგუშეთი) წარმოდგენილი ბრაქიმორფული, კავკასიონის ტიპის ვარიანტები. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ეპოქალური ტრანსფორმაციის მიმართულების მაჩვენებელია, ხოლო, მეორე მხრივ, ანთროპოლოგიური ტიპების დიფერენციაციის, ჩვენს მიერ არაერთგზის შენიშნული პროცესის უტყუარი მაჩვენებელიც. ფეოდალური პერიოდის მიმოხილული მასალების ანალიზი ჩრდ. კავკასიის ხალხების ეთნოგენეზური კვლევის პერსპექტივებსაც სახავს. გარდა ამისა, ჩვენ არაერთხელ მიგვიქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში სამხრეთ-ევროპეიდული რასის სამივე ძირითადი განშტოების თავისებურებები შეინიშნება (აბდუშელიშვილი, 1974). როგორც ჩანს, კავკასიის ტერიტორიაზევე ოდესმე დაწყებულმა დიფერენციაციის პროცესმა დასაბამი მისცა შემდგომში ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი თავისებური კომპლექსის ჩამოყალიბებას: წინააზიური, დასავლეთ-კასპიური და პონტური (ადიღური). ამ სამი ტიპის ადრეული ფორმების ეპოქალური ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა, რის შედეგადაც, ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდნენ ერთმანეთისაგან ზედ-ნაკლებად განსხვავებული ლოკალური ტიპები. საბოლოოდ, კავკასიის ფეოდალური ხანის ანთროპოლოგიური შესწავლა, რომელიც თავისთავად ნაწილია კავკასიის პალეოანთროპოლოგიური კვლევისა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ კავკასიაში ერთმანეთს არასოდეს არ ხვდებოდნენ დიდი ან თუნდაც ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული რასების წარმომადგენლები. უძველესი დროიდანვე მთელ ამ ტერიტორიაზე დომინანტური, ვიწროსახიანი დოლიქოკრანული მედიტერანები იყვნენ, რომელთა ეპოქალურ ტრანსფორმაციას სხვადასხვა რეგიონებში თავისებური ტემპები და ფორმები ჰქონდა, რამაც დასაბამი მისცა, ერთი მხრივ, ყველაზე მეტად გავრცელებული წინააზიური, მეორე მხრივ — პონტური, ხოლო მესამე მხრივ — დასავლურ-კასპიური ტიპის ფორმების ჩამოყალიბებას. სამივე ეს ტიპი ადგილობრივი კავკასიური წარმომავლობისაა, ეძებნება ადგილობრივი კავკასიური

ანალოგები და ხასიათდება გარკვეული მსგავსობით, უფრო მაღალი რანგის რასობრივი კატეგორიების დონეზე (აბდუშელიშვილი, 1980).

განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმოდგენას იმ კრანიოლოგიური ფორმების შესახებ, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი და რომელთა ჩამოყალიბებითაც დასრულდა კავკასიური პალეოანთროპოლოგიური ტიპების მრავალსაუკუნოვანი ეპოქალური ტრანსფორმაცია, გვიქმნის კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიური შესწავლა (აბდუშელიშვილი, 1979), მაგრამ ადგილის შეზღუდულობა არ გვაძლევს საშუალებას თუნდაც ზოგადად მიმოვიხილოთ ეს მასალები. ამიტომ გადავდივართ საქართველოს თანამედროვე (ცოცხალი) მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების მიმოხილვაზე.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში სამი ძირითადი ლოკალური ტიპი გამოიყოფა; ესენია: იბერული, კოლხური და კავკასიონის. სამივე ეს ტიპი წინააზიური რასის კავკასიურ ნაირსახეობებს წარმოადგენენ (აბდუშელიშვილი, 1964). ამრიგად, დიდი რასობრივი კატეგორიების დონეზე, საქართველოს მთელი მოსახლეობა შედის წინაზიური რასის შემადგენლობაში. თავის მხრივ, იბერული ტიპი აღმოსავლურ და სამხრეთ-ქართული ლოკალური ვარიანტების სახით არის წარმოდგენილი, ხოლო კოლხური ტიპი — დასავლურ-ქართული და შავი ზღვისპირული ვარიანტების სახით. უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფილი ადგილობრივი ტიპების თუ ლოკალური ვარიანტების შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ თანამედროვე ტერიტორიაზე მცხოვრები და ქართველებისაგან ეთნიკურად ისეთი განსხვავებული ჯგუფები, როგორიცაა სომხების, ბერძნების, ურუმების (სამხრეთ-ქართული ვარიანტი), აფხაზების (შავიზღვისპირული ვარიანტი), ოსების, ქისტების (კავკასიონის ტიპი) და სხვა ჯგუფები. ყველა ეს ანთროპოლოგიური ფაქტი კონკრეტული. ეთნოგენეზური მოვლენის მაჩვენებელია და სპეციალური მსჯელობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ ზოგადად იმის მაჩვენებელიც არის, რომ ანთროპოლოგიური ტიპების ფორმირება და მათი გენეტიკური სიახლოვე ბევრად უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვიდრე სხვა ეთნიკური თავისებურებები (ენა, კულტურა, ეთნიკური თვითშეგნება და მრავალი სხვა). ვიდრე კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის სხვა ანთროპოლოგიურ ტიპებს შევეხებოდეთ, ერთხელ კიდევ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ მთლიანად საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა (და მის შედგენილობაში შემავალი სამივე ანთროპოლოგიური ტიპი: იბერული, კოლხური და კავკასიონის) შედის ერთი რასობრივი კატეგორიის, წინააზიური რასის, შემადგენლობაში.

კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში წინააზიური რასის ტიპები საქართველოს გარდა სხვაგანაც გვხვდება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სომხეთის თანამედროვე მოსახლეობა (აბდუშელიშვილი, 1962). ტერმინოლოგიური გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ სომხეთის თანამედროვე მოსახლეობაში წარმოდგენილ ანთროპოლოგიურ ტიპს წინაზიური რასის არმენოიდული ტიპი ეუწოდეთ. წინაზიური ანთროპოლოგიური ტიპი წარმოდგენილია აგრეთვე დასავლეთ აზერბაიჯანისა და დასავლეთ დაღესტნის მოსახლეობაშიც, თუმცა დასავლეთ დაღესტნის მოსახლეობაში უკვე სპარბობენ იმავე წინააზიური რასის კავკასიონის ტიპის მქონე ფორმები. ამავე წინააზიური რასის კავკასიონის ტიპს ეკუთვნიან აგრეთვე კავკასიის დანარჩენი არაქართველი მთიელებიც (ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ნაწილობრივ უაბარდოელები, ყარაჩაელები და ბალყარლები). ამრიგად, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ანთროპოლოგიურად წინაზიურ რასას განეკუთვნება.

წინააზიური რასობრივი ტიპის მქონე მოსახლეობა კავკასიის გარდა გვხვდება წინა აზიასა და მის მიმდებარე ზოგიერთ რეგიონშიც.

კავკასიის მოსახლეობაში წინააზიური რასობრივი ტიპის მოსახლეობის გარდა გვხვდება სხვა რასობრივი თავისებურებების მქონე მოსახლეობაც. პირველ რიგში ასეთ განსხვავებულ თავისებურებას ატარებს კავკასიის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის მოსახლეობა (კერძოდ, ადიღური, ჩერქეზული, აბაზინური და ნაწილობრივ ყაბარდოული ჯგუფები). ჩვენ ამ ტიპს პონტური ტიპის ადიღური ვარიანტი ვუწოდეთ. თავის მხრივ პონტური ტიპი ხმელთაშუა ბალკანური რასის ნაირსახეობაა და, ამდენად, ადიღური ვარიანტი ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებულ ანთროპოლოგიურ ტიპებს შორის პოულობს ანალოგებს.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ აზერბაიჯანისა და დაღესტნის აღმოსავლეთ რეგიონებში, აგრეთვე, წარმოდგენილია წინააზიური რასისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც კასპიური ტიპის დასავლურ-კასპიური ვარიანტი ეწოდება. აღმოსავლეთ კასპიისპირეთში წარმოდგენილია აღმოსავლეთ-კასპიური ვარიანტი, რომელიც დასავლურ კასპიურ ვარიანტთან ერთად ინდო-პამირულ რასას ეკუთვნის. ინდო-პამირული რასა მოიცავს როგორც ცენტრალური აზიის ევროპეიდულ ჯგუფებს (თურქმენებს, ტაჯიკებს, ნაწილობრივ უზბეკებსა და სხვ.), აგრეთვე თითქმის ყველა ავღანურ ჯგუფსაც (გ. დებეცი, 1965/68 წწ.). ჩვენ მიერ ინდო-პამირული ტიპის მოსახლეობა დადგენილ იქნა ინდოეთის ჩრდილო რეგიონების თანამედროვე მოსახლეობაშიც (აბდუშელიშვილი, 1973).

ამრიგად, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში წარმოდგენილია სამი დიდი რასობრივი კატეგორიის ადგილობრივი ნაირსახეობები. ესენია: წინააზიური რასის — კავკასიონური, კოლხური, იბერული, არმენოიდული და ასიროიდული; ხმელთაშუა ბალკანური რასის, პონტური ტიპის — ადიღური და ინდო-პამირული რასის, კასპიური ტიპის — დასავლურ-კასპიური ნაირსახეობები. ყველა ამ კავკასიური ნაირსახეობების შესწავლამ მიგვიყვანა ერთ, ზოგადი ხასიათის მქონე დასკვნამდე. სამივე დიდი რასობრივი შტო, რომელთა კავკასიურ ნაირსახეობებს ჩვენ ზემოთ შევეხეთ, ჰქმნის ერთ დიდ რასას, რომელსაც ინდოხმელთაშუაზღვისპირული ანუ სამხრეთ-ევროპეიდული რასა ეწოდება.

სურ. 1. სამხრეთ-ევროპეიდული ანუ ინდო-ხმელთაშუა ზღვისპირული დიდი რასის სამივე ძირითად განშტოების: 1. ხმელთაშუა ბალკანური, 2. წინააზიური; 3. ინდო-პამირული რასების გავრცელების არეალი.

ასეთია ძირითადი და ზოგადი ხასიათის დასკვნა, რომელსაც საქართველოს და კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური

შესწავლა უდევს საფუძვლად. უკვე ეს ზოგადი მიმოხილვაც კი, დაინტერესებული მკვლევარის წინაშე, ეთნოგენეზური განზოგადების გარკვეულ პერსპექტივებს სახავს. ჩვენ ასეთ საკვანძო საკითხებად გვეჩვენება: საქართველოს ტერიტორიაზე ანთროპოლოგიური ტიპების უწყვეტი მემკვიდრეობითობა ენეოლითის მიწურულიდან დღემდე, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართველების წინაპრები ადგილობრივი, აუტოქტონური წარმომავლობისა უნდა ყოფილიყვნენ. საქართველოს, უფრო სწორედ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე ანალოგიური ტიპების არსებობა და მათი ეპოქალური ტრანსფორმაციის ერთი მიმართულება ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობის ერთიანი, გენეტიკური წარმომავლობის მაჩვენებელი უნდა იყოს; ცხადია, ეს ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა ქრონოლოგიურად უფრო ადრეა საგულვებელი, ვიდრე სხვა ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბება და გავრცელება. ეს ანთროპოლოგიური ერთიანობა შემთხვევითი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში იგი შეიძლება მაჩვენებელი იყოს იბერულ-კავკასიური დიდი ერთობისა, რომელიც შენიშნულია კულტურასა (იხ. მაგ., ე. კრუპნოვი, 1963; ო. ჯაფარიძე, 1976) და ენაში (იხ. მაგ., ა. ჩიქობავა, 1953; შ. ძიძიგური, 1960 და სხვ.). კავკასიის დომინანტური ტიპის წინააზიურ ტიპებთან უშუალო კავშირი (მხედველობაში გვაქვს წინააზიური რასის გავრცელების არეალი და მისი ეპოქალური ტრანსფორმაცია) შეიძლება მაჩვენებელი იყოს ხეთურ-იბერული ენობრივი ერთობისა (ქეგლ, 1950), ხოლო საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ერთობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხრეთ-ევროპეიდულ ანუ ინდო-ზმელთაშუაზღვისპირული რასის გენეზისს, უსათუოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია, ყველა იმ მეცნიერული დისციპლინისათვის, რომელიც იბერულ-კავკასიური, წინააზიის უძველესი და ინდო-ევროპულ ენათა ოჯახების თავდაპირველი ურთიერთმიმართებისა და თითოეული ამ ოჯახის გენეზისის საკითხებს სწავლობს. ყოველ შემთხვევაში, ანთროპოლოგიური მონაცემების გათვალისწინება, რომელსაც ამ 35 წლის წინათ ასე მართებულად მიაქცია ყურადღება აკად. გ. ჩიტაიამ, ბევრად უფრო პერსპექტიული ჩანს დღეს, როცა შეუდარებლად გამდიდრდა ანთროპოლოგიური მასალებისა და დებულებების ფონდი.

ლიტერატურა

აბდუშელიშვილი მ. გ. — საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხების ანთროპოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება რკინის წარმოების ათვისების ხანაში. „მეცნიერება“, თბ., 1975

აბდუშელიშვილი მ. გ. — კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში. „მეცნიერება“, თბ., 1978.

აბდუშელიშვილი მ. გ. — კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ჭეიანანტიკურ ხანაში, „მეცნიერება“, თბ., 1978.

აბდუშელიშვილი მ. გ. — კავკასიის კრანიოლოგია, 1979.

აბდუშელიშვილი მ. გ. — კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში. „მეცნიერება“, თბ., 1980.

აბდუშელიშვილი მ. გ. — კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში, თბ., 1981.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

ჩიტაია გ. — აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, მიმომხილველი I, თბ., 1949.

ჯავახიშვილი ივ. — ქართველი ერის ისტორია, თბ., 1908.

ჯავახიშვილი ივ. — საქართველოსა, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
ჯეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.
ძიძიგური შ. — საენათმეცნიერო საუბრები, „ნაკადული", თბ., 1960.
Абдушелишвили М. Г. — Об антропологическом составе современного населения Армении. Академия наук СССР, Труды Ин-та этнографии. — Антропологический сборник — IV, Москва, 1963.
Абдушелишвили М. Г. — Антропология древнего и современного населения Грузии. «Мецниереба», Тбилиси, 1964.
Абдушелишвили М. Г. — К краниологии древнего и современного населения Кавказа. Тбилиси, 1966, «Мецниереба».
Азизян Г. А. — Палеоантропологический материал из погребений у с. Лчашен, «Историко-филологический журнал», № 3, 1965.
Алексеев В. П. — Антропологические данные к проблеме происхождения населения центральных предгорий Кавказского хребта. Тр. Ин-та этнографии АН СССР (Новая серия), т. 82, Москва, 1963.
Алексеев В. П. — Происхождение народов Кавказа. «Наука», Москва, 1974.
Бунак В. В. — Черепа железного века Севанского района Армении. РАЖ, т. 17, 1929.
Бунак В. В. — Антропологический состав населения Кавказа. Вестник Гос. Музея Грузии, т. XIII А, 1946.
Бубушян Р. А. — Антропологические материалы из раскопок археологических памятников советской Армении. Информ. бюлет. ЕГУ № 12, 1972.
Гаджиев А. Г. — Данные по палеоантропологии Дагестана. Уч. записки Ин-та истории, языка и литературы Дагестанского филиала АН СССР, т. X, Махачкала. 1962.
Гинзбург В. В. — Антропологические материалы из раскопок на р. Манич. Сб. МАЭ. Москва—Ленинград, 1949.
Гинзбург В. В.. Трофимова Т. А. — Палеоантропология Средней Азии. «Наука», Москва, 1972.
Дебец Г. Ф. — К антропологии древних культур Передней Азии и Эгейского мира. АЖ, № 1—2, 1934.
Дебец Г. Ф. — Материалы по палеоантропологии СССР (Нижнее Поволжье). Антропологический журнал, I, 1936.
Дебец Г. Ф. — Палеоантропология СССР. Тр. Ин-та этнографии. Новая серия, т. IV, Москва—Ленинград, 1948.
Дебец Г. Ф. — Антропологические исследования в Афганистане. Советская этнография, Москва, № 4, 1967.
Дебец Г. Ф. — Антропологические исследования в Афганистане. Москва, 1965—1968.
Крупнов Е. И. — Древнейшее культурное единство Кавказа и Кавказская этническая общность (к проблеме происхождения коренных народов Кавказа). Москва, 1963.
Джапаридзе О. М. — К этнической истории грузинских племен — по данным археологии. Тб. Университет, Тб., 1976.
Касимова Р. М. — Антропологические исследования черепов из Мингечаура. Баку, 1960.
Тер-Мартиросян В. А. — Краниологический материал с территории Армении (Дипломная работа), Москва, 1955.
Трофимова Т. А. — палеоантропологические материалы древнего Хорезма. СЭ № 3, Москва, 1957.
Халилов Х. — Антропологический состав Северной Бактрии в эпоху бронзы. Самарканд, 1980.
Ходжайов Т. К. — Антропологический состав населения эпохи бронзы Сапаллитепа. Ташкент, «Фан», 1976.
Чикобава А. С. — Введение в языкознание, часть I, Москва, 1953.

Abdushelishvili M. G. — Certain problems, of ethnic anthropology in South — West Asia in the light of the latest research IX International congress of Anthropological and Ethnological sciences, Chicago, september, 1973.
Angel I. L. — Ancient cephallenianc. American Journal of Physical Anthropology. V. I, 3, 1943.
Batwari A. — The Racial History of Egypt and Nubia The Journal of the ROYAL ANTHROPOLOGICAL INSTITUTE of Great Britain and Ireland. V. LXXV, Parts I and II, 1945.
Boev P. — Die Rassentypen der Balkanhalbinsel und der Ostägäischen Inselvelt und deren Bedeutung für die Herkunft ihrer Bevolkerung. Sofia, 1972.
Giuffrida Ruggeri — Granial series from sitos outside Greece for comparison with morphological types to show directions of types deviation from total series and racial position of Grecks. „American Journal of Physical Anthrology" № 3, 3, 4. 1944.
Guha B. and Basu P. — Report on the human remains excavated at Mohenjo-Daro in Mascay. E. Further excavations at Mohenjo—Daro, 1932.
Krogman W. M. — The peoples of early Iran and their ethnic affiliations. Am. Journ. Physic. Anthrop. Vol. XXVI, 1940.
Morant G. — A first study of the Craniology of England and Scotland from Neolithic to early historic times, Biometrica, 18, 1926.
Swindler D. R. — A Study of cranial and skeletal material excavated at Nippur. Published by The University Museum, Philadelphia 4. 1956.
Vallois H. V. — Les ossements humains de Sialk Contribution a l'etude de l'histoire raciale de l'Iran ancien, Paris, 1940.
Woo N. — Egyptians Sediment in Lower Egypt, 1928.

ნანული აბესაძე

ხელოსნური ორგანიზაციის წარმოშობის საკითხისათვის საქართველოში

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, VI ს. ძეგლი, ერთ-ერთ საინტერესო წყაროს წარმოადგენს ხელოსნობის მრავალი საკითხის გასარკვევად ძველ საქართველოში. განსაკუთრებით კი საინტერესოა იმ მხრივ, რომ აქ მოხსენიებული ხელობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები — მ ე ჯ ა მ ლ ე ნ ი და მ ე ჯ ა დ ა გ ე ნ ი გარკვეული სახის ორგანიზაციულ კავშირში ჩანან გაერთიანებულნი, რაც, თავის მხრივ, მეტად საგულისხმო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა თვით ხელოსნობის განვითარების დონის წარმოსადგენად იმდროინდელ საქართველოში.

მკვლევართა ამოსავალს, როცა ისინი ძველ საქართველოში ხელოსანთა ორგანიზაციის არსებობაზე მიუთითებენ, წერს შ. მესხია[1]. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ წარმოადგენს. ს. ჯანაშიამ თავის დროზე აღნიშნა, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ცნობის მიხედვით შეიძლება დაიბადოს საკითხი ხელოსანთა რაიმე კორპორაციული კავშირის არსებობის შესახებ VI ს. საქართველოში[2].

საერთო დღესასწაული დამახასიათებელია ამჟრული წყობისათვის. ასეთსავე ეჭვს აძლიერებს ამ ხელოსნების საერთო სოლიდარული მოქმედება გარკვეული შემთხვევის გამო. ავტორი იზიარებს ს. ჯანაშიას ამ მოსაზრებას და თავის მხრივ დაასკვნის, რომ, მართლაც, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ცნობები მხოლოდ საკითხის დასმის შესაძლებლობას იძლევა[3].

გ. გამყრელიძე თავის სადოქტორო დისერტაციაში „ხელოსნური მრეწველობა და ამჟრული წყობილება საქართველოში“ ამტკიცებდა, რომ ჭ. მცხეთაში ამ დროს „ხელოსნური მრეწველობა იმდენადაა განვითარებული, რომ განსაზღვრული დარგის ხელოსნებს კორპორაციაც კი აქვს შექმნილი, რომელიც თავის გავლენას და კონტროლს ხელოსანთა რელიგიაზეც კი ავრცელებს“[4]. ამგვარი მტკიცების საფუძველს ავტორისათვის წარმოადგენს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ დაცული ცნობა ხელოსანთა ორგანიზაციული გამოსვლის შესახებ გაჭრისტიანებული ევსტათის წინააღმდეგ[5].

ავტორის ეს მტკიცება, შ. მესხიას აზრით, ერთი შეხედვით თითქოს სწორი ჩანს, მაგრამ თვით წყარო ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას

---

1 შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს.), თბ., 1942, გვ. 252 (საკანდიდატო დისერტაცია).

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 253.

4 იქვე.

5 იქვე.

არ იძლევა. მაინცდამაინც არ მტკიცდება გ. გამყრელიძის ძირითადი არგუმენტი, რომლის მიხედვით „მეჯადაგენი“ და „მეჯამლენი“ ორგანიზაციულად გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათმა თანამოსაქმემ უღალატა ნაციონალურ რელიგიას. სინამდვილეში, აღნიშნავს შ. მესხია, ისინი გამოდიან საერთოდ „რჩულის“ დამცველებად და აბეზღებენ ყველას, ვინც მათ „რჩულს“ უღალატა, თუნდაც, რომ „მათი თანამოსაქმენი“ არ ყოფილიყვნენ. მართლაც, მცხეთელმა ციხისთავმა ევსტათისთან ერთად თბილისს რვა კაცი გაგზავნა ირანული „რჩულის“ დამცველნი და მეჯამლეთა და მეჯადაგეთაგან დასმენილნი. ის გარემოება, რომ მათ მიერ ყველაზე ადრე ევსტათი იქნა დაბეზღებული, არაფრის მთქმელია, ვინაიდან მათ ყველაზე ადრე შეეძლოთ გაეგოთ იმ პირის საქმიანობა, რომელიც თავისი ხელობით მათთან ახლო იყო, ვინემ სხვებისა. რომელთანაც მათ მხოლოდ რელიგიური რწმენა აერთებდა[6]. გარდა ამისა, ევსტათის მეორედ დააბეზღებენ სპარსნი და არა მეჯამლენი და მეჯადაგენი. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ არ ჩანს, რომ ხელოსანთა კორპორაციები თავის გავლენას და კონტროლს ხელოსანთა რელიგიაზეც რომ ავრცელებენ. შ. მესხიას აზრით, აქ მხოლოდ ირანული „რჩულის“ დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლაა მოცემული[7]. მისი მოსაზრებით, უფრო ანგარიშგასაწევია ის ცნობა, რომელიც მონათესავე დარგის ხელოსნების ჩვეულებაზე მიგვითითებს, რომ მათ „ერთად ედღესასწაულათ“ თავიანთი უქმე, რაც სამართლიანად ბადებს საკითხს ხელოსანთა შორის რაიმე კორპორაციული კავშირის არსებობის შესახებ. ამ წყაროდან გარკვევით ჩანს, განაგრძობს ავტორი, რომ მეჯამლენი და მეჯადაგენი „ტოზიკს“[8], მათ რელიგიურს დღესასწაულს, ერთად იხდიდნენ. ხელოსნები, როგორც ჩანს, მხოლოდ იმათ მოუწოდებდნენ, რომელნიც მათი ჯელისა იყვნენ[9]. მეჯამლეებმა და მეჯადაგეებმა, როცა ევსტათი დაასმინეს, აღნიშნეს, რომ ის „ჩუენსა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცეს და ჩუენსა რჩულსა ჰგმობს“[10]. ხოლო, როცა მეჯამლეებმა და მეჯადაგეებმა სხვებიც დაასმინეს, არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, მოვიდნენ ისინი თუ არა ტოზიკზე და „ცეცხლი გამოსცეს“ თუ არა. ეს ცნობა ანგარიშგასაწევია და შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ ამ დროისათვის ხელოსნებს მართლაც რაიმე კორპორაციული კავშირი გააჩნდათ. მაგრამ მტკიცება ზემომოყვანილი ცნობის მიხედვით „ამქრული“ ან ამქრისდარი ორგანიზაციის არსებობის შესახებ ავტორს შეუძლებლად მიაჩნია[11].

კორპორაციების, ძმობის, კავშირების არსებობა, შ. მესხიას აზრით, არ ნიშნავს ამქრის არსებობას. კორპორაცია, ძმობები, მისი განმარტებით, ჰქონდათ მათხოვრებს, ქურდებს, მეძავ ქალებსაც, რომლებიც ირჩევდნენ მამასახლისს, ადგენდნენ თავიანთ სასამართლოს, აწყობდნენ რელიგიურ პროცესიებსაც; ავტორის აზრით, ამგვარ ორგანიზაციებში რომ ამქრული წყობა დაგვენახა, მაშინ იგი უნდა გვეძებნა ფეოდალის სასახლის ხელოსანთა კორპორაციებშიც, სადაც ისინი ერთი მოძღვრის, უხუცესის ხელქვეით ერთიანდებოდნენ. ხუროთმოძღვართა, მხატვართუხუცესთა და სხვათა არსებობა „ხელოსანთა ფეოდალური ორგანიზაციის“ არსებობაზე მიგვითითებს, წერს შ. მესხია, მაგ-

---

6 შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 255.
7 იქვე, გვ. 255.
8 იქვე.
9 იქვე. გვ. 256.
10 იქვე.
11 იქვე.

რამ ის ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რომ ამ ორგანიზაციებში ამჭრული წყობა ვეძიოთ. თვით ამჭრების მემამულის საბატონო სახლკარის ხასიათის ორგანიზაციიდან წარმოშობის თეორიის თვალსაზრისზე მდგომი მეცნიერებიც (ნიჩუე, გირკე) კი ამ შეხედულებას არ იზიარებენ[12]. ფეოდალის კარზე ხელოსანთა კორპორაციების არსებობა, მათი აზრით, შეადგენდა ამოსავალს, საიდანაც ამჭრული ორგანიზაციები წარმოიშვნენ. ამის გამო, შ. მესხიას გადაჭარბებულად მიაჩნია კ. კეკელიძის მოსაზრება VI ს. მცხეთაში ამჭრული ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ასევე უარყოფს იგი გ. გამყრელიძის მოსაზრებასაც VI ს. მცხეთაში ამჭრული ან ყოველ შემთხვევაში ამჭრულისდარი ორგანიზაციის არსებობაზე[13]. ავტორის აზრით, ამჭრის წარმოშობის მიზეზი თვით საქართველოს შინაგან წყობაში უნდა ვეძიოთ[14].

ხელოსანთა ამჭრების წარმოშობისათვის, შ. მესხიას აზრით, აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქალაქო ცხოვრების აყვავება და განვითარება, ამასთანავე, ქვეყნის ფეოდალური დანაწილება და გამოქცეულ ყმა გლეხთა და სოფლის თავისუფალ ხელოსანთა კონკურენცია ქალაქის ხელოსნების მიმართ[15]. საქალაქო ცხოვრების ზრდა და ქალაქში თავისუფალ ხელოსანთა თავმოყრა, ყმა ხელოსანთა არსებობა და ლტოლვა ქალაქებისაკენ, აუცილებელს ხდიდა ქალაქის თავისუფალ ხელოსანთა გარკვეულ ორგანიზაციებში გაერთიანებას, რათა ყმური შრომის ორგანიზაციისათვის თავიანთი ორგანიზაციები დაეპირისპირებინათ და ყმური ხელოსნური შრომა განედევნათ[16].

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, საქალაქო ცხოვრების წინსვლა, თავისუფალ ხელოსანთა თავმოყრა ქალაქში და თავისუფალი ხელოსნური შრომის კონკურენცია ყმურისადმი, ხელოსნური წარმოების ზრდა და ამდენად მისწრაფება ასოციაციისაკენ, ჰქმნიდა პირობებს, რომელიც ხელს უწყობდა ამჭრული წყობის წარმოშობას საქართველოში[17].

იყო თუ არა საამისო პირობები VI ს. მცხეთაში? დღეს თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი საქალაქო ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე VI ს. მცხეთაში. მართალია, VI ს. მცხეთას უკვე დაკარგული აქვს დედაქალაქობა, მაგრამ, საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე არ განელებულა იქ შემდეგშიც, როგორც ამას მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიციის თხრის შედეგი მოწმობს.

როგორც ცნობილია, ანტიკური მცხეთა წარმოადგენდა ვაჭრობა-ხელოსნობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოსნობის მრავალი დარგი, განსაკუთრებით კი კერამიკა, მჭედლობა-ოქრომჭედლობა და ქვითხუროობა[18]. მცხეთაში აღმოჩენილ უნიკალურ მასალებს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკაცობრიო კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხის გასაშუქებლად და გასაცნობად[19]. გათხრების შედეგად დასტურდება მაღალი საქალაქო ცხოვრების მას-

---

12 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

13 იქვე. გვ. 257.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 258.

16 იქვე, გვ. 258.

17 იქვე, გვ. 269.

18 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 206; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1966, გვ. 231—246; О. Лорткипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III в. в. н. э. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 116—123.

19 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, „სამეუფეო“ ქალაქი ქართლისა, „ძეგლის მეგობარი“, № 46, 1977, გვ. 10.

შტაბები, კრამიტით დახურული საზოგადოებრივი დანიშნულების სახლები და სასახლეები (სტრაბონი)[20]. „დიდ მცხეთას“ ხელოსანთა ცალკე უბნები—მოგვთა, ურიათა, რაბატი, სარკინე და სხვ. — გააჩნდა[21]. კარსნისხევის მარჯვენა ნაპირზე გამოვლენილია „მ ც ხ ე თ ი ს კ ე რ ა მ ე ი კ ო ნ ი“ (ძვ. წ. I—ახალ. I ს.) — მეთუნეთა ცალკე დასახლება საწარმოო უბნითა და სამაროვნით[22]. ქალაქის მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის (აქოლი) თანამდებობის[23] არსებობა მიუთითებს აღნიშნული ხანის მცხეთაში საქალაქო ცხოვრების და, კერძოდ, ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ უ ლ დ ო ნ ე ზ ე. ეთნოგრაფიული მასალებითაც მცხეთა წარმოგვიდგება კერამიკული წარმოების (წვრილი მოჭიქული ჭურჭელი) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად შიდა ქართლში. აქ დამზადებული კრამიტი „მცხეთურის“ სახელწოდებით ფართოდ იყო ცნობილი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. ამდენად, შეუძლებელია, რომ VI ს. მცხეთაში არ ყოფილიყო ხელოსანთა თუნდაც ამქრული სახის ორგანიზაცია. ის პირობები, რაც შ. მესხიას ამქრის წარმოშობისათვის მიაჩნია, თითქმის ყველა არსებობდა VI ს. მცხეთაში: დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე, ქალაქის თავისუფალი ხელოსნის შრომის დაპირისპირება ყმური შრომისადმი. ო. ლორთქიფანიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ I—III სს. მცხეთის კერამიკულ წარმოებაში დასტურდება წვრილი თავისუფალი ხელოსნების არსებობა, რომლებიც უკვე აწარმოებდნენ ბაზრისათვის[24], მათ კი უპირისპირდებოდა მსხვილი სახელოსნოები (კრამიტის წარმოება) ხელოსნური შრომის ფართო გამოყენებით[25]. არც ისაა გამორიცხული, რომ მცხეთაში ამქარი ან მისი მაგვარი კორპორაცია ჯერ წარმოშობილიყო ფეოდალის, მეფის კარზე და შემდეგ თავისუფალ ხელოსნებს შორის. ამის დაშვების შესაძლებლობაც არსებობს ქ. მცხეთის საქალაქო ცხოვრების მიმართ. ცნობილი ანტიკური კრამიტი მზადდებოდა მეფის სახელოსნოში ეზოსმოძღვრის ხელმძღვანელობით[26]. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ შ. მესხიას VI ს. მცხეთისათვის ამქრის არსებობა ჯერ ნაადრევად მიაჩნდა. ამას წერდა ის 1942 წ. თავის საკანდიდატო დისერტაციაში, როდესაც მცხეთის ადრინდელი (1937—38 წწ.) გათხრების შედეგები იყო მხოლოდ ცნობილი, ხოლო ამქრის არსებობა IX—X სს. უკვე კანონზომიერებად მიაჩნდა და აღნიშნავდა საქართველოში ამქრების დიდი ხნის წინათ არსებობის შესახებ[27]. თუმცა 1959 წ. გამოცემულ წიგნში „Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв)“ ის ამ თარიღს კიდევ უფრო გადასწევს და აღნიშნავს, რომ X—XI სს. უკვე არსებობდა ყველა პირობა ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობისათვის საქართველოში[28].

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებითაც X—XII სს. ამქარი საქართველოში უნდა სცოდნოდათ, ვინაიდან არაბთა სახალიფოში ამქარი VIII ს. უკვე არსე-

---

20 ა. აფაქიძე, სამეუფეო ქალაქი..., გვ. 10.
21 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება..., გვ. 206.
22 ა. აფაქიძე, სამეუფეო ქალაქი..., გვ. 11.
23 ა. აფაქიძე, ქალაქები..., გვ. 157.
24 О. Лорткипанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
25 იქვე, გვ. 123.
26 იქვე.
27 შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 270.
28 Ш. Месхиа, Города и городской строй, გვ. 322.

ბობდა და საქართველოში მათი გავლენის გამო ის თბილისშიც უნდა ყოფილიყო[29].

ნ. ბერძენიშვილის დაბეჯითებითი თქმითაც, ხელოსნები XIII ს. საქართველოში ამქრებით ცხოვრობდნენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამქრობა უფრო ძველად სცოდნიათ და XIII ს. კი მას დასრულებული სახე მიუღია[30].

ს. ჯანაშიაც აღნიშნავდა, რომ X—XII სს. საქართველოში, მართალია, პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ, საფიქრებელია, ამქართა არსებობაც[31].

მაშასადამე, გამოდის, რომ ყველა ზემოაღნიშნული ავტორი ამქრის არსებობას X—XIII სს. საქართველოსათვის უკვე კარგა ხნის წინათ არსებულად მიიჩნევს, ამიტომ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ამქარი ან ყოველ შემთხვევაში მისი მაგვარი ორგანიზაცია VI ს. მცხეთაში ცნობილი ყოფილიყო.

ხელოსან-ვაჭართა გაერთიანების კვალი სასანურ ირანში პირველად V—VI სს. ჩნდება. ნ. პიგულევსკაიას თვალსაზრისით, სასანური სპარსეთის ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალი დონე და გაცხოველებული სავაჭრო საქმიანობა დასაყრდენს პოულობდა თავისებურ პროფესიულ ორგანიზაციებში. მართალია, ეს ორგანიზაციები პირდაპირ არაა დასახელებული წყაროებში, მაგრამ მათ არსებობაზე მიუთითებს შემოვლითი ხასიათის ცნობები[32]. ამ შემოვლითი ხასიათის ცნობებში იგულისხმება კ. ტრეკერის მოსაზრება სასანელთა ირანის ხელოსნების ნაწარმის დამზადების მაღალი ტექნიკისა და ხელოსნურ წარმოებაში შრომის განაწილების საკმაოდ მაღალი დონის შესახებ, რასაც ფეოდალური ფორმაციის პირობებში უნდა გამოეწვია ცალკეული დარგების ხელოსნური კორპორაციების წარმოქმნა, რომლებიც შემდეგ ამქრული ხასიათის ორგანიზაციებში გადაიზარდნენ. ხელოსნური ორგანიზაციის არსებობის დამადასტურებელია აგრეთვე V—VI სს. ირანის ქალაქის უბნების ნომენკლატურა და სხვ.[33].

ნ. პიგულევსკაიას მოსაზრებით, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ირკვევა VI ს. მცხეთაში ხელოსნური კორპორაციების და კორპორაციული დღესასწაულების არსებობა. ავტორი კორპორაციების არსებობის ფაქტს ხედავდა „მეჯამლეთა“ და „მეჯადაგეთა“ ერთობლივი, ერთსულოვანი მოქმედების ფაქტში[34]. კ. კუციას აზრით, მართალია, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ არ არის მოხსენიებული ხელოსნური კორპორაცია, მაგრამ ნ. პიგულევსკაიას მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს აღნიშნული ხანის მცხეთაში საქალაქო ცხოვრების და, კერძოდ, ხელოსნობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე[35].

მაშასადამე, თუ VI ს. არა, X—XII სს. ამქრული წყობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა.

---

29 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

30 იქვე.

31 იქვე.

32 კ. კ უ ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII, თბილისი, 1976 წ., გვ. 131.

33 იქვე, გვ. 132.

34 იქვე.

35 იქვე.

ვახტანგ ალადაშვილი

რას მოგვითხრობს „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ ძველი საქართველოს მედიცინის შესახებ

საქართველოში მედიცინას უძველესი ისტორია აქვს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულიდან წამოსულ თქმულებაში ნათქვამია, რომ ქალი ყამარი სამკურნალო მცენარით აცოცხლებს ამირანს. საოცარი თვისებები აქვს ქართული ხალხური ზღაპრების უკვდავების წყალს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე VIII—VII საუკუნეებში შექმნილ ძველბერძნულ მითში არგონავტების შესახებ მოთხრობილია, რომ კოლხეთის მეფის ასულს მედეას სცოდნია მცენარეებისაგან წამლებისა და შხამების მომზადება. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბეჭედი გემით, რომელზედაც ამოკრილია სამედიცინო ემბლემა (კვერთხზე დახვეული გველები) და ადამიანის, ალბათ პროფესიონალი ექიმის, გამოსახულება.

დღემდე მოღწეული უძველესი ქართული ორიგინალური სამედიცინო წიგნი „უსწორო კარაბადინი“ დაწერილია XI საუკუნეში, ხოლო „წიგნი სააქიმოი“ XIII საუკუნეში. ეს დიდებული ნაშრომები იმას მოწმობენ, რომ თეორიული და პრაქტიკული მედიცინა საქართველოში იმდროინდელი კულტურული მსოფლიოს მოწინავე დონეზე იყო და ამავე დროს თვითმყოფადი გზით ვითარდებოდა. სამწუხაროდ წარსულმა ვერ შემოგვინახა უფრო ძველი მონათმფლობელური და ადრეფეოდალური ეპოქების არცერთი ქართული სამედიცინო ძეგლი.

უძველეს ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში არსებული ხარვეზის შესავსებად საყურადღებო მასალას იძლევა იაკობ ცურტაველის შესანიშნავი თხზულება „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, რომელიც შექმნილია 475—485 წლებში. მართალია, ნაწარმოებში აღწერილია ქართლის პიტიახშის ცოლის მარტვილობა და მოწამებრივი სიკვდილი ქრისტიანული რელიგიისათვის, მაგრამ ლიტერატურის ეს ძეგლი თავისი შინაარსით და სულისკვეთებით ბევრად სცილდება აგიოგრაფიის ფარგლებს. ტექსტი შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან ცნობას იმდროინდელი საზოგადოების განვითარების, ეკონომიკის, ყოფის, კულტურის, ადამიანთა ურთიერთობის შესახებ. ბევრი რამ საყურადღებო არის ნათქვამი მედიცინის საკითხებზეც, რამაც ჰპოვა გამოხმაურება ქართული მედიცინის ისტორიკოსთა — მ. სააკაშვილის და ა. გელაშვილის, ი. ნიკობაძის, ი. ჭურჩიშვილის, მ. შენგელიას შრომებში. ჩვენც გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს აღნიშნულ მონაცემებს თანამედროვე ექიმი.

„წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ შეიცავს სამედიცინო ხასიათის ცნობებს, რომლებიც მომდინარეობენ თვით თხზულების ავტორისაგან — იაკობ ცურტაველისაგან. იგი აკვირდებოდა შუშანიკის ჯანმრთელობას, უვლიდა და მკურნალობდა მას 6 წლის განმავლობაში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა და მკურნალობა სასულიერო პირთა ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენდა და ისინი საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ მედიცინის საკითხებში. ბუნებრივია, რომ ერთდროულად არსებობდა საერო მე-

დიცინაც, რომელსაც ემსახურებოდნენ პროფესიონალ ექიმები და სახალხო მკურნალები. ამის საბუთი ისაა, რომ თვით შუშანიკმა მოჰკიდა ხელი სნეული ხალხის მკურნალობას.

იაკობ ხუცესს და მის თანამედროვეებს ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა დაავადებებსა და მათ სიმპტომებზე. ასეთია, მაგალითად, ზოგადი ხასიათის შეშუპება („წყლითა განსივებული"), ქსოვილთა ანთებადი შესივება, რომელიც შეიძლება დაჩირქდეს („დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრამლი აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ"). ნახსენებია კანის დაავადება „სრსვილი", რომელიც თანამედროვე გაგებით ტრიქოფიტიას შეესაბამება. რბილი ქსოვილების ტრავმული დაზიანება დახასიათებულია იმით, რომ იყო „დიდძალი იგი სიმსივნე მისი". მძიმე ავადმყოფის პირისახე აღწერილია, როგორც „ხატი მისი დაბძარული და განსივებული". სულიერი სფეროს ავადმყოფურ მდგომარეობასაც იცნობდნენ ჩვენი წინაპრები: ნათქვამია, რომ გაბრაზებული ვარსქენ პიტიახში „ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი". აქ „ცოფი" უნდა გავიგოთ, როგორც აფექტში მყოფი ადამიანის ავადმყოფურად აგზნებული ქცევა.

იაკობ ცურტაველის თხზულებაში გარკვეულად არის ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ ბუნების მავნე ძალები, ცხოვრების მძიმე პირობები აძაბუნებენ, ასნეულებენ ადამიანს, ამოკლებენ მის სიცოცხლეს: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, და დაწურტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მას ქუეყანათა". ისიც არის აღნიშნული, რომ მძიმე სულიერი განცდები იწვევენ ადამიანის დაძაბუნებას და დასნეულებას: ეს დებულება დასტურდება მთელი ნაწარმოების არსით და პირდაპირაც არის მითითებული: „მიველდ და ვიხილე წმიდაი შუშანიკ დამშრალი და დაბუშებული ტირილითა". იგივე აზრია გამოხატული შუშანიკის სიტყვებში, რომლებითაც იგი მიმართავს ღმერთს ვარსქენ პიტიახშის განსასჯელად: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა".

V საუკუნის საქართველოში ცნობილი ყოფილა სხვადასხვა სამკურნალო საშუალების გამოყენება. ასეთია ტექსტში ნახსენები „სალბუნი" (მალამო) და „წმალი". განმარტებულია ისიც, რომ უკმელობა ასუსტებს ადამიანს და სიკვდილიც კი შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო კვებას სარგებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის. ამიტომაა, რომ ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს ავადმყოფი შუშანიკის შესახებ: „ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გემოი იხილა და ეპმადლობდით ღმერთსა". როგორც ჩანს, გარკვეული წარმოდგენა სამკურნალო კვებაზეც ჰქონდათ იმდროინდელ მკურნალებს; იაკობი აღნიშნავს „მაშინ მიეიღე მცირედ ღვინოი და პური დავალბე და მცირედ გემოი იხილა".

არ იქნება მართებული განვიხილოთ ადრეფეოდალური ხანის მედიცინა მხოლოდ რაციონალური საწყისების მიხედვით. სამედიცინო და საერთოდ საბუნებისმეტყველო შეხედულებათა საფუძველს შეადგენდა იმდროინდელი გამარჯვებული რელიგია — ქრისტიანობა. გაოდა ამისა დიდ როლს თამაშობდა მაგია. ამგვარი რელიგიურ-მაგიური პრინციპების საფუძველზე ხდებოდა ავადმყოფობის არსის და დიაგნოზის განმარტება და სამკურნალო საშუალებების დანიშვნის დასაბუთება, მათი მოქმედების ეფექტის ახსნა. ასე, მაგა-

ლითად, როდესაც თვით შუშანიკმა დაიწყო ხალხის მკურნალობა, ამ მკურნალობის შედეგი „მიემადლებოდა წმიდათა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთ-მოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაი, ბრმათა თუალთა აღხილვაი“. კეთრით დაავადებული ცეცხლთაყვანისმცემელი ქალი შუშანიკმა იმითი განკურნა, რომ მიაღებინა მას ქრისტიანობა და წმინდა იერუსალიმში გაგზავნა ლტოლვილად.

იაკობ ცურტაველი დიდი ჰუმანისტია, რაც ჩანს მკურნალის ეთიკის და მორალის საკითხების დაყენებაში და მათ გადაწყვეტაში. იაკობმა არ მიატოვა სნეული და პიტიახშისაგან შერისხული შუშანიკი მძიმე წლებში. მან ინახულა ავადმყოფი საპატიმროში მიუხედავად აკრძალვისა, არა მარტო შეუნარჩუნა მას სულიერი სიმტკიცე, არამედ გამოიჩინა ზრუნვა ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც. იაკობის ეთიკურ-მორალური თვალსაზრისი გამოხატულია სიტყვებში, რომლებითაც მან საპატიმროს მცველს მიმართა: „და თუცა მოგკლან შენ მისთვის, რაი არს?!“ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფი ადამიანის მიმართ არ ამოიწურება მხოლოდ ახალი რელიგიის — ქრისტიანობის მომხიბლავი ძალით. ასეთი მაღალი მორალური პრინციპები მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც მედიცინას აქვს ხანგრძლივი განვითარების ისტორია, სადაც არსებობს ჰუმანისტურ პრინციპებზე აგებული, მტკიცე ტრადიციებით გამაგრებული სამედიცინო განათლების სკოლა, სადაც მედიცინის მუშაკებს საპატიო ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში.

საყურადღებოა, რომ ქრისტიანი ღვთისმსახური — ხუცესი იაკობი ადამიანის მიწიერი სხეულის ჯანმრთელობაზე მავნედ მოქმედ ფაქტორთა შორის ასახელებს რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და იმასაც კი დასძენს, რომ ამგვარად დასუსტებულ ადამიანს აღარ შესწევს ძალა კეთილი საქმის ჩადენისა: „ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაისმე საქმედ კეთილისა ეგოდენითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგომითა და ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა“. ამ სიტყვებში შეიძლება დავინახოთ პროტესტი (შესაძლოა ბოლომდე შეუგნებელი) არ დაემონო ბრმად რელიგიურ დოგმატს და მოწოდება არ შეასრულო ღვთის მსახურების რიტუალი თუკი ამით სიკეთეს მოუტან მიწიერ ადამიანს.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ზოგადი ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ნებით თუ უნებლიეთ ეყრდნობოდა ავტორი თხზულებისა „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“. ლოღიკურია, რომ ადრეფეოდალური ეპოქის ღვთისმსახურის თვალსაზრისით ძირითადი საწყისი არის ზებუნებრივი ძალა — ღმერთი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ბედ-იღბალს. სწორედ ამ რწმენისათვის ეწამა დედოფალი შუშანიკი. ამავე დროს არსად არაფერია ნათქვამი ღვთაებრივი ჩარევის შესახებ უშუალოდ ადამიანის, თუნდაც წმინდა შუშანიკის ავადმყოფობის მიმდინარეობაში, მის ბედ-იღბალში. სიკვდილიც კი რეალისტურად არის აღწერილი და თითქოს ღვთის ნებისაგან დამოუკიდებლად მოხდა. პირიქით, ჩანს საწინააღმდეგო ტენდენცია — ადამიანის ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, გამოკეთება და სიკვდილი დაკავშირებულია მატერიალური ფაქტორების მოქმედებასთან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იაკობ ცურტაველის საბუნებისმეტყველო შეხედულებები პრაქტიკულ გამოცდილებას და ბუნების კანონების ცოდნას ეყრდნობა. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი კვლევა მეტ ნათელს მოჰფენს საქართველოს შორეული წარსულის მედიცინის და ბუნებისმეტყველების შესწავლის საქმეს.

ვახტანგ ბერიძე

სოფ. ტანძიის ორი ეკლესია[1]

(ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი)

სოფ. ტანძიაში, რომელიც მე-17 საუკუნეში „იყო თავი რეზიდენცია ორბელიანთა ახალი შტოისა"[2], სიძველეთა ბევრი ნაშთია: ეკლესიები და სასახლეთა ნანგრევები. ორბელიანთა გადაშენებულ გვარს დღეს მხოლოდ მათი წარწერები და საბა-სულხანის ახლად დადგმული ძეგლი გვაგონებს. ტანძიისადმი ინტერესს, სხვაც რომ არაფერი იყოს, ისიც აღგვიძრავს, რომ ის საბას სამშობლოა.

ტანძიაში მისასვლელად ბოლნის-დმანისის გზიდან მარჯვნივ უნდა გადაუხვიო, სანამ სოფ. ქვეშთან მიხვიდოდე. სოფელი მთებს შორისაა, ტყეებითა და ბუჩქნარით შემოსილ ბორცვებზე. გორაკზე მდებარე ნასახლარი სულ გაოხრებულია. ნასახლართან ორი ერთნავიანი ეკლესიაა. ერთი, რომელიც უფრო ქვემოთაა, უმნიშვნელო და უინტერესოა. მეორეს, ცოტა მაღლა მდებარეს, გარკვეულ ინტერესს მატებს წარწერები და მორთულობა. ამას ღვთისმშობლის ეკლესია ჰქვია (დღეს მას სამეურნეო მიზნით იყენებენ). მესამე ეკლესია, წმ. ნიკოლოზისა, სოფლის დასავლეთითაა, სხვა ბორცვზე.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა 1680 წლისა შედგება ერთი მოზრდილი ნავისაგან; გარედან სწორკუთხაა, შიგნით, ჩვეულებისამებრ, საკურთხევლის აფსიდი აქვს, ხოლო დასავლეთით, მთელ სიგანეზე, ზედვეა მიშენებული კვადრატული ნაგებობა — ალბათ სამრეკლოს პირველი სართული. შესასვლელი ორია — სამხრეთითა და დასავლეთით, სარკმლები — აღმოსავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით (თითო). კედლები ალგეთის რუხი ქვითაა ნაშენი. ქვა დაუმუშავებელია და თუმცა კი ასე თუ ისე შერჩეულია იმისათვის, რომ რიგები ჰორიზონტალური გამოსულიყო, ფასადები მაინც უხეშ შთაბეჭდილებას ტოვებს. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები, კარნიზი და სამხრეთის შესასვლელია ბოლნისის ტუფის მსგავსი თლილი ქვით გამოყვანილი. თლილი ქვით ყოფილა ამოყვანილი სარკმლებიც, მაგრამ ახლა მათი ქვების უმეტესობა ჩამოცვენილია. ე. ი. აქ ისეთივე ხერხია ორგვარი მასალის (ნატეხი და თლილი ქვის) შეხამებისა, როგორიც გორულის ზემო ეკლესიაში, ხერხი, რომელიც, ეტყობა, ამ დროიდან ვრცელდება. კამარა აგურითაა ნაშენი, სახურავი, რომელსაც ციცაბო კალთები აქვს, ქვისა იყო, მისი ნაწილი დღემდეა დარჩენილი.

მინაშენი რამდენადმე განსხვავებულია. იგი გადაუკეთებიათ, მაგრამ ჩანს, რომ თავდაპირველად ეს იყო ოთხ ბოძზე დაყრდნობილი ფანჩატური, რომელიც სამ მხარეს ფართო ნახევარწრიული თაღებით იხსნებოდა. ბოძები,

[1] ერთი თავი წიგნისა „XVI—XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება".

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, პარიზი, 1929, გვ. 93.

თაღები და დასავლეთის ფასადი (წყობა თაღის გარშემო) თლილი ქვისაა, უმეტესად იმავე ყვითელი, ბოლნისის ტუფის მსგავსი მასალით ნაშენი, რომელიც ეკლესიის კუთხეებისა და კარნიზისთვისაა ნახმარი. მაგრამ არის ალგეთის ქვაც — ძალიან მუქი, თითქმის შავი (მაგ., დასავ. ფასადზე — კუთხეებში და თაღის ქვეშ გადახურვა ახლა ქვაყორისაა, უხეში, გაბრტყელებული, ქვაყორითვეა ამოშენებული დასავლეთის თაღი დატოვებულია მხოლოდ მცირე შესასვლელი) და სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები მთლიანად (ისე რომ გარედან თაღები სულ აღარ ჩანს). ეს ქვაყორეც იმ ბოლნისის ტუფის მსგავსია.

არა მგონია, რომ ეკლესია და მინაშენი ქრონოლოგიურად დიდად იყოს ერთმანეთს დაშორებული, თუმცა კი ინტერვალი უეჭველად იგრძნობა. მინაშენი უკეთესი ოსტატების ნახელავია და თვით ეკლესიაზე მეტი პრეტენზიითაცაა ნაშენი.

ღვთისმშობლის ეკლესიას ნამდვილი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. თვით მხატვრული ამოცანის არსებობაზედაც კი აქ მხოლოდ პირობით შეიძლება საუბარი. შენობის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების, ერთიანი რამ გააზრება აქ არა გვაქვს, არის მხოლოდ ორიოდე უპრეტენზიო დეკორაციული მოტივი კარ-სარკმელთა შესამკობად. აღმოსავლეთის სარკმელს ქვის სიღრმეშივე ჩაძირული ორმაგი გლუვი ლილვი უვლიდა გარს (სამხრეთის სარკმლის ქვები აღარ შენახულა, დასავლეთით, მინაშენის გამო, სარკმელი არ ჩანს). სამხრეთის შესასვლელი „სელჯუკური" გადაწნული ლილვების მოტივითაა გარშემოვლებული, ზემოთ ლილვები ისრულ თაღს ქმნის, ქვემოთ — ტრადიციულ ქართულ „კონას" ეყრდნობა. ტიმპანი სრულიად ცარიელია, უსამკაულო და უწარწერო. დასავლეთის შესასვლელის ჩარჩო კიდევ უფრო მარტივია, ცალლილვიანი, მისი თაღის მოხაზულობაც ნაკლებ წვეტიანია, მცირედ შეისრული. ტიმპანი ერთიანად წარწერას უჭირავს. დამახასიათებელია კარნიზის ინდიფერენტული პროფილი: ლილვი—წრეთარგი—ლილვი—თარო, რომლებიც ისეა ურთიერთგანლაგებული, რომ კარნიზი ოდნავ შვერილსაც კი არ ქმნის. გარკვეულად იპყრობს ყურადღებას ალგეთის მუქი რუხი ქვისა და ყვითელი თლილი ქვის შეფარდება: შეხამება მეტისმეტად მკვეთრი და ულამაზოა. თუკი აქ რაიმე მხატვრულ ჩანაფიქრთან გვაქვს საქმე (ეს სავსებით შესაძლებელია), ესეც მდარე გემოვნების მაჩვენებელია.

სამრეკლოს მარტივი მორთულობა — ბოძების გლუვი ლილვები, ბაზისებისა და სვეტისთავების სამყურა და ოთხყურა ფოთლები, როგორც ითქვა, უკეთესი ოსტატის ხელს ამჟღავნებს, თავისი ხასიათით კი სავსებით შეეფერება XVII ს-ის რეპერტუარს. ისლამური შემონაჟონი — ისრული თაღებისა და „სელჯუკური" ლილვების სახით — მაინც უფრო საკუთრივ ეკლესიას ეტყობა, ვიდრე მინაშენს.

ეკლესიის ამშენებლის ვინაობა და თარიღი ორ მხედრულ წარწერაშია მოხსენებული. აღმოსავლეთის ფასადის კენწეროში, საგანგებო თლილ ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში, ე. თაყაიშვილის თანახმად, ნათქვამია: „ქ: სამკვიდროთა:. ჩვენთა:. ტაშირის:. და:. საორბელოთ:. პატრონი:. და:. მრავლისა:. დიდებისა:. მჭონებელი:. ხუთთა:. ძმათა:. უფროსი:. უძეო:. ვიქმენით:. და ჯელ:. ვყავი:. ამს:. ჩვენთს:. სახსაენებლად (sic!):. შენდობა:. ბრძანეთ:. გბი:. ქს:. ტნიჰ:. სრულ:. იქმნა".

თარიღის ამოკვეთისას შეცდომა მოსვლიათ: უნდა ეწეროს ტნიჱ—368, რაც 1680 წელს უდრის (სტრიქონების განლაგება აქ არ დაგვიცავს).

დასავლეთის შესასვლელის ზემოხსენებული წარწერა ასეთია:

1. ქ: ნებითა
2. და შეწევნითა ღ
3. თისათა ჩვენ პატრონის
4. უფლნის შვილმა ბტონმა პაპუნ
5. ამნ და თნა მემცხედრემნ ჩვენმა აბაშ
6. ის ქალმა ბტონმა ბნგიჯსპიმ აღვშე
7. ნე წმიდა ესე ტძრი კარისა ღთისშშბ
8. ლის სახელზედა ჩვენდა შესდბლ[3].

ეს პაპუნა, როსტომ მეფის მდივანბეგისა და სახლთუხუცესის ყაფლან ორბელისშვილის უფროსი ვაჟი, სულხან-საბას ბიძა იყო. გარდაიცვალა 1689 წელს. ისიცა და მისი მეუღლე ბანგიჯასპიც დაკრძალულნი არიან ფიტარეთს — ორბელიანთა საგვარეულო სამარხში[4]. თავის დროზე ძლიერი ფეოდალი იყო — აკი თვითონაც „მრავლის დიდებისა მქონებელს“ უწოდებს თავის თავს. მაგრამ მისი კარის ეკლესია, როგორც დავინახეთ, მის პრეტენზიებს არ შეეფერება.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია 1683 წლისა. ეს შენობა — მცირე ერთნავიანი ეკლესია, ჩვეულებისამებრ, შიგნით აფსიდიანი, გარედან კი სწორკუთხა, ყოველგვარ მინაშენთა გარეშე — შეუდარებლად უკეთაა აგებული. თუ „ღვთისმშობელი“ მშენებლობის საერთო დონის დაქვეითებას მოწმობს, „წმ. ნიკოლოზი“ გვიჩვენებს, რომ შენების ტრადიციები და პროფესიული ოსტატობა სავსებით დავიწყებული არ ყოფილა, რომ კარგი ხელოსნები მაშინაც მოიძებნებოდნენ, თუ კარგი ხელოვანნი არა.

ეკლესია შორიდანვე ჩანს, რადგანაც ახლა ეს ადგილი უმცენაროა. მაშინვე იპყრობს ყურადღებას მისი კოხტა პროპორციები, რომლებიც ძალიან გვაგონებს XI—XIII საუკუნეთა ეკლესიებისას, და სუფთად გათლილი ქვის სავსებით წესიერი წყობა. იმავე დროს, აშკარად ჩანს, რომ მშენებელს გარკვეული მსატვრული ამოცანა ჰქონდა დასმული შენობის გარეგნული სახის შექმნისას.

გეგმის მხრივ, როგორც ითქვა, განსაკუთრებული არაფერია: ნავი და აფსიდი, პილასტრებისა და საბჯენი თაღების გარეშე. შესასვლელი ორია — დასავლეთითა და სამხრეთით: ეს უკანასკნელი იხეთი პატარაა, რომ თავდაუხრელად ვერ შეხვალ. სარკმელი აღმოსავლეთით ერთია, სამხრეთით — ორი, ორივე ფასადის მარცხენა (ე. ი. დასავლეთის) ნახევარში, ჩრდილოეთით და დასავლეთით — არც ერთი. უჩვეულოა დასავლეთის კედლის უსარკმლობა. საკურთხეველში, სარკმლის ორ მხარეს, საგრძნობლად უფრო დაბლა, თითო მოზრდილი, ნახევარწრიული გეგმის მქონე, თაღოვანი ნიშაა. ნავისა და საკურთხეველის კედლები უხეშად დამუშავებული, უწესო მოხაზულობის ქვებითაა ნაწყობი, ბათქაშგადავლებული და შეთეთრებულია. აფსიდის კუთხეები, შესასვლელთა და სარკმელთა წირთხლები და თაღები თლილი ქვისაა. თაღებისათვის წვრილი ქვაა შერჩეული: სოლებად დაწყობილ ქვებს შუა — ქვისავე თხელი ფილებია ჩაყოლებული. კამარა (რამდენადმე შემაღლებული, კვერცხისებრი) და კონქი — აგურისაა. საკურთხეველში თლილი ქვის ფილებია დაგე-

[3] წარწერა კარგადაა შენახული. სიტყვებს შორის ორ-ორი ან სამ-სამი წერტილია დასმული, ხელი ამ გვიანი ხანისთვის ჩვეულებრივია, მაგრამ ულამაზო.

[4] ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 95.

ბული, ნავის იატაკი — დაუმუშავებელი ქვისაა. შინაგანი სივრცე მაღალია, აზიდული, რაც ადრეთვე უჩვეულოა ამ გვიანი ხანის ერთნავიანი ეკლესიებისათვის. სამხრეთის კედელზე თვალს ეუცხოება სარკმელთა განლაგება: მარჯვენა სარკმელი თითქმის მიმჯდარია დასავლეთის კედელზე.

ფასადები აქაც ბოლნისის ტუფის მსგავსი, კაშკაშა ყვითელი ფერის, ქვითაა ნაწყობი. ცოკოლი სულ უბრალოა — ერთადერთი საფეხური. საკუთრივ კედლის წყობაში სამი ქვემო რიგის ქვები ბევრად უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ზემო რიგებისა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც ორმეტრიანი ქვებიც გვხვდება. კედლის შუა წელზე ამ ყვითელ სიბრტყეში ჩართულია ორი პარალელური ჰორიზონტალური სარტყელი — მეოთხე და მეექვსე რიგები წყობისა, რომლებიც მუქი ღვინისფერი (ბორდოსფერი!), არაჩვეულებრივად ინტენსიური ტონის, ქვითაა გამოყვანილი. სარტყლები ოთხსავ მხარეს უვლის ეკლესიას. ეს დეკორაციული ხერხია შენობის უმთავრესი ინდივიდუალური, განმასხვავებელი, თავისებურება. ხერხს „წინაპრები" მოეძებნება — სხვა ფერით გაძოყვანილი სარტყლები ადრევეც გვხვდება (იხ. მაგ., გუდარეხის „ჯაჭვამნო"), მაგრამ ხერხის ასეთი „დემონსტრაციული" გამოყენება არსად არ მეგულება (ამ სარტყლის გამო ეკლესიას ადგილობრივ წითელ საყდარს უწოდებენ). ამ შთაბეჭდილებას ისიც უწყობს ხელს, რომ სხვა ფერის ზოლები ფასადთა ზემო ნაწილში კი არ არის (როგორც წინათ იყო ხოლმე), არამედ დაბლა, მაყურებლის თვალის დონეზე.

კარნიზს აქ ბევრად უფრო ენერგიული პროფილი აქვს, ვიდრე „ღვთისმშობელში", მისი შვერილიც საკმაოდ საგრძნობია. იშვიათად შემხვედრია ისე კარგად შენახული ქვის სახურავი, როგორიც აქ არის. სახურავის ფილების წყობა გავრცელებული ტიპისაა.

მშენებლის ამოცანები და პრეტენზიები ფასადთა პლასტიკურ დამუშავებაშიაც იჩენს თავს. სამხრეთი ფასადი ამ მხრივ უფრო მარტივია: სარკმლებს გარს უვლის უჩუქურთმო თაღოვანი საპირეები, რომელთა ჩარჩოს თითო უწყვეტი გლუვი ლილვი შეადგენს. საპირეები თავის ლილვებიანად რელიეფურია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ფიცრისაგან გამოჭრილი და ფასადზე დადებული იყოს.

სამხრეთი შესასვლელი კიდევ უფრო სქემატურია: მის გარშემო სიბრტყე ამოზიდულია კედლის ზედაპირთან შედარებით. ეს ამოზიდული სიბრტყე, რომელსაც მხოლოდ გარედან უვლის გლუვი ლილვი, ქმნის შესასვლელის წირთხლებსა და ისრულ ტიმპანს: ე. ი. ტიმპანის სიბრტყე კედლის სიბრტყესთან შედარებით წინაა გამოშვერილი, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ტრადიციას.

უფრო დამახასიათებელია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები. აღმოსავლეთის ფასადის სარკმელი ისეთივეა, როგორიც სამხრეთისა: მარტივი სქემა, ყოველგვარი ჩუქურთმის გარეშე. მაგრამ ამ სარკმლის თავზე აღმართულია დიდი ჯვარი, გამოყვანილი წყვილი ლილვით, რომელიც სარკმლის შემომფარგლელი ლილვისაგან იზრდება. ხაზგასასმელია, რომ ჯვარი მხოლოდ ლილვებითაა გამოყენებული, ლილვებს შიგნით არავითარი სიბრტყე არ არის. ჯვრის ოთხსავ მკლავს ოთხყურა დაბოლოება აქვს. განივი მკლავების ქვეშ მოთავსებულია დაბალი რელიეფით შესრულებული ოთხი წვრილი ფიგურა, რომლებიც უკვე ე. თაყაიშვილმა განსაზღვრა, როგორც მახარებელთა სიმბოლოები: ეს მართლაც ასე უნდა იყოს, თუმცა ანგელოზის ნაცვლად აქ ექვსფრთიანი სერობინია, ხოლო ლომი და ხარი, რომლებიც ჰერალ-

დიკურად არიან განლაგებულნი, თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დასავლეთის ფასადზე ზუსტად ასეთივე ჯვარია განმეორებული, მხოლოდ მისი ფეხი რამდენადმე უფრო გრძელია და ჯვარი კედლის მთელ ზემო ნახევარს სწვდება. განმეორებულია, ოდნავ შესამჩნევი ცვლილებებით, ორი ოთხფეხა ცხოველის ჰერალდიკური ჯგუფიც, ამჯერად განივი მკლავების ზემოთ. აქ მნახველს ეკვი არ შეეპარება, რომ ორი ლომია გამოსახული და არა ლომი და ხარი. დიდი ჯვარი პორტალის გარეთა საპირეზეა შესმული: საპირე, სწორკუთხა მოხაზულობისა, ბრტყელი და უჩუქურთმო, უჩვეულოდაა წინ წამოწრილი[5]. ასეთი არაჩვეულებრივად რელიეფური და ფართო საპირე შეუსაბამოა ამ მცირე ფასადისთვის, მით უფრო, რომ საკუთრივ შესასვლელი სულ პატარაა და სიმაღლით საპირის ნახევარს ძლივს წვდება. ნებისმიერაა მოტმასნილი თაღოვანი „სათაური“ შესასვლელსა და გარე საპირეს შორის. ჩუქურთმის უქონლობა აძლიერებს სქემატურობისა და სიტლანქის შთაბეჭდილებას. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნე, მაინც ჩანს, რომ შენობის გარეგნობა ოსტატს თავისებურად გააზრებული ჰქონდა, როგორც მთლიანი რამ: ამას მოწმობს კოლორისტული ხერხიც — წითელი სარტყლები, და მსგავსი მოტივების გამოყენება განივი ფასადებისათვის.

შენობის ოთხსავ კუთხეში აყოლებულია ამ ხანისათვის დამახასიათებელი გლუვი ლილვები, რომლებიც ქვემოთ ტრადიციულ, მაგრამ სქემატიზებულ, კონებს ეყრდნობა. არსებითად, ამგვარივე ლილვები და კონებია გამოყენებული დასავლეთის პორტალის როგორც გარეთა (დიდი), ისე შიგნითა (უშუალოდ შესასვლელის შემომფარგველი) საპირეებისათვის. ნიშანდობლივი მოტივია სამხრეთის ტიმპანის წვეტიანი ფორმაც. სარკმლების მოჩარჩოება ადრევე ცნობილი (უმეტესად XIII ს-დან გავრცელებული) ტიპისაა, მხოლოდ სრულიად სქემატიზებული. ასევე, სქემის სახითაა წარმოდგენილი პორტალის კომპოზიცია — გარეთა სწორკუთხა, შუა თაღოვანი და შიგნითა სწორკუთხა საპირეებით — კარგად ცნობილი საქართველოსა და სომხეთში მდიდრულად მრთული პორტალების სახით (XIII ს-ის ნახევარზე ადრე ეს

---

[5] ამგვარად, აქ დარღვეულია ოთხი სიმბოლოს მთლიანობა, ერთიანი ფორმულიდან გამოთიშულია ნაწილი. ამის მიზეზი ორი შეიძლება ყოფილიყო: ან ტანძიის ოსტატს არ ესმოდა იმ ნიმუშის შინაარსი, საიდანაც გადმოიღო თავისი რელიეფები და ამიტომ შეუძლებლად მიიჩნია გაეთიშა აზრობრივად გაუთიშავი გამოსახულება: ან — მე ეს უფრო სწორი ახსნა მგონია — ოთხი სიმბოლოს გამოსახულება მან სხვადასხვა ნიმუშის მიხედვით შეადგინა: სერობინი და არწივი — დეტალურად დამუშავებული ღარებიანი და ნაჭერეტებიანი ზედაპირით — ერთი ნიმუშიდანაა, ორი ოთხფეხის გლუვი, ელემენტარული ფიგურები — მეორიდან. თანაც, ამ ორი ცხოველის ორიგინალი სულაც არ წარმოადგენდა მახარებელთა სიმბოლოებს, ეს მართლაც ჰერალდიკური ლომები იყო. ტანძიის ოსტატმა ისევე გადმოიღო ისინი — მას, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ინტერპრეტაციის თავი არ ჰქონდა და ლომის გამოსახულებას ხარისად ვერ აქცევდა. მაგრამ ლომების წყვილი მან ცალკეც გამოიყენა თავისი პირდაპირი დანიშნულებით. ამ ხანაში ლომების გამოსახულება საერთოდ დიდად პოპულარული იყო.

მახარებლების სიმბოლოთა გამოსახულებას ქართულ დეკორაციულ ქანდაკებაში ადრევე ვხვდებით: დიდად საინტერესო ნიმუშია, მაგალითად, კუშურღოს ტაძრის (964 წ.) აღმოსავლეთ ფასადის მთავარი სარკმლის გარეთა ჩარჩო, სადაც ოთხი ფიგურა ორნამენტულ არშიასთანაა დაკავშირებული. ტანძიის რელიეფებს ამ ნიმუშთან, რა თქმა უნდა, საერთო არაფერი აქვს არც კომპოზიციითა და არც ინტერპრეტაციით. ჩვენთვის აქ ის არის საინტერესო, რომ ის ძველი თემა XVII ს-ში კვლავ პოტენციდა.

დატვირთული, პრეტენზიული და მშრალი კომპოზიცია საქართველოში უცნობია. მისი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში ახტალაში გვაქვს).

ცალკე მინდა აღვნიშნო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადთა ჯვრები. დიდი ჯვრებით ფასადების მორთვა, როგორც ცნობილია, ქართულ ხუროთმოძღვრებაში ძველი ტრადიციაა, რომელიც ამ გვიანა ხანაში აქა-იქ კვლავ წამოყოფს თავს (ანანური, პეტრე-პავლეს ეკლესია საგარეჯოში, ბარაკონი). მაგრამ თვით ჯვრის სახე, მისი დამუშავება არაა ქართული: ასეთი ჯვარი მე მხოლოდ სომხეთში მეგულება, მაგ., ახპატის 1245 წლის სამრეკლოს ფასადზე. მოტივი უცვლელადაა გადმოღებული, მხოლოდ შეფარდებულია ტანძიის ფასადებთან.

სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ტანძიის წმ. ნიკოლოზის ოსტატი, ისევე როგორც ხატისსოფლის პატარა ეკლესიისა, ტომით სომეხი ყოფილიყო. მის მიერ აგებული ეკლესია — გეგმით, საერთო იერით, პროპორციებით, ცალკეული დეტალებით, ტრადიციული ქართული ძეგლია (ბუნებრივია თავისი დროის სტილისტიკური ნიშნებით). მაგრამ ეროვნულმა და სარწმუნეობრივმა გრძნობებმა, ოსტატს, როგორც ჩანს, უკარნახა მისთვის ძვირფასი, მშობლიური ხელოვნების მოტივიც შემოეტანა და ჩაერთო თავის ნაწარმოებში (როგორც დავინახეთ, იმხანად აღმოსავლეთ საქართველოში სხვა სომეხი ოსტატებიც მუშაობდნენ და რომ მათი წარმოშობა რაღაც კვალს მაინც ამჩნევდა მათ ნაწარმოებთ).

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მშენებლის ვინაობა სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში წერია:

ⵜⵔⵇ ⵅⵗⵆ
ⵓⵀⵇⵔ ⵖⵜⵓⵗⵅ
ⵗⵔⵜⵅⵏ ⵇⵐⵅⵖⵖⵆⵏ

„ქ. წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ექმენ პატრონს ორბელს“[6]: ხოლო აშენების გარემოების აღწერასა და თარიღს ვპოულობთ ამ ორბელის მიერ შეწირული სვინაქსარის მინაწერში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა:

„ქვს:ტოა: მე ფრიად ცოდვილმან და ყოველთა ცოდვათაგან შებღალულმან, საქართველოს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთისა ჯელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან, დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის ძმამან, მდიანბეგმან ორბელ, აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შინა ტანძიას ქარის ეკლესია სახელსა ზა წდისა და დიდებულისა, უბრალოთა სიკვდილისაგან დამხსნელისა, წდისა ნიკოლოზისა. და შევამკევი ⁻ცლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითა... [შემდეგ ჩამოთვლილია შეწირული საეკლესიო წიგნები]... ცოდვილისა სულის ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩემისა არაგვის ერისთვის ზაალის ასულის ბატონის თამარის ცოდვათა შესანდობელად და რვათა ძეთა და სამთა ასულთა წარსამართებელად და სადღეგრძელოდ...“[7]

---

[6] ასოები დიდია, ულამაზო, თუმც ძალიან მკაფიოდ ნაწერი — ყოველი ასო სრულიად განცალკევებულია. ეს სამი სტრიქონი ერთიანად ავსებს ტიმპანს. დამწერის მხატვრულ გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სხვაც რომ არაფერი იყოს, ასოები შეუფერებლად დიდი და ტლანქია ამ პატარა შესასვლელისათვის.

[7] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 93—94.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მაშენებელი მდივანბეგი ორბელი — იგივე ვახტანგი — იმ პაპუნას ძმაა, რომელმაც ღვთისმშობლის ზემოთ აღწერილი ეკლესია ააგო. მის „რვათა ძეთა“ შორის ერთ-ერთი სულხან-საბა იყო: ეს პატარა სამლოცველო საბას მშობლების კარის ეკლესიაა. თვით ძეგლის არქიტექტურა — როგორც დავინახეთ — თავისი დროის დამახასიათებელი ნიმუშია, რომელიც ზოგ რასმე ინდივიდუალურად საინტერესოსაც შეიცავს[8].

---

8 წმ. ნიკოლოზის ეკლესია ჯერჯერობით მნიშვნელოვან დაზიანებათა გარეშე დგას. ყველაზე თვალსაჩინო ზიანი დასაელეთის ფასადს მოსვლია: მცირედ შელახულა კარხიზი, რაღაც ფიგურული ჯერის მარცხენა მკლავი თითქმის სულ დაღეპულია. 1964 წლის სექტემბერში, როცა მე მეორედ ვნახე ეკლესია, მას ორივე კარი შებმული ჰქონდა და შიგნითაც სუფთად იყო. მლოცველნი აქ ახლაც დადიან და შესაწირავი ფრინველი მიაქვთ.

ნელი ბრეგაძე

ირემი და ხარი

ქართველი ხალხის უძველესი ხელოვნებისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ დაწერილ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში მასალები ირმისა და მისი გამოსახულების შესახებ ახლებურადაა გააზრებული. სახელდობრ, ირემი, რომელიც ნადირობის ღვთაების საკულტო ცხოველად ითვლებოდა, უკვე ასტრალურ კულტებთან და სამიწათმოქმედო ყოფასთან კავშირში განიხილება[1]. მის შერწყმას აგრარულ კულტთან კი ენეოლითის დასასრულისა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისით ათარიღებენ[2].

რა უნდა დადებოდა საფუძვლად აგრარულ კულტთან ირმის დაკავშირებას?

არქეოლოგი ი. კიკვიძე სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ ირმის ღვთაებრივი ძალა მის რქებში უნდა იყოს, რქებში, რომლებიც იმავდროულად სამიწათმოქმედო იარაღებად გამოიყენა ადამიანმა. ირმის, ნიამორისა და ჯიხვის რქები მეტად მოსახერხებელი მასალაა მიწის საჩიჩქნი პრიმიტიული იარაღების გასაკეთებლად და უძველესი თოხები და პირველყოფილი სახვნელები ამ მასალისაგან მზადდებოდა[3]. მართლაც, როგორც საქართველოში, ისე სხვა, ძველი მიწათმოქმედების ქვეყნებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში მრავლადაა დამოწმებული ირმისა და მისნაირთა რქებისაგან გამზადებული სამიწათმოქმედო იარაღები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოში აღმოჩენილი, სახვნელად მიჩნეული ირმის რქის ტოტი[4]. აღნიშნულთან კავშირში კი საგანგებო მნიშვნელობას იძენს

---

[1] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, „ენიმკის მოამბე." X, 1941; ი. სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში, საკანდ. დისერტ., თბ., 1967, გვ. 111—118; Л. Пацхава. К истории художественного ремесла колхидской и кобанской культур. Автореф. канд. диссерт., Тб., 1975, с., 16—17.

[2] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 191.

[3] იქვე.

[4] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 45, 61; ტ. ჩუბინიშვილი, ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისთვის. „ძეგლის მეგობარი", № 33, 1973, გვ. 17—18.

თუმც გამოითქვა მოსაზრება, რომ განათხარი ირმის რქის სახვნელ იარაღად აღდგენის ცდა არადამაჯერებელია (В. А. Шнирельман, Происхождение скотоводства. М., 1980. с.129), მაგრამ სემიონოვის ნაშრომში (С. А. Семенов. Происхождение земледелия, Л., 1974, с. 213—216) მოტანილი ექსპერიმენტული სამუშაოები თუ საქონლის არა, ადამიანის ძალის გამოყენებით პრიმიტიული იარაღის გაწევის შესაძლებლობის დაშვების საშუალებას მაინც იძლევა. ამავე თვალთახედვით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მოწმდება გარკვეული კავშირი სახვნელი იარაღისა და ირმის რქის რუსულ სახელწოდებათა შორის: „Соха — развили-

ცნობა იმის შესახებ, რომ სვანეთში „მოსახლეობა შორეული დროიდან მიმართავდა სახნისის დანიშნულებით, ან მიწის სათხრელად, ჩაინის მაგივრად რქის გამოყენების პრაქტიკას“[5]. ხოლო გარეული თხის რქის, ან მეტად გამძლე, მაგარი, ამასთან ელასტური იარაღის გამოყენება ნიადაგის ქვებისაგან გასაწმენდად, საჩიჩქნე-გასაწერად თუ სარწყავი თხრილების გასაყვანად მალალი მთის ზონის მიწათმოქმედებაში დადასტურებულია შუა აზიის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც[6]. ასე რომ, ჩანს, ირმის დაკავშირებას აგრარულ კულტთან თითქოს მართლაც ეძებნება სავსებით რაციონალური, პრაქტიკული საფუძველი. მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა ამ ფაქტის მიზეზი გამხდარიყო სხვა რამ, უფრო ხელშესახები და მნიშვნელოვანი მოვლენა?

И Тигр и Ефрат заполнили их берега,
Тогда Ан, Энлил, Уту (и) Энки
Могущественные божества —
С великими богами, вместе с Анунаки[6]
В своем верховном царском покое[7]
Друг с другом так говорили[8]:
— Теперь, когда между небом и землей границы разграничены[9],
И определено течение потоков и вод в каналах[10],
(Когда течение волн широкого) Тигра (и могучего) Ефрата[11]
Льется по определенному для них руслу, —
Возможно ли еще больше сделать нам?
Что другое можно сотворить?[12]
О Анунаки, (матери-земли) великие божества[13],
Что создать сейчас, (что) требуете от нас?
Что проделать?
(Начто) божества (земли), стоящие вместе (и)

---

[1] Синоним—„образовались" можно перевести так: „Когда небо и земля, эта вечная пара, создалась". у E. Ebeling-a „вечная пара" отсутствует и он переводит Als Himmel und Erde vollendet worden waren" til—a—ta—éš—a- „определенным был"; F. W. Galpin переводит как „неотделимая пара".

[2] Можно и так перев. „Когда божественная Инанна их изобразила", или „когда Инанна, мать богов, их сотворила". у E. Ebeling-a имя богини отсутствует и он так переводит: Als die Mutter der Göttinen geboren worden war в шумер. тексте читается dingir anna dingir Ninni—ge—e—nè ba—sa—e—de или как у F. W. Galpin-a. Dingir anna dingir Inanna—ge—e—ne ba—si—sig—e—he.

[3] Можно перев. и так: „(и) земля утвердилась в означенном месте"; E. Ebeling переводит так: „Die Erde gebaut worden war".

[4] У F. M. Galpin-a точнее: „When in the place ordain' d the earth was laid". E. Ebeling восстанавливает: ú—šu—rat šamē ú irṣitim ina kunnišina.

[5] Воды в каналах—передается e—pa—e—ri šu—si—sà—ga—ga—e-de: i—ka ù pal—ga ina šutešu risumu Издание текста: E. Ebeling, Keilschriftt. aus Assur, religiösen Inhalts, IB., H. 2, N4, Leipzig, 1919; E. Ebeling, Die Erschaffung des Menschen bei den Babyloniern, Zeitschrift d. Deutsch. Morgenl. Geselschaft, B. 70, Leipzig, 1916; F. W. Galpin, The music of the Sumerians... Cambridge, 1937, p. 99—104...

[6] В оригинале „с Анунаки; с великими божествами—Dingir A—nunna dingir gàl—gàl—e—ne.

[7] В оригин. „сидели в своем царственном местопребывании"

[8] E. Ebeling переводит: „Aus einigen Antriebe erzählten sie."

[9] „Разграниченный" можно заменить словом „определенный", или „твердоразграниченный". У E. Ebeling-a „Da die Geschicke Himmels und der Erde festgesetzt worden sein".

[10] F. W. Galpin-a „And lin'd upon their course, stream aud canal" у E. Ebeling-a „Kanal und Graben in ihrem Richtung gebrach worden sind" 2 IIn assyr. „i—ka, ù pal—ga: ina šutešurišum.

[11] ср. Id idigna id buranunu: i—di—ig—laḫ—ù pu—(rat—lu).

[12] ассир. „mi—na—a ni—pu—uš" √aps—делать; mi—na—a мы берем синоним „сотворить". Эту стр. можно перев. так: „что можно делать".

[13] Точный перевод: „Анунаки, божества великие" ср. Dingir A—nun—na Dingir gàl—gàl—è—nè ассир. перев. Ilu A—nun—na—ku ilāni(pl) rabutē(pl).

(Сам) Анунаки, в чьих руках судьбины[14]
Они попросили у всемогущего Энлиля[15]
Там, где сходятся друг с другом небо и земля у Узумуа[16]
Ламга Ламга в жертву принесите вы[17]!
Из их крови нужно человечество сотворить!,
С этим воссоединится служение богам,
Зорко следить за граничащим потоком,
Утруждать руки лопатами и корзинами,
Превозносить жилища богов!
Дабы поля в их ограниченной зоне,
Реки, которых орашающие потоки неприкосновенно охраняемы,
Направление каналов, камней для защиты,
Растения для созревания плодов, чтобы водой напоить,
(Все нужно проделать!)[18]
Сами небеса, добрым взором оматрящие вниз,
Как-бы открывая нутро земли,
И заполняя запасами после сбора урожая,
Несут сокровища на волнах и по земле[19],
Так как обилия ждет каждый уголок и дом
И вся страна в содружестве улыбается[20]
И так будут заполнены луга Анунаков.
Рост обилия в стране увеличит их благодеяние
И праздники в честь божеств с достоинством совершатся.
Свежестью либации бушующих святых волн,
Там, где на вершине[21] дом божий воздвигнут —
Хозяева обилия, сами божества,
И быки, скоты — рогатые — крупные,
Мелкие, рыбы и птицы,
На земном просторе размножатся,
А в честь Энлил и Эрешул
Гласная мольба воздастся из уст святых[22].

---

[14] В оригинале: dingir gàl—gàl—é—nè mu—un—su—ri—eš—a ilāni(pl) rabûte(pl) šu—ud iz—zizu ассирийск. перев. расход. с шумер в 22 стр. dingir A—num—na dingir Nam—ta—ri ассир. перев. Ilu A—nun—na—ku mu—ši—im ši—ma—ti наш перевод более свободный

[15] Слово „всемогущий" отсутствует в оригинале.

[16] uzu—mu—a встречается в шумер. тексте на 24 стр. шумер. uzu—mu—a—ki dur—an—ki—ge сравн. соотв. ассир. ina uzu—mu—a—ki ri—ki—iš šamē u irṣiti, где слово uzumua встречается и в ассирийском и в шумерском, мы решили в переводе оставить в таком-же виде.

[17] Lamga встречается в ассирийском тексте соответств. шумер. Dingir magar dingir nagar im—mân—tag—en—zên.

[18] В этом месте перечисляются обязанности человека, смысл конца теряется, т. к. следующие строки стерты, У Е. Ebeling-а это место опущено, строки не восстанавливаются.

[19] Смысл переводится весьма условно.

[20] У F. W. Gal·pin-a „вся земля улыбается в сладких аккордах", аккорд можно только понять, как созвучие—в переносном смысле: дружбы, согласование и т. д. переводить вместо „страны" можно употребить слово „мир."

[21] „Вершина" свободный перевод, точнее—„возвышенное место". В этих местах у меня частые отступления от оригинала.

[22] E. Ebeling так переводит: „Mit ihrem reine Munde verherl werden" „гласная" условный перевод.

Ты, священная Аруру, богов — царица мира[23]!
Детям[24] воздашь щедрые воздаяния.
Люди, умудренные в грамоте, мужественны в делах воскреснут,
Как колосья урожая, восходящие из нутра земли[25].
Тогда звезды утвердятся в означенном месте
И обойдут вокруг святого праздника[26].
Своею неограниченною волею
Божества определили так:
С Анном, Энлилем
Энком и Нинмахом, —
Всемогущими божествами —
И здесь[27] где люди впервые вздохнули,
Всемогущая Нисаба оживилася
. . . . . .
Таинственность хочу я осветить[28].

Древнейшая музыкальная система Месопотамии исследована А. Д. Кильмером, М. Душесне-Гуиемином, Д. Вульстаном и др.[29]... по этому мы их не проанализируем. Вторая система, которая создана по аналогии греческой нотописи, нуждается в аргументации. Доводы К. Закса и Ф. Гальпина в основном не подтвеерждаются. Текст представляет партитуру для руководителя хора, который по слогам распределял в шумерийском тексте музыкальные знаки и потом по своему распределению обучал хоровикам текст и мелодию.... если досканально проанализируем форму, то убедимся, что начальные слоги не являются алфавитом, наоборот. Древние музыкальные знаки основывались или на азбуке, или на цифровых соотношениях, невматические знаки встречаются редко. Невмы не бывают в изолированном виде. Основа всяких невм-числовое соотношение. Строфический анализ музыкальных слогов дает следующую картину:

---

[23] Точнее „Ты Аруру, которая для владычества сотворена". Царица божеств встречается в ассирийском переводе ilu bēlit ilāni(pl) ilu bēl „владыка", а в шумерийском тексте соответств. dingir A—ru—ru nam—mu—a tum—ma.

[24] Слово „Детям"—здесь подразумеваются „Люди"—„дети божие" по тексту.

[25] Точнее—„будут как колосья, сами из земли что вырастают". У E. Ebeling—а так переводится соответств. место: „werden wie Korn von selbst aus der Erde sprossend, geboren werden".

[26] Точнее—„обойдут день и ночь праздник божий".

[27] Точнее „на том месте, где".

[28] Последняя строка не относится к гимну, жрец-переводчик приписал, У F. W. Galpin-а не встречается соответствующее место, а У E. Ebeling-а так переводится „Geheimnis will ich als Wissender dem Wissenden zeigen".

[29] W. Staudler, Ein Musiktraktat aus dem zweiten vorchriftliche Jahrtausend, 1970; Die Musik sumerer. babylonien und assyrien. Orientalische Musik, Leiden, 1970, S. 233—239; Duchensne—Guilemin, Decouverte d'une gamme babylonienne (Rev. de music. XLIX, 1963, Paris, pp. 3—17); „La théorie babylonienne des Métaboles musicales" (Rev. de mus. T. LV, 1969, pp. 3—11); „A L'Aube de la theorie musicale concordance de trois tablettes babyloniennes" (Rev. du mus. LII, pp 147—162); „Survivance orientale dans la designation des cordes („Syria" 44, pp, 233—246); Oxyrrinchos—E. Laroche, „Documents en langue hourite provenant de Ras Shamra.. (Ugaritica, V, Paris 1968); H. C Güterbock, Musical notation in ugarit (Rev. dIAss., LXIV, v. №1, 1970, pp. 45—52); D. Wulstan, Music from ancient Ugarit (Rev. d'Assyr. LXVIII, 1974). (pp. 125—128).

	ЛИЦ СТОР.			ГЛАС+СОГЛ.
1	ME-MB-KUR-KUR	(4..)	=2+2=a+a+B+B	M,K,A,E,U
2	A-A-A-A-A	(5)	=1^5= a+a+a+a+a	A
3	KU-KU-LU-LU	(4)	=2+2=a+a+B+B	K, L, U
3	MAŠ-MAŠ-MAŠ	(3)	=1^3=a+a+a	M, A, Š
5	MAŠ-KAK-MAŠ-NI	(4)	=a+B+a+c	M, A, Š, K, N, I
6	ŠI-KAK-ŠI-NI-DIA	(5)	=a+B+a+c+d	
7	U-MAŠ-MAŠ-MAŠ	(4)	=a+B+B+B	MAŠ
8	LAL-LAL-ŠI-MAŠ	(4)	=a+a+B+c	
9	MAŠ-ŠI-ŠI-ŠI	(4)	=a+B+B+B	
10	ŠI-ŠI-ŠI-A-ŠI	(5)	=a+a+a+B+a	ŠI
11	A-ŠI-ŠI	(3)	=a+B+B	
12	ME-A-MI-NI	(4)	=a+B+a+c	ME, NI
13	ÁŠ-NI-ŠÁ-UR	(4)	=a+B+a+c	
14	NMN-NI-NUN-UR	(4)	=a+B+a+c	NI
15	A-KU-KIV-A	(4)	=a+B+c+a	
16	A-KUR	(2)	=a+B+B+a	KUR, A
17	KUR-A	(2)		
18	A-AN-AN-A	(4)	=a+B+B+a	A, AN
19	KUR-BA-KUR-U-TA	(5)	=a+B+a+c+d	KUR
20	- - - - - - - -			
21	MB-ZU-ME-ZI-ZU	(5)	=a+B+a+c+d	MB
22	- - - - - - -			
23	NI-ZU-A-ZU-ZU-ZU	(6)	=a+B+c+d+d+d	LU
24	NI-BA-NI-BA-BA	(5)	=a+B+a+B+B	NI, BA
25	A-BA-A-BA-BA	(3)	=a+B+a+B+B	BA
26	BA-BA-BA-BA-A	(5)	=a+B+a+a+c	BA, A
27	BA-A-BA-ZA-ZA	(5)	=a+B+a+c+c	BA, A, LA
28	NI-A-A-NI-TAB-NI	(6)	=a+B+B+c+d+c	NI
29	KAŠ-NI	(2)	=a+B	KAŠ, NI
30	NI-IB-BA-BE-NI	(5)	=a+B+c+d+a	IB, BA, BE, NI
31	BE-NI-IH	(3)	=a+B+c	BE, NI, IH
32	IŠ-BE-NU-NU	(4)	=a+B+c+c	IŠ, BE, NU
33	A-NU-NU	(3)	=a+B+B	A, NU
34	ŠAG-KUD-SAG-KUD-DA-A	(6)	=a+B+a+B+c+d	ŠI, KUD, DA, A
35	ŠAG-AN-SAG-AN-IUK	(5)	=a+B+a+B+c	SAG, MU, IUK
36	ŠAG-MU	(2)	=a+B	SAG, MU
37	ŠAG-KUR	(2)	=a+B	SAG, KUR

38. SAG—KUR—TA (3)=a+b+c
39. KUD—DA—KUD—DA (4)=a+b+a+b
40. GAB—GAB (2)=a+a
41. NIN—GAB—NIN—SAR (4)=a+b+a+c

II

1. /NIN(?)/—LAH (2)=a+b
2. NIN—LAH—AN—KA (4) =a+c+c+d — NIN, LAḪ
3. PU—TA—KUR—TA (4) =a+b+c+b
4. BIT—TA—BIT—GUD (4) =a+b+a+c — TA
5. AN—SUR—AN—SUR—SUR (5)=a+b+a+b+b
6. AN—MAL—AN—LAM—MA (5)=a+b+a+c+d — AN(+ŠUR+LAM . . .)
7. UD—MA—UD—UD—MA (5)68c7=a+b+a+a+b — UD+MA
8. LAH—GA—LAH—LAHIGA (5)=a+b+a+a+b — LAḪ+GA
9. AN—GAR—GAR—AN (4)=a+b+b+a
10. AN—AS—AS—AN (4)=a+b+b+a — AN
11. AN—BA—AN—BA—NI (5)=a+b+a+b+c
12. AN—NI—AN—NI—ZU (5)=a+b+a+b+c — BA, AN
13. HI—GA—HI—HI—GA (5)=a+b+a+a+b
14. ME—HI—MS—HI—GA (5)=a+b+a+b+c — ḪI
15. SI—BA—NI—SI—BA—UR (6)=a+b+c+a+b+d
16. ḪU—ḪU—ḪU—BA (4)=a+a+a+c
17. ḪU—UR—ḪU—RU (4)=a+b+a+b — ḪU
18. ḪAL—U—U—A (4)=a+b+b+c — PA

. . . . . .

21. A—A—UR—AN—UR(5)=a+a+b+c+d
22. NI—NI (2)=a+a
23. NI—NI—A (3)=a+a+b
24. NI—NI—NI (3)=a+a+a — AN, NI
25. NI—NI—A (3)=a+a+b
26. AB—BA—AB—BA—MU (5)=a+b+a+b+c
27. AB—BA—NI—AB—BA—A (6)=a+b+c+a+b+d — AB+BA
28. AB—BA—ER (3)=a+b+c
29. SI—KIN—SI—KIN—KIN (5)=a+b+a+b+b
30. KIN—KIN—KIN—A (4)=a+a+a+c — KIN

Основные формулы

1. a+a+b+b (c1, 3)
2. a+a+a . . . . (6c. 2, 4, 40, II —22, 24)
3. a+b+a+c . . . . (c. 6, 12, 13, 14, 19, 21, 41, II—4,5).
4. a+b+b+a (16—17. 18, II—9, 10).

Начальные слоги текста навели Курт Закса[30] и Фрэнсиз Гальпина[31] на мысль, что в этих слогах изложены музыкальные ноты, или точнее — знаки. Ф. Гальпин так уверен в своей расшифровке, что в конце своей монографии излагает на современных нотах гимн, а в соответствующей главе критикует Курт Закса. Мы не разделяем теории Курт Закса и Ф. Гальпина, но допускаем возможность вопреки А. Д. Кильмера[32] и Б. Ландсбергера[33], что в эту эпоху, по аналогии греческого музыкального письма, дело имеем со вторым видом музыкально-графической системы.

До полемики мы проанализируем теории Курт Закса и Фрэнсиз Гальпина. Курт Закс в своих исследованиях отмечает что в клинописном тексте в семидесяти строках встречаем шестьдесят два различных клинописных слога. Он их делит на три части: А. слоги, которые изображают только гласные звуки Б. слоги, которые оканчиваются на гласные, В. слоги, которые оканчиваются на согласные. Предположение, что в шумерийской, или в ассирийской музыке, в одном гимне насчитывалось 62 тона, неестественно и немыслимо, по этому Курт Закс т. н. музыкальные знаки делит на две группы: 1. слоги, оканчивающиеся на консонанты и 2. слоги, оканчивающиеся на сонанты. С некоторыми клинописными знаками, по аналогии греческой сольмизации, допускает лигатуру. Курт закс этих слогов воспринимает как результат слияния различных звуков: например он считает, что слог MA неслитный, а MAŠравн. MA+ŠI, KUR = KU + RU и после подобного анализа, число 62-х знаков доводит до двадцати восьми, но и на этом тоже не останавливается, он отождествляет графически разных знаков: u-й, ma-me-mi... ему нужны восемнадцать знаков в подобной комбинации он добывается своего. В восемнадцати тонах допускается та или иная примитивная система музыкальных тонов. Он в этой системе, в пределах параллельных кварт, квинт и октав предполагает диапазон для инструментальной музыки, основным строем в пределах подобного диапазона можно допустить пентатонику, без полутона[34]. По мнению Курт Закса, человеческий голос имитировал в унисон с музыкальным инструментом, мелодия свободно мутировалось. Певец или певица пела мелодию в пределах a—d[35], музыкальная скала так выглядела:

---

[30] Curt Sachs, Ein babylonische Hymnus (Archiv für Musikwissenschaft, 7, 1925, S. 1—22;) „Die Entzifferung einer babylonischen Notenschrift" (Sitzungsberichte der reus. Akad. der Wissenschaften, 1924, S. 120—123); „Musik im alten westlichen Orient" (Die Musik der Alten Welt, Berlin, 1968, S. 63—90; The Mystery of the babylonian Notation (The Musikal Quarterly, XXVII, 1941, pp. 62).

[31] Fr. W. Galpin, The Music of the Sumerians (Cambridge, 1937, pp. 43—48, 99—104).

[32] Anne Dreffkorn Kilmer, The discovery of an Ancient Mesopotamian Theory of Music. Of the American Philosophical Society. Philadelphia, 1971, pp. 131—149;

[33] Benno Landsberger, Die angebliche babylonische Notenschrift (Entschrift Max Freiherrn von Oppenheim, Berlin, 1933), S. 170—178; „Zum Silbenalphabet „B" in Cig and H. Kizilyny, Zwei Yaylarin den VII, №35, Ankara, 1959, S. 97—116 (cf. pp. 66—76).

[34] Die Tonpaare, von Ligaturen Silben dargestellt, bildeten keine gesanglichen Intervale, sondern typische Instrumentalintervalle, namentlich Oktaven, Quinten und Quarten. Das ganze Musikstück musste instrumental sein.

[35] Die gewonnenen... Tonpaare gehörten den strengesten Pentatonik ohne „Piens" an S. 122).

a^2 g^2— —c^2 d^2—h^1 a^1 g^1 —e^1 d^1 —h a g—e d
a^2 g^2 f^2— d^2 e^2—a^1 g^1— d^1 c^1—a g— —d
a^2 g^2 fis^2 e^2 d^2—h^1 a^1— fis^1 c d^1 —h a—fis

Из этих восемьнадцати клинописей он выделяет основные тоны, а остальные знаки состоят из двух, трех тонов. Из звукового ряда C, D, E, Fis, G, A, H, c—вавилоняне применяли:

C D — — G A — C
C D F — G A — C
— D — — G A H' —
— D Fis — A H —

В диатонических и в хроматических строях 1/2 тона не допускаются....

После Курт Закса, долгое время никто не занимался расшифровкой.

В 1937 году английский ученый Фр. Гальпин, в своей монографии, совершено, по другому проанализировал текст гимна. Он, как Курт Закс, утверждает, что: 1. Фиксация нотных знаков для инструментов, предшествовала музыкальных знаков для голоса. 2. Древнейшие нотные знаки в Греции и, вообще в Европе, связаны с алфавитом, а само по себе, греческое письмо исходит от семитского, следовательно и греческие ноты исходят от семитских музыкальных знаков. Кроме гимна, в раскопках древнейшего культового города Сиффара, были найдены, с аналогичными музыкальными знаками, глиняные таблички[36]. Эти таблички, по мнению специалистов, были составлены для учеников храма. Клинописные знаки бессодержательные, в них не дается текст, не годятся эти знаки и для изучения алфавита, так как в тридцать одном знаке самое простое «А» повторяется семьдесят один раз и в этих табличках, как и в гимне, чаще написаны простые клинописные знаки, чем сложные. Здесь приведенные знаки легче и дольше произносятся, нежели другие. Отсюда можно заключить: что подобные тексты не применялис для обучения азбуки.

Если эти знаки не пригодны для изучения алфавита и они написаны для инструментальной музыки, то ставится вопрос для какого инструмента писались: ударные инструменты всех видов (разные барабаны, кимвалы) — исключены, немыслимо что в ту эпоху ударные имели бы диапазон 1 1/2 октавы, и мы еще достоверно не установили имели-ли они определенную стандартную звуковую высоту. Исключаются и духовые инструменты, так как не понадобилось бы для духового инструмента пять, или десять раз писать один и тот же музыкальный знак, исполнитель мог бы одним дыханием исполнить аналогичные ноты и не повторять их, если это не требовал деление текста. Мы думаем, что подобные ноты писались для струнных инструментов (арфа, лира, лютня), тем более струнные инструменты звучали в стенах храмов и в домашнем быту.

Ф. Гальпин доказывает, что каждая нота должна быть доведена до альфавитного знака и не считаясь спецификой клинописного письма слоги сводит до отдельных букв и слагает их по древнееврейскому алфавиту: RA—R, bi—be—bu—ba—b....

---

[36] H. de Genoillac, Note sur le Zag-sa et autres istrument de musique Sumeriens (Rev. d'Ass. vol. III. Paris, 1928) sp. „The music of the Sumerians (Cambridge, 1937, pp. 43—48); The sumerian harp (Of Music and letters X, 1929); Babylonian Music (Grov's Dictionary of Music, I, pp. 282—283), New Oxford History of music (Vol I, 1957); Th. G. Pinches Babylonian and assyrian music (Hasting's Encicl. of Religion, Edinburg, 1917); H. G. Farmer, The music of the Sumerians (JRAS, 1938).

Он утверждает, что «название» клинописных знаков BAR, KUR, GAL акрофоническое.

Ф. Гальпин доводит своим «акрофоническим делением» клинописные слоги до 21-ой буквы, которые равняются к двадцати одной струне арфы — «Заккал». Подобный инструмент применялся в исполнительской практике во втором тысячелетие до нашей эры. Количество звукоряда равняется к трем октавы, звукоряд — диатонический и начинается «С» большой октавы. В конечном итоге Ф. Гальпин так излогает звуковую шкалу: C D E F G A B c d e f g a b c^1 d^1 e^1 f^1 g^1 a^1 b^1 Гимн по его мнению, исполнялся в квази-речитативной форме в унисоне с инструментом и т. д.....

Если проанализировать расшифровку Ф. Гальпина и Курт Закса, то лингвистический анализ этих ученных, с точки зрения ассириологии, не выдерживает никакой критики, с точки зрения музыкознания для столь отдаленной эпохи можно отказаться и от сольмизации, которую применяли довольно поздно, а григорянских хоралах и Восточная музыка ее вообще не знала, тем более акрофонический метод Ф. Гальпина.

Нотные знаки относятся к шумерскому тексту, но эти знаки, как мы думаем, много общего имеет с греческой системой и довольно позднего происхождения. Шумерский язык в ту эпоху считался для ассирийцев и вавилонян таким же святым, как позже латинский для католиков. Так как шумерский текст в других вариантах гимна не снабжен музыкальными знаками, то мы думаем, что по своему характеру, по функции знаков, по аналогии греческой нотописи — гимн позднее был снабжен музыкальными знаками и отражает позднюю эпоху Месопотамской цивилизации. Курт Закс допускает существование пентатоники, которая бывает двоякого вида: гемитонная (т. е. с полутоном) и ангемитонная (т. е. без полутона). Количество знаков, вопреки теории Курт Закса, дает возможность развернуть мелодию в гемитонной системе.

პაატა გუგუშვილი

ოჯახისა და შვილიანობის ზოგიერთი საკითხი

1. ათასობით წლების მანძილზე თითქმის ყველა კონტინენტზე ვავრცელებული და ამ სახით გაბატონებული იყო მეტ-ნაკლებად მრავალშვილიანი ოჯახის ტიპი; — მუსლიმანურ ქვეყნებში, ცნობილი მიზეზებისა გამო, უფრო მრავალშვილიანი ოჯახები იყო, ვინემ ქრისტეანულში და ა. შ.; მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახი და მრავალდარგიანი საოჯახო მეურნეობა თითქმის უნივერსალური ფორმა იყო ყველგან დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში.

საყოველთაოდ შესამჩნევი გარდატეხა დაიწყო ინდუსტრიულ ქვეყნებში, სახელდობრ, მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და საგანგაშო მდგომარეობა აღინიშნა მეორე მსოფლიო ომის მომდევნო ათეულ წელს.

რა მოხდა?! როგორ დაიწყო?! — დაიწყო ე. წ. „დემოგრაფიული აფეთქებით“, რამაც, საბოლოოდ, დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს სახელწოდება მიიღო. ახალი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინდუსტრიული რევოლუციის, „საყოველთაო, მასობრივი კეთილდღეობის ზრდის“ ვითარებაში პლანეტაზე მოსახლეობის საშუალოწლიური მატების ტემპი 2—3 პროცენტს აღწევს. ასე თუ წავიდა?!.. სანამდე შეიძლება წავიდეს?!? — ორი საუკუნეც არ უნდა, რომ დედამიწა ადამიანებისაგან ფრიად დამძიმდეს!, რომ მიწაზე ადამიანისათვის ფეხზე დასადგომი ადგილი საძებარი გახდეს!..

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (=გეო) არსებული ხალხთმოსახლეობის განყოფილების თანამშრომლები ლ. ტაბა და შ. ქონო სთვლიან, რომ მსოფლიო დემოგრაფიულ ტენდენციაში მოსაბრუნი პუნქტი იყო 1950 წელი. დაახლოებით ამ დროს დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის დიდი გაუმჯობესება და ხელმისაწვდომი გახდა ის განვითარებადი ქვეყნებისათვისაც და ეს გარემოება აისახა იმით, რომ 1950—1960-იან წლებში მკვეთრად იკლო მოკვდაობამ[1].

მაგრამ მოკვდაობამ, განსაკუთრებით ბავშვებისა, ძლიერ დაიკლო განვითარებულ ქვეყნებშიც. მაგალითად, 1000 დაბადებულ ბავშვზე 1 წლის ასაკამდელთა მოკვდაობა უდრიდა:

---

[1] მათ სწორად ივარაუდეს, რომ 1965—1985 წწ. მკვეთრი განსხვავება იქნებოდა სუსტადგანვითარებული და მაღალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტებში და ისიც, რომ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში უკვე დაწყებული ფერტილობის დაცემის პროცესი მნიშვნელოვან ხასიათს მიიღებდა (РЖ, Экономика, 1975, 4—2, с. 184).

ქვეყნები	1939 წ.	1950 წ.	1960 წ.	1970 წ.	1971/72 წწ.
ბულგარეთი	139	94	45	27	25
გდრ	—	72	39	19	18
რუმინეთი	170	117	75	49	42
სსრკ	167	81	35	25	23
პოლონეთი	140	111	55	37	29
ჩეხოსლოვაკია	117	78	24	22	22
შვეცია	39	21	17	11	—
ფინეთი	70	44	21	13	12
იაპონია	107	60	31	13	12
ინგლისი	54	31	23	18	18
საფრანგეთი	—	52	27	18	17
აშშ	48	29	26	20	19
ბელგია	82	53	31	21	20
იტალია	97	64	44	29	28

მართალია, 60-იანი წლების პირველსავე ხანებში დაიწყო შობადობის სულ უფრო შესამჩნევი შემცირება, მაგრამ მთლიანად მოსახლეობის გამრავლების ტემპის მხრივ მას ჰარბად ფარავდა მოკვდაობის შემცირების დიდი ინტენსივობა და საერთო სიცოცხლის ხანგრძლივობის მეოხებით მიღებული ხალხთმოსახლეობის სწრაფი მატება.

ასეთ ვითარებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით საშიშად გამოიყურებოდა განვითარებადი ქვეყნები, რომლებზედაც მოდიოდა მოსახლეობის მატების სამი მეოთხედი ნაწილი. აშშ ყოფილი თავდაცვის მინისტრი, შემდეგში განვითარების მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი რობერტ მაკნამარა „მესამე სამყაროს“ მოსახლეობის ესოდენ სწრაფ მატებას ახასიათებს როგორც ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უდიდეს დაბრკოლებას და მოითხოვს (1973) გამოინახოს „შობადობის შეზღუდის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებები“ და დაწესდეს სახელმწიფოებრივი კონტროლი შობადობაზე. მას მიაჩნია, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის გამრავლებასთან ერთად სიღარიბე სულ უფრო იზრდება და პროგრესის გზაზე დაბრკოლების სახით გადაეცემა. მომავალ თაობებს. სულ უფრო რთულდება სასურსათო სიძნელეები. მილიონობით ადამიანები შიმშილობენ. ხოლო „მწვანე რევოლუციამ“ ვერ გაამართლა სოფლისმეურნეობრივი წარმოების დიდი ამაღლების მოლოდინი.

მეორე მხრივ, 2000 წლისათვის სინთეტიკური საკვები პროდუქტების წარმოების, ე. წ. „კვების რევოლუციის“ ვარაუდები, რაზედაც უკვე 60-იან წლებში დაიწყო მსჯელობა,. როგორც ეტყობა, მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა..., შორსაა რეალურობისაგან.

მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედი ცხოვრობს რეგიონებში, სადაც აშკარად იგრძნობა სურსათის დეფიციტურობა და მოსახლეობას არ ყოფნის საკვები ანდა იკვებება დაბალხარისხოვანი, არასაკმაო პროტეინის შემცველი საკმელით; — საკვებში კალორიების ქრონიკული დეფიციტი, როგორც ჯ. სპენგლერი შენიშნავს, აბრკოლებს მუშათა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და ახალგაზრდობის მიერ მეცნიერული ცოდნის ათვისებას და, მაშასადამე, იწვევს ცხოვრების დაბალი დონის პერიოდის გახანგრძლივებას.

ეს ის წლები იყო, როდესაც მოსახლეობის საშუალოწლიური მატება 80 მლნ მიუახლოვდა და ვარაუდობდნენ,. თუ ასე გაგრძელდა 2000 წელს პლანეტაზე მოსახლეობა 7,5 მლრდ მიაღწევსო. მაშასადამე, მისი გამრავლების ტემპი ამა თუ იმ ზომით გადააჭარბებს სურსათის წარმოების მასშტაბებსო..

და, ის იყო, რომ 1974 წ. შემდგარმა მსოფლიო სასურსათო კონფერენციამ და ხალხთმოსახლეობის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ მთავრობების წარმომადგენლები, თავის მსჯელობის საგნად გახადა მსოფლიო ეკონომიკაში მოსალოდნელი კრიზისის პრობლემები... პროფ. ჰ. კისინჯერის ინიციატივით გეო სისტემაში (ქ. რომში) შეიქმნა ახალი ორგანიზაცია: მსოფლიოში სასურსათო საკითხების საბჭო, რომლის მთავარი ამოცანაა მოსალოდნელი სასურსათო კრიზისების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება და გატარება...

ასეთ ვითარებაში დემოგრაფიული პროცესები ახალი სიურპრიზით გვიმასპინძლდება... შობადობის შემცირება სულ უფრო ინტენსიური ხდება, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდება ძლიერ შენელდა და ზოგიერთ ქვეყანაში, ეტყობა, შეჩერდა კიდევაც...

დემოგრაფიული სინამდვილე, მეცნიერული თეორიები და პროგნოზები, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რაც მათზე დამყარებული საზოგადოებრივი მოთხოვნილების გამოვლინება უნდა იყოს, ზოგჯერ ერთი სახლის სხვადასხვა სართულზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის და, მაშასადამე, სხვადასხვა დღესასწაულების მქონე მეზობლების მსგავსად იქცევიან...

ინდოეთმა, პაკისტანმა და ჩინეთმა მოსახლეობის გამრავლების ტემპის შეზღუდვის პოლიტიკის გატარება დაიწყეს ჯერ კიდევ 1950-იან წლებში. 1970-იანი წლების დასაწყისში უკვე სამოცამდე განვითარებადი ქვეყანა იყო გადაჭრილი იმავე პოლიტიკაზე, ხოლო თხუთმეტიოდე განვითარებულმა ქვეყანამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსახლეობის აღწარმოებისა და მიგრაციის შესახებ თავის პოლიტიკასა და კანონმდებლობაში.

მაინც იაპონია იყო პირველი არაევროპული ქვეყანა, სადაც შესამჩნევად დაეცა ფერტილობა. მოსახლეობის აღწარმოების შეხელების ამ პროცესმა შემდეგ თავი იჩინა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, მერმე ბრაზილიასა და ა. შ.

ამავე ხანებში ბეოთ-მ გააქტიურა ყურადღება ხალხთმოსახლეობის საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტში. 1967 წ. მან შექმნა სპეციალური ფონდი დემოგრაფიის პრობლემების შესწავლისათვის. ცნობილ დემოგრაფს ვ. მაცურას (M. Macura, 1974) კანონზომიერად და ჰუმანურად მიაჩნია ბეოთ-ს მიერ აღებული კურსი, რომ თვით მშობლების საქმეა გადასწყვიტონ, თუ რამდენი შვილი იყოლიონ და რა თანმიმდევრობით, როდის გააჩინონ ისინი. ბეოთ-ს ექსპერტები სთვლიან, რომ აქ სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩარევა ფრიად ფაქიზი, ადამიანური და არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან შეხამებული უნდა იყოს.

ოჯახის, ზომის ბავშვთაშობის დაგეგმვა მაინც პირობითი და უაღრესად მობილური ცნებაა. ადვილად შეიძლება დაიგეგმოს, თუ რამდენი ტონა მანგანუმი ან ქვანახშირი უნდა იქნეს მოპოვებული ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ დაგეგმვა იმისა, თუ რამდენი ბავშვი დაიბადოს, ცხადია, უხამსურია.

ბავშვთა შობის რიცხვნობას განსაზღვრავს ქორწინებათა რაოდენობა და ერთ ქორწინებაში გაჩენილ შვილთა რაოდენობა. ქორწინებათა რიცხვნობა კი დამოკიდებულია შესაბამისი ასაკის ქალ-ვაჟთა რიცხვნობასა და თვით ქორწინების დროზე, რაც მექორწინე ქალ-ვაჟის პირად განწყობაზე, მათს თავისუფალ ნება-სურვილზეა დამოკიდებული და, ამდენადვე, ისევე როგორც შვილების გაჩენაც უაღრესად სუბიექტური, ინდივიდუალური ფენომენია. სულ სხვაა, რომ აქაც მოქმედობს დიდ რიცხვთა კანონი და, მაშასადამე, როგორც მასობრივი მოვლენა, რაც პირობადებულია ობიექტური

ფაქტორებით, იგი დეტერმინირებულია, როგორც ოჯახის ფორმირების სოციალური პროცესი[2].

1960-იანი წლების დასასრულსა და 1970-იანის პირველ ნახევარში დას. ევროპის ქვეყნებში ფერტილობა უდრიდა დაახლოებით 2,2, ხოლო აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი 1,06 და ასეთ ვითარებაში ერთ ქორწინებაზე მოდიოდა საშუალოდ 2,07 ბავშვი... თუმცა ქორწინების რაოდენობა იზრდება, მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენცია კლებისკენ მიდის და ახალ ოჯახთა უმრავლესობას ყავს 1—3 შვილი. მ. ლევი-ბაჩი (M. Livi-Bacci, 1974) დას. ევროპის ქვეყნებს მოსახლეობის აღწარმოებისა და ფერტილობის ძომწესრიგებელი კანონმდებლობის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფს.

ა. დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და სკანდინავიის ქვეყნები, სადაც ტარდება ამ მხრივ ყველაზე ლიბერალური და ჰუმანური პოლიტიკა; ბ. ესპანეთი, პორტუგალია, ირლანდია, სადაც იგნორირებულია ოჯახის შინაგანი დაგეგმვა და საერთოდ აკრძალულია აბორტი, სტერილიზაცია და განქორწინება; გ. დანარჩენი ქვეყნები, სადაც ოჯახის დაგეგმვა თუმცა აღიარებულია, მაგრამ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი გარანტიის გარეშე, ხოლო აბორტისა და სტერილიზაციის დაშვების საკითხი დიდი ხნის დისკუსიის საგანი გახდა[3].

* * *

2. ადამიანთა რეპროდუქციული ქცევა უაღრესად რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. რით უნდა აიხსნას სიმდიდრის, შეძლებულობის, სულ ზრდადი კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის ვითარებაში მრავალშვილიანი ოჯახის დაშლისა და 1—2 ბავშვიანი ოჯახის ტიპზე მასობრივი გადასვლის პროცესი?!

რამ გამოიწვია, რომ ასეთ პირობებში ცოლქმრისათვის ერთ-ორ შვილზე უფრო მეტი სიამოვნების, სიკეთის, სიტკბოებისა და ბედნიერების მიმნიჭებელი შეიქმნა ცხოვრების სხვა ფასეულობანი? და სახელდობრ რა სახით უნდა წარმოვიდგინოთ ეს ფასეულობანი?! — კომფორტული ბინა, მორთულობა-მოკაზმულობა, ძვირფასი ნივთები, ხელოვნების ქმნილებანი, ავტომობილი, აგარაკი, ტურიზმი, მოცალეობა, დარდიმანდული და უზრუნველი ცხოვრებისადმი მიდრეკილება, შვილების აღზრდის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ა. შ. და ა. შ.?!

საბჭოთა და დასავლეთის მეცნიერებმა ჩაატარეს მრავალგვარი სოციოლოგიური, დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, ანკეტური გამოკითხვები[4], რათა მოეძებნათ პასუხი ოჯახის დაწვრილ-ერთეულების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენისათვის, მიეღოთ ქალისა (ცოლისა) და ვაჟისგან (ქმრისაგან) პასუხი, თუ რატომ არ გაუვნენ ისინი ოჯახის ფორმირების მამა-პაპათა ტრადიციებს, რა მოხდა ისეთი, რამაც გამო-

---

[2] А. Харчев, В. Голофаст. Некоторые методологические проблемы... в социологии семьи, 1979, М.; П. Гугушвили, Вопросы формирования семьи в аспекте воспроизводства населения, 1978, Тб., II изд.

[3] საერთოდ ეს საკითხები სხვაგან გვაქვს გაშუქებული.

[4] იხ. А. А. Антонов, Социология рождаемости, 1980, М.; Т. Киселева, Нужно ли повышать рождаемость, 1979, М.; Управление развитием народонаселения в СССР. 1977, М., Р. Пресса, Народонаселение и его изучение, 1966, М.; Б. Ананьев, О проблемах современного человекознания, 1977, М.

იწვია ეს მკაცრი გარდატეხა... რატომ გახდა შეუძლებელი 3, 4, 5 შვილის გაჩენა და გაზრდა?!

შვილიერების რეგულირების ხერხები ცნობილია უძველესი დროიდან. გარდა იმისა, რომ პირდაპირ კლავდნენ ზედმეტ ბავშვს (ინფანტიციდი) იყო რიგი სხვა საშუალებაც. მაგალითად, დიდხანს აწოვებდნენ ძუძუს, რათა აეცილებიათ ახალი ორსულობა; აკეთებდნენ აბორტს და სხვ. ... შემდეგ თანდათანობით ჩნდება ბავშვთა რაოდენობის „დაგეგმვის“ სხვადასხვა კულტურული საშუალება. ამ მხრივ უწინარეს მოსახსენებელია თვით ქორწინება, ე. ი. მინიმალური საქორწინო ასაკის დაწესება, რომლის უადრეს არ შეიძლებოდა შეუღლება და, მაშასადამე, ბავშვის გაჩენა... განმეორებითი ქორწინების აკრძალვა, ან წაქეზება; — იმის შესაბამისად, თუ როგორი იყო დემოგრაფიული სიტუაცია საერთოდ საზოგადოებაში, სასურველი იყო მოსახლეობის გამრავლების სტიმულაცია, თუ პირიქით[5].

შობადობის რეგულირების მეთხებით ადამიანი, ოჯახი, ცდილობდა შესაბამისობაში ყოფილიყო საზოგადოებრივად გაბატონებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებთან; — ფორმირებად ტრადიციული, კულტურული, სოციალურ-ფსიქოლოგიური ყოფიერებისა და ცნობიერების ნორმებთან და ტენდენციებთან. ამასთანავე რეპროდუქციული ქცევა უაღრესად ინდივიდუალური, სპეციფიკური მოვლენაა, რომელიც „თავისი გზით“ უნდა მოძრაობდეს ყველა სიტუაციაში და ეს „თავისი გზა“ იმავე დროს სოციალური ადაპტაციის ჩარჩოებშიაც თავისუფლად უნდა მოძრაობდეს.

ოჯახის ფორმირების ყველა ეტაპზე შვილის გაჩენა დაკავშირებულია მთელ რიგ ახალ, „დამატებით“ მზრუნველობასთან, როგორიცაა ბავშვის მოვლა-პატრონობა, ძუძუს წოვება, აკვანის თუ სხვა შესაბამისი საბავშვო გაწყობილობის გაჩენა, რომელსაც ბინაში უკვე თავისი, ცალკე ადგილი სჭირდება. ბავშვების აღზრდა, სწავლება (შინ და სკოლაში), მათი სათამაშოებით უზრუნველყოფა, ჩაცმა-დახურვა და მრავალი სხვა, რაც დაკავშირებულია მეტ-ნაკლები ზომით ხარჯების გადიდებასთან. როდესაც ოჯახში სამი სულია (ცოლ-ქმარი + 1 ბავშვი), მეორე შვილის გაჩენა აშკარად იწვევს მთელი შემოსავლის უკვე ოთხ სულზე განაწილებას, ბინის საცხოვრებელი ფართობიც ვიწროვდება და სხვ. და ა. შ. სულ უფრო ამძიმებს ოჯახის მატერიალურ-ყოფიერებით პირობებს, რაც, ადრე თუ გვიან, თუ ოჯახის შემოსავალი შესაბამისად არ გაიზარდა, იწვევს ცოლ-ქმრის ფიზიკური და სულიერი დატვირთვის გაძლიერებას, დაძაბულობას, ცხოვრებისეული სტრესის გაზრდას და სხვ., რაც საფრთხეს უქმნის უწინარეს ბავშვთა და საერთოდაც ოჯახის წევრთა ჯანმრთელობისათვის აუცილებელი პირობების დაცვასა და შენარჩუნებას...

ადამიანები, ცხადია, ადრიდანვე ფიქრობდნენ ამგვარი ვითარების შესახებ და საზოგადოებრივად აუცილებელი ყოფიერებითი ნორმების ფარგლებში აჩენდნენ და ზრდიდნენ შვილებს... ერთს... ორს... სამს... ხუთს, შვიდს და მეტსაც. მაგრამ მაშინ სხვაგვარი იყო ოჯახის სტრუქტურა, მისი წარმოებრივი და მეურნეობრიეი მიმართულება და უკანასკნელთა შესაბამისი შრომის დანაწილება, საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური ბაზა და საზოგადოებ-

---

5 А. Вишневский, Демографическая революция, 1976, М.; В. Белова, Число детей в семье, 1975, М.; М. Мацковский, Современная семья и ее проблемы. 1978, М., Г. Киселева, Нужно ли повышать рождаемость? 1979, М., В. Бойко, Малодетная семья, 1980, М.; А. Ткаченко, Экономические последствия современных демограф. процессов в СССР, 1978, М., Демографическое развитие семьи, 1979, М., С. Томилин, Демография и социальная гигиена, 1973, М.

რივი ფუნქციები, ეთიკური შეხედულებანი, ინდივიდუალური მიზნები და მოსაზრებანი, მისწრაფებანი და თაოსნობანი...

ძველ და საბჭოთამდელ ქართულ წარმოებრივ ოჯახში და კერძოდ „ერთობის სახლში“ (მამისა და შვილების გაუყოფელ ოჯახებში) შრომის დანაწილების კლასიკური ნიმუში დადგენილი და აღწერილია ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის აკად. გიორგი ჩიტაიას მიერ[6]. ამ ინფორმაციისა და ჩვენს თანამედროვე წარმოებრივ თუ მომხმარებლურ ოჯახში შრომის დანაწილების მასალის შედარებით შესწავლას შეუძლია გვიჩვენოს ოჯახის, როგორც მცირე სოციალური ჯგუფის მიერ სხვადასხვა ეპოქაში განვლილი სიღრმისეული ეთნოგრაფიული, სოციოლოგიური, დემოგრაფიული ცვლილებების, მისი სტრუქტურული და ფუნქციონალური ევოლუციის ფრიად საინტერესო სურათი..., რაც ცხადია სპეციალური კვლევის საგანია.

თანამედროვე საზოგადოებაში, განსაკუთრებით უახლეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინდუსტრიული რევოლუციის ეითარებაში, რომელიც შეეხვრა მატერიალური და სულიერი ცხოვრების, ყოფიერებისა და ცნობიერების მრავალ სფეროში, ქალი კიდევ უფრო გაიჭრა ოჯახური შეზღუდულობის ფარგლებიდან, ის გამოჩნდა საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგში, მან მოიპოვა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ის შეიქნა ოჯახის სულობრივი შედგენილობის მოწესრიგების საქმეში სრულუფლებიანი პარტნიორი... სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უფრო მასშტაბურად იცავს დედის უფლებებს...[7]

ფრიად შემცირდა გათხოვილ ქალთა რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ არსებობის საკუთარი საშუალება... და ამასთან კავშირში მყოფი განქორწინების გაზრდებაც, ცხადია, იწვევს შობადობის შემცირებას. ქალაქელი ქალები უფრო ადვილად ურიგდებიან განქორწინების შემთხვევებს. აქ დეპერსონალიზაციის გაძლიერების, „შემთხვევათა სიმრავლის“, ანონიმურობისა და მასთან დაკავშირებული დიდი სიჩრელის პირობებში, როგორც ისინი აღნიშნავენ, ასეთი დარგები მით უფრო მალე ეძლევა დავიწყებას, რაც უფრო მეტია შანსები ხელახლა გათხოვებისა. მაგრამ სინამდვილე მოწმობს, რომ გაყრილ ქალებს სულ უფრო უძნელდებათ ხელმეორედ, და მით უფრო მესამედ, გათხოვება, ვინემ განქორწინებულ ვაჟებს, როგორც ქალაქებში, ისე განსაკუთრებით სოფლებში.

როგორც წესი, ქალაქებში პირველი შვილის შემდეგ, მეორემდე, თუ საერთოდ იჩენენ მეორეს, უფრო დიდი დრო გადის, ვინემ სოფლებში. ხოლო სოფლებში მეორე შვილი ხშირად მალე მოსდევს პირველს და მხოლოდ მერმე იწყება ინტერვალების სულ უფრო გაგრძელება, მესამე და... შვილის შობის შემთხვევებში, რაც სულ უფრო იშვიათი მოვლენა ხდება. საერთოდ ბავშვთა შობის შეზღუდვა ქალაქებში იწყება პირველის, ხოლო სოფლებში უფრო მეორე ბავშვის შემდეგ. რა თქმა უნდა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების, კონტრაცეპტივისა და სხვ. ხელმისაწვდომობა დიდ გავლენას ახ-

---

[6] გ. ჩიტაია. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, „მიმომხილველი“, 1949, I, გვ. 360—388 და სხვ.

[7] Население и экономика, 1970, М., Е. Рузавина, Занятость в условиях интенсификации производства, 1975, М., Ю. Бжилянский, Проблемы народонаселения при социализме, 1974, М.

დენს ბავშვთაშობის შეგნებულ დაგეგმვაზე და საერთოდაც შვილთა ყოლის ბუნებრივი მოთხოვნილების რეგულირების საქმეში[8].

* * *

ჯანდაცვის პირობათა გაუმჯობესებამ ფრიად შეანელა **ბავშვთა სიკვდილიანობა** და ამდენადვე მრავალი ბავშვის გაჩენის ერთ-ერთი მოტივი, რომ ამ გზით საკმაო რაოდენობით ბავშვები მაინც შესულიყვნენ მოწიფულობაში, თავისთავად განხორციელებადი გახადა... და, ამგვარად, ბავშვთა მოკვდაობის შემცირება მოგვეველინა, როგორც ბავშვთაშობის შემცირების ერთერთი მიზეზი.

კიდევ მეტი რამ მოხდა... ახლა მოხუცები, მშობლები, ბებიები, პაპები, რომლებიც მეტ-ნაკლები ზომით პენსიებით არიან უზრუნველყოფილნი, სულ უფრო ნაკლებად არიან ეკონომიკურად დამოკიდებულნი თავიანთ ნაშიერებზე. ამდენად, ისინიც ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მრავალშვილიანობით. არის კიდევ სხვა ასპექტებიც... ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ოჯახში სულ უფრო ნაკლებადაა მრავალი თაობის წარმომადგენლები...

ყოველსავე ამას ემატება ახალი, ფრიად მობილური მოთხოვნილებები. ყოფაცხოვრებითი სტანდარტების ხშირი და ზოგჯერ სწრაფი ცვლა... უკვე საჭიროა არა შვილები საერთოდ, არამედ მიზანია აუცილებლად განათლებული, კულტურული, მაღალხარისხოვანი ახალი ადამიანების აღზრდა, რათა მათ შესაფერისი, პრესტიჟული ადგილი დაიკავონ ცხოვრებაში; — ცხოვრებაში, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ხდება, როგორც ჭონებრივი, ნივთიერი სიმდიდრის, ასევე სავსებით ახალ-ახალ სულიერ, კულტურულ ფასეულობათა წარმოებისა და მოხმარების თვალსაზრისით, რაც თანამედროვე კომუნიკაციების, მსოფლიო ვაჭრობის, ტურიზმის და სხვ. მეოხებით თავისი შინაგანი სხვადასხვაობით სულ უფრო ფართო და ტევადი ხდება, როგორც აბსტრაქტულ წარმოდგენაში, ასევე სინამდვილეშიც[9].

სსრკ და, საერთოდაც, ინდუსტრიულ ქვეყნებში მე-20 ს. შუაში შეიმჩნევა ფაქტიური ჭორწინების მინიმალური ასაკის შემცირება. ახლა უფრო ახალგაზრდები თხოვდებიან და ირთავენ ცოლს, ვინემ ნახევარი საუკუნის წინათ.

მაგრამ დიდ ქალაქებში ძირეულ ცვლილებას განიცდის ოჯახური ყოფიერების ძველი ტრადიცია, თუნდაც მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ბევრად უფრო გაადვილებულია ადამიანური კონტაქტები, ვინემ პატარა ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლებში. უფრო მეტია არჩევითობის, შედარებითობის, ინფორმაციის მიღების საშუალებები, რაც ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების ვითარებაში აადვილებს მიბაძვას, უფრო ერთფეროვანს ხდის ქცევისა და მოთხოვნილების ნორმებს და, მაშასადამე, მათი დაკმაყოფილების ვარიანტებს.

---

[8] Вопросы теории и политики народонаселения, 1970, М.; Изучение воспроизводства населения, с. 260—266, Р. Сифман, Динамика рождаемости в СССР, 1974, М.; Проблемы современной урбанизации, 1972, М.; В. Минкев, И. Поляков, Здравоохранение крупного... города, 1979, М.; Управление развитием народонаселения в СССР, 1977, М.; Люди в городе и на селе, 1978, М.; Развод. Демографический аспект, 1979, М.

[9] Трудовые ресурсы и научно-техническая революция, 1974, Москва—Берлин; Методологические проблемы социологического исследования мобильности трудовых ресурсов, 1974, Новосибирск.

ლ. დარსკი ქალაქისა და სოფლის დემოგრაფიული მოვლენების ანალიზის გზით უჩვენებს, რომ ახალგაზრდობაში ქორწინების თაობაზე მოხდა მორალური ნორმების ტრანსფორმაცია. განსაკუთრებით დიდ ქალაქებში ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირის შემაკავებელი „ზორტების ახსნამ" გამოიწვია „მწიფე ხილის გემოს ზეზეურად გასინჯვის" სულ უფრო გახშირება, და მერმე თითქმის საყოველთაო მოვლენად გადაქცევა[10].

ცნობილი საბჭოთა დემოგრაფი რაისა სიფმანი მრავალი მასალის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამჟამად სსრ კავშირში პირველი მშობიარობა ქორწინების შემდეგ სულ უფრო ადრე პერიოდში ხდება[11].

დავა მომდინარეობს ფსიქოლოგებსა, სოციოლოგებსა და დემოგრაფებს შორის და თვით ამ მეცნიერებათა შიგნითაც, თუ როგორ უნდა გავიგოთ ოჯახის, ცოლ-ქმრის მოთხოვნილება ჰყავდეთ შვილი — შვილები. არის ეს მოთხოვნილება საერთოდ ბიოლოგიური თუ სოციალური, თუ ბიოსოციალური; — თუ რა როლს თამაშობს აქ ქალის მოთხოვნილება, ინსტინქტი — იყოს დედა; ადამიანთა ინსტინქტი „დასტოვონ მოდგმა" და ა. შ., თუ ყოველივე დაიყვანება სქესობრივ მოთხოვნილებაზე და მისი მოწესრიგების შესაძლებელ ვარიანტებზე[12].

საერთოდ მოთხოვნილება მრავალწახნაგოვანი ფენომენია. გამოჩენილი საბჭოთა ფსიქოლოგი დმიტრი უზნაძე აცხადებს, რომ მოთხოვნილებაში შედის ყველაფერი, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის და რაც ამ მომენტში მას არ გააჩნია[13]. დ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ მოთხოვნილება, სიტყვის ზოგადი გაგებით, ესაა სუბიექტის რაიმეგვარი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ამა თუ იმ ფორმის აქტივობა, ამა თუ იმ საგნის გაკეთება, მოპოვება (შეძენა)[14]. ვ. მერლინს მიაჩნია, რომ მოთხოვნილება ესაა რაიმეს საჭიროება, რასაც განიცდის და რაც შეგნებული (წარმოდგენილი) აქვს ადამიანს[15]. უფრო გარკვეულად გამოსთქვამს თავის აზრს ვ. ბოიკო: „... ბავშვებზე მოთხოვნილება არის ინდივიდის არა თვისება, არამედ... ინდივიდის მყარი სოციალურ-ფსიქოლოგიური განცდის მდგომარეობა"[16]; ხოლო ა. ანტონოვის აზრით კი ბავშვებზე მოთხოვნილება „არის ინდივიდის სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისება, რაც იმაში ვლინდება, რომ უბავშვებოდ, მათი გარკვეული რაოდენობის გარეშე, ინდივიდი, როგორც პიროვნება, განიცდის სიძნელეს, უკმარისობას, დაუკმაყოფილებლობას[17].

ანალოგიური ამონაწერების მოყვანა, ცხადია, არ წარმოადგენს სიძნელეს, ოღონდ მთავარი ისაა, რომ ისინი არც თუ ისე ნათლად განმარტავენ ბავშვებზე მოთხოვნილების წარმომშობი ფაქტორების რაობასა და მნიშვნელობას. საერთოდ მოთხოვნილება ხომ რაღაც მისწრაფებაა, რაღაც მიზანია.

---

10 Проблемы демографии, 1971, М. с. 168—178; С. Голод, Социологические проблемы сексуальной морали, 1968, Л.; Демографический анализ рождаемости, 1974, М.

11 Р. Сифман, Динамика рождаемости в СССР, 1974, М., с. 62—64.

12 В. Борисов, Перспективы рождаемости, 1976, М.; В. Бойко, Малодетная семья (социально-психологическое исследование), 1980, М.; А. Антонов, Социология рождаемости, 1980, М.

13 დ. უზნაძე, შრომები, ტ. III—IV, 1961; ტ. V, 1967; ტ. VI, 1977, თბ., გვ. 269—72.

14 Д. Кикнадзе, Потребности. Поведение. Воспитание, 1968, М.

15 В. Мерлин, Лекции по психологии мотивов человека, 1971, Пермь.

16 В. Бойко, Назв. соч., с. 47—49.

17 А. Антонов, Социология рождаемости, 1980, М.

რომელიც წარმოიშობა გარკვეულ სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ვითარებაში. კერძოდ, შვილებზე (ბავშვებზე) მოთხოვნილება უწინარეს ვლინდება როგორც ინდივიდუალური, რომელსაც საბოლოოდ განსაზღვრავს ისტორიულად და ტრადიციულად დადგენილი სოციალური, საზოგადოებრივი, ეთიკური ნორმები, რომელთა წიაღში ცხოვრობს, მოძრაობს, ვითარდება ადამიანი, ინდივიდი, ოჯახი. რამდენადაც ეს ნორმები აწესებენ და აწესრიგებენ ოჯახის შექმნის, ბავშვთა, მემკვიდრეთა გაჩენისა და აღზრდის აუცილებლობას, ინდივიდს, როგორც სოციალური უჯრედის წევრს, მხოლოდ გამონაკლისის სახით შეუძლია გასცილდეს მას და არა როგორც მართებული ყოფიერებისა და ცნობიერების ჩარჩოებში გავითარებად ადამიანს, ოჯახის, თემის, საზოგადოების წევრს, რომელსაც სავსებით გარკვეული უფლებანი და მოვალეობანი აქვს დაკისრებული და, რომელიც არ შეიძლება ამ მორალურ სამყაროში არ მოძრაობდეს.

მართალია, ინდივიდის, ცოლ-ქმრის, ინტერესები შეიძლება შვილიანობის მხრივ არ ემთხვეოდეს საზოგადოებრივს, მაგრამ ასეთი, როგორც ერთეული, გამონაკლისი შემთხვევები რამდენადმე შესამჩნევ გავლენას ვერ მოახდენენ მასობრივი მოვლენებით განსაზღვრულ ზოგად ტენდენციაზე.

როგორც კ. მარქსი გვასწავლის „... კერძო ინტერესი ეს უკვე თვით არის საზოგადოებრივად განსაზღვრული ინტერესი... ესაა კერძო პირთა ინტერესი; მაგრამ მისი შინაარსი, როგორც თვით განხორციელების ფორმა და საშუალება მოცემულია ინდივიდისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი პირობებისაგან“[18].

აღსანიშნავია, რომ ა. ლუნაჩარსკი, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ოცნებობდა, რომ ადამიანი მიხვდება, რომ ცოლ-ქმრობა უბრალო რამ არ არის, რომ დედობა და მამობა ესაა ერთ-ერთი უფაქიზესი სახეობა შემოქმედებისა. სავსებით სწორი ჩანს დებულება, რომ ბავშვების რეალური თუ სასურველი რაოდენობა არა თუ მხოლოდ ბავშვებზე მოთხოვნილების ზომაა, არამედ ამასთანავე არის თავისთავზე მიღებული მომავალი მოთხოვნილების ზომა. და, ამგვარად, „... ბავშვებზე მოთხოვნილება, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა, თავის თავში შეიცავს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ გეგმას“[19]. ერთი მხრივ, ესაა მშობელთა განწყობა, თუ რამდენი შვილი უყვედეთ, ხოლო მეორე მხრივ, ესაა ინდივიდის, როგორც საზოგადოებრივი ნორმის მატარებლის განწყობა საერთოდ შვილების ყოლისადმი. შესაბამისად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ შვილიანობას განსაზღვრავს ბავშვთა ყოლის, მათი აღზრდის პროცესისა და ოჯახში მათი რაოდენობის ფასეულობისადმი განწყობა, — როგორც ობიექტური მოტივი. და მეორე — შვილთა მოყვარეობა, როგორც სუბიექტური მოტივი[20].

საქმე ისაა, რომ ბავშვებში მართლაც ხდება კიდევ სხვა მოთხოვნილებათა აკუმულაცია; რამდენადაც ბავშვების მეოხებით მეუღლეთა ოჯახური ცხოვრება უდავოდ უფრო სრულფასოვანი, შინაარსიანი, მიმზიდველი და მარადგანახლებადი, მარადაღმავალი, ცხოველმყოფელი და ინტერესჩაუმქრალი ხდება. ბავშვები ახალ სარბიელს უქმნიან მშობლებს როგორც აღმზრდელებს, როგორც პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულთ, როგორც თვითრეალიზაციის ადამიანურ გრძნობათა, ემოციების მატარებელთ და, მაშასადამე,

---

[18] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 46, ч. I, с. 99.

[19] А. Луначарский, Мораль с марксистской точки зрения, 1925, с. 44—45.

[20] В. Бойко, Назв. соч., с. 51—55; В. Белова, Л. Дарский, Статистика мнении в изучений рождаемости, 1972, М.

მათი გაზიარების და ამ გზით საკუთარი თავის გამდიდრების რაღაც განუმეორებელი და მიმზიდველი ფენომენის აღწარმოებისა და ათვისების სახით.

ბავშვები ეხმარებიან მშობლებს, რათა მათ საკუთარ ნაშიერთა ზრდა-განვითარებაში უკეთ და უფრო სრულად დაინახონ საკუთარი თავი, უკეთ განსჯვრიტონ თვით აზრი ცხოვრების უბრალო სიამტკბილობისა და შვილებთან ერთად თამაშის, გართობის, ავადგახდომის, გამოჯანმრთელების, აღმავლობის, ანცობის, ზრდის, განვითარების იგავმიუწვდომელ და სიტყვით მოუთხრობელ პროცესებში დაინახონ და გაეცნონ ყოფიერების ისეთ კუნჭულებს, რომლებშიც შეღწევა და, მაშასადამე, ახალი ადამიანურ ღირსებათა გაღვიძება და შეძენა სხვარიგად შეუძლებელი იქნებოდა.

ოჯახში ბავშვების გაჩენის, განსაკუთრებით მეორე შვილის გაჩენის საკითხი, ჩვეულებრივ დიდი მსჯელობის, აწონ-დაწონის, შედარებითი განხილვის, ახლობლებთანაც-კი კონსულტაციის საგანი შეიძლება გახდეს. ცოლ-ქმარი, ცხადია, თავს იკავებს ბავშვის გაჩენის საკითხის დადებითად გადაჭრისაგან, თუ მათ მიაჩნიათ, რომ მათი ქორწინებითი კავშირი არამყარია. თავის მხრივ ბავშვები შეიძლება შერყეული ქორწინებითი კავშირის განმტკიცების და გაჯანსაღების ფაქტორადაც მოევლინონ, შეიძლება ისეც იყოს, რომ ქალის განწყობას გაიჩინოს მეორე (მესამე) ბავშვი აძლიერებდეს ინტერესი — უფრო მაგრად მიამაგროს ქმარი ოჯახს; თუმცა არც ის შემთხვევებია გამორიცხული, როდესაც უშვილობა გვევლინება როგორც ოჯახის განმტკიცების საწინდარი, რაც მით უფრო სავალალოა, რომ, როგორც ჩანს, უკანასკნელ ხანებში ფართოდ ვრცელდება ასეთი მოვლენები ზოგიერთ ქვეყანაში[21].

ვინ უნდა იყოს ბავშვის, განსაკუთრებით ძუძუთა ბავშვის მომვლელი? — უწინარეს ყოვლისა, ცხადია, დედა. ესაა ქალის როგორც დედის უნიკალური, განუმეორებელი, შეუცვლელი, აუცილებელი არა თუ მოვალეობა, არამედ უწმინდესი მოწოდება, რომელშიც არსებითად მას ვერ შეცვლის ვერავინ, ვერც ბებია, ვერც განსწავლული მომვლელი ქალი, რომელთა დახმარება, ცხადია, კარგია და საჭირო, როდესაც არსებობს სათანადო პირობები.

* * *

3. დემოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, რომ მე-20 ს. მიმდინარეობს **ქორწინების საშუალო ასაკის** (განსაკუთრებით ქალის საშუალო ასაკის) შემცირება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ვადების გახანგრძლივების, ქალის საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულობის გაძლიერების, ურბანიზაციისა და სხვ. მეოხებით, — რამდენიმე ხნის წინათ სოციოლოგები ვარაუდობდნენ საწინააღმდეგო მოვლენას[22].

საერთოდ ნაადრევი ქორწინება, აგრძელებს რა ქალის ფერტილობის პერიოდს, ხელს უწყობს მრავალშვილიანობას, რაც გამართლებულია ოჯახის როგორც წარმოებრივი ერთეულის გაძლიერების ინტერესებითაც და, ცხადია, თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციაში მოსახლეობის აღწარმოების ტემპის ამაღლების საზოგადოებრივი მოთხოვნილებითაც.

---

21 Социальные проблемы планирования..., 1977, Л.; В. Бойко, назв. соч., с, 60; В. Белова, назв. соч., с. 80—85; П. Звидрин, Изучение рождаемости, 1973, М.

22 ვ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, 1973, გვ. 100.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მიდიოდა ჩვენი წინადადების განხილვა — რომ რესპუბლიკაში, ისე როგორც ეს არის სამხრეთის რიგ სხვა ქვეყანაში და ზოგიერთ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკაში, ქალის მინიმალური საქორწინო ასაკი კანონით დადგენილი ყოფილიყო 16 წელი (ნაცვლად მიღებული 18 წლისა). წარმოდგენილი იყო სათანადო მოტივები, საბუთები, მოსაზრებები[23].

მსჯელობის პროცესში გამოირკვა, რომ ზოგიერთ საკმაოდ ცნობილ საბჭოთა კულტურის მოღვაწე ქალს, უკვე დედას, უხერხულად მიაჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლაში მოსწავლეთა შორის აღმოჩნდებიან ორსული ქალები, რაც, მათი აზრით, ესთეტიკურად ულამაზო და მორალურად გაუმართლებელი იქნებოდა...

რატომ? რა მოტივით?? — ნუ იკითხავთ, თურმე იმ მოტივით, რომ ჩვენ, ქართველები, მაღალი კულტურის ნაცია ვართ და ასეთი რამ — ორსული ქალი სასწავლებელში — სახელს გაუტეხს ჩვენს დიდ და სასახელო კულტურულ წარსულსა და თანამედროვეობას...

მაგრამ საკითხავია, საიდან მოიტანეთ ქალბატონებო ასეთი ეთიკა და მორალი?! ნუ თუ შეგიძლიათ თქვათ, რომ ჩვენზე ნაკლები კულტურის მქონეა ისეთი ქვეყნები (ნაციები), რომლებიც არიან ბელგია, გერმანია, ესპანეთი, იაპონია, ინგლისი, კანადა, ნორვეგია, საფრანგეთი და სხვ., სადაც ქალისათვის მინიმალური საქორწინო ასაკი კანონით განსაზღვრულია 16 და უფრო ნაკლები წლით?!!

რაკი დიდ კულტურულ მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი, ცხადია, ასეთი ნამდვილადაც გვაქვს, მაგრამ გადავხედოთ ისტორიას, თუ როგორი იყო წინათ, წარსულ დროებაში ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში?

დავით აღმაშენებლის ბრძანებით 1103 წელს შემდგარ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ შეკრებილ ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „კუალად ამასაცა განვასაზღვრებთ, რაჲთა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გურგჳნი ჩჩჳლთა ქალ-ყრმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ ოდენ იყოს, მშობელთა მათდად დაუწინდნენ იგინი ურთიერთას და, რაჟამს ჰასაკად მივიდნენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ. და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსა ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა“; — ასე იკითხება ცნობილი „ძეგლისწერის“ მეათე მუხლი[24].

უნდა ითქვას ისიც, რომ 1748 წელს ერეკლე II ბრძანებით და კათალიკოს-პატრიარქის ანტონის მეთაურობით თბილისში მოწვეულმა საეკლესიო კრებამაც დაჰგმო „ქალისა... უსასაკოსა, გინა ჩჩვილისა“ ქორწინება და დაადგინა მიიყვანონ „ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსამეტისა და ქორწინების ზიარებითა აკურთხოს მღვდელმან შეერთხორცება მათი“[25].

ანალოგიურია ძვ. სომხური სამართლით დადგენილი ნორმები. საერთოდ ქალი გასათხოვ ასაკში 12 წლის შესრულების შემდეგ შედიოდა, ხოლო ქმარი „უოვლის საქმით უფროსი და შემძლე უნდა იყოს „ცოლზედა მისზე“[26]. მე-19 ს. რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოში ქალის მინიმალურ საქორწინო ასაკი დადგენილი იყო 13, ხოლო ვაჟისა — 15 წლიდან. საბჭოთა

---

23 ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, 1973, გვ. 101—104.

24 დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 552; ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა; 1978, გვ. 189—191.

25 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 2, გვ. 366 და სხვ.

26 ი. დოლიძე, ქართ. სამართლის ძეგლები, 1963, I, გვ. 279.

Следует сказать, что адыгские народы накопили большой опыт воспитания положительных привычек у подрастающего поколения. Для этого применялись разнообразные методы педагогического воздействия: убеждение и принуждение, поощрение и наказание, психологическое внушение, использование примера и авторитета старших.

Воспитание нравственных привычек проводилось целенаправленно и систематически, начиная с детства, так как народ знал, что именно в детстве человек больше проявляет склонности к подражанию и лучшие поддается психологическому внушению и убеждению. Эти взгляды народа на воспитание отразились в следующих пословицах: «Шэфыр фабэзэ фызы, кIалэр цIыкIузэ гъасэ» (Воск мни, пока он горяч, человека учи, пока он мал), «Чы рапшIэ умыуфэмэ, пчэгъу зыхъукIэ уфэгъуае хъущт» (Если не согнешь, пока хворостина, трудно будет согнуть, когда будет колом)[7].

Представление о характере воспитания детей у адыгов в прошлом можно получить по следующему отрывку из повести Т. Керашева «Урок жизни».

«Двенадцатилетним малышом, — вспоминает герой повести, — я уже умел по всем правилам принимать гостей: поспешно и радушно встречать их у ворот, произносить приличное случаю приветствие, придерживать стремя и узду коня, когда гость спускался на землю, быстро и расторопно отвести коней к коновязи и успеть принять у гостей в кунацкой их плети, верхнюю одежду, притом безошибочно угадывать старшего из гостей и оказывать ему внимание в первую очередь. Я знал, как развесить одежду и сбрую гостей по колышкам, вбитым в стены кунацкой. Это тоже полагалось делать по старшинству. Выполнив все, что требовалось, я умел торжественно, полный собственного достоинства и почтения к другим, отступить к двери и застыть в безмолвной готовности к дальнейшим услугам»[8].

К сожалению, такие подростки, которые были бы воспитаны в строгих правилах народного этикета, редко встречаются в современных адыгских семьях.

---

[5] Г. Г. Андреев, Указ. соч., с. 102.

[6] В. Н. Бабаев, Нравственные привычки и условия их формирования. «Вопросы философии», 1964, № 9, с. 153.

[7] И. А. Шоров, Идеи умственного и нравственного воспитания в адыгском устном народном творчестве, Автореферат кан. дисс., Тбилиси, 1970, с. 7.

[8] Т. Керашев, Повести, с. 202.

В этом направлении в адыгейских школах почти никакой работы не ведется. При этом стихийная работа родителей по воспитанию своих детей в духе народного этикета не приносит желаемых результатов. Это связано с тем, что авторитет школы в вопросах воспитания и обучения очень велик в глазах самих подростков. А так как в школе не учат этим правилам, то учащиеся начинают думать, что знание и соблюдение этих правил не так важно. Поэтому некоторые дети воспринимают требования о соблюдении этикета как прихоть родителей, которые якобы придерживаются еще устаревших обычаев и взглядов.

Отсутствие единых требований семьи и школы к поведению учащихся и молодежи приводит к тому, что нравственное сознание подростка как бы раздваивается. В семье он ведет себя так, а в школе и в общественных местах — по-иному. Таким образом, возникает проблема «улицы». Сейчас часто можно слышать, что «улица» оказывает дурное влияние на детей и подростков. Но надо сказать, что проблема «улицы» может быть решена совместными усилиями семьи, школы и общественности. Здесь требуется прежде всего единство требований и единство действий. А между тем, первоочередной задачей является усиление социального контроля за поведением молодых людей. Для этого нужно поднять авторитет общественности в вопросах воспитания подрастающего поколения.

К сожалению, сила общественного мнения используется все еще недостаточно. Общественность вмешивается в дела семейного воспитания только в исключительных случаях, когда уже в отдельных семьях складывается нетерпимая обстановка. На наш взгляд, общественность постоянно должна контролировать работу семьи по воспитанию детей. Позиция «невмешательства» в семейные дела является обывательской, она не имеет ничего общего с принципами коммунистического воспитания. Воспитание детей это не только дело семьи, а дело всей общественности. В этом вопросе затрагиваются интересы общества и государства. Поэтому социальный контроль за семейным воспитанием является необходимостью. При этом в современных условиях можно использовать опыт народа по применению мер общественного воздействия на семейное воспитание. Адыгский народ, как и другие народы, в прошлом создал целую систему общественных институтов для осуществления постоянного социального контроля за воспитанием детей в семье. Воспитание подрастающего поколения считалось делом всей общественности. Ни один взрослый не имел морального права пройти мимо факта нарушения общественной дисциплины. Обычай предписывал каждому взрослому адыгу заботиться о воспитании чужих детей, как собственных. Если кто-либо делал замечание или строгое внушение нарушителю общественной дисциплины, то это воспринималось как должное всеми, в том числе и родителями. В этих условиях ни один родитель не мог считать «чужое» вмешательство посягательством на свои родительские права. Больше того, такой строгий социальный контроль усиливал взаимную ответственность родителей за воспитание подрастающего поколения.

Таким образом, в вопросах воспитания молодежи народ не делал различия между «чужими» и «своими».

На наш взгляд, эту народную традицию следует возродить и использовать широко. Это вытекает из программных установок нашей партии, которая требует усиления роли общественности в коммунистическом воспитании трудящихся.

При усилении социального контроля за поведением молодежи и семейным воспитанием будут постепенно преодолены некоторые обывательские настроения, которые встречаются среди определенной

части родителей, рассуждающих по формуле: «мои дети — воспитываю так, как хочу».

Для усиления социального контроля за поведением молодежи небесполезным будет возродить также традиционные институты общественного мнения: советы старейшин и общественные «хачеши», которые, наряду с другими органами общественного контроля, могли бы способствовать улучшению коммунистического воспитания молодежи. Ясно, что в советы старейшин должны избираться самые почетные старики: участники Октябрьской социалистической революции, гражданской и Отечественной войн, герои труда, передовики производства. Советы старейшин могли бы проводить свою воспитательную работу в «хачешах» (для которых не требуется специальных помещений, они могут быть организованы при сельских клубах, Домах культуры), используя традиционные народные формы выражения общественного мнения, способы его воздействия на нарушителей общественной дисциплины и правил социалистического общежития.

Советы старейшин и общественные «хачеши» могли бы стать постоянно действующими органами общественного самоуправления, основная функция которых заключалась бы в борьбе с пережитками ислама и другими антиобщественными явлениями.

Все вышесказанное позволяет сделать вывод, что использование традиционных демократических институтов и форм закрепления прогрессивных традиций и обычаев народов СССР приобретает важное значение в процессе коммунистического воспитания трудящихся.

გურამ თოფურია

ლინგვისტური გეოგრაფია, ტოპონიმია და ენის ისტორია

(ქართველური ენების მასალების მიხედვით)

ცნობილია, რომ გეოგრაფიულ სახელებში შეიძლება შემონახულ იქნეს ენის ისეთი რელიქტური მოვლენები, რომელთაც ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია — მესხეთ-ჯავახეთი (resp. ისტორიული სამცხე) — ქართული ენის მესხურ-ჯავახური (და აგრეთვე აჭარული) დიალექტების დღევანდელი გავრცელების არეალი. ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემებისა და ამ რეგიონის ტოპონიმიის შესწავლა საშუალებას იძლევა წმინდა ქართულ სახელწოდებებთან ერთად აქ გამოიყოს ზანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელების უძველესი ფენა, რაც იმის მოწმობაა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც დასახლებული უნდა ყოფილიყო დასავლურ-ქართველური ტომებით, ზანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხით. ზანური ფენის სიძველეს მისი ლინგვისტური ანალიზი მოწმობს.

ამ ტერიტორიაზე გამოვლენილია ისეთი აშკარა ზანური წარმოშობის ტოპონიმები, როგორიცაა — ტობა, ოხომა, ჯინჯიგორა, ხონა, ტოლოში, ჭობური და სხვ.[1] ეს უკანასკნელი (ჭობური) — ახალციხის რაიონის სოფ. ორალის მიკროტოპონიმი — ყურადღებას იქცევს იმით, რომ იგი უნდა მიუთითებდეს ზანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე[2].

დიდი ხანია დადგენილია ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობის ერთერთი ცნობილი, კრესტომათიული ხასიათის ფორმულა — ქართ. ა : ზან. ო (ქართ. კაც-, ქათამ-, ასულ-... : ზან. კოჩ-, ქოთომ-, ოსურ-...). არის გამონაკლისებიც — ქართ. ა-ს ადგილზე ზანურში მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად დასტურ-

---

[1] გ. თოფურია, ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან). „მაცნე", 1969, № 6, გვ. 167—171. ამ ტერიტორიაზე ზანური წარმოშობის ტოპონიმების შესახებ არაერთხელ თქმულა სპეციალურ ლიტერატურაში: ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, II. ყარსი, ბანა, არტანუჯი, თსუ სამეცნ. სესია, 1952 წლის 20—22 ივნისს, მოხსენებათა თეზისები, გვ. 77; მისივე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ-ის მოამბე, თბ., 1960, № 2, გვ. 227—228; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III. გამოკვლევა, თბ., 1958, გვ. 116—119 და სხვ.; ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში, „მნათობი", თბ., 1971, № 4, გვ. 137—141.

[2] ტ. გუდავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1960, ტ. XXV, № 1, გვ. 119—122.

დება უ — ქართ. სამ-, ღამე... : ზან. სუმ-, ღუმა... აქვე შემოდის ქართ. წაბლ-: :ზან. ჭუბურ-. გარკვეულია, რომ ნორმიდან გადახვევა ასეთ შემთხვევებში შემდგომი პოზიციური ცვლილების შედეგია — ო>უ, ლაბიალური ბგერის მეზობლობაში. ამგვარად, ბგერათშესატყვისობა ა : უ დაიყვანება ისევ ა : ო შესატყვისობაზე. ქართველური ენების ყველა მკვლევარი ერთხმად (თუმცა სხვადასხვა მიდგომით) თვლის, რომ უ ასეთ ფუძეებში მეორეულია და ყველგან უნდა რეკონსტრუირდეს ფორმა ძირისეული ო ხმოვნით (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი და სხვ.).

რაც შეეხება ტოპონიმს ჭობურ-ი, იგი იმითაცაა ღირშესანიშნავი, რომ ადასტურებს ლინგვისტების მიერ თეორიულად პოსტულირებული ო-ხმოვნიანი ფუძეების რეალურობასა და სისწორეს. მაშასადამე, ქართ. წაბლ- : ზან. ჭუბურ-<*ჭობურ-. ამ ტოპონიმის გამოვლენას ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე არა მარტო ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მოწმობს ძველი ზანური ფენის არსებობას ამ რეგიონის ტოპონიმიაში (თავისთავად ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, ლინგვისტურად დადასტურებული), არამედ იმასაც, რომ მისი მეოხებით შესაძლებელი ხდება ზანური ენის იმ მდგომარეობის (მისი განვითარების გარკვეული ქრონოლოგიური დონის) ფიქსაცია, როდესაც ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა ფონეტიკური გადასვლა ო>უ, ასე დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი ზანური ენისათვის შემდგომში. ამგვარად, როგორც ვხედავთ, გეოგრაფიული სახელწოდების ანალიზი საშუალებას იძლევა ჩავიხედოთ ენის განვითარების ისტორიის სიღრმეში. ამაში მდგომარეობს სწორედ წმინდა ლინგვისტური მნიშვნელობა ამგვარი ანალიზისა.

კითხვა ისმის, მაინც რომელ ქრონოლოგიურ დონეს განეკუთვნება ეს ზანური ფენა ისტორიული სამცხის ტოპონიმიაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას უნდა იძლეოდეს (მართალია, პირობით, მხოლოდ წინასწარი ვარაუდის სახით) ზოგიერთი დამატებითი ენობრივი ფაქტის ანალიზი ერთ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით. ესაა უძველესი ცნობა მესხების წესახებ. ეს ის ხალხია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ერთ ბერძნულ წყაროში პირველად, სახელდობრ, ჰეკატე მილეთელთან მოიხსენებიან როგორც მოსხები[3]. მესხებისა და მოსხების იდენტურობა ეჭვს არ იწვევს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოღონდ ამ ორი ტერმინიდან მოსხი ჩვეულებრივ ზანურ ვარიანტად, როგორც ამას მართებულად აღნიშნავდნენ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი[4] და ნ. მარი[5], თუმცა შენიშნულია ისიც, რომ ეს ტერმინი თვითონ ზანურში არ დასტურდება, მაგრამ იგი შემონახული უნდა იყოს ბერძნულში როგორც ზანური ნასესხობა. ბერძნულში დადასტურებული ვარიანტი ზანურ წარმომავლობისად ითვლება იმის გამო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველ მოსახლეობას, რომელთანაც ისტორიის

---

[3] ამ წყაროს შესახებ იხ.: Н. В. Хазарадзе, Античная письменная традиция и вопрос о расселении мосхов в VI—V вв. до н. э. Сборник „Проблемы античной истории и культуры", Ереван, 1979, 308—313. სხვა ისტორიოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებს აქ ამჟამად გეერდს ვუვლით. წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს ტერმინის მხოლოდ ლინგვისტურ ანალიზს.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფ., 1913, გვ. 21.

[5] Н. Я. Марр, История термина „абхаз", იხ. მისი წიგნი: „О языке и истории абхазов", М., 1938, გვ. 44—52.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კონტაქტები ჰქონდათ ძველ ბერძნებს, წარმოადგენდნენ სწორედ დასავლურ-ქართველური, ზანური ენის მატარებელი ტომები[6] რომელთა მემკვიდრეებს დღეს მეგრელ-ჭანები (ლაზები) წარმოადგენენ. გასაგებია, რომ საკითხი, თუ რომელი ენის კუთვნილებაა ტერმინი მოსხ-, დგება იმასთან დაკავშირებით, რომ მის პარალელურად არსებობს ფუძე მესხ-. ამ კონტექსტში აუცილებელი ხდება ამ ორი ტერმინის ურთიერთმიმართების გარკვევა, მით უმეტეს, რომ არსებობს მესამე ვარიანტიც მუსხ-.

მესხ- და მოსხ- (აგრეთვე მუსხ-) ფუძეთა ურთიერთშედარებას ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს ფუძეებიც ასახავენ ქართველურ ენათა დიფერენციაციის შედეგებს. ამ ბგერათშესატყვისობის ყველა დეტალს აქ აღარ შევეხებით[7], მივუთითებთ მხოლოდ, რომ ქართ. მესხ-<*მასხ- : ზან. მოსხ->მუსხ-, სადაც ო>უ, ანუ სხვანაირად, მოსხ- და მუსხ- ფუძეები ამჟღავნებენ იმავე ურთიერთმიმართებას, რაც გვაქვს ჰობურ->ჰუბურ- ფუძეებში. რაც შეეხება მუსხ- ვარიანტს, იგი შემონახულია ისევ ტოპონიმში მუსხ-ი, იმავე ახალციხის რაიონის სოფლის სახელწოდებაში, აგრეთვე ქართულ გვარებში მუსხ-ელ-ი, მუსხელიშვილი.

ამგვარად, მესხეთ-ჯავახეთის ტოპონიმიაში დადასტურებულია ძველი ზანური ფუძეები როგორც ძირისეული ო ხმოვნით (ჰობურ-ი), ისე მისი ტრანსფორმირებული ვარიანტით, უ ხმოვნით (მუსხ-ი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეოგრაფიულ სახელწოდებებში დაცულია ორი სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ენობრივი მოვლენა.

მეორეს მხრივ, მოსხ- და ჰობურ- ფუძეები სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ ხმოვნის თვალსაზრისით და გამოავლენენ ამოსავალ ო-ხმოვნიან საფეხურს; შემდგომ მომხდარი ფონეტიკური პროცესის თვალსაზრისითაც აქ სრული ანალოგიაა და ამასთანავე, ერთ-ერთი ფორმა დათარიღებულია კიდეც, სახელდობრ, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით.

ამგვარად,

მოსხ-//>მუსხ-

ჰობურ-//>ჰუბურ-

ზემოთ მოტანილი ენობრივი ფაქტებიდან შეიძლება გაკეთდეს როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიული ხასიათის დასკვნა.

ლინგვისტური დასკვნა მდგომარეობს შემდეგში: ის ვითარება, რომ ბერძნულში შემონახულია მოსხ- ვარიანტი და არა მუსხ-, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დასავლურ-ქართველურ ტომებთან (ზანებთან) ბერძნების კონტაქტების გარკვეულ პერიოდში არსებობდა მხოლოდ მოსხ-, სხვა შემთხვევაში ბერძნულს უნდა შემოენახა უ-ხმოვნიანი ვარიანტი მუსხ- (ბერძნულს ამის შესაძლებლობა აქვს). მოსხ- ფორმის დადასტურება კი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონია აღგილი ფონეტიკურ პროცესს ო>უ, რომელიც ზანურში შემდგომ განხორ-

---

[6] ბერძნულ-ქართველურ ენობრივ კონტაქტებს ჯერ კიდევ წინარე-ბერძნულის დონეზე ეძღვნება წიგნი: E. J. Furnée, Vorgriechisch-kartvelisches Studien zum ostmediterranen Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelasgischen Theorie. Louvain, 1979, 65 s.

[7] ეს ანალიზი იხ. გ. თოფურია, ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები. I. მესხ- ეთნონიმის ისტორიისათვის, „იბერ.-კავკ. ენათმეცნ.", XVII, თბ., 1970, გვ. 118—122.

ციელებულა, სახელდობრ VI საუკუნის შემდეგ, რამდენადაც VI საუკუნეში ჯერ კიდევ გავრცელებული ყოფილა ო-ხმოვნიანი ვარიანტი. ცხადია, ეს პირობითი ქრონოლოგიაა. მოსხ- ფორმის ძვ. წ. VI საუკუნეში დადასტურება, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უთუოდ ამ საუკუნიდან იღებს დასაბამს — იგი შეიძლება გაცილებით უფრო ძველი იყოს. აქ საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ რყევაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ გარკვეული პირობითი თარიღი მაინც გვაქვს.

მეორეს მხრივ, ისტორიული თვალსაზრისით მოსხ- ფორმა იმითაცაა საინტერესო, რომ თუ ის ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის მონაცემია, მისი თანადროული უნდა იყოს ზანური ფუძე ჰობურ-იც (ორივეში ხომ ო საფეხურია დაცული), რაც საშუალებას იძლევა დათარიღდეს ისტორიული სამცხის ტოპონიმიის ეს უძველესი ფენა. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე საყრდენი თარიღია, მაგრამ უფრო ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე ზანური ენის მატარებელი მოსახლეობა სავარაუდებელია დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა საუკუნეებში მაინც.

დასასრულ, ის დასკვნები, რაც გაკეთებულია მხოლოდ ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, კარგად ეგუება ისტორიულ და არქეოლოგიურ მონაცემებს[8].

---

[8] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), თბ., 1974, გვ. 26—30 და სხვ.

ნინო თოფურია

საკულტო ნაგებობა

ზედაშე-ოხვამერი

ქართველ ხალხს ღვინო წმინდა სასმელად წარმოედგინა, იგი ღვთაებებისთვის საყოველთაოდ გავრცელებულ შესაწირავ საგანს წარმოადგენდა. მათთვის შეწირულ ღვინოს სპეციალური სახელიც — ზედაშე ეწოდებოდა. ზედაშის შესატყვისად სიტყვა ზედაშის გვერდით სამეგრელოში გვხვდება „ოხვამერი“[1], ხოლო იმერეთსა და რაჭაში — „სალოცავილი“. ქართული საწირავის მნიშვნელობის შესატყვისია მეგრული „ოხვამერი“ და იმერულ-რაჭული „სალოცავილი“. ქართულ შესაწირავს, მეგრულ ოხვამერს, იმერულ-რაჭულ „სალოცავილს“ ფართო მნიშვნელობა აქვს, ის ზოგად ცნებას გამოხატავს, ზედაშე კი უფრო კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება.

არსებული წესის მიხედვით, ვენახის მოსავლის აღების შემდეგ ყურძნის დაწურისთანავე დაწმენდილ სუფთა თავ-ღვინოს ამა თუ იმ წმინდანის სახელზე დაფლულ ქვევრში ჩაასხამდნენ. ღვთაების სახელზე წმინდა ღვინის შეწირვის ფაქტები ხეთურ ლურსმულ წყაროებშიც დასტურდება[2].

ღვინის ჩასხმის დროს ქვევრის პირზე სანთელს აანთებდნენ და ლოცვას წარმოსთქვამდნენ. ამ ღვინოს ხარჯავდნენ იმ წმინდანის დღეობაზე, რომლის სახელზედაც იყო შეწირული. დღეობაზე ქვევრს მოხდიდნენ, თავ-ღვინოს ამოიღებდნენ და ხატში მიიტანდნენ.

ღვინის ზედაშის დაყენება ხდებოდა როგორც ხატის ან ჯვარის ვენახიდან, ისე სახლის მფლობელობაში მყოფი ვენახებიდან. ღვთაებათა სახატო ვენახებიდან დაყენებული ღვინო ამ ღვთაების დღეობას ხმარდებოდა.

რიტუალში ღვინის გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მონაცემები. თრელიგორებზე მხოლოდ საკულტო სათავსოებში აღმოჩენილი ქვევრები და აგრეთვე მელი-ღელე I-ის სამლოცველოზე დამოწმებული თიხის ჭურჭლები, რომლებსაც მხრებზე მცირე ჭურჭლები აქვთ მიძერწილი (მარანი), ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყოველთვის საღვინეა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანაშიც იგი ღვინისთვის განკუთვნილი სპეციალური სასმისი ყოფილიყო. ყანთელი ხევის საკულტო ნაგებობების კომპლექსში ნაპოვნი წიპწები ხელადაში აღმოჩნდა. ამ მასალების საფუძველზე ი. კიკვიძე ვარაუდობს, რომ ღვინო თავდაპირველად მხოლოდ რი-

---

1 მეგრული „ოხვამერი“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარება: ერთი მხრივ, ის ადგილია, სადაც ღვთა-რიტუალი სრულდება, ხოლო, მეორე მხრივ, ის სალოცავისთვის განკუთვნილი შესაწირავია. იგი შეიძლება იყოს ღვინო, პური, სანთელი, თაფლი და სხვა, რაც ღვთაებისთვის არის მიძღვნილი. ასეთივე მნიშვნელობისაა იმერულ-რაჭული „სალოცავილი“.

2 ცნობა მოგვაწოდა გ. გიორგაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ტუალში იყო გამოყენებული. ღვინის სარიტუალო სასმელად გამოყენება მეორე ათასწლეულისთვის ეჭვს არ იწვევს[3].

ღვინის ამგვარი დანიშნულება აშკარად ჩანს მესოპოტამური და ხეთური მონაცემებითაც, სადაც საღვთოსთვის შეიწირებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (პური, ლუდი). სწირავდნენ აგრეთვე ფქვილს, რძეს, ყურძენს, ღვინოს[4].

ეგვიპტური მასალებითაც თავდაპირველად ღვინო მხოლოდ ტაძრის რიტუალში გამოიყენებოდა.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საზედაშე ქვევრები ზოგჯერ მარანში ჰქონიათ, ხშირად ცალკეც იყო ხის, ქვიტკირის თუ მოწნულ სადგომში დამარხული, აგრეთვე ღია ცის ქვეშ ვენახში თუ სალოცავის გალავანშიც.

მარნის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ საზედაშე ქვევრებს განსაკუთრებით მორიდებით ეკიდებოდნენ. მარანი წმინდად ითვლებოდა. ოჯახი მას იცავდა მავნე სულებისა და ავი თვალისაგან, აგრეთვე არიდებდა ახალგაზრდა ქალებს. იგი სალოცავ ადგილს წარმოადგენდა. ზოგი საოჯახო სარწმუნოებრივი წესი მარანში სრულდებოდა, იქ იკვლოდა შესაწირავი ცხოველი. ქორწილი თუ ბავშვის მონათლა მარანში სრულდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული წარმოდგენაა შექმნილი ყურძნისა და ღვინის კულტის და მასთან მარნის, როგორც წმინდა ნაგებობის ძველათძველობაზე. ყურძნისა და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი გახდა თვითონ მარანიც[5].

ამგვარი ვითარების დამადასტურებელი მასალა იქნა ნახული ვანში, სადაც გამოვლენილია მარანი როგორც საკულტო სადგომი; სარიტუალო ჭურჭელი, შესაწირი ამფორები, რომლებიც ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ავლენს სრულ დამთხვევას როგორც ფუნქციით, ისე ფორმითა და მასალით[6].

ქართული მარნის საკულტო ნაგებობის უახლოეს ანალოგიას წარმოადგენს კარმირ-ბლურის გათხრებისას აღმოჩენილი ღვინის სათავსი სამსხვერპლოთი, ღვთაებათა თიხის ფიგურებით, სამსხვერპლო ცხოველთა ნაშთებით, რომლებიც იქვე იპოვნეს[7].

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდება აგრეთვე ცალკეული სადგომები თუ ღია ხეებით შემორაგული ადგილები შეწირული ღვინის შესანახად.

კახეთში ხისა და ქვიტკირის ნაგებობაში, ზოგჯერ კი ღია ადგილას მოთავსებულ ქვევრებში შეწირული საზედაშე ღვინო ინახებოდა. ამ ღვინისათვის ეს სადგომიც ზედაშედ იწოდებოდა, რომელიც საგვარო, საძმო-პაპეული განაყრების სალოცავი იყო.

ასევე ქართლში, ვენახში, ღია ადგილას ხეებქვეშ საზედაშე ქვევრები იყო ჩაფლული. ხეები კი ხელუხლებელი და წმინდა საღვთო მცენარეებად

---

3 ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 100.

4 J. R. Forbes, Studies in Ancient Technology; A. Goetze, Kleinasien, München, 1957.

5 ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, 1968; ნ. თოფურია, მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955; მისივე, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XII—XIII, თბ., 1963.

6 ო. ლორთქიფანიძე, ვანის არქეოლოგიური გათხრები, 1917—1969, თბ., 1972.

7 Б. Г. Пиотровский, Кармир-Блур. II, Ереван, 1952.

ითვლებოდა. აქ მათ ღვინოსავით ზედაშე ერქვათ; იგი ისეთივე სალოცავი იყო, როგორც ეკლესია.

სამეგრელოში ავრეთვე დადგენილ იქნა სალოცავი ნაგებობა — „ოხვამერი" შეწირული ღვინის შესანახად, რომელსაც მას საჯვარე თუ ოხვამერი მარანი ერქვა. იგი სახლიდან მოშორებით იდგა. ხალხის რწმენით — ხატზე უფრო მეტად მისი მორიდება და შიში ჰქონდათ.

ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე სავარაუდოა, რომ ზედაშის გაჩენას აპირობებდა ოჯახის გაყოფა თუ აყრა, რის შედეგად მარანი ინგრეოდა ან სხვა ქვევრებთან ერთად ხდებოდა მისი სხვაგან გადატანა. ადგილზე დარჩენილ საზედაშე ქვევრებს კი, რომელთა ადგილიდან დაძვრა ან გაყოფა არ შეიძლებოდა, ხის ან ქვიტკირის ორფერდასახურავიანი სადგომი უკეთდებოდა. ზოგან კიდევ ეს საზედაშე ქვევრები ღია ცის ქვეშ ვენახსა თუ ეზოში ხეებქვეშ იყო მოთავსებული. ეს სადგომები, ან ღია ცის ქვეშ ხეებქვეშ ჩაყრილი ქვევრები, ზედაშე-ოხვამერად იწოდებოდა. ზოგჯერ გაყოფის შედეგად წასული ოჯახის წევრი საზედაშე ქვევრს ცალკე გაიჩენდა. უზედაშოდ არ შეიძლებოდა, ვინაიდან, ხალხის რწმენით, ზედაშეს დოვლათი და ბარაქა ჰქონდა. წასვლის დროს ოჯახის უფროსი დალოცავდა: „ჩემი სალოცავებიდან უვნებელი ყოფილიყავი, ჩემგნით თავისუფალი იყავი, ჩემს სალოცავებს შენთვის ზიანი არ მიეყენებინოს, შენთვის გაგეჩინოს".

საკულტო კომპლექსი მარანი, ზედაშე-ოხვამერი, თაყვანისცემის ობიექტად და უწმინდეს სალოცავად იყო მიჩნეული.

სადგომ ზედაშე-ოხვამერთან დაკავშირებულ რიტუალში მხოლოდ მამაკაცები იღებენ მონაწილეობას.

როგორც მარნის, ისე ზედაშეს წმინდა ადგილად გამოცხადება უნდა იყოს იმ დროის გადმონაშთი, როცა წმინდა მცენარე — ვაზი — კერძო კუთვნილებაში გადადის და ამით ხდება ამ აქტის გამართლება[8].

ქართული ეთნოგრაფიული მასალა ყურადღებას იპყრობს ზედაშის მფლობელობის თვალსაზრისითაც. დამოწმდა თაობიდან თაობაში ზედაშის განუყოფლად გადასვლის პრაქტიკა; რამდენიმე ოჯახს გაუყოფელი ზედაშე ჰქონდათ საერთო მფლობელობაში.

კახეთში, სოფ. ვეჯინში (გურჯაანის რ.) მცხოვრებ სვიმონიშვილების პაპისეულ განაყრებს ძველ ბინაში ჩადგმული ჰქონიათ საერთო ღვთის ზედაშე. ჭრელი ყოფილა 72 კომლი.

ქართლში, სოფ. მეჯუდისპირში მცხოვრებ მექვაბიშვილებს უსანეთისათვის ერთობის ზედაშე ჰქონიათ, რომელსაც განაყოფები საერთო სალოცავად იყენებდნენ.

ანალოგიური ვითარება დადასტურდა სამეგრელოს სოფ. ახუთში, სადაც ასმავები მინდორში დამარხულ საერთო ქვევრში ღვინოს ერთად ასხამდნენ, დათქმულ დღეს მოხდიდნენ და ერთად ლოცულობდნენ.

თაობიდან თაობაში ზედაშის გადასვლის ასეთი წესი, როგორც ჩანს, ძველთაგანვე არსებობდა, რაც განაყრების ძველ ეკონომიკურ ერთიანობაზე მიუთითებს. განაყრების იდეოლოგიური ერთობა გამოიხატებოდა რელიგიური წესების შესრულებაშიც.

სარწმუნოებრივ დღესასწაულთა ხასიათის კვალობაზე ქართველებმა ზედაშესთან საძმო-საგვარო, პაპეულ-განაყრების, ერთი მოდგმის, ერთი ბაბუაშვილობის პურობა იცოდნენ.

[8] ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 227.

კახეთში პაპეულ-განაყრების, საუბნო-საგვარო ზედაშესთან გამართულ პურობას წირვის სუფრას ეძახდნენ. სავალდებულოდ მიაჩნდათ წელიწადში ერთხელ შემოდგომით შეკრებილიყვნენ და წირვის სუფრა გადაეხადათ. დიდი წირვის გადახდის შემთხვევაში შესაწირავი საკლავი, საწირავი პური საერთო იყო. ნასუფრალის წამოღება აღკვეთილი იყო.

იმერეთში ყოველი ოჯახი წელიწადში ერთხელ საღვთო წირვას იხდიდა. საღვთო წირვის სუფრაზე ღმერთს პურ-ღვინოს ბარაქას ევედრებოდნენ. საანგელოზო ჭურთან ოჯახის უფროსი ანთებული სანთლებით სიტყვას იტყოდა. ოჯახის ანგელოზს სთხოვდა ყოფილიყო მფარველი და დამცველი მისი ოჯახისა. ლოცვის დამთავრების შემდეგ, პურობა იმართებოდა[9].

საწირავი ჭური გურიაში ცალკე ჰქონდათ დამარხული ოჯახის მფარველი ანგელოზისათვის. ოჯახის წირვა, რომელიც ნოემბრის თვეში მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ იმართებოდა, წელიწადში ერთხელ სცოდნიათ და საწირავ ჭურსაც მაშინ მოხსნიდნენ. ოჯახის უფროსი ოჯახის მფარველ ანგელოზს სთხოვდა ოჯახის ბედნიერებას და ბარაქას. შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, სახლიკაცობას დაპატიჟებდნენ და სადილი იმართებოდა.

ზემომოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველებმა ზედაშესთან საოჯახო, პაპეულ-განაყრების, ერთობის, ერთი მოდგმის გაერთიანებათა პურობა იცოდნენ. პურობის დროს ოჯახის მფარველად მიჩნეული სახლთანგელოზის სადღეგრძელოს დალევდნენ, რომელსაც ევედრებოდნენ პურ-ღვინოს ბარაქას, რომ ყოფილიყო ოჯახის მფარველი და დამცველი. ამგვარად ზედაში, როგორც ხატი, ძირეულ სალოცავს წარმოადგენდა.

---

[9] М. Сагарадзе, Обычай и верования в Имерети, СМОМПК, вып. XXV, Тифлис, 1889; ვ. ბარდაველიძე, იმერეთის 1937 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურიდან.

З. И. ЯМПОЛЬСКИЙ

ОБ ИССЛЕДОВАНИИ Г. С. ЧИТАЯ ОРУДИЙ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА

В продолжении почти полувека Г. С. Читая вел в равнинных и горных зонах историко-этнографические полевые исследования пахотных орудий как основы традиционного земледелия Грузии и всего Кавказа[1]. Опубликованные в СССР и в других странах итоги этих работ Г. С. Читая, за которые он удостоен быть членом Международного комитета по изучению земледельческих орудий, показывают, что глубина хронологической досягаемости познания прошлого исторической этнографией[2] позволила Г. С. Читая отметить местные пережитки разных этапов развития земледелия, «отдельные элементы которого вырабатывались и оформлялись на протяжении тысячелетий»[3]. Это, кажется, подтверждается археологически вскрытыми некоторыми существенными чертами материальной культуры, которые могут свидетельствовать следы местной преемственности развития на разных стадиях древности и эпохи феодализма не только орудий обработки почвы и тягла, но и видов зерновых, сбора (молотьба и т. д.) и хранения урожая, зернотерок, хлебопечения и других способов пищевой обработки продуктов земледелия.

Работами Г. С. Читая, его учеников и последователей выявлены некоторые сходные черты развития существенных элементов традиционного земледелия всего Закавказья[4], местная преемственность истории развития которого, кажется, также подтверждается археологическими работами в Грузии, Армении и Азербайджане. Выразительным следом исторической преемственности и взаимосвязанности истории земледелия Закавказья, вероятно, являются лексические единицы разнотипных языков Закавказья, обозначающие одно из основных традиционных пахотных орудий — «гутани» в грузинском, «гутан» в армянском, «котан» в азербайджанском.

---

1 Р. Д. Тодуа, Библиография печатных работ Г. С. Читая, Материалы по этнографии Грузии, в. XII—XIII (1961), с. 17—36; Народы Кавказа, I—II, М., 1960—1962; там же, библиография этнографии Кавказа и очерки его археологии. Поэтому ниже отмечена только часть работ, опубликованных после 1960—1962 гг.; где нет ссылок, мы опираемся на факты, почерпнутые из этого свода о Кавказе.

2 Этнография, как источник реконструкции истории первобытного общества, М., 1979.

3 Г. С. Читая. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, «Вопросы этнографии Кавказа» (1952), с. 99.

4 См. выше об опубликованных работах Г. С. Читая; В. А. Бдоян, Земледельческая культура Армении, Тбилиси, 1968 (докторск. реферат); К. Т. Караакашлы, Материальная культура азербайджанцев, Баку, 1964; Г. А. Гулиев, О пахотных орудиях и системах земледелия в Азербайджане, «Азербайджанский этнографический сборник», II(1965); Г. Д. Джавадов, Земледельческие орудия Азербайджана, Баку, 1979; ряд других работ этого ученого.

Этнографическое изучение традиционного земледелия, проведенное Г. С. Читая, его последователями и археологами с привлечением сравнительных историко-этнографических и археологических материалов, кажется, дает основание для вероятно бесспорного вывода: докапиталистическое развитие некоторых существенных и основных черт земледелия и пищевой обработки его продукции в Закавказье, разных на разных этапах древности и феодальной эпохи, материально-технически, в основном, было корреспондентно истории земледелия Древнего Востока, Античного мира и других регионов[5]. Развиваясь на протяжение тысячелетий, докапиталистическое земледелие Закавказья, судя по его некоторым существенным чертам, не являло (как впервые на основании полевого этнографического изучения земледельческих орудий Азербайджана отметил Г. Д. Джавадов) признаков отсталости от всех этих стран. Исследования этнографами и археологами развития традиционных ремесел (особенно — неполивной керамики) Закавказья, кажется, могут на внеземледельческих материалах истории хозяйства подтвердить этот вывод и для древности и для эпохи феодализма.

Хорошо известно, что земледелие занимает столь большое и влиятельное место в жизни общества, что даже те, кто считает социально-исторический процесс бесприматно плюралистски-многофакторным, не могут отрицать значительного воздействия земледелия на ход истории. Кажется с таким воздействием сходных черт истории земледелия Закавказья связано сходство некоторых существенных черт истории отношений общинной собственности Закавказья. Известно[6], что первобытную (родовую) общину с присущими ей коллективизмом собственности на землю (территорию), производства и распределения (потребления) сменили различные виды (в том числе, — переходные, смешанные) сельской общины (марки, с присущими ей коллективизмом собственности на землю, но по-семейным производством и потреблением), за которой последовали рабовладельческие и феодальные сельские общины с присущим им коллективизмом, в основном, только пользования (владения) землей. Два последних типа общин сосуществовали с отношениями частной (и условно-частной) собственности рабовладельческого и феодального типов. Фундамент изучения, идущих из глубокой местной древности, повсеместных пережитков первобытных общин Закавказья был заложен В. В. Бардавелидзе[7] историко-этнографическими исследованиями пережитков социальных отношений на закавказских архаических святилищах типа хати, джвари, пиры, сурпы, оджаги, хачи. Много следов первобытных общин в Закавказье дало историко-этнографическое изучение пережитков супряги и доре-

---

[5] Ср. И. М. Лурье и др., Очерки истории техники Древнего Востока, Ленинград, 1940; A. Parrot, L'archéologie mesopotamienne, I—II, Paris, 1946—1953; Всемирная история, I—II, М., 1955—1956; Очерки по истории СССР, М., 1956—1958; Народы Передней Азии, М., 1957; S. Swensson, Einführung in die Europäische Ethnologie, Meisenheim, 1973; Х. Вакарелски, Етнография на България, София, 1974; Caro Baroja, De la vida ruzal vasca, San Sebastian, 1974.

[6] Разложение родового строя и формирование классового общества, М., 1968; Н. Б. Янковская, Земледелие большесемейных домовых общин в клинописных источниках, «Вестник Древней истории», 1959, № 1; И. М. Дьяконов, Община на Древнем Востоке в работах советских исследователей, там же, 1963, № 1; А. Д. Давыдов, Сельская община и патронимия в странах Ближнего и Среднего Востока, М., 1979.

[7] «Материалы по этнографии Грузии, в. XVI—XVII (1972), посвященный памяти профессора Веры Варденовны Бардавелидзе», в котором отмечены многолетние исследования В. В. Бардавелидзе по этой теме. За ней следовали и мы в работе Албания III—I вв. до н. э., Баку, 1962.

лигиозных коллективных первобытно-магических действ, связанных с обработкой почвы, сбором и потреблением урожая. Повсеместные пережитки сельских общин Закавказья исследованы по сравнительно большому историко-этнографическому материалу XVIII—XIX вв.[8] Эти общины были разными этапами исторически обусловленного преобразования первобытных общин, в недрах которых на последних этапах их истории, как показатель и как фактор их распада шло закономерное зарождение рабства[9], развивавшегося в рамках сельских общин и параллельно с ними. Пережитки первой формы рабства (типа кадини, кадешим, мерет, гиеродулы, атеши бандак) отмечены в Закавказье и вне его местным источником Албании (Кавказской), античными и другими древними авторами, документированы эпиграфически. Полевыми этнографическими работами такие пережитки вскрыты И. А. Джавахишвили в Грузии и С. Д. Лисицианом в Азербайджане[10]. Историки древнего Закавказья[11] исследовали также сходные основные черты отношений ранне-рабовладельческой и рабовладельческой собственности в Закавказье как закономерных стадий его развития.

Наличие таких отношений в истории Северного Кавказа ставится под сомнение[12], хотя и на Северном Кавказе фиксируется как развитая стадия древней истории первобытно-общинный строй[13]. Основным источником изучения первобытной общины, рабовладения и сельских общин на Северном Кавказе одинаково являются (источниковедчески равноценные и тождественные) их пережитки, сохранившиеся до XIX в. Однако, получившей развитие стадией на Северном Кавказе отмечается только первобытно-общинный строй, хотя пережитки рабовладения (закономерно зародившегося в недрах первобытных общин) повсеместно фиксируются и на Северном Кавказе в XVIII—XIX вв.[14].

Изучение истории Закавказья, кажется, может содействовать некоторому уточнению научного понимания древней истории Северного Кавказа, если использовать сравнительную методику, широко применяемую исторической этнографией, как известно, именуемой в западных странах антропологией (социальной)[15]. Применяя эту методику, кажется, следует учитывать, что Г. С. Читая и его последователи показали, что на Северном Кавказе и на равнинах, и в горах по некоторым существенным чертам история традиционных пахотных орудий, всей развивавшейся системы докапиталистического земледелия и пищевой обработки его продукции были однородны и сходны с их за-

---

[8] Р. Л. Харадзе, Грузинская семейная община, I—II, Тбилиси, 1960—1961; Э. Т. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958; Г. А. Раджабов, Пережитки сельско-общинного быта в Азербайджане, Баку, 1966 (кандидатск. реферат).

[9] А. Г. Периханян, Храмовые объединения Малой Азии и Армении, М., 1959; см. нашу работу Атропатена и Кавказская Албания в III—I вв. до н. э., Ленинград, 1952.

[10] The history of the caucasian albanians, London, 1961; А. Г. Периханян, Иеродулы и ἔφοι храмовых объединений Малой Азии и Армении, „Вестник Древней истории", 1957, № 2.

[11] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси. 1959; С. Т. Еремян, О рабстве в древней Армении, «Вестник Древней истории», 1950, № 1.

[12] Народы Кавказа, I, М., 1960; Генезис, основные этапы, общие пути и особенности развития феодализма у народов Северного Кавказа, Махачкала, 1980, с. 4, 7, 10. 16, 22 (Ниже — «Генезис...»); ср. Л. И. Лавров, Назревшие вопросы изучения социальных отношений на докапиталистическом Кавказе, «Социальная история народов Азии», М., 1975.

[13] Там же.

[14] «Генезис...», с. 5, 8, 10, 29, 31, 37, 39, 43, 44; 86.

[15] G. Sarana, The methodology of anthropological comparisons, Tuckson, 1975.

кавказской истории[16]. Археологическое изучение Северного Кавказа вскрыло такие элементы материальной культуры, которые, кажется, могут свидетельствовать, как и в Закавказье, глубокие местные корни этого производства. Наименование одного из основных традиционных пахотных орудий на Северном Кавказе (катон, гутон) дважды (семантически и материально) сходны с отмеченными выше грузинским гутани, армянским гутан и азербайджанским котан.

Применяя сравнительную методику изучения истории Закавказья и Северного Кавказа, кажется, следует учитывать еще, что в этих двух регионах Кавказа сходны существенные черты и общинных отношений. Первобытные общины на Северном Кавказе вырисовываются по пережиткам там социальных отношений на овятилищах типа каша, по пережиткам супряг и коллективных дорелигиозных первобытно-магических действ связанных с земледелием. В самом имени этих святнлищ Северного Кавказа может быть будет вскрыто его двойное сходство с грузинским хати и армянским хач. Пережитки социальных преемников первобытных общин в виде сельских общин были повсеместны не только в Закавказье, но, — и на Северном Кавказе[17]. Там же, на Северном Кавказе широко были распространены пережитки, зарождавшегося в недрах первобытных общин, рабовладения[18].

К. Д. Кавелин, предвосхитив теорию пережитков Э. Тэйлора, отмечал, что исследуемые исторической этнографией пережитки (пережиточные формы) необходимо «разобрать по эпохам, к которым они относятся». Пережитки рабовладения на Северном Кавказе (и повсюду) также требуют изучения в связи с эпохой (объективными условиями), определившей зарождение этого социального института как стадии исторического развития. Насколько нам известно, такая работа не проведена, вероятно потому, что недостаточно учитывалось закономерное зарождение рабства в недрах первобытных общин, мало письменных источников о древнем рабовладении на Северном Кавказе и сравнительно незначительным был удельный вес пережитков рабства там в XVIII—XIX веках. Поэтому на достигнутом уровне развития научной истории СССР, до всесторонней разработки частных и общезначимой теорией внерабовладельческого пути развития, может быть, следует менее категорично утверждать, что на Северном Кавказе (как, вероятно, и в других регионах СССР и за его пределами) рабовладение не было сложившейся стадией развития. Независимо от конкретного содержания научных абстракций, относящихся к стадиальности в развитии общества, точность такого утверждения, кажется, несколько ослабляется сравнительным подходом к изложенным выше наблюдениям, выводам и обобщениям Г. С. Читая и других ученых

---

16 С. Ш. Гаджиева, Материальная культура кумыков XIX—XX вв., Махачкала, 1960; ее же, Материальная культура даргинцев, там же, 1967; Материальная культура аварцев, там же, 1967; С. Х. Аснятов, Историко-этнографический очерк хозяйства аварцев, там же, 1967; С. А. Агаширинова, Материальная культура лезгин XIX — нач. XX вв., М., 1978; Хозяйство народов Дагестана в XIX—XX вв., Махачкала, 1977 и 1979; Б. А. Калоев, Материальная культура и прикладное искусство осетин, М., 1973; Очерки истории Чечено-Ингушской АССР, I—II, Грозный, 1967—1972; М. З. Азаматова, Материалы к земледельческой культуре бжедугов, «Материалы по этнографии Грузии», в. XII—XIII (1961); Г. Х. Мамбетов, Материальная культура сельского населения Кабардино-Балкарии, Нальчик, 1971; А. Д. Бесленеев, И. М. Шаманов, Очерки истории хозяйства и хозяйственного быта горцев Кубанской области, Ставрополь, 1972.

17 «Генезис...», с. 6, 9, 10, 11, 16, 19, 20, 37—39, 43, 45, 50, 52—60, 63, 76—79, 86, 88—91; Х. Хашаев, Общественный строй Дагестана, Махачкала, 1961.

18 «Генезис...», с. 5, 8, 10, 29, 31, 37, 39, 43, 44, 86.

по истории традиционного земледелия и общин Закавказья и Северного Кавказа. Их работа, вероятно, допускает гипотезу о рабовладении как сложившейся стадии истории Северного Кавказа, гипотезу не отрицающую локальные различия уровней рабовладения в древности.

Сравнительное историко-этнографическое изучение Северного Кавказа в связи со вскрытыми Г. С. Читая, его последователями и археологами материально-техничеокого сходства некоторых существенных черт традиционных пахотных орудий и всего традиционного земледелия Кавказа, элементы местной преемственности в развитии этого производства, сохранение здесь повсеместных пережитков первобытных общин (в недрах которых зарождалось рабство) и пережитков их социальной преемственности в виде сельских общин, повсеместное сохранение здесь до XVIII—XIX веков пережитков рабовладения, кажется дают некоторые основания предполагать, что в древности Северный Кавказ мог пройти не только (разной хронологической длительности) сложившиеся стадии первобытно-общинных и ранне-рабовладельческих социальных отношений, но и сложившихся рабовладельческих отношений как закономерной стадии и предпосылки дальнейшего развития.

იური კაბარავა

ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის ისტორიიდან

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ საქართველოში ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ კაპიტალიზმის განვითარება. ამ პროცესს, რა საკვირველია, ვერ ასცდა აფხაზეთიც. აქ კაპიტალისტური ტიპის არაერთი წარმოება თუ კულტურული მეურნეობა წარმოიქმნა. კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით უფრო და უფრო გაღრმავდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, ხალხთა შორის ადრე არსებულ მეგობრობაშიც მოხდა შესამჩნევი ცვლილებები, დაინგრა ადამიანთა შორის „ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი“ და „ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაიხრჩო სალმრთო ჟრუანტელი რელიგიური აღტყინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა“ და შიშველი კლასობრივი ინტერესების დომინანტობა უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა, კლასობრივი პრინციპით წარიმართა ხალხთა ურთიერთობაში მეგობრულ ძალთა გადაადგილება. გაბატონებული კლასები ეროვნულ პრინციპს აზვიადებდნენ მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობის ჩასაშლელად, ილესებოდა ნაციონალიზმის მახვილი ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის წინააღმდეგ. ამით სარგებლობდა ცარიზმი და გაბატონებული კლასების ყველაზე რეაქციულ ძალებთან კავშირში ასიმილაციის შავრაზმულ პოლიტიკას ანხორციელებდა.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოების პროგრესული ძალებისათვის არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთლიანად საქართველოში და თვით რუსეთშიც. ამიტომ ერთობლივად გაილაშქრეს აღნიშნული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი, აფხაზი და რუსი ხალხების გამოჩენილმა პროგრესულმა ადამიანებმა და უკუაგდეს ასიმილაციის შავრაზმული პოლიტიკა — ხალხთა მეგობრობის მესაფლავე. ამის გამო იყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ქართული და აფხაზური საზოგადოებრივი აზრი თავს რომ დასტრიალებდა აფხაზეთის საკითხს, აფხაზი ხალხის ბედს, ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას.

ქართველი ხალხის გამოჩენილი მოღვაწენი: გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დ. ყიფიანი, ი. მეუნარგია, რ. ერისთავი, ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, ლ. მესხიშვილი და აფხაზეთში მომუშავე მოწინავე ქართველები: თ. საბოკია, პ. ჭარაია, ნ. ჯანაშია, ა. ჯუღელი, მ. დადიანი-ანჩაბაძისა, ბ. ჩიქოვანი, ს. ნოდია, ი. ნაჭყებია, ა. თოფურიძე, ს. კვაჭანტირაძე, ბ. გობეჩია და მრავალი სხვა დიდი სიყვარულითა და თავდადებით იცავდნენ ყველა ჯურის გადამთიელ მოძალადეთაგან აფხაზი ხალხის, აფხაზეთში მოსახლე ყველა ხალხის სოციალურსა და ეროვნულ ინტერესებს, განსაკუთრებით კი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას.

ქართველი და აფხაზი ხალხების მოწინავე და პროგრესული ძალები საერთო ფრონტით გამოდიოდნენ ყოველთვის, როდესაც კი დამდგარა კრიტიკული მომენტი აფხაზი და აფხაზეთში მოსახლე ყველა ხალხის ეროვნულ-კულტურულსა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთი კრიტიკული თუ ტრაგიკული მომენტები არა ერთი ჰქონია აფხაზ ხალხს და, საერთოდ, აფხაზეთში მოსახლე ყველა ერს.

აფხაზი ხალხისათვის ერთ-ერთი ტრაგიკული მომენტი შეიქმნა 1866 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. ამ აჯანყებაში მონაწილეობდა აფხაზეთში მოსახლე თითქმის ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი. აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ცარიზმის უხეში პოლიტიკა. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია გრიგოლ ორბელიანს, იგი გულწრფელად გამოექომაგა გაჭირვებაში ჩავარდნილი აფხაზეთის ყველა ხალხს: „აქამდის მიიყვანეს იქაურმა (აფხაზეთში მოღვაწე, ავტ.) ნაჩალნიკებმა ხალხის შეწუხება, — წერდა 1866 წლის 6 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანი ლევან მელიქიშვილს, — უგნური ქცევითა, ლანძღვა-თრევითა, ყოველგვარი შეურაცხყოფითა, უსამართლობითა, რომ ხალხმა ვეღარ გაუძლო და მოჰკლეს კონარი, ჩერეპოვი, იზმაილოვი და მათთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაპეცია და ნახევარი სოხუმი, სადაც ოთხი თვე იყო ომი“[1].

აფხაზ ხალხს მორიგი ტრაგიკული მომენტი დაუდგა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც იგი დაარბიეს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დედა-სამშობლოდან შორს რომ გადაჰკარგეს. ცნობილია, რომ მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთში დაცარიელდა და გაჩანაგდა ადრე მჭიდროდ დასახლებული და აყვავებული სოფლები, დარჩა ბევრი თავისუფალი ადგილი, მაგრამ ცარიზმის ვერაგულმა პოლიტიკამ, რომელიც ყოველთვის მიმართული იყო საქართველოში მოსახლე ერთა გათიშვისაკენ, აქაც იჩინა თავი. მეფის მთავრობა აფხაზეთში დაცარიელებულ ადგილებზე ყველას ასახლებდა, გარდა ქართველებისა და აფხაზებისა. ქართველი ხალხის გამოჩენილმა მოღვაწეებმა — გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ს. მესხმა, ი. გოგებაშვილმა, თ. სახოკიამ და სხვებმა ამ შემთხვევაშიც აიმაღლეს ხმა აფხაზი ხალხის დასაცავად. აფხაზეთს „ეჭირვება დროზე მიშველება, გულწრფელი მამობრივი პატრონობა“ მხურვალედ ღაღადებდა თ. სახოკია[2].

ცნობილია, რომ აფხაზურ ენაზე დამწერლობის შექმნამდე აფხაზეთში საეკლესიო, სახელმწიფო საქმის წარმოებისა და სამწერლობო ენას ქართული ენა წარმოადგენდა. ასეთი კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა აახლოებდა ქართველ და აფხაზ ხალხებს ერთმანეთთან და ქმნიდა მათი ბეგობრობის მტკიცე საფუძველს. სწორედ ამ ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ მიიტანა ცარიზმმა იერიში. ცარიზმის მოხელეებმა კარგად იცოდნენ, ერის მიწა-წყალის მიტაცებით ერის ასიმილაცია რომ არ მთავრდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს ერის სულიერ სამყაროში უხეში ჩარევა. უწინარეს ყოელისა, საჭიროდ დაინახეს ქართველ და აფხაზი ხალხის დაშორიშორება კულტურის სფეროში, რადგან ქართული კულტურული სამყაროდან გამოთიშული აფხაზებისა და მეგრელების ასიმილაცია შედარებით იოლი იყო. დაიწყო ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროება, მისი გამოდევნა აფხაზეთიდან, სამეგრელოდან. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილე თავის 1897 წლის მოხსენებით მოითხოვდა არ დაენიშნათ მასწავლებლად და მღვდლებად ქართველები და ქართულის მცოდნე აფხაზები, რაც მისი აზრით,

[1] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954, გვ. 154.
[2] ჟურნ. „მოამბე“, № 11, 1895, გვ. 114.

საჭირო იყო „იმპერიის მოსახლეობასთან აბხაზების სრული შერწყმისათვის“ და იქვე დასძენდა, რომ „სოხუმის ოკრუგში ქართული მოძრაობა მხარის გარუსებას ამუხრუჭებსო“[3].

ცარიზმის ამ ანტიხალხურ ღონისძიებას წინ აღუდგა აფხაზეთში მოღვაწე ქართველი და აფხაზი პროგრესული ინტელიგენცია, მისი საუკეთესო წარმომადგენლები — თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, მარიამ დადიანი-ანჩაბაძე, ალექსანდრე, გრიგოლ, კონსტანტინე, გიორგი მიხეილის ძე და გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეები, დავით ანჩაბაძე, სოლომონ ზვანბა, დავით ჩქოტუა, თომა ეშბა, დიმიტრი მარღანია, დიმიტრი გულია და სხვები. ესენი მარტო არ იყვნენ ამ ბრძოლაში. მათ მტკიცე იდეური კავშირი და მეგობრობა ჰქონდათ გრიგოლ ორბელიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან და სხვებთან. ამანაც განაპირობა ის გარემოება, რომ ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის მოწინავე და პროგრესული ნაწილი, სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად რომ აღმოჩნდა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში. მათ მხარს უჭერდა მაშინ ჩვენ მხარეში მოღვაწე რუსი ინტელიგენციის პროგრესულად განწყობილი ნაწილიც — აგრონომი დ. სტაროსელსკი, ჟურნალისტი ე. ა. ბონდარენკო, ექიმები — ოსტროუმოვი და დიმიტრიევი, იურისტი ფ. უსტინოვიჩი, მხატვარი ვ. ვერეშჩაგინი, მწერალი ნ. დურნოვი, სახელმწიფო მოსამსახურენი — ი. კაცინსკი, პ. ზაიცევი და სხვები.

აფხაზი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი შემთხვევით კი არ აღმოჩნდა ქართველ პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო, რადგან აფხაზეთის ინტელიგენციას, მთელ აფხაზ ხალხს საკუთარ სამშობლოდ მიაჩნდა მთელი საქართველო, თავიანთ მშობლიურ ენად — არა მარტო აფხაზური, არამედ ქართული და მეგრული ენებიც. ქართულ ენაზე ქმნიდნენ თავიანთ მხატვრულ-ლიტერატურულ და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ თხზულებებს აფხაზი მწერლები, პოეტები და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობა. იგი ქართულ ძირძველ კულტურასთან იყო ნაზიარები, ისე როგორც მრავალი სხვა, მაგრამ მას, ისე როგორც სხვებს, ბუნებრივია, რომ არც „მამაპაპურ“ კულტურაზე აუღია ხელი. პოეტის კულტურულ კრედოს გამოხატავს მისი ქართული ლექსი „ვარადა“, სადაც ვკითხულობთ:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამაპაპური ვარადა“.

გიორგი შარვაშიძე აფხაზი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის აზრს გამოხატავდა 1904 წელს, როდესაც თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნაშრომში წერდა: „ჩვენ არც ერთ ერს არ ვემტერებით, საქართველო იმ თავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყველა ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფანელს, საზრდოს და ეკლესიებსაც კი...“[4]. ეს აზრი უფრო გარკვევით გამოხატა 1917 წელს, როდესაც წერდა: „მართალია, ჩვენს სამ-

---

[3] ციტ. ო. ჰურღულია, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წიგნი I, სოხუმი, 1974, გვ. 110.

[4] გაზ. „ივერია“, № 67, 1904 (ხაზგასმა ჩვენია, — ავტ.).

შობლო იერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშუშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ღმერთს უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა. შუბით ხელში ნადირობდნენ ტყეში"[5].

აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი მძიმე მომენტი დადგა მაშინაც, როდესაც მოინდომა მან საკუთარი დამწერლობის შექმნა. მათი ეს კანონიერი მისწრაფება, მტრებს რომ თავი დავანებოთ, მათდამი ბევრმა კეთილად განწყობილმაც ვერ გაიგო. ამან სამართლიანი გაოცება გამოიწვია ქართველ პროგრესულ ინტელიგენციაში. კარგად გამოხატავდა მათ აზრს იაკობ გოგებაშვილი 1907 წელს, როდესაც წერდა: „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისამსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, აქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა... როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე.

უსამღვდელოესი კირიონ დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მოითხოვა კიდეც მონაწილეობა მიეღო აფხაზური ნაციონალური სახელმძღვანელოს შედგენაში. ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში"[6].

ქართველი ხალხის მოწინავე და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის აზრს კარგად გამოხატავდა იგივე იაკობ გოგებაშვილი შვიდი წლის შემდეგაც. „ყოველი პატიოსანი მოღვაწე ქართველი — წერდა იგი, — ვალდებულია ამ მოძმე სიმპატიურ ხალხს (აფხაზებს, ი. კ.), რომელსაც მთელი თავისი წარსული გადაუსკვნ-გადაუხლართავს ქართველების ისტორიასთან, ყოველთვის ძმური ხელი გაუწოდოს და უთხრას: „ჩემო ძმაო აფხაზო, მე შენთან ვარ ლხინსა თუ გასაჭირში, უშველე თავს, ფეხზე წამოდექი და ამოშიდექ გვერდში, ვიაროთ ცხოვრების ასპარეზზე ერთად, როგორც ერთად უვლია ჩვენს წინაპრებს რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში. ამას მოითხოვს ორივე ერის ინტერესი, ამას მოითხოვს მთელი ჩვენი წარსული ორივე ერისა"[7]. ეს ყოველთვის გასაგები იყო ორივე ერისათვის და არასდროს გადაუხვევიათ მათ ამ გზიდან, მაგრამ ორივე ამ ერის ზოგიერთმა მოინტელიგენტო ადამიანმა, სამწუხაროდ, როგორც მაშინ, ისე ვერც შემდეგ გაიგო ეს, და ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის ჰორიზონტზე შავი ღრუბლები წამოშალა.

ქართველი და აფხაზი ხალხები ერთად იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ — ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშით, შემდეგ — რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

---

[5] გაზ. „საქართველო", 1917, № 137 (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.).

[6] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 200—201.

[7] ჟურნ. „განათლება", 1914, № 4, გვ. 294.

დროშით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ცარიზმისა და ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, შემდეგ კი სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის[8].

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველ მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული გამოდიან აფხაზი მუშები და გლეხები. ამაში უდაოდ დიდია მიხა ცხაკაიას, ალექსანდრე წულუკიძის, ნესტორ ლაკობას, ეფრემ ეშბას და სხვათა დამსახურება. ისინი დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდნენ აფხაზეთში. 1903 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტის „სოხუმის ჯგუფის“ შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ა. წულუკიძე, ხოლო „სოჭის ჯგუფის“ შექმნაში გ. ხუციშვილი და ა. გვათუა[9].

რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციაში ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები და სხვები მჭიდროდ დარაზმულნი იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. საქართველოსა და კავკასიის მშრომელთა ერთსულოვანმა ინტერნაციონალურმა დარაზმულობამ, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის მოწონება დაიმსახურა.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა აფხაზეთში მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა 1917 წლის მაისში ჩამოყალიბებული „რსდმპ სოხუმის საოლქო კომიტეტი“ ეფრემ ეშბას მეთაურობით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ს. კუბალეიშვილი, კ. მაკაროვი, ნ. სვანიძე და სხვები. რევოლუციურ მოძრაობას ადგილებზე უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ნ. ლაკობა, გ. ათარბეგოვი, ე. დამენია, კ. მელაძე, პ. ბიგვავა, ი. ქაბურნანია და სხვები.

ქართველი და აფხაზი ხალხების, ისე როგორც ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ხალხის, ისტორიაში იწყება ახალი ერა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის განმანთავისუფლებელმა სხივებმა, მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წყალობით, ამიერკავკასიაში ორი-სამი წლით დაიგვიანა. ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა, ხელთ იგდეს რა ძალაუფლება, ყველაფერი გააკეთეს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესაქმნელად და განსამტკიცებლად. მაგრამ ანტიხალხური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი აღდგნენ ქართველი და აფხაზი, ოსი და სხვა, ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ხალხები. დამფრთხალმა კონტრრევოლუციურმა ძალებმა — ქართველმა მენშევიკებმა, აფხაზ მემამულე-თავადაზნაურებმა და სხვებმა ერთიანი რევოლუციური ფრონტის დასაშლელად ეროვნული უნდობლობა და შუღლი ჩასთესეს აფხაზეთში მცხოვრებ ხალხთა შორის. ეს იყო ძველი ცარისტული მეთოდი, რასაც ესოდენ ერთგულად ახორციელებდნენ ქართველ და აფხაზ ხალხთა მტრები. მაგრამ აფხაზეთში ყველა ერისა და ეროვნების მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მტკიცედ ირაზმებოდნენ ბოლშევიკური, ინტერნაციონალისტური ორგანიზაციების გარშემო, რასაც მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა. 1918 წლის 8 აპრილიდან სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მან 40 ღღე იარსება. მას სათავეში ედგა „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ე. ეშბა (თავმჯდომარე), ნ. ლაკობა, გ. ათარ-

---

[8]. З. Анчабадзе. Г. Дзидзария. Дружба извечная, нерушимая, Сухуми, 1972.

[9]. Газ. „Черноморская здравница“, 15 июля, 1973 г.

ბეგოვი, კ. მაკაროვი, ს. კუხალეიშვილი, ვ. აგრბა, პ. ძიგუა, ა. ზეითუნიანი, კ. აბბა და სხვები.

აფხაზეთის თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ თავიანთი მტრული დამოკიდებულება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი 1917 წლის ნოემბერშივე გამოხატეს აფხაზეთის ე. წ. გლეხთა პირველ ყრილობაზე. ყრილობაზე დამსწრე ბოლშევიკთა მცირე ჯგუფმა მოითხოვა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, მაგრამ მენშევიკებმა ა. ჩხენკელის, ვ. ჯუღელისა და სხვ. მეთაურობით გაილაშქრეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიულმა და თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა მოითხოვა საბჭოთა რუსეთისაგან გამიჯვნის მიზნით და შეეცადა დენიკინის დახმარებით მონარქიული რუსეთის შემადგენლობაში მოექცია აფხაზეთი. ამიტომ, როგორც კი კავკასიას მოუახლოვდა „მოხალისეთა არმია“, აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ აფხაზი ხალხის სახელით თხოვნით მიმართეს გენერალ დენიკინს გამოეყო აფსაზეთი საქართველოსაგან, რომელმაც „ვერ დაიცვა ბოლშევიკებისაგან ისინი“, და შეერთებინა რუსეთის იმპერიასთან, შემოეყვანა აფხაზეთში „მოხალისეთა არმია“. კონტრრევოლუციონერთა ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: თავადი რაფაელ ნიკოლოზის ძე ჩქოტუა, თავადი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე შარვაშიძე, მღვდელი გიორგი დავითის ძე თუმანოვი და სიმონ მიხეილის ძე აშხოცა. მალე „მოხალისეთა არმიამ“ დაამარცხა ქართული ჯარის ნაწილები და დაიპყრო ტუაფსის, სოჭისა და გაგრის ოლქები, ვიდრე მდინარე ბზიფამდე[10]. მაგრამ დენიკინის თარეშს ჩქარა მოეღო ბოლო. 1919 წლის ოქტომბერს დაიწყო მის წინააღმდეგ წითელი არმიის შეტევა, დენიკინის „მოხალისეთა არმიას“ წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმებით მალე ყოველგვარი ხალისი გაუნელდა, 1920 წლის 27 მარტს წითელმა არმიამ გაანთავისუფლა დენიკინელთა უკანასკნელი დასაყრდენი — ნოვოროსიისკი. დენიკინელებმა იმედი ვერ გაუმართლეს კონტრრევოლუციონერებს და ნაციონალისტებს აფხაზეთში.

ხალხთა შორის რევოლუციური სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებაში დიდი როლი მიუძღვით აფხაზეთში მაშინ მოღვაწე ქართველ და აფხაზ ბოლშევიკებს: ნ. აქირთავას, პ. ალნიაშვილს, ე. ეშბას, ნ. ლაკობას, ნ. ბახტაძეს, ს. მეძმარიაშვილს, ს. კუხალეიშვილს, ვ. აბაშიძეს, ვ. ბახტაძეს, ნ. სვანიძეს, ი. ქაბურზანიას, პ. ძიგუას, თ. თორიას, ვ. ლაკობას, ა. უბირიას, ი. ყვანიას, პ. ბიგვავას, ე. ვარდანიას, ნ. მატარაძეს, ვ. აგრბას, მ. გობეჩიას, შ. ხოკერბას, ა. ურუშაძეს და სხვებს, აგრეთვე აღსანიშნავია მაშინ სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისრად მომუშავე ს. ორჯონიკიძის როლი.

ქართველი, აფხაზი, ოსი და სხვა მოძმე ხალხთა გმირული ბრძოლით, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით დაემხო საქართველოში მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა წინათ ჩაგრული ერებისა და ეროვნებათა სახელმწიფოებრივი მოწყობისა, ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის. მაგრამ ეს როდი აწყობდათ რეაქციის შავბნელ ძალებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე მეცადინეობდნენ აფხაზეთში შექმნილ ხალხთა მეგობრობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ. აი, რას იწერებოდნენ ამის შესახებ 1921 წელს სოხუმიდან: „აფხაზეთი საბჭოთა ინტერნაციონალური რესპუბლიკაა,

[10] პარტიული არქივი, ფ. 8, აღწ. 3, საქ. 274.

ძაგრამ შავრაზმელები — ყოფილი ძონარქისტები, დენიკინელები და სხვები ჩუმჩუმად მუშაობენ ქართველი ერის წინააღმდეგ"[11].

1921 წლის 28 მარტს ბათუმში შედგა პარტიულ მუშაკთა თათბირი სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. თათბირის მონაწილეებმა, გაითვალისწინეს რა ქართველ და აფხაზ კონტრრევოლუციონერთა მეცადინეობა აფხაზეთში ხალხთა შორის უნდობლობისა და შუღლის ჩასათესად, მიზანშეწონილად სცნეს აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება, რაც საკანონმდებლო წესით დაადასტურა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 21 მაისის დეკრეტით. ამის შემდეგ აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ, მოისმინა რა ნ. ლაკობას მოხსენება ეროვნულ საკითხზე, მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა გამოხატავს მტკიცე მისწრაფებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან, პირველ რიგში კი კულტურით, ეკონომიკით, ყოფითა და გეოგრაფიული მდგომარეობით უფრო ახლობელი საბჭოთა საქართველოს მშრომელებთან, მტკიცე კავშირისა და ძმობისაკენ[12]. ასეთ ახლობელ ხალხთან სახელმწიფოებრივი კავშირის გარეშე აფხაზეთის დამოუკიდებლად არსებობა აღიარებულ იქნა მიზანშეუწონლად.

1921 წლის 16 დეკემბერს, აფხაზი და ქართველი ხალხების ნებასურვილით, გაფორმდა სამოკავშირო ხელშეკრულება ამ მოძმე ხალხთა შორის[13]. ეს ხელშეკრულება მოიწონეს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობებმა[14].

საბჭოთა ხელისუფლების მტრები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ყველაფერს აკეთებდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების დასაშორებლად. ამასთან დაკავშირებით ნ. ლაკობამ კატეგორიულად გამოაცხადა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამსვლელ სესიაზე სოხუმში 1926 წლის ივნისში: „ვიღაც-ვიღაცეები ჩვენი მოწინააღმდეგეთაგან აფხაზეთის რესპუბლიკის ძალაუფლების შერყევის თავიანთ ტაქტიკას აი რაზე აგებენ სულ მუდამ: აფხაზეთი მოისურვებს — ჩამოშორდება საქართველოს, მოისურვებს — დარჩება საქართველოსთან...

აქვს თუ არა ამას საფუძველი? იმისათვის, რომ ამ საკითხში ადგილი არ ჰქონდეს რაიმე გაუგებრობას, გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ აფხაზეთს საქართველოსაგან ჩამოშორება არ შეუძლია, არც სურს და არც ცდილობს. საბჭოთა საქართველოსაგან საბჭოთა აფხაზეთი არსად არ აპირებს წასვლას... აფხაზეთის მშრომელი ხალხისათვის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ ასე დგას — აფხაზეთის ბედი ერთიანია საქართველოსთან"[15].

და მართლაც, ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა, საქართველოში მოსახლე ყველა ერმა და ეროვნებამ ურთიერთკავშირითა და მეგობრობით, რუსი ხალხის ეკონომიკური დახმარებით, წარმატებით გაართვეს თავი დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას, ეროვნული კულტურის გაშლა-განვითარებას და ხალხთა შორის ინტერნაციონალურ სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებას, რაც აფხაზეთში გამოიხატა: პოლიტიკური თანასწორუფლებიანო-

---

11 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიის არქივი, ფ. 281, საქ. 169, ფურც. 49.

12. См. З. Анчабадзе, Г. Дзидзария, Дружба извечная, нерушимая, 1972, с. 124.

13. Газ. „Голос трудовой Абхазии", 28 декабря, 1921 г.

14 იქვე, 1922 წლის 22 თებერვალი.

15. Газ. „Трудовая Абхазия", 19 июня, 1926 г.

ბის უზრუნველყოფით, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნით, მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციით, ყველა საბჭოთა ერის, უწინარეს ყოვლისა, ქართველი და რუსი ერის მხრივ უანგარო დახმარებით; სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში აფხაზი ხალხის როგორც სოციალისტური ერის ჩამოყალიბებით და ა. შ.

ამრიგად, აფხაზებმა, ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და აფხაზეთის ასსრ მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა ერთობლივი შემოქმედებითი შრომით განავითარეს რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, შექმნეს თავიანთი ნათელი და ბედნიერი ცხოვრება[16].

აფხაზეთში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელების პირველ ეტაპზე დიდი როლი შეასრულა აფხაზეთის საბჭოთა სახელმწიფოებრიობამ, რომელიც 30-იან წლების დასაწყისამდე არსებობდა სახელშეკრულებო რესპუბლიკის ფორმით. ამ ფორმამ ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაჭრით საბოლოოდ ამოსწურა თავისი დანიშნულება[17]. სოციალისტური მშენებლობის შემდგომ ეტაპზე საჭირო იყო საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მტკიცე კავშირი და მეგობრობა. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ 1930 წლის 17 აპრილს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ", რომელიც ფართო მასების ერთსულოვან ნებას გამოხატავდა. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ 1931 წლის 11 თებერვალს აფხაზეთი გამოაცხადა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ეს დადგენილება განიხილა და მოიწონა საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ 1931 წლის 19 თებერვალს[18].

ამრიგად, ბოლო მოეღო სამასი წლის წინ ფეოდალიზაციის შედეგად მომხდარ გათიშულობას[19], რაც ფრიად გააღრმავა და გაამწვავა შემდეგში ფეოდალურ-მემამულურმა და ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციურმა ნაციონალიზმმა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად კი აღდგა საქართველოში სამი საუკუნის წინ დაშლილი სახელმწიფოებრივი ერთიანობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის საფუძველზე.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში ქართველი და რუსი ხალხის, ყველა საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებით ისტორიული მნიშვნელობის წარმატებები მოიპოვა აფხაზმა ხალხმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ჯერ კიდევ პირველ წლებში ასზე მეტი აფხაზი ახალგაზრდა სპეციალისტი ღებულობდა უმაღლეს კვალიფიკაციას მოსკოვის, თბილისის, ბაქოსა და სსრ კავშირის სხვა სამეცნიერო და ინდუსტრიულ ცენტრებში. ამავე დროს თბილისში გაიხსნა სპეციალურად აფხაზი ბავშვებისათვის ინტერნატი ნ. ფ. შარაშიძის ინიციატივით. დიდი ყურადღება ექცეოდა აფხაზი კადრების დაწინაურებას საქართველოს სსრ მასშტაბით. მაგალითად, საქართველოს კომუ-

---

[16]. Очерки истории Абхазской АССР, ч. II, 1964, с. 111—113.

[17] იქვე.

[18] აფხაზეთის ისტორიული არქივი, ფ. 1, საქ. 430, აღწ. 2, ფურც. 286—289; „დადგენილებანი სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების VI ყრილობისა", თბ., 1931.

[19] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. IV, გვ. 297; გ. შარაშიძე, ეპოსი, ლირიკა, დრამა, 1946, გვ. 3; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, с. 289.

ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად და საკ. კპ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად არჩეული იყო ნ. ა. ლაკობა; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ხოლო შემდეგში საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად მუშაობდა ე. ა. ეშბა; ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად დ. ი. ალანია; საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად, შემდეგში რესპუბლიკის პროკურორად — ს. ა. კარტოზია; რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს განყოფილების გამგედ, შემდეგში საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა ა. ლ. უბირია და ა. შ.[20].

ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობა განმტკიცდა და განვითარდა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, მას თითოეული ხალხის პატრიოტიზმისა და საერთო ინტერნაციონალური ინტერესების მარქსისტულ-ლენინური შეხამება ედო საფუძვლად. აფხაზეთი იქცა ნამდვილი ეროვნული მშვიდობიანობის, ძმობისა და მეგობრობის სანიმუშო მხარედ მთელს ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ამან ნათელი დადასტურება ჰპოვა არა მარტო ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ფრონტზე, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისათვის მძიმე განსაცდელის ჟამს — დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. კავკასიისათვის საბედისწერო საფრთხის პირობებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი არმიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო ძირითადად ამიერკავკასიის ხალხთა შვილებით, მათ შორის ბევრი იყო აფხაზი ხალხის მამაცი შვილი. არაერთმა აფხაზმა ისახელა თავი კავკასიის გმირულ დაცვაში, მათ შორის აღსანიშნავია: ვიქტორ არღუნი, მიხეილ აჯბა, მერი ავიძბა, ლეონტი გოლანძია, ლევ ინაფხა, მუშნი ადლეიბა, ნიკოლოზ კაპბა და სხვ. აფხაზეთში 9 ათასამდე ადამიანი დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, ამ პატარა მხარემ ქვეყანას მისცა 21 საბჭოთა კავშირის გმირი, მათ შორის ვლადიმერ ხარაზია, მელიტონ ქანთარია, ვიტალი პოპკოვი, ერვანდ გარანიანი და სხვ. აფხაზეთის მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ არა მარტო ომის, არამედ შრომის ფრონტზედაც გამოიჩინა თავი. აფხაზეთში 32 ათასზე მეტი მშრომელი დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941—1945 წწ.“[21].

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომის ფრონტებზე ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა და შეადუღაბა ყველა ჩვენი ხალხის, მათ შორის ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობა. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე ახალი ძალით გაიშალა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობა. ამაში დიდი როლი შეასრულა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა გატარებამ. ეს წარმატებანი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ხელმძღვანელ ორგანოებში შემთხვევით მოხვედრილ ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტს მავნებლური მოქმედება რომ არა, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზური სკოლების დახურვა, აფხაზური კულტურის დაკნინების ცდა და მისი შემდგომი განვითარებისათვის რიგი დაბრკოლების შექმნა. ეს იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის უხეში დარღვევა, იგი საფრთხეს უქმნიდა, ჩრდილს აყენებდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, იმის შემდეგ, რაც ხელმძღვანელი ორგანოებიდან განიდევნა პოლიტიკური ავან-

---

20 ზ. ანჩაბაძისა და გ. ძიძარიას დასახ. ნაშრ., გვ. 130.

21 იქვე, გვ. 139.

ტურისტები, ენერგიულად მოკიდა ხელი აფხაზეთში ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებათა ლიკვიდაციას. პირველ რიგში, აღდგენილ იქნა აფხაზური სკოლები, მათთვის პედპერსონალის მოსამზადებლად ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა აფხაზური სექტორი, შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. აფხაზურ ენაზე დაიწყო გამოსვლა სამხატვრო-ლიტერატურულმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა „ალაშარამ“, გახშირდა აფხაზურ ენაზე წიგნების გამოცემა და ა. შ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აფხაზეთში შემოქმედებითი კავშირების შემადგენლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული და აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოღვაწეობა, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მეგობრობის შემდგომ განვითარებაზე, მის შემდგომ განმტკიცებაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ქართველი მეცნიერებიც. ისინი დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით ზრდიან მეცნიერების ახალგაზრდა კადრებს აფხაზეთისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ნ. მუსხელიშვილისა და ს. ჯანაშიას ინიციატივით თავის დროზე შეიქმნა აფხაზ ასპირანტთა ჯგუფი. ისინი მეცადინეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებთან — ს. ჯანაშიასთან, ნ. ბერძენიშვილთან, გ. ჩუბინაშვილთან, გ. ჩიტაიასთან, გ. მელიქიშვილთან, ა. აფაქიძესთან, ქ. ლომთათიძესთან, ალ. კალანდაძესთან და სხვებთან. მათ მიერ აღზრდილი სპეციალისტები დღეს სათავეში უდგანან სამეცნიერო ცენტრებსა და კულტურისა და ხელოვნების კერებს აფხაზეთში.

დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში უკიდურესობამდეა გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას, რადგან სწორედ ამ უბანზე მოაქვს მტრულ იდეოლოგიას განსაკუთრებით მძაფრი იერიშები ათასგვარი უცხოური „ხმებით“. ამიტომ ეროვნულ პოლიტიკაში დაშვებული პატარა, უმნიშვნელო შეცდომაც კი ე. წ. „სოვეტოლოგების“ უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას იწვევდა და იწვევს დღესაც უცხოეთში. „თუ ჩვენ უკრაინაში დავუშვებთ მცირე შეცდომას, ეს ისე საგრძნობი არ იქნება აღმოსავლეთისათვის. ხოლო საკმარისია ერთი მცირე შეცდომა ჩაეიდინოთ პატარა ქვეყანაში, აპარისტანში... (დავამატებდით „აფხაზეთში“, ი. კ.) და ეს გამოხმაურებას ჰპოვებს თურქეთში, გამოხმაურებას ჰპოვებს მთელ აღმოსავლეთში“[22]. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენში ხალხთა მეგობრობის ჰორიზონტზე მცირეოდენი ღრუბლის გამოჩენასაც კი დიდი სიხარულით ეგებებიან ბურჟუაზიის იდეოლოგები და მისგან უშველებელ ჭექა-ქუხილს მოელიან. ამერიკელ ისტორიკოსს რიჩარდ პაიპსს, ისე როგორც ბევრ სხვას, არ გამოპარვია ის გართულება, რაც პოლიტიკურ ავანტიურისტთა მოღვაწეობამ გამოიწვია ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში. იგი, ლაპარაკობს რა „ახალ კონფლიქტზე“ ქართველებსა და აფხაზებს შორის და რუსებისა და სომხების ვითომ რაღაც „ბლოკზე ქართველების წინააღმდეგ“, აკეთებს ძალიან შორსმიმავალ, მაგრამ უსაფუძვლო, დასკვნას იმის შესახებ, რომ ეროვნული ანტაგონიზმი თითქოს ჯერაც არ გამქრალა ამიერკავკასიიდან, იგი კიდევ უფრო გამწვავებულა და სხვა[23]. ასე ცდილობდა ჩვენდამი მტრული იდე-

---

[22] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 307.

[23] Demog:aphic and Ethnographic changes in Transcaucasia 1897—1956; R. Ripes, Winter, 1959, p. 60.

ოლოგიის მებაირახტრე ეროვნული შუღლის გაღვივებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მაგრამ ამაოდ დაშვრა მეცნიერი, ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა მალე აღმოფხვრეს ავანტურისტული პოლიტიკის მავნე შედეგები, ისე, რომ ხალხთა მეგობრობის მოწმენდილ ცაზე გამოჩენილ ღრუბლის მცირე ნაფლეთს მტრებისათვის სასურველი ჰექა-ქუხილი არ მოჰყოლია.

ამრიგად, ქართველსა და აფხაზ ხალხებს შორის ძმობასა და მეგობრობას ჰაღარა წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ქართველი და აფხაზი ხალხები მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ერთობლივად იცავდნენ საკუთარი სამშობლოს სახელსა და ღირსებას, მის დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთაგან, ერთად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და დღესაც, ასევე ხელიხელჩაკიდებულნი აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას[24].

---

[24]. Газ. „Заря Востока", 5 марта 1971 г.

З. И. КЕРАШЕВА

К ВОПРОСУ О ВЗАИМОСВЯЗИ ЛИНГВИСТИКИ И ЭТНОГРАФИИ

Язык представляет собой сложное общественное явление. Языкознание, рассматривающее язык как важнейшее средство человеческого общения, как средство прогресса общества, тесно связано с целым рядом общественно-исторических наук. Взаимозависимостью и взаимосвязанностью исторических, психологических, географических и лингвистических дисциплин объясняется и возникновение таких относительно новых научных дисциплин как психолингвистика, ареальная лингвистика, этнолингвистика.

Классики марксизма-ленинизма в своих историко-социологических исследованиях неоднократно обращаются к сравнительно-историческому анализу слов. Так, например, решая вопрос о времени отделения семитов от арийцев и других индоевропейских народов, Ф. Энгельс опирается на сравнительно-исторический анализ наименований домашних животных и культурных растений[1].

История народа, его социально-историческое, культурное, политическое развитие так или иначе связано с развитием языка: «В изменениях языка находят отражение изменение жизни народа, его культуры: язык — правдивый свидетель истории. Еще А. Шлейхер подчеркивал: письменные документы можно подделать, показания же языка подделать невозможно. Отнюдь не случайно П. Услар, автор замечательных монографий по ряду горских иберийско-кавказских языков (абхазскому, чеченскому, лакскому, даргинскому, лезгинскому, табасаранскому), взялся за изучение кавказских языков, когда ему официально было поручено составить историю кавказских народов»[2].

Проблемы этногенеза, исторических контактов народов, исследования нравов и обычаев, материальной и духовной культуры народа на различных этапах его исторического развития не могут быть решены без привлечения фактов языка.

Значимость и ценность фактов языка особенно усиливается при исследовании жизни и истории новописьменных народов. Язык из глубин веков доносит до нас правдивый и неподдельный рассказ о давно исчезнувших, но имевших место в жизни этих народов событиях, обычаях, давно утраченных реалиях. История языка — неотъемлемая часть истории народа. Она хранит в себе сведения неоценимой важности.

Так, акад. И. А. Джавахишвили, для решения вопроса об этногенезе народов Северного Причерноморья, опирается на материалы иберийско-кавказских языков. На материале исследования греческих эпиграфических памятников Причерноморья акад. И. А. Джавахишви-

[1] Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, М., Политиздат, 1949, с. 57.

[2] Ари. Чикобава, Историзм и лингвистика, ВЯ, 1980, с. 6.

ли указал на преждевременность выводов относительно иранского характера сарматского языка: из 425 негреческих имен-надписей Причерноморья лишь 167 были признаны иранскими. Лингвистический анализ осталыных 258 собственных имен позволил выявить акад. И. А. Джавахишвили наличие в их составе 'q°á «сын» и других элементов, характерных для фамилий адыгских (черкесских) народов[3]. Смешанный характер эпиграфических надписей указывает на неоднородность племенного состава сарматов. По всей вероятности, сарматы представляли не один народ, а союз этнически неоднородных племен.

Эта мысль покрепляется и анализом этнонима «сармат». В нем выделяется корень mat, сохранившийся в нахской языковой группе и имеющий значение «язык»[4].

При рассмотрении проблемы взаимосвязи языка и истории обычно выделяют два аспекта:

1) значение языка для освещения фактов истории, этнографии народа;

2) значение истории, этнографии для объяснения современного состояния языка, его структурных и типологических особенностей.

Решение задач первой группы, особенно этнографических проблем, во многом зависит от степени изученности конкретных языков, от степени наличия необходимого лингвистического материала и от теоретических установок, дающих ключ к установлению истины.

Лингвистический материал может оказать определенную помощь исследователю только в том случае, когда в его распоряжении находится проверенный, надежный языковой материал.

Так, например, ошибочная народная этимология адыгейского названия города Новороссийск çămăz, откуда происходит Цемесская бухта (çă «насекомое» и măz «лес»), представленная К. Ф. Ганом[5], переходит из одной работы в другую, давая лингвистически неоправданный повод для связи топонима с так называемым этнонимом Φθειροφάγοι.

Исследование топонима на основе сравнительно-исторического метода и метода внутренней реконструкции позволило выяснить древнюю структуру топонима и установить его подлинное лексическое значение: çă←pçă «темный»[6], măz «лес»—çămăz←pçămăz «темный лес»[7].

Лингвистическая структура топонима, его место в топонимике прибрежной полосы Черного моря подтверждают автохтонность адыгского населения на восточном побережье Черного моря.

Отсутствие точного, адекватного лингвистической реальности материала может привести исследователя к ошибочным выводам.

Для примера возьмем одно положение из статьи О. Н. Трубачева «О синдах и их языке»[8]. В данной статье О. Н. Трубачев стремится обосновать индийское происхождение синдов.

---

3 И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы Грузии, Кавказа, Ближнего Востока древнейшей эпохи, «Вестник древней истории», 4, Москва, 1932.

4 არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 384.

5 К. Ф. Ган, Опыт объяснения кавказских географических названий, СМОМПК, вып. 40, Тифлис, 1909.

6 О. Н. Трубачев, О синдах и их языке, ВЯ, 4, М., 1976, с. 49.

7 Х. Б. Дауров, К вопросу о составе топонима çămăz, «Ежегодник иберийско-кавказского языкознания», т. V, Тбилиси, 1978.

8 О. Н. Трубачев, О синдах и их языке, ВЯ, 4, 1976.

Для отрицания тезиса о том, что синды относятся к древним предкам адыгских (черкесских) народов, О. Н. Трубачев обращается к фактам адыгских языков. Ясно, что при решении проблемы этногенеза народа исследователь не может обойти лингвистический материал, и О. Н. Трубачев закономерно обращается к фактам адыгских (черкесских) языков.

О. Н. Трубачев ставит перед собой задачу произвести «специальную проверку в этом плане всего лингвистического материала (а таковым следует, в первую очередь, считать всю древнюю ономастику, все доступные эпиграфические остатки с территории исторической Синдики и примыкающих земель прочих меотских племен...)»[9].

Опираясь на известный ему языковой материал, автор ограничивает время появления западнокавказских народов средними веками: «Мы не ставим под сомнение автохтонность западнокавказских народов. Но автохтонные народы тоже не были чужды известных передвижений и изменений своих этнических границ. В средние века и новое время адыги определенно обитали также на морском побережье, в том числе — на Таманском полуострове. Но еще Клапрот здраво заметил, что в языке черкесов нет даже слова, обозначающего остров, а это было бы противоестественно для древнего местного населения Таманского полуострова, который вместе с дельтой Кубани в древности представлял не один, а несколько островов — целую «полинезию»[10].

Считаем необходимым подробно рассмотреть данный тезис для того, чтобы показать, как ложные или неполные исходные положения могут привести к далеко идущим выводам, требующим более осторожного и более точного обоснования.

Во-первых, лингвистический материал, а тем более выводы, представленные в работах Клапрота, малонадежны.

Во-вторых, сохранение и исчезновение одного слова или термина не может быть решающим для столь значительного вывода.

В лингвистике известны случаи, когда утерянные лексические единицы заменяются заимствованными: «Как известно, иногда названия самых древних, казалось бы, самых элементарных понятий в языках бывают представлены словами иноязычного происхождения»[11]. Так, например, в осетинском «девушка», «дочь» выражается иноязычным, тюркским словом čəzg/kizgă (из тюркс. kəz «девушка», «дочь»)[12].

Следовательно, если бы даже в современных адыгских языках не сохранилось бы исконное слово для понятия остров, то отдельно взятое слово не могло бы быть решающим для выяснения древнейшей территории адыгов.

---

9 О. Н. Трубачев, Указ. соч., с. 47.

10 Там же.

«К сожалению, работа Клапрота не дает возможности присоединиться к высокой оценке, которую он — автор — без особой скромности дает ей: исторические сведения о кавказских народах, почерпнутые Клапротом из различных исторических источников, представляются интересными, но все, что касается языка, заслуживает иной оценки, чем та, которая высказана автором; во всяком случае, сравнение с тем, что дается о языках у Гюльденштедта, говорит не в пользу Клапрота, а скорее наоборот». Арн. Чикобава. К вопросу о первых текстовых записях по иберийско-кавказским языкам, ВЯ, 4, М., 1962, с. 102.

11 А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I, с. 17.

12 В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I, с. 164.

Но название острова и полуострова зафиксировано в адыгских языках. Понятие остров, полуостров мы встречаем у автора первой грамматики адыгских языков Ш. Б. Ногма (ṭ̡aṣ̡,ă, х'ə ṭ̡aṣ̡,ə)[13], и у Л. Люлье (остров — ṭ̡aṣ̡,ă, островитянин — psəṭ̡ăčadăs[14]). Ш. Б. Ногма зафиксировал фонетическую форму кабардинского языка, Л. Люлье — адыгейскую, но корень один, в котором оппозиция адыг. č и каб. ṣ, оправдана фонетическими соответствиями адыгских языков.

Во время сбора материала по шапсугскому диалекту адыгейского языка в 1952 г. нами зафиксирована в живой речи форма psəg^{ə} „остров“[15] (ср. psəg^{ə}ə'an „лотос“). Фиктоним „морской остров“ представлен в работе Дж. Н. Кокова со ссылкой на нартский эпос — х'ə ṭ̡aṣ̡,ă.[16].

Надо полагать, что как приморские жители, адыги имели не одно название, а возможно несколько синонимов для обозначения понятия остров. Но из-за отсутствия письменности и сложной исторической судьбы язык не сумел их сохранить.

Примечательно и то, что исследователи адыгских языков в своих этимологических изысканиях связывают понятия „родина“, „край“, „страна“ с понятием „море“: в словах х'ăк^{ə} „край“, „родина“, „отчизна“ и х'ăꝯăg^{ə} „страна“, „отчизна“ — первый компонент сложного слова х'ă увязывается с х'ə „море“[17]. Таким образом, понятие х'ăк^{ə} „край“, „родина“, „отчизна“ образовано из двух слов: х'ə „море“ и к^{ə}ə „середина“[18]. Этимологическая структура х'ă+к^{ə} („море“+„середина“) „родина“ совпадает со структурой зафиксированного нами слова psə+g^{ə} („вода“+„середина“)—„остров“. Таким образом, родной край адыги связывают с островом и остров этот находится в море.

В адыгейском языке имеются различные слова для обозначения слова берег: берег реки — năp'qə, берег моря (шапс.)—х'əzas,hă (в композите первый компонент представлен словом х'ə „море“) Понятие смерч выражается в шапсугском диалекте словом х'əс^{ə}əč — (х'ə „море“ + с^{ə}əč „рвет“).

Лексемы, служащие для обозначения различных природных явлений, в качестве одного компонента слова используют понятие х'ə „море“ х'əžəх^{ə}əz, „южный ветер“, х'əžəвγ „морской ветер“, х'əs,haž „тихий морской ветер“.

Большой интерес с точки зрения маринологии представляет слово х'ašă „предводитель“, сохранившийся как термин детских игр и посредник. В современном литературном языке предводитель paša (букв. „вперед ведущий“), х'ašă, надо думать, восходит к х'ə „море“ + šă „вести“, т. е. „морской предводитель“, „Переселенец“, „чужестранец“ — х'ăх'ăs (букв.: „живущий в море“), т. е. прибывший морем, из-за моря.

---

13 Ш. Б. Ногма, Филологические труды, т. I, Нальчик, 1956.

14 Л. Люлье, Словарь русско-черкесский или адыгский, с краткой грамматикой, Одесса, 1846.

15 З. И. Керашева, Особенности шапсугского диалекта адыгейского языка, М., 1957.

16 Дж. Н. Коков, Адыгская (черкесская) топонимия, Нальчик, 1974.

17 Срв.: Сложное слово šəâsəyă „сел на коня“, где первый компонент представлен с полной огласовкой šəâ при šəə „лошадь“.

18 А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, т. I, 1977, с. 98.

В первой половине XIX века Ш. Б. Ногма засвидетельствовал ряд слов, относящихся к маринологии: „морское сражение"—х'э zaor, „матросы" х'эҙӑ (букв.: „морское войско"), „морская свинья"—х'э'q°ӑ, „морской теленок"—х'эš°ḳӑ[19].

Морская терминология представлена и в народном эпосе: „заморье" („дальние земли за морем")—х'эгэҷ, верховье моря—х'ӓps,ар°ӓ[20].

Дифференцированно представлены и мифические боги в зависимости от места их обитания: psэх°ӓg°ашӑ „речная богиня", х'эрӓgеšӑ „богиня морского побережья" и т. д.

В данной статье не ставится цель перечисления всей морской терминологии, но считаем необходимым показать, что морская лексика входит в основной фонд словарного состава адыгейского языка.

Несмотря на отсутствие письменности, несмотря на переселение почти всех племен на территории, отдаленные от моря и, следовательно, изменение географической среды обитания адыгов и прекращения непосредственных контактов с морем, в своем языке народ сумел сохранить значительную морскую терминологию, содержащую в своем составе корень х'э «море»[21].

Морская лексика охватывает различные стороны жизни народа: х'эвl˘эg°ӏ „бухта", х'э'° „пристань", х'эtэк° „морская коса", х'эwaj „шторм", х'эt,аl˘ӑ „залив"[22], хэвзэw „чайка"...

Примечательно и то, что для обозначения „множества" обычно проводится сравнение с морем: х'эm ſӑd „великое множество" (то есть букв.: „подобен морю"). Связь с морем подтверждается и антропонимией: сохранилась шапсугская фамилия х'эҙӑl, что буквально означает „морской воин".

Таким образом, эпиграфика, топонимика и адыгская морская лексика — свидетельствует о автохтонности адыгских народов на восточном побережье Черного моря. Дальнейшее изучение топонимики, эпиграфики и других материалов поможет установить истину в отношении дискуссионных вопросов о синдах и меотах[23].

Но ясно одно: история, этнография как историческая наука не могут игнорировать факты языка при исследовании древнейшей истории и этнографии народа.

Как было сказано выше, особенно ценны показания языка при решении этнографических проблем, проблем языкового родства.

Г. В. Рогава в своих трудах, особенно в работе «К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках»[24] неопровержимо доказал, что основ-

---

[19] Перевод у Ш. Б. Ногма буквальный, надо думать, что имеется в виду «дельфин».

[20] Народные песни и инструментальные наигрыши адыгов, т. I. Составители В. Х. Барагунов, З. П. Кардангушев, М., 1980, с. 110.

[21] В данной статье приводятся только примеры по терминологии, в состав которых входит х'э „море". Такая же лексика, как ҙэq°эh „парус", 'q°эhаӏэsэр „рейд"—не рассматриваются.

[22] Л. М. Сиюхова. Из истории водного транспорта у адыгов в прошлом. УЗ АНИИ, т. XVII. История и этнография, Майкоп, 1974. с. 493.

[23] Приходится сожалеть, что при решении проблем Кавказа — лингвистических, этнографических — индоевропеисты очень часто упускают материал по иберийско-кавказским языкам, издаваемый на Кавказе.

[24] Г. В. Рогава. К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тбилиси. 1956.

ные понятия материальной и духовной культуры в адыгских языках выражены терминами, имеющими общую основу не только с абхазскими, но и картвельскими и дагестанскими языками.

С другой стороны, исторические дисциплины помогают решить многие темные, неясные вопросы лингвистики. К ним относятся отдельные заимствования из адыгских языков в индоевропейские языки, в том числе и русский язык. Общеизвестны такие слова как „шашка" (ср. адыг. šäšəx'oă „шашка"), нарзан (nart „богатырь"+sană „вино") и др. При составлении этимологического словаря осетинского языка Б. И. Абаев раскрыл значение русского и украинского лудан, которое часто встречается в различных русских, украинских актах, списках в XVII и XVIII вв. Данное слово этимологизируется как äudanä „лоовский шелк", т. е. шелк из Лоо, один из известных в прошлом торговых пунктов[25].

Данная этимология подкрепляется В. И. Абаевым фактами истории. Археологические и другие исторические данные подтверждают, что Лоо был одним из торговых пунктов на Черноморском побережье, через который адыги поддерживали торговые связи с другими странами. В Лоо в большом количестве импортировали шелковые ткани, которые затем через адыгское посредство доходило до украинцев и русских: «С присоединением Кабарды к России (XVI в.) оживились сношения русских с адыгскими племенами. Через адыгское посредство к русским доходили и некоторые товары из черноморских портов. В этот период и могло произойти заимствование из адыгского в русский слово лудан»[26].

Для того, чтобы продемонстрировать связь этнографии и языка, приведем еще один пример из устного народного творчества: в песне, посвященной богу животноводства amәš, встречается такая строфа: wi čə pə'ăr ătas,ham s,wă|ăş,[27].

Этот текст в литературе переводится следующим образом: „Свою шапку из хворостины ты чистишь на стоге[23]. С точки зрения современного кабардинского языка перевод как будто не вызывает возражений. Но в контексте s,wă|ˇăş, „чистишь" вызывает определенное сомнение: как можно чистить шапку из хворостины? Надо думать, что здесь представлена исходная форма кабардинского žə(r)←čəəг „стальной". (см. диал. čə(r) „стальной"). Но из-за отсутствия материала в печати (откуда была родом сказательница и т. д.) трудно решить вопрос о том, какую шапку носил бог amәš: стальную или из хворостины. Последнее представляется маловероятным. Возможно, что здесь речь идет о прототипе, pčə pa'oă обрядовой шапке, используемой в Адыгее во время свадебных торжеств[29].

В адыгейском языке встречается фразеологизм pənă 'qəptjăs|'han Данная фраза обычно произносилась в обращении к мужчинам, когда их

---

25 В. И. Абаев. Русское и украинское «лудан». Этимология, М., 1963, с. 119.

26 Адыгейский фольклор, т. I, Нальчик, 1963, с. 40.

27 М. И. Мажаев. Мифологическая и обрядовая поэзия адыгов. Черкесск, 1973, с. 80.

28. pčə pa'oă плетется из фундучного или реже из грецких орехов и присуждается одной из девушек как приз красоты.

29 З. И. Керашева. Особенности шапсугского диалекта адыгейского языка, Майкоп, 1957.

еажлли упрекнуть в трусости. В шапсугском диалекте было обнаружено слово рэпӑ со значением маленькой кссынки, повязываемой старухами под большой платок[30]. Обычай, существовавший повязывать голову лиц, проявивших какую-либо трусость, помог уяснить значение фразеологизма рэпӑ qэptjӑs|'han „надену на тебя кссынку".

Но у Ш. Б. Ногма рэпӑ переводится как «женская шапочка»[30]. Сохранившийся абадзехский материал говорит о том, что дочерям и матери воина, проявившего трусость, надевали небольшую войлочную шапку. Они не имели право без санкции жителей аула снять ее. В общественных местах, где собиралось население аула и где их присутствие было обязательным, например, на похоронах, поминках, они не могли присесть и стояли в углу у входа, так как не имели права на более почетное место. Самым страшным для женщин в рэпӑ было всеобщее презрение соплеменников[31].

Обычай выражения презрения к малодушным оказывается был более сложным. Порицание сопраждан, оказывается, адресуется не только лицу, совершившему тот или иной трусливый проступок, но и членам его семьи. Новый этнографический материал заставляет лингвистов расширить значение фразеологизма рэпӑ 'qэptjӑsl'han: 1) «надену на тебя (мужчину) женскую косынку»; 2) «надену на тебя (женщину) войлочную шапку».

Лингвистический и этнографический материал, дополняя друг друга, расширяют наши представления о влиянии общества на воспитание детей, на воспитание у всего народа чувства патриотизма и мужества. Топонимика, ономастика, эпиграфика, иноязычные слова в том или другом языке дают историку, этнографу незаменимый по своей ценности материал для решения историко-этнографических проблем.

---

31 Ш. Б. Ногма. Филологические труды, т. I. Нальчик, 1956, с. 197.

32 Н. Гишев. Газета «Социалистическэ Адыгей» от 14 октября 1980 г.

იოსებ მეგრელიძე

ხალხური დღეობები ძველ გურიაში

1. ბოსლობა

გამოქვეყნებულ მოგონებებში აღნიშნული მაქვს, რომ 1929 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა გადაეცა პროფესორ ივანე ჯავახიშვილს ჩემი ხელნაწერი ნაშრომი „გურიის ყოფაცხოვრებიდან. ეთნოგრაფიული მასალები“ (ჟურნ. „ცისკარი“, 1976 წ., № 10, გვ. 138).

პროფესორმა იგი თან წაიღო და უნივერსიტეტშივე შემდეგი შეხვედრისას მითხრა, ამა და ამ დროს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მობრძანდითო. მივედი. მასთან იყვნენ ჩემი ახლო ნაცნობები: გიორგი ჩიტაია, იროდიონ სონღულაშვილი და ერთი ჩემთვის უცნობი პიროვნება.

ბატონმა ივანემ სტუმრის წინაშე წარმადგინა, მე კი მითხრა: ბატონი დიმიტრი გულია გახლავთო და დასძინა: „თქვენ ძვირფასი მასალა მოგიპოვებიათ. მისი დაბეჭდვა შეიძლება, მაგრამ სჯობს შეავსოთ: თქვენი ხელნაწერი ბატონ გიორგის (ჩიტაია) გადაეცი, დაგეხმარებათ!“... [1, გვ. 3--4].

მე მაშინვე გამობრუნება დავაპირე, მაგრამ პროფესორმა შემაჩერა, საუბარი ხარის შესახებ განაგრძეს...

ბატონი ივანე მე შემეკითხა: „თქვენ აღწერილი გაქვთ ბოსლობა, ხომ არ იტყვიან ბოსელობა?!“

არა-მეთქი, — ვუპასუხე. დ. გულიამ თქვა: „ბოსლობა“ სამეგრელოშიც იციან, ბორსობა ჰქვია, აფხაზები ბოსელს აბორა-ს უწოდებენ“...

სიტყვა საბოსლობო ქონიან მჭადზეც (იხ. ქვემოთ) ჩამოვარდა. დ. გულიამ ოჩამჩირის მეგრელებზე თქვა: „იმათაც იციან საკულტო ღორისქონიანი ნამცხვარი“... [1, გვ. 3].

ეს მოკლე საუბარი ერთ-ერთი მაგალითია ივ. ჯავახიშვილის მხრივ ახალგაზრდობისადმი ყურადღებისა, მასთან გ. ჩიტაიას უახლოესი თანამშრომლობისა და სხვა მხრივაც საინტერესოა. აღნიშნული შეხვედრების შედეგია, რომ „ივ. ჯავახიშვილის პირად არქივის აღწერილობაში“ (თბ., 1975, გვ. 305, № 2049) დაბეჭდილია: „მეგრელიძე იოსებ. გურულ ეთნოგრაფიულ მასალებიდან — «ყვავილ-ბატონები», ჩანაწერი... (9 ფ.)“.

რაკი ჩემი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და ახლა მისგან სტატია გ. ჩიტაიასადმი მიძღვნილ კრებულში იბეჭდება, აქვე აღვნიშნავ: გ. ჩიტაიამ დრო დამითმო. შემდეგი შეხვედრისას 3 საათი მესაუბრა და ბევრი საყურადღებო რამ მირჩია, თანაც ნაშრომის გვერდებზე ფანქრით მიწერილ შენიშვნებზე მიმითითა: ესენიც გაითვალისწინეთო. მაგალითად, აქ პარაგრაფს „ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე“ შენიშვნა აქვს „საყურადღებოა“ (გვ. 10),

ავი სულების წინააღმდეგ „საქორწილო შელოცვაზე“ მიწერილია: „სახელი, იარაღი“ (გვ. 14 ა): „ქალის საოჯახო საქმიანობას“ აწერია: „ზოგადია, ნიუანსები, რაიონი, ტექნოლოგია, ფუნქცია“ (გვ. 15 ა); „გვარის ლოცვაზე“ (2, გვ. 129) მასვე მიუწერია „დამაკმაყოფილებელია“ (გვ. 28) და ა. შ. ბოლომდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ჩიტაიას ჩემს გამო თავისი მეუღლე — სახელოვანი ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე შეუწუხებია, რაც ჩემთვის ნათელი გახდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების უახლოესი სხდომის შემდეგ. ამ დღეს ქალბატონმა ვერამ გაგვაჩერა ჩემებრ სტუდენტები: თამარ ყიფიანი, თინათინ გონიაშვილი და მე, — იგი საქმიანად მესაუბრა ჩემი ნაშრომის რიგ საკითხებზე და რჩევა-დარიგებაც მომცა. მისივე მეცნიერული უმწიკვლოების ფაქტია, რომ მან შემდეგ თავის ერთ-ერთ მოხსენებაში რამდენიმეჯერ დაიმოწმა ჩემი ხელნაწერი, ხოლო უფრო გვიან მის წიგნში („ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, თბ., 1941) იგივე ნაშრომი რამდენჯერმე აღმოჩნდა დასახელებული (გვ. 40, 46, 78, 91).

ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის მხრივ სტუდენტისადმი ყურადღება სხვებისთვისაც იყო წამახალისებელი, რის შესახებაც დაბეჭდილი მაქვს [3, გვ. 10].

* * *

კონკრეტულად ბოსლობის რიტუალზე აღვნიშნავ, მართლაც სახელი ბოსლობა რომ სიტყვა ბოსელ-იდან წარმოდგება, ეს ჯერ კიდევ 1893 წელს დაიბეჭდა [4,43], შემდეგაც ითქვა [5,78] და მეორდება. ცხადია, ბოსელ, ბოსლე, ბოსლო ხართა წარმართული ღვთაება იყო. საკითხავია კი, ღვთაების სახელი რატომ ცხოველთა სადგომს, გომს, გომურს, ბაკს ეწოდა?!

ამ რიტუალსა ადა კუთხობრივ მისი შესრულების ვარიანტებზე ან მის რაობაზე წერდნენ: ვ. პერეკალენკო (1850 წ.), ე. ვეიდენბაუმი, ე. ვენდეროვსკი (1855), ტ. მამალაძე (1893), ილ. ჭყონია (1910), ვ. ბერიძე (1912), ი. ყიფშიძე (1914), ნ. ჯანაშია და ნ. მარი (1915), გ. შარაშიძე, ს. მაკალათია, ს. ჟღენტი [7], ე. ბარდაველიძე, ფ. გარდაფხაძე, ა. სოხაძე [8], ნ. ბრეგაძე [9], ნ. თოფურია, ჯ. რუხაძე და სხვები, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოწურული თემა იყოს. შემაჯამებელია ა. სოხაძის ნაშრომი [8] და „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“ მისივე სტატიაა ბოსლობაზე დაბეჭდილი (ტ. 2, 1977).

აქ გავიმეორებთ მხოლოდ ძირითად დებულებებს. ავტორის აზრითაც, ეს რიტუალი „საქონლის ბატონის“, „საქონლის ანგელოზის“ (ადრე — საქონლის უფლის) ღვთაება უნდა ყოფილიყო (ხსენებული ენციკლოპედია). ვფიქრობთ, გადაჭარბებულადაა გაფართოებული ამ ღვთაების ფუნქციები. იქვე ვკითხულობთ: ბოსლე „ნაყოფიერებას ანიჭებდა და ამრავლებდა საქონელს, შინაურ ფრინველებსა და ადამიანებს. მისგანვე იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერება, მოსავლის სიუხვე, ოჯახის ბარაქა, კაცთა მშვიდობა, შინაური ფრინველების სისაღე, მათი ყოველგვარი საფრთხისაგან დაცვა“ (8, გვ. 106—107; ვ. ბარდაველიძეზე დაყრდნობით. შდრ. იქვე, გვ. 14—15 და ციტ. ენციკლოპედია).

საერთოდ სწორია მსჯელობა, რომ ამავე ღვთაების ფუნქციები გაფართოვდა მიწათმოქმედების განვითარების კვალდაკვალ. ეს წარმართული ღვთაე-

ბა საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ წმ. ბასილის (ბასილა) თანაზიარი გახდა, ე. ი. წარმართული ღვთაების როლი ქრისტიანულ ბასილს დაეკისრა (8, გვ. 104). ვ. ბარდაველიძისა და ა. სოხაძის მტკიცებით, ბოსლობა ქართველი ტომების საერთო რიტუალად იქცა.

აქ ჩემს მიზანს ავტორებთან კამათი არ შეადგენს. მინდა მხოლოდ ძირითადად ბოსლობის შესრულების ის გურული ვარიანტი წარმოვადგინო, რომელიც 1929 წელს ჰქონდათ ხელთ ზემოხსენებულ მეცნიერებს და დავუმატო ის, რაც აუცილებელია ამავე ვარიანტის შედარებით სრულად წარმოდგენისათვის. ამას მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ ამავე რიტუალის შესრულების თარიღი (ზოგი მას აღდგომის შემდეგ ასახელებს!) და დღეც კი (შაბათი, ხუთშაბათი) გამოქვეყნებულ ვარიანტებში არაა საბოლოოდ დადგენილი, ჯერ კიდევ არ ჩანს რიგი ის დეტალები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საკითხის კიდევ უფრო ღრმად შესწავლისათვის.

ისე კი მაინც უნდა შევნიშნო, რომ ბოსლობის დღესასწაული საქართველოს ყოველ კუთხეში ერთნაირად არ აღინიშნებოდა. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში ბოსლობა მსხვილფეხა, რქოსანი საქონლის, განსაკუთრებით — ხარის დღესასწაულია (შდრ. ზროხის — ილორობა ცხენის — თედორობა...). ფშავ-ხევსურულ ბოსლობას კი ამასთან გენეტური კავშირი და შესრულების წესებში მსგავსება არა აქვს, გარდა სახელწოდებისა. ილია ჭყონია წერს: „ბოსლობა ფშაველში, ხევსურეთში და თუშეთში (ისაა, რომ) ქალები თვიური წესის დროს სახლში არ შეელენ, ვიდრე არ დაირეცხებიან, და ბოსელში ცხოვრობენ. ამიტომ დარქმევია ბოსლობა“ (ავტორის „სიტყვის-კონა“, ს. — პეტერბურგი, 1910, გვ. 8; ასევე ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934, გვ. 144—145; მისივე, ხევსურეთი, 1935, გვ. 186).

აღმოსავლეთ საქართველოში ცხოველთა ღვთაებებს სხვა სახელები ეწოდებათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ხარის დღესასწაული ბოსლობა დასავლურ-ქართული — კოლხურ-იბერიულია წარმოშობით, იბერია-მთიულეთში კი შემდეგ შეიძლებოდა შესულიყო ამისი ელემენტები...

აქვე შევნიშნავ, არსებობს საერთო ქართული ღვთაებებიც. მაგალითად, ლაზარობა მხოლოდ აღმოსავლურ მოვლენად მიაჩნდათ; გამოირკვა, რომ იგი საერთო ქართულია (იხ. ჟურნ. „ჰოროხი“, 1974 წ., № 4, გვ. 92).

ბოსლობის ამავე მასშტაბით აღიარებას ჯერ კიდევ დამატებითი მასალა და კვლევა-ძიება სჭირდება. ნ. მარს ჰქონდა საფუძველი, როცა წერდა: „ფაქტების შეგროვება ისე უნდა ჩატარდეს, რომ სამკვლევრო ძიების ხასიათი მიიღოს. თვით მასალის შეგროვება კვლევას წარმოადგენს“.

ამის კვალობაზე აქ გურიაში შეკრებილი მასალა და ზოგი მეგრული პარალელი ქვეყნდება.

* * *

ბოსლობის დღე დამოკიდებულია აღდგომის რიცხვზე, ე. ი. მოძრავი დღესასწაულია, როგორსაც გურიაში მღობა უქმესაც უწოდებენ. იგი აღინიშნებოდა დიდ მარხვამდე 17 დღით, აღდგომამდე 57 დღით ადრე, ყველიერის წინა შაბათს. და რადგანაც აღდგომა მხოლოდ კვირაზე მოდიოდა, მაშასადამე, არაა ზუსტი ბეჭდური ცნობები, — ბოსლობა „დღესასწაულია 55 დღით ადრე აღდგომისაო“ [7, გვ. 213] ან კიდევ იგი „უწევდა ხორციელის ხუთშაბათსა“-ო (გ. შარაშიძე, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938, გვ. 9).

საოცარია, რომ არაა სწორი არც ცნობილი ეთნოგრაფის ს. მაკალათიას ცნობა, „ბოსლობა სამეგრელოში ნააღდგომევის პირველ კვირის ხუთშაბათს იცოდნენო“ (იხ. მისი „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, თბ., 1941, გვ. 316. შდრ. 6 — ბორსობა, აქ სწორადაა თარიღი აღნიშნული).

ბოსლობა ხუთშაბათს იმერეთ-რაჭაშიც არის დასახელებული (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა... ს.-პეტერბურგი, 1912, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“[1]).

თანაც აქ არ ჩანს ღორის ქონის ამ დღისათვის პირდაპირი დანიშნულება — ხაჭაპურს აცხობდნენ და ღორის ქონის ნაჭერს საქონელს უსვამდნენ ზურგზეო! მთავარი აქაც ქონიანი მჭადი! გახლდათ და დღეც შაბათი იყო. მაშასადამე, პირველსავე წერილობით ცნობაში ბოსლობის რაჭული ვარიანტის შესახებ სწორად არის აღნიშნული, რომ იგი შაბათს სრულდებოდა (გაზ. „კავკაზი“, 1850 წ. № 25). აგრეევა დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც“ (ს. — პეტერბურგი, 1897) და გურიის შესახებაც პირველ ნაბეჭდ ცნობაშიც შაბათია დასახელებული [4, გვ. 43].

ერთგან ბოსლობა — მეგრული ბორსობა — შედარებულია მირსობა-სთან და დაკავშირებულია ნისთან [6, გვ. 206]. მირსობა იგივეა, რაც გურული მოსარობა; მეგრულ მირსობა-ნირსობა-ომირსეს ბორსობა-ბოსლობასთან არაფერი საერთო არა აქვს. (ო-მირსე — გურ. მოისარო-ბაზეც შეღოცვები არსებობს; თვით ეს დღესასწაული აღინიშნებოდა ბოსლობამდე, დიდი მარხვის 24 დღით წინ).

ბოსლობის გურული ვარიანტებიც ავლენს კუთხობრივ თავისებურებას, მაგრამ ძირითადში ეს ერთი რიტუალია და მისი შესრულება საცხოვრებელ პირობებზეც იყო დამოკიდებული.

დასავლეთი გურიის შედარებით მოკლე ზამთარში, ღარიბ გლეხს, რომელსაც ზოგიერთი მდიდარი მუტაკიას, ფეხბურდღიანს (გამოუსვლელს) ან ყურბალნიანს (ე. ი. გაუნათლებელს) უწოდებდა, ცხოველები კონახში — (საცხოვრებელ სახლშივე) ჰყავდა ერთ კუთხეში გამართულ ბოგაზე[2] (ხარისა და ძროხის სადგომი ხიდი). ამ ბოგას ბაგე (საშმლის ჩასაყრელი) ჰქონდა. უფრო შეძლებული გლეხის სახლის უკანა ნაწილს ახორი ახლდა მიდგმული სახლიდანვე უკანაკარის შესასვლელით და განისკარით გასასვლელით. ცხოველები, განსაკუთრებით თხები, აქ ედგა გლეხს. კიდევ უფრო შეძლებულ ოჯახს გომური (ბოსელი) ცალკე ედგა. სამხრეთ-აღმოსავლეთ გურიაში, დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთთან შედარებით, გრძელი და ცივი ზამთარი იცის. აქ ხე-ტყეც მეტია და ცხოველთათვის ცალკე სადგომი (ბოსელი) უფრო მეტს ჰქონდა. მასში ჰყავდათ ძროხა, ხარი, ცხენიც (ვაყა, ულაყი; ჭაკი რჩებოდა საყანეების ჭალებში ან სოფლის საძოვრებზე). ქათმები უმთავრესად სუროიან ხეზე ან სპეციალურად აგებულ საკარიაში (იგივე — კარია — საქათმე) თავსდებოდა. იხვი, ბატი და ინდაური (ვისაც ჰყავდა) დოშკანში (სახლის გვერდზე მიდგმული გადახურული ღია გვერდებით) ან ხულის (ბეღელი) ქვეშ ბუდობდნენ (აქ აგრე იტყვიან).

საღორე უეჭველად ცალკე, საცხოვრებელ სახლიდან მოშორებით იდგა, — მყრალი სუნი, ღრუტუნი და ტილიც იცის ღორმა და შეგვაწუხებსო.

---

[1] საკულტო ნამცხვარს ჩვენი ეთნოგრაფები განატეხს უწოდებენ: იგი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არ არის შეტანილი და ისედაც არაა ნათელი ტერმინი. ამიტომ მას არ ეხმაროთ.

[2] კუთხურ ტერმინებზე სპეციალურად იხ. ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბ., 1974, II, 1975.

ბოსლობის დღეს ცხოველებსა და ფრინველებს შეადარებით უკეთ კვებავდნენ, ვიდრე სხვა დღეს. ზოგი რჩოსნებს ჩალის გარდა, ძმერხლს (გურ. ზმერხლი) მოუტანდნენ, თუ ასეთი მახლობლად იყო ტყეში. ისედაც ცხოველთა საკვების ნაკლებობის დროს გლეხს ძმერხლი მოჰქონდა ტყიდან, იგი ზამთრის ბოლოს დასუსტებული ცხოველისა და განსაკუთრებით მომავალ მხვნელ ხართა მომაღონიერებელ საკვებად ითვლებოდა. სადაც ძმერხლი შორს იყო. იქ ბოსლობის დღეს ზოგი პატრონი თავის ცხოველს მაინც აჭმევდა მწვანეს — სუროს (ფათალო) ან ფითრს (გურ. ფითრა), მცენარეთა ეს პარაზიტები (სურო, ფითრი) ბოსლობის დროს ყინვადაკრულია და მათ უკეთ ჰამენ ცხოველები, ვიდრე სხვა დროს.

ზოგი დიასახლისი ჩვეულებრივ და საგანგებოდ ბოსლობის დღეს მეწველ ძროხას ჰეჰკილის (ქატოს) ნახარშს აჭმევდა, რასაც ზოგჯერ გოჭებიან ღორსაც უწილადებდა.

აქვე სრულიად გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ **ბოსლობას უმრავლესობა მხოლოდ ხაბოსლობო მჭადით აღნიშნავდა.** მაგრამ იყვნენ ამავე რიტუალის ფართოდ აღმნიშვნელნიც. ასეთები ზემოაღწერილი საბოსლობო მზადების დროს ან, უფრო ხშირად, დღის მეორე ნახევარში ცხოველებს, როგორც აქ უწოდებენ — ხვადაგს, შებეჭდავდნენ. ე. ი. სანთლის პატარა-პატარა ჯვრებს მიაკრავდნენ რქოსანს რქაზე, ურქოს (მაგ., ცხენს) შუბლზე და ბოსელს — კარზე. ცხოველთა და ფრინველთა სამყოფელში აიაზმას (ნაკურთხ წყალს) მოაპკურებდნენ...

საღამოს გააწყობდნენ სუფრას (გრძელი დაბალფეხიანი მაგიდა), რომელზეც იდგა დოქით ღვინო (ზოგან — არაყიც), მჭადი, ღომისღომი ან ღერღილის ღომი, შეიძლებოდა ყოფილიყო ხაჭაპური, ტაბლა (ღომისღომის ან ფეტვის ფქვილის ნამცხვარი), იაფფეხი (მუხუდოს ფქვილის ნამცხვარი), ყოველგვარი ხსნილეული (ხორცი, აქა-იქ შემწვარი გოჭიც კი, კუპატები, შაშხი, ყველი, კვერცხი), მწნილები, მოხარშული და შემწვარი კვახი, ხაპი და ხაპერა (მაგარკანიანი გოგრა), ხილეული, ხანჭკოლა და სხვა.

საბოსლობო ქონიანი მჭადი ცალკე იდო გობზე ან ხელგობაზე.

ამ მჭადისათვის საკალანდოდ (საახალწლოდ) დაკლული ღორის მუცლის ე. წ. ჰიპის ქონს ინახავდნენ. ოჯინჯალზე (კერიას ზემოთ ჯაჭვსაკიდი) იბოლებოდა ან მზეზე შრებოდა.

საკალანდო ღორის დაკვლასაც თავისი წესები ჰქონდა. ღორს დანას უეშველად ყელში უყრიდნენ და არა ბეჭიდან გულში, როგორც ეს ზოგან გვხვდება კიდეც; უფრო ძველი წესით ეს დაკლული ღორი რომ ხროტინებდა, პირში ღადარს, ღელფს ჩაუყრიდნენ, — ღორში ავი სული ბუდობს[3] და უკანასკნელ ამოსუნთქვას ამოყვება იგი; პირში რომ ღორს ღადარი ექნება, ეს ავი სული დაიწვებაო. ამას გარდა, ისიც სჯეროდათ, რომ პირდაღადრული (გამოთუთქული) ღორის ხორცი უფრო გემრიელიაო.

ყელის გამოღადრვა და პირის გამოღადრვა (ცხელი საშმლით დაწვა) სხვადასხვაა, საერთოდ კი ღადარი გურიაშიც ნაცარნარევი ნაკვერცხალი, ღელფია.

---

3 არსებობს თქმულება, რომელიც დაბეჭდილიც არის, — ღორს ეშმაკი ჰყავდა მუცელში. წმინდა ბასილე გამოეკიდა და ღორი წყალში აპირებდა შესვლას, მაგრამ ბასილე დაეწია, კუდზე დაადგა ფეხი, ამიტომ ღორის კუდის ბოლო ბრტყელიაო. ბასილემ კუდით შეჭერებულ ღორზე პირჯვარის გადაწერა მოასწრო, ეშმაკი გამოხტა ღორის პირიდან და წყალში ჩავარდაო. ამიტომ ერიდებოდნენ ღამით წყალში ჩასვლას — ავი სული არ ამოგვყვესო.

საახალწლო ღორის გაქნასაც (გაწმენდა) თავის წესი ჰქონდა. დაკლულ ღორს დებდნენ ორეზე (დიდი ვარცლი) დაასხამდნენ მდუღარე წყალს და ზემოდან ტომარას ან სხვა რაიმეს დააფენდნენ, შემდეგ ერთბაშად გაპუტავდნენ (გაქნიდნენ), ბოძზე ან ხის ტოტზე ჩამოჰკიდებდნენ ან რაიმეზე (მაგიდა, დაწოლილი კიბე ან სხვა რამ) დადებდნენ; გაშრებოდა, მუცელზე გასჭრიდნენ. ღორის კანსა და მუცელზე ხორცს შორის რომ ქონის ფენაა, საბოსლობოდ იმას ინახავდნენ.

ბოსლობის დღეს ამ ქონს (უკვე მოყვითალო ფერი ჰქონდა) დაჭრიდნენ ერთ სანტიმეტრამდე სისქისა და ასანთის ყუთის ოდენა კვადრატებად, მჭადის კუთხეებში სხვა ფორმის ნაჭრებსაც კი დააწყობდნენ ოჯახის უფართოესი ქვის გახურებულ კეცზე დაფენილ სიმინდის, უფრო ძველად — ფეტვის ან ჭვავის (ახალ დროში ზოგი ხორბლის) ფქვილის ცომზე. ზემოდანაც იმავე ცომს დაფენდნენ და შემდეგ ზედაპირს „დააჭვარპვარიტებდნენ" (დასერავდნენ) ჩხირებით ან ხმელი ქონდრის ღერებით; ჭიქის ან სხვა სასმელი ჭურჭლის პირს რამოდენიმე ადგილას დაადებდნენ და იტყოდნენ: „ღმერთო, რამდენი ფეხი ამ მჭადზეა, იმდენი ფრინველი და საყოლი (ძროხა, ხარი, ცხენი, თხა, ღორი) გვაყოლე, ადამიანებს ჯანი მთელი და ქონება ბევრი მოგვეციო" (ან ამისავე ვარიაციებს გაიმეორებდნენ), მჭადის შქერის, საგანგებოდ შენახული წაბლის ან სხვა ფოთლებით დაფარავდნენ. ზემოდან ღადარს, ღველფს დააყრიდნენ და იგი გამოცხვებოდა ისე, რომ ქონი არ უნდა დამდნარიყო. ეს იყო თავისებური „ხაჭაპური", რომელშიც ყველის მაგივრად ღორის მუცლის ქონის ნაჭრები ეწყო.

ვისაც ეს „მუცლის ქონი" არ ან აღარ ჰქონდა, ისევ ღორის ხორცზე აჭრილი ქონით აცხობდა საბოსლობო მჭადს.

ამ ერთ დიდ, მთელი ოჯახისათვის დედო (მთავარი) მჭადს გარდა, ზოგ ოჯახში პირველი მჭადიდან მონატოვები ცომით (უმთავრესად ბებიები ბავშვებისათვის) ცალ-ცალკე გომიჯებს (ხმიადი) აცხობდნენ, რომლებშიც ქონის თითო-ოროლა ნაჭერი იდო. ასეთ გომიჯს ან ქონიანი მჭადის ერთ ნაჭერს ზოგიერთები ამავე წელს გარდაცვლილი ოჯახის წევრის სახელზეც დებდნენ.

საინტერესოა სახელთა მეგრული ფორმებიც. აქ მჭადისმჭადს ჯ-უ ი დ ი [შ]-ჭ კ ი დ ი (ფეტვის მჭადი), ხოლო ქონიან მჭადს ქ ო ნ ა მ ი ჭ კ ი დ ი — ცხიმიანი (ქონიანი) მჭადი ეწოდებოდათ. ლიტერატურაში ან რომელიმე ლექსიკონში არ მახსოვს შემხვედროდეს, რომ ქონამიჭკიდი ზუგდიდურ მეგრულში ც ი ნ ა რ ა ჭ ვ ი დ ა დ იწოდება (ლაზ.-მეგრ. ც ი მ უ, ცგმუ — ქონი) და მას აქაც საბოსლობოდ აცხობდნენ.

ნ. კილანავა და აპ. ცანავა გვიკარნახებენ, სამეგრელოშიც, თუ ოჯახს ღორის მუცლის ქონი არ ჰქონდა, ღორისავე ხორცის სხვა ნაჭრის ქონით შეეძლოთ იგი შეეცვალათო.

აქვე შევნიშნავთ, ასეთ მჭადს ზოგჯერ გურია-სამეგრელოში ე. წ. ს ა ხ ი ლ ო დ, საახალწლოდ და ზამთრის ხსნილის ზოგ სხვა დღესაც აცხობდნენ.

ს. ჟღენტს აღნიშნული აქვს: ბოსლობის „მთელი დღე ოჯახის პატრონი ქალი საჭმელს ვერ ჭამდა"-ო. (7, გვ. 213). ეს არაა საერთო წესი.

* * *

ჩემი ბერები (მამისა და დედის მხრივ) დიდი ენთუზიასტები იყვნენ ბოსლობის. რაც მე ყრმობის წლებიდან მახსოვს და თანაც, რაც მრავალი ჩანაწერის შ ე რ წ ყ მ ი ს შ ე დ ე გ ა დ გამოდის, ყველა რომ შ ე ვ ა ჯ ა მ ო თ,

მ ი ვ ი ღ ე ბ თ გ უ რ უ ლ ი ბ ო ს ლ ო ბ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს რ უ ლ ვ ა რ ი ა ნ ტ ს.

საღამოს საბოსლობო მჭადი იდო გობზე. შეიძლებოდა სანთლებიც ყოფილიყო ანთებული. იქვე ხის კოთხოთი ან ხაპერას კანის კოთხოთი იდგა კაკალი. ოჯახის დედა ცალ ხელში ანთებულ სანთელს დაიჭერდა, მეორეში გობით ქონიანი მჭადი ეჭირა. ბიჭს კი ასევე ანთებული სანთელი და კოთხოთი კაკალი ჰქონდა ხელებში. თუ ცხოველი საცხოვრებელ სახლშივე ჰყავდათ, მიუბრუნდებოდა ბიჭი პირუტყვს, პირით ბაგისაკენ დადგებოდა ხარსა და ძროხას შორის ან ერთ-ერთთან და ქალი ეკითხებოდა:

— ბოსლე, ბატონო, ხარი რეთი (რამდენი) გყავს?

— ჯოგი, ბატონო!.. და ასე განაგრძობდნენ დიალოგს: — რამდენი გყავს: ძროხა, ცხენი, თხა, ღორი და ა. შ. პასუხიც შესაფერისი იყო — „ჯოგი ბატონო!“ ან დედაქალი ეკითხებოდა: — „ბოსლე, ბატონო, რა თქვა ძროხამ, ხარმა და ა. შ. პასუხი იყო: თითოეული მათგანი გვპირდება ყველაფერ სიკეთეს, სიუხვეს, ადამიანთა ჯანმრთელობასაო და სხვა (შდრ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 1975, გვ. 517).

ბიჭი კაკალს ბაგას მიაყრიდა, მობრუნდებოდნენ, დაილოცებოდნენ და ივახშმებდნენ.

გალოცვის ასეთი ფორმაც არსებობდა. საცხოვრებელ სახლში პწკალა (საფეხურებჩაჭრილი ხე) სხვენზე (არე ჭერსა და სახურავს შორის ჩელტით გამოყოფილი) იყო მიდგმული. ერთ-ერთი ბიჭი ავიდოდა კიბით ზემოთ, ქვემოდან ქონიანი მჭადით გობზე ხელში დედაქალი ეკითხებოდა: — ბოსლო, ბატონო, შინ ხარ!..

— კი, ბატონო! — და გრძელდებოდა დიალოგი ზემოაღნიშნული ტექსტით ან ასე: — ხარის ჯოგს მომიდენი (მომიყვან)?

კი, ბატონო!..

— ძროხის ჯოგს მომიდენი?..

— კი, ბატონო და ა. შ. ჩამოთვლიდნენ, რის სიმრავლეც სურდათ ოჯახში.

ბოლოს ქვემოდან ზევით მყოფ ბიჭს შეაქცევდნენ ჭიქით, ჯამით ან სხვა ჭურჭლით წყალს, საქონლის ბოგას ქვეშ დამალავდნენ 6 ცალ ან მეტ კაკალს, ერთს ან ორ-სამს კვერცხს და დილით რომელი ბავშვიც მას იპოვიდა, გამარჯვებულად და ბედნიერად ითვლებოდა.

ზოგი საღამოსვე ცხოველს რქაზე წყვილ ანთებულ სანთელს მიაკრავდა და დალოცავდა:

„ღმერთო, ჩემს საქონელს ტყავი ხორცით გოუფსე,
ძუძუ რძეით გოუფსე, უმის მჭამელი არ გააკარო,
ბუზმაც არ შეაწუხოს, გამიმრავლე და კარგად მიმყოფე!..“

ასეთი დალოცვაც იცოდნენ: „მამაზეციერო! ცაში ვარსკვლავი, ზღვაში ქვიშა, ეწერში გვიმრა, სუროზე კურკანტელი, ჩვენსას ასე ბევრი საყოლი (რქოსანი და ურქო ცხოველი) და ფრინველი ქენი!..

მებოსლობე პირი საბოსლობო მჭადს რქაზე დაატეხდა ხარს ან ძროხას, ან სუფრაზე დატეხა (დაკრა არ შეიძლებოდა) და ივახშმებდნენ, „ღვინის აწევითაც“ დაილოცებოდნენ.

თუ ოჯახს ცხოველი ახორში ჰყავდა, ბიჭი სახლის უკანა კარიდან შევიდოდა, კარს მიეხურავდა და ისევ ზემოხსენებული დიალოგი იმართებოდა ბიჭსა და დედაქალს (ან მამაკაცს) შორის. შემდეგ ბიჭს კარს გაუღებდნენ.

ისევ ცხოველებს მიუბრუნდებოდნენ და დალოცავდნენ, ბოლოს ლვახშმებდნენ.

უფრო ვრცელი ცერემონიალით აღნიშნავდა ბოსლობას ის, ვისაც ბოსელი ედგა. ბიჭი შედიოდა ბოსელში, აქ უფრო ხშირად მამა იდგა გარეთ და იმართებოდა ზემოხსენებული ან მათი მსგავსი დიალოგი.

ზოგი ცხოველს ზურგზე კვერცხს გადაუტარებდა: აგრე სავსე მეყოლეო; ზოგიც მასვე რქას უპოხავდა უმარილო ქონით.

თუ ამ დღეს და სხვა დროსაც რომელიმე ცხოველი შინ არ ჰყავდათ, მაკრატელს ან საჩეჩელს პირს შეუკრავდნენ და იტყოდნენ: „მეკობრეს ხელი და უმის მჭამელს ასე პირი შეუკარიო“.

ბოსლობის უძველეს პუბლიკაციაში „ბოსლე, ბატონოს“ მაგიერ „ბოსლე, პატიოსანო“ წერია [4, გვ. 44]. ამავე ვარიანტში ბიჭს დოქით სავსე წყალი შეაქვს ბოსელში და უკლებლივ უკან გამოაქვს,!— მთელი წელი ასე საფსე (სავსე) გვამყოფეო (იქვე). არც ერთ ბეჭდურ ვარიანტში სხვაგან „ბოსლე, ბატონოს“ მაგიერ, „ბოსლე, პატიოსანო“ არ გვხვდება.

იცოდნენ ცხოველთა შელოცვაც, თუ რომელიმე მათგანი მოიწყენდა, და ზოგი ბოსლობასაც ამბობდა:

„ქალაქისა ბოლოსა იყდა შავი მჭედელი;
მეჯოგემ შემოუძახა: თფუი, (ძროხის, ხარის, ცხენის) ავათმყოფელი!
მერცხალი მუა (მოდის, მოფრინავს) პირცეცხლი.
გავშლი, გავხეე, შით გევიარ...
უხულ გეცა გერცემულსა!..
ღმერთო, ჩემ ძროხას ძუძუ რძეით გოუფსე,
ტყავი ხორცით მოუფსე,
ოჯახი ოქრო-ვერცხლით გამიფსე!..“
ვიტყოდით და პირჯვარს გადავიწერდითო.

ასეთი შელოცვის მრავალი ფორმა არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ოჯახის წევრები სუფრას მიუსხდებოდნენ, ოჯახის უფროსი მამაკაცი, „ასწევდა ჭიქას“ (ასეც იტყოდნენ „ღვინო აიყვანაო“), დაილოცებოდა: „ღმერთო, ადამიანები, საყოლი და ფრთოსანი კარგად გვამყოფე, გაგვამრავლე“ და ა. შ., ივახშმებდნენ და დაწვებოდნენ.

ბოსლობის გარდა, ძროხის პატრონი ილორობას (10) აღნიშნავდა, ცხენისა კი — თედორობას (9). სადღესასწაულო სხვა ნამცხვარი (და არა ქონიანი მჭადი) მაშინაც ცხვებოდა.

ილორობა და თედორობა სპეციალური საუბრის საგანია.

დაბოლოს რიტუალის აღწერიდან გადავუხვევთ და შევნიშნავთ: ბოსელობა — ბოსლობა სახელი ტოპონიმებშიც გვხვდება, — ნაბოსლევი, ბოსლევი, ბოსლები და სხვა.

სიტყვათა ფორმები ბოსელ და ნასესხები ბასილ (ო//ა) მნიშვნელობის გარდა (ორივე ცხოველთა მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ) ფუძეთა მსგავსებითაც იქცევენ ყურადღებას, მაგრამ აქვე წინააღმდეგობებსაც ვაწყდებით, რაზეც აქ მსჯელობის საშუალება არ არის.

ზემოხსენებული მეგრული ცინარა-ჭკიდიდან კი ცინარ ძვ. ქართ. ცმელ-ის (ქონი, ჭყანი) შესატყვისი უნდა იყოს, როგორც ამას ი. ყიფშიძე აღნიშნავს (6, გვ. 373) და გ. კლიმოვი იზიარებს („ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, მოსკოვი, 1964, გვ. 225). მათვე სხვა სახელებიც უკავშირდება, რაც ცალკე კვლევა-ძიების საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. მეგრელიძე, დიმიტრი გულია (ზოგიერთი მოგონება). — გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", სოხუმი, 1974, 18 აპრილი, № 75 (დაიბეჭდა აფხაზურ ენაზეც. — ჟურნ. „Алашара", Сохуми, 1974, № 4).
2. И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, М.—Л., 1938.
3. ჯემალ ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971.
4. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис, 1893, т. XVII, отд. II.
5. Христианский Восток, IV, вып. I, Петроград, 1915,
6. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1914.
7. ს. ჟღენტი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936.
8. ა. სოხაძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964.
9. Н. А. Брегадзе, К вопросу о характере одного из грузинских народных календарных праздников („Тедороба"). — კრებ. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები" ტ. XV, თბ., 1970.
10. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წ. II, თბ., 1914.

М. А. МЕРЕТУКОВ

ГОСТЕПРИИМСТВО У ГОРЦЕВ СЕВЕРНОГО КАВКАЗА

Из всех общественных институтов гостеприимство имело у горцев Северного Кавказа самое широкое распространение. В феодальную эпоху оно трансформировалось, приобрело новые формы. Вместе с тем этот обычай сохранял архаичные черты родовых отношений и общинных порядков[1]. Гостеприимство представляло сложный общественный институт, под патриархальной оболочкой которого вызревали феодальные отношения. Оно удовлетворяло потребности всех социальных слоев. Поэтому обычай этот долгое время играл весьма важную роль в общественной жизни горцев. Он имел не только бытовое, но и политическое, международное значение. В условиях феодальной междоусобицы, экономической и территориальной разобщенности горцев весьма был необходим этот обычай. В крае не было ни гостиниц, ни постоялых дворов, да и притом путнику в чужих владениях грозила всякая опасность: убийство, ограбление, пленение и продажа в рабство. Гостеприимство делало возможным сношение между аулами, племенами, народами. Оно обеспечивало путнику все необходимые условия (безопасность, ночлег, еду)[2]. Таким образом этот общественный институт играл в некоторой степени дипломатические миссии.

Горцы выработали сложный этикет гостеприимства. У различных народов Северного Кавказа он имеет общие и специфические черты, но из них заметно преобладают первые. С развитием феодальных отношений гостеприимство горцев все ярче приобретает классовый характер. Феодальное обычное право наложила на него сильный отпечаток. Гостеприимство у горцев красивый и нестареющий обычай. Слава о нем распространялась далеко за пределами их края. Воспевали его русские поэты, с восхищением о нем писали русские и зарубежные авторы. В основе гостеприимства лежит общечеловеческая нравственность, что делает его весьма популярным. Обычай этот вошел в общечеловеческую культуру[3]. В горском гостеприимстве выражено высокое интернациональное чувство. Любой человек мог остановиться в качестве гостя в любой горской сакле и он был бы принят с большим радушием. Не обращалось внимание ни на национальную принадлежность, ни на вероисповедание, ни на расу. Даже убийца пользовался в полной мере законами гостеприимства в доме его врага. Особенно с большим уважением горцы относились к гостю из других стран. Джиованни Лукка писал об адыгах: «Нет в мире народа

---

[1] В. К. Гарданов, Общественный строй адыгских народов, М., 1967, с. 289—290.

[2] В. К. Гарданов. Указ. соч., с. 294; А. Х. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 448.

[3] А. Х. Магометов, Указ. соч., с. 448.

добрее этого или радушнее принимающего иностранцев»[4]. Ю. Клапрот отмечал: «Когда чужестранец попадает в осетинское селение... обращаются с ним как с родственником»[5]. Горцы, даже самые бедные из них, были всегда рады приезду гостя. Они считали, что вместе с ним бог посылает благо.

Адыги строили для гостя специальное помещение — кунацкую[6]. В большинстве случаев она располагалась за оградой усадьбы. У осетин, чеченцев, карачаевцев и дагестанских горцев кунацкая существовала в виде отдельного строения или части жилища[7]. Гостиный дом у зажиточных людей был самой лучшей постройкой в усадьбе. Снаружи он был отделан резьбой, окрашен в какой-либо цвет[8]. Кунацкая была обставлена богаче, чем другие комнаты жилища хозяина. Все самое лучшее и дорогое из обстановки дома переносилось туда. Стены кунацкой были увешаны саблями, кинжалами, луками, стрелами, пистолетами, ружьями, шлемами, кольчугами[9], коврами, тканью, циновками с различными фигурами. Необходимой принадлежностью адыгского гостиного дома являлись двухструнная скрипка и двенадцатиструнная арфа[10]. Обоставляя кунацкую как можно лучше, хозяин преследовал цель не только украсить ее и создать удобства, но и подчеркивал, что все лучшее, что есть в доме принадлежит гостю[11].

Путник, нуждавшийся в ночлеге, в любое время года мог остановиться в кунацкой. Хозяин обеспечивал его всем необходимым безвозмездно. В случае необходимости гостю оказывали материальную, моральную помощь, защиту[12]. Он мог оставаться в кунацкой сколько ему заблагорассудится. При желании гость сохранял полное инкогнито[13]. Хозяин не спрашивал его откуда, куда и зачем он едет, если тот не считал нужным сообщать все это ему. Гость был окружен всяческой заботой в семье, где он остановился. Хозяин и все мужчины ухаживали за ним. Женщины были заняты приготовлением пищи. Гостя кормили разнообразными и лучшими блюдами. Чем знатнее он был, тем больше внимания уделяли ему. И угощали его лучше, чем незнатного[14]. По словам Л. Я. Люлье, при угощении турецкого пашу хатукайским старшиной было подано 120 блюд[15].

Гостю оказывали всяческие знаки уважения. Он ел обычно один за столом. Бывало, по его настоянию отведывал пищу кто-нибудь из

---

4 Джованни Лукка, Описание перекопских и ногайских татар, черкесов, и грузин. «Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII — XIX вв.», Нальчик, 1974, с. 717.

5 Ю. Клапрот, Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807—1808 гг. «Осетины глазами русских и иностранных путешественников» (XIII—XIX вв.), Орджоникидзе, 1967, с. 127.

6 Хан-Гирей, Записки о Черкесии, Нальчик, 1978, с. 234.

7 М. О. Косвен, Этнография и история Кавказа, М., 1961, с. 127; Б. А. Калоев, Осетины, М., 1971, с. 196; И. М. Саидов, Материалы по куначеству и гостеприимству у чеченцев и ингушей, «Сборник статей», Грозный, 1964, с. 139.

8 Хан-Гирей, Записки о Черкесии, с. 234.

9 Жак-Виктор-Эдуард Тебу де Марнья, Указ. соч., с. 307; Хан-Гирей. Записки о Черкесии, с. 235.

10 В. К. Гарданов. Указ. соч., с. 222.

11 Там же, с. 293.

12 Г. Х. Мамбетов, Общественный и семейный быт кабардинцев и балкарцев в XVI — первой половине XIX века. «История Кабардино-Балкарской АССР», М., 1967, с. 283.

13 В. К. Гарданов, Указ. соч., с. 294.

14 Там же, с. 297; Б. А. Калоев. Указ. соч., с. 196.

15 Л. Я. Люлье, о гостеприимстве у Черкес, газ. «Кавказ», 1859, № 16, с. 35.

присутствовавших, обычно самый старший или хозяин дома. Прислуживал за гостем кто-нибудь из молодых мужчин семьи хозяина или соседский парень. Хозяин следил за тем, чтобы он был накормлен и обслужен хорошо. В присутствии гостя без его приглашения никто не садился. Рядом с ним могли сидеть только старшие из присутствовавших. Хозяин тоже садился лишь по неоднократному настойчивому приглашению. Младшие не садились при госте и старших, они стояли чуть поодаль от старших вдоль стен. Они не вмешивались в разговоры.

Гость считался гостем не только одного хозяина, у которого он находился, но и гостем всех его родственников, всего аула. Поэтому за его безопасность был ответственен весь аул. Родственники, соседи хозяина приходили к гостю приветствовать его. Они для приличия не уходили сразу, а задерживались некоторое время. Гостя не оставляли одного. С ним находился хозяин, родственник или сосед. Чтобы развлечь его, хозяин иногда устраивал для него танцы, приглашал сказителей, скрипачей. Строго соблюдался горский этикет. Никто громко не разговаривал, не произносил грубых слов. Друг друга не перебивали, по очереди, соблюдая старшинство, вступали в разговор.

Тщательный уход осуществлялся и за лошадью гостя. Ее содержали в специальной конюшне, пристроенной к кунацкой.

Правила гостеприимства соблюдались горцами неукоснительно. Общество строго осуждало, даже наказывало того, кто их как следует не соблюдал. Горцы заранее готовились к приему гостей: запасались продуктами, фуражем для лошадей. У адыгов был обычай засевать для гостей особое поле просом и выделять для их угощения часть скота[16]. У чеченцев даже бедные семьи держали на случай приезда гостя свежее постельное белье, чистый таз с умывальником, продукты для приготовления хороших блюд[17].

Хозяин обязан был защитить гостя от всякой опасности и оскорблений, помогать во всех его делах, охранять имущество, которое он захватил с собой[18]. Он нес ответственность перед обществом за его безопасность. Гость был неприкосновенным лицом. Того, кто не сумел уберечь его от обид, судили и наказывали[19]. За оскорбленного гостя мстил не только хозяин, но вся его фамилия[20], даже весь аул. Хозяин готов был жертвовать собой ради его защиты. По обычаю выдача гостя врагу считалась недопустимой.

У адыгов лицо, ограбившее или убившее гостя, подвергалось суровому наказанию: либо родственники его убивали, либо изгоняли из общества[21]. У осетин такого преступника сбрасывали со скалы со связанными руками и ногами[22].

В XVIII веке кровомщение за убийство гостя постепенно заменилось выкупом за кровь. У адыгов за оскорбление гостя виновный да-

---

[16] Л. Я. Люлье, О гостеприимстве у черкес, с. 35.

[17] И. М. Саидов. Указ. соч., с. 140.

[18] Хан-Гирей, Записки о Черкессии, с. 350; С. Ш. Гаджиева, Кумыки, М., 1961, с. 291.

[19] Ш. Б. Ногмов, История адыгейского народа, Нальчик, 1958, с. 79.

[20] Хан-Гирей, Записки о Черкесии, с. 351; В. К. Гарданов, Указ. соч., с. 298; «Осетины глазами русских и иностранных путешественников» (XIII—XIX вв.), Орджоникидзе, 1967, с. 33; И. М. Саидов, Указ. соч., с. 153.

[21] Хан-Гирей, Записки о Черкесии, с. 352.

[22] Ю. Клапрот, Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807 — 1808 гг. — изв. СОНИИ, вып. XII, 1948, с. 127.

вал хозяину в виде штрафа одного раба, а за убийство его — девять рабов. Кроме того, он вносил выкуп за кровь родственникам убитого[23].

Хозяин отвечал за безопасность гостя, пока тот находился под его покровом. А за пределами дома последний выходил из-под его опеки и был предоставлен самому себе. Случалось нередко, что хозяин заботился о безопасности гостя на пути. Он передавал его на руки своему хорошему знакомому[24]. Если гость не был отдан под покровительство другого хозяина, он мог быть схвачен в плен разбойниками и продан в рабство.

---

23 С. М. Броневский, Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. II, М., 1823, с. 118—119.

24 Ш. Б. Ногмов, Указ. соч., с. 79.

მაყვალა ნათმელაძე

საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დახასიათებისათვის 1917—1922 წლებში

(ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური წყაროს ანალიზი)

ქალაქის განვითარება გადაჯაჭვულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, ამასთან, მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების მატარებელსა და გამომხატველს.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ურბანიზაციას გლობალური ხასიათი აქვს, არ არსებობს ქალაქის ცნების ერთმნიშვნელოვანი გაგება. მისი შესწავლისადმი მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიდგომა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ქალაქის ზოგად ცნებაში გულისხმობენ „იურიდიულ ქალაქს“, „რეალურ ქალაქს“, „ფიზიკურ ქალაქს“, „გეოგრაფიულ ქალაქს“ ან „ურბანიზებულ ტერიტორიას“.

ფრანგ მკვლევარ-გეოგრაფოსებს მიაჩნიათ, რომ ცნება „ქალაქი“ მოძველდა. თანამედროვე ეტაპზე ისინი უფრო მიზანშეწონილად თვლიან ამ ცნების უფრო ფართო გაგებით ხმარებას. კერძოდ, ცნებას, რომელიც მოიცავს საკუთრივ ქალაქის გარდა მეზობელ პუნქტებსაც, რომელნიც ცხოვრობენ მოცემული ქალაქის ცხოვრებით. ასეთ კომპლექსს უწოდებენ აგლომერაციას. მაგალითად, პარიზის აგლომერაციაში შეჰყავთ 3—4 დეპარტამენტი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბოლო დროის გამოცემებში ფიგურირებს ცნება „ურბანიზებული ტერიტორია“, რომელიც ასევე სცილდება ქალაქის ფარგლებს და მოიცავს მის მომიჯნავე დასახლებულ ტერიტორიას. გარდა ამისა, არსებობს ქალაქების გრადაციაში ცნება მეტროპოლიტენური ზონა ან არეალი. ეს სტატისტიკურ-ტერიტორიული ერთეული უფრო ფართო მოცულობისაა.

ჩვენის აზრით, ქალაქების ისტორია უნდა შეიცავდეს როგორც საკუთრივ ქალაქის, ასევე ქალაქების ტიპის დასახლებების ისტორიას.

ქალაქების მრავალრიცხოვნობის გამო, კანონზომიერად გაჩნდა მათი კლასიფიკაციის საჭიროება. მაგრამ იგი შეიძლება პირობითი იყოს, რადგან კლასიფიკაციის ფაქტიურად შესაძლებელი საშუალებანი ამოუწურავია (მოცულობის, ასაკის, ფუნქციის სახეობის მიხედვით და სხვ.). ქალაქის მრავალ ფუნქციაში ყოველთვის შეიძლება სჭარბობდეს ერთი რომელიმე ფუნქცია. ამაზე დაყრდნობით გამოყოფენ ქალაქებს მრეწველობის უპირატესი განვითარებით, დამუშავებითი და სამთო მოპოვებითი მრეწველობის ცენტრებს, საუნივერსიტეტო და საკურორტო ქალაქებს. ამერიკელი მეცნიერის ჰარისის

კლასიფიკაცია[1] ემყარება ყოველი ქალაქის წამყვან ფუნქციას. მისი წარმოჩენისათვის მან გამოიყენა ორი განსხვავებული მონაცემის — მოსახლეობის დასაქმებისა და მისი პროფესიული შემადგენლობის ანალიზი. ამის საშუალებით ჰარისმა გამოჰყო ქალაქის ორი ფუნქციონალური ტიპი: სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და სამთო მრეწველობის ცენტრები. მანვე ქალაქების კლასიფიკაციის დროს მიუთითა ქალაქებს შორის დამუშავებითი მრეწველობის ცენტრების ყველაზე გავრცელებულ ტიპზე.

ქალაქების კლასიფიკაციისას კრიტერიუმად მიიჩნევენ მოსახლეობის რაოდენობას, თუმცა იგი არ არის ერთიანი ყველა ქვეყნისათვის. მაგალითად, საფრანგეთში ქალაქად გამოყოფის (1887 წლიდან) მინიმალური ზღვარი შეადგენს 2 ათას მცხოვრებს. იგივე რაოდენობა მოსახლეობისა მიიჩნია ქალაქის კრიტერიუმად არგენტინამ და პორტუგალიამ. აშშ და ტაილანდში ზღვარად აღიარებულია 2,5 ათასი მცხოვრები, ესპანეთსა და საბერძნეთში 10 ათასამდე, კანადაში, შვეიცარიასა და მალაზიაში ერთი ათასით კმაყოფილდებიან. ისლანდიაში 300 კაცით, ხოლო დანიაში — 250 კაცითაც კი. ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის ამ რაოდენობრივ ზღვარს ემატება კიდევ რაიმე ნიშანი, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში სრულიად უგულველყოფილია მოსახლეობის რაოდენობრივი კრიტერიუმი და პრიორიტეტი ენიჭება მომსახურების სფეროს, მუნიციპალურ და სახელმწიფო დაწესებულებებს ან ცენტრებს (სადაც მოსახლეობა ეწევა არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას), ანდა ყოველ ადმინისტრაციულ ცენტრს.

სსრ კავშირში მიაჩნიათ, რომ ქალაქის სტატუსი უნდა შეიცავდეს მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობას. ფრანგი მკვლევრების აზრით ეს კრიტერიუმი არ არის ერთიანი ყველა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკისათვის. თუ მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი ზღვარი შეადგენს 12 ათასს, უკრაინისა და მოლდავეთის ქალაქებისათვის იგი ნაანგარიშევია 10 ათასით, ხოლო საქართველოსა და თურქმენეთისათვის 5 ათასით[2]. ამასთან იმ პირობით, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომაში დასაქმებული მოსახლეობა ქალაქის საზღვრებში არ აღემატებოდეს, მაგალითად, რსფს რესპუბლიკაში — 15%, საქართველოში — 25%ს, თურქმენეთში — 33%-ს, ხოლო უკრაინასა და მოლდავეთში სასოფლო მოსახლეობა არ უნდა სჭარბობდეს საქალაქო მოსახლეობას მოცემული ქალაქის ფარგლებში[3]. მაგრამ ფრანგი ავტორების მიერ დამოწმებული მონაცემები არ არის ზუსტი.

ევროპის ქვეყნების სტატისტიკურმა კონფერენციამ 50-იანი წლების დასაწყისში მიიღო რეკომენდაცია ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი კრიტერიუმის შესახებ, რომლის მიხედვით ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს დასახლებული პუნქტი (იგულისხმება მჭიდრო დასახლების ბირთვი) 2 ათასი მცხოვრებით. სოფლის მოსახლეობა ხსენებული დასახლებული პუნქტის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს, ხოლო 10 ათასზე მეტი მცხოვ-

---

[1] D. Harris, A Functional clasification of cites in the Jnited states. География городов, М., 1965.

[2] Жаклин Боже, Гарнье и Жорж Шабо, Очерки по географии городов, М., 1970, с. 40.

[3] იქვე, აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები არ ასახავს სწორად ქალაქის მოსახლეობის დასაქმების ხასიათს.

რებით დასახლებული ტერიტორია ავტომატურად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც ქალაქი.

ქალაქის კლასიფიკაციის ერთიანი კრიტერიუმის არარსებობა გაპირობებულია სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული სოციალური და ბუნებრივი პირობებით. ქალაქების სწრაფი ზრდა, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ეპოქისათვის, საქალაქო დასახლებათა სისტემის ფორმირება და განსახლების აქამდე არნახული რთული ფორმების განვითარება ზოგჯერ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში განიხილება, როგორც თავისებური „ურბანისტული რევოლუცია". ანტიკურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ ქალაქებს წარმოქმნის თავიანთი საფუძვლები გააჩნდათ. ზოგიერთი ქალაქის ბირთვი დასახლებული პუნქტისაგან წარმოიშვა და შემდგომ იგი შენარჩუნებულ იქნა.

განსხვავებული საფუძველი გააჩნია სოციალისტური ქალაქის წარმოქმნას და განვითარებას. მაგრამ ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს მხოლოდ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების იმ მხარეთაგანია, რომლის მთავარი ტენდენციების შექმნა–ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენენ საგარეო და საშინაო ფაქტორები. განსახილველი საკითხი უთუოდ საინტერესოა და ფრიად რთულიც, რადგან ქალაქების მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა უკავშირდება მოსახლეობის კონცენტრაციის კლების თუ ზრდის პროცესებს, მოსახლეობის შევსების წყაროებს, შინა და გარე მიგრაციებს, რაც განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-ისტორიული ფაქტორების რთული კომპლექსით. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წინა პლანზე გამოდის ამ ფაქტორების ნაირგვარი შეთანასწორობა, რომელიც განსაზღვრავს ურბანიზაციის, მათ შორის საქალაქო ქსელის სტრუქტურისა და მოცულობის რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ განვითარებას.

ქალაქების მოსახლეობის სტრუქტურის, მათ შორის ეროვნული შემადგენლობის შესწავლას აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტებიც.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება უკავშირდება სოციალისტური რევოლუციის შედეგად შექმნილ ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ქალაქების ფუნქციონალური სტრუქტურის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროფილის ჩამოყალიბების, ქალაქების აქტივიზაციის პროცესს, მოსახლეობის შევსებისა და დასაქმების ახალ წყაროებს და ა. შ.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გასარკვევად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს 1922 წლის საქალაქო აღწერის მასალებს[4], რამდენადაც ამაზე უწინარესი, ანუ 1921 წლის მონაცემები არ მოიპოვება. ხსენებული სტატისტიკური წყარო, რომლის ანალიზის ცდაა წინამდებარე ნაშრომი, მდიდარ და სანდო მასალას შეიცავს საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სტრუქტურის შესახებ, 1922 წლის საქალაქო აღწერის შედეგები ხსენებულ სტატისტიკურ წყაროში კარგადაა

---

[4] სრულიად საქართველოს საქალაქო მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწ. 1, ნაკვ. 1 ამ წყაროს მივაკვლიეთ საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სტატისტიკის ფონდში.

დამუშავებული იმ მხრივაც, რომ მასში მოსახლეობის ეროვნული ჯგუფები კლასიფიცირებულია მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში მათი ხვედრითი წონის მიხედვით, რის გამოც დამოწმებული სტატისტიკით სარგებლობა გარკვეულად გაადვილებულია.

ზოგადად თუ დავახასიათებთ საქართველოს მთელი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის საერთო ცვლილების ტენდენციას 1917—1922 წლებში, ასეთი სურათი შეიძლება მივიღოთ: საქართველოს მთელს მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონა 1917—1922 წლებში გაიზარდა 3,8%-ით და შეადგინა 67,3%[5]. სომეხი ეროვნების ხვედრითი წონა შემცირდა 0.6%-ით, თურქულ-სპარსული ეროვნების მოსახლეობისა — 3,6-დან 3,1%-მდე[6]. რუსი ეროვნებისა — 4,9-დან — 3,4%-მდე[7], ებრაული მოსახლეობისა თითქმის — 1%-ით, ბერძნებისა — 0,5%-ით და ა. შ. აფხაზეთში ქართველების ხვედრითი წონა გაიზარდა 1,8%-ით, სომეხი ეროვნებისა — 2,9%-ით, რუსი ეროვნებისა — 0,4%-ით, ასევე გაიზარდა სომეხი და რუსი ეროვნების ხვედრითი წონა აჭარის მოსახლეობაში. ეს საერთო ტენდენცია (ქართველების წილის ზრდა) მკაფიოდ გამოიხატებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების: დუშეთის, თიანეთის, ხაშურის, გორის, ბორჯომისა და თელავის მაგალითზე. ამ ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

ცალკე შეიძლება შევეხოთ თბილისის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, რომელიც დიდი სიზუსტით ხასიათდებოდა, 1922 წლის საქალაქო აღწერა ასახელებს მეტ-ნაკლებად კომპაქტური მოსახლეობის თერთმეტ ეროვნებას, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავიათ ქართველებს და, აგრეთვე, სომხებს[8]. გარდა ამისა თბილისში აღრიცხული იყო 14356 კაცი გაურკვეველი ეთნიკური კუთვნილებისა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობაში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ეროვნების მოსახლეობა, რომლებიც საქართველოს სხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობდნენ.

ამრიგად, ქართველების მაღალი ხვედრითი წონით ხასიათდებოდნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქები და საქალაქო დასახლებები. ქალაქების მოსახლეობაში ქართველები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 88,9%-ს. ქართველების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მაღალი იყო ებრაული მოსახლეობის ხვედრითი წონა. იგი 5,7%-ს შეადგენდა. რუსი ეროვნების მოსახლეობის წილი უდრიდა 2,9%-ს, სომეხი ეროვნებისა კი 1,6%-ს. უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდნენ გერმანელები, პოლონელები, ბერძნები და სხვა ეროვნებანი. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით დასავლეთ საქართველოს ქალაქები ქართველების ხვედრითი წონის მიხედვით შემდეგი რიგით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ხონი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ოზურგეთი (აწინდელი ქ. მახარაძე), ზესტაფონი, სამტრედია, ცაგერი, სენაკი (აწინდელი ქ. ცხაკაია), ტყიბული, ჭიათურა, ფოთი და ქუთაისი (იხ. ცხრ. გვ. 164).

---

5 სრულიად საქართველოს საქალაქო მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწ. 1, ნაკვ. 1, გვ. 8—9.

6 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., გვ. 22—25.

7 იქვე, გვ. 11.

8 იხ. სტატისტიკური კრებული 1922—1926 წწ., თბ., 1927, გვ. 34—35.

ქვემოთ მოგვაქვს ცხრილი, რომელიც უჩვენებს ყოველი ეროვნების ხვედრით წონას საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში 1922 წლის ნოემბრისათვის

ქალაქი	მოსახლეობის საერთო რაოდენობა	მათ შორის %%-ში									
		ქართველი	რუსი	სომეხი	ებრაელი	აფხაზი	ოსი	თურქი და აზერბაიჯანელი	სპარსელი	ბერძენი	გერმანელი დასავლეთ ევროპელების
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ახალქალაქი	2737	7,9	3,8	86,8	—	—	—	—	—	0,8	0,7
ახალციხე	10153	21,4	1,8	68,0	6,4	—	—	0,4	—	1,3	0,9
ბორჯომი	3013	56,9	12,3	22,1	—	—	—	—	—	5,2	3,5
გორი	9236	65,8	2,2	27,1	1,8	—	2,1	—	—	—	1,0
ველისციხე	5050	36,1	0,2	61,6	1,8	—	1,7	—	—	—	0,3
დუშეთი	1510	71,1	2,2	23,8	—	—	1,7	—	—	—	1,2
თელავი	9170	55,2	1,1	41,1	0,9	—	—	—	—	—	1,7
თიანეთი	1381	90,5	1,3	5,6	—	—	—	—	—	—	2,6[9]
ლაგოდეხი	1523	35,6	21,8	40,8	—	—	—	—	—	—	1,8
ლექსემბურგი	4891	3,3	3,9	12,6	1,7	გერმანელი 64,9	9	3,4	8,2	—	0,2
სიღნაღი	4192	38,5	1,5	59,3	—	—	—	—	—	—	0,7
სურამი	4134	44,1	2,0	28,7	24,2	—	—	—	—	—	1,0
თბილისი	233958	34,6	16,5	36,5	3,7	—	0,6	1,4	1,7	0,5	2,5[10]
შელავერი	5112	0,4	0,3	98,9	—	—	—	0,5	—	—	0,8
ბაშური	7019	83,8	3,4	7,3	—	—	0,5	—	—	—	5,6
ზესტაფონი	4902	96,9	0,9	0,4	—	—	—	—	—	—	1,8
ზუგდიდი	4425	97,4	1,2	0,5	—	—	—	—	—	—	0,9
ლანჩხუთი	7577	98,1	0,7	0,9	—	—	—	—	—	—	0,3
ოზურგეთი	5626	97,3	1,5	0,4	—	—	—	—	—	—	0,8
ონი	2699	48,4	1,0	10,0	40,3	—	—	—	—	—	0,3
სამტრედია	6423	96,3	2,1	0,9	—	—	—	—	—	—	0,7
სენაკი	4524	95,5	1,8	0,9	—	—	—	—	—	1,3	0,5
ტყიბული	1862	91,4	2,7	1,2	—	—	—	—	—	3,7	1,0
ფოთი	11358	85,8	6,3	2,7	2,6	—	—	—	—	1,9	0,7
ქუთაისი	45290	83,5	2,5	2,0	10,6	—	—	0,1	0,1	0,7	0,4
ჯულევი	729	98,5	0,4	0,2	—	—	—	—	—	—	0,9
ცაგერი	1575	96,2	0,2	0,6	—	—	—	—	—	—	3,0
ჭიათურა[11]	3243	87,1	2,3	1,8	0,2	—	0,4	—	—	7,0	1,3
ხონი	9347	98,9	0,6	0,3	—	—	—	—	—	—	0,2
აფხაზეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
გუდაუთა	2348	21,5	25,4	10,7	—	6,5	—	—	—	25,0	10,9
სოხუმი	17426	21,3	25,6	10,8	5,8	2,4	—	—	1,2	28,7	4,2
აჭარის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბათუმი	60810	30,0	17,6	24,6	6,1	0,4	0,1	2,6	2,9	12,5	3,2
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ცხინვალი	4543	31,7	1,4	16,8	36,3	—	13,5	—	—	—	0,3

[9] ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ „სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის ნოემბრის 30 აღწერის ჯამები, ნაწ. I, ნაკვ. I, თბ., 1923, გვ. 8—25 მიხედვით.

[10] ამას გარდა თბილისში აღრიცხული იყო 2437 გერმანელი, ანუ 1,0% მოსახლეობის, ბოლონელი 2272, ანუ 1,0% და 71 აფხაზი.

[11] სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის ნოემბრის 30 აღწერის ჯამები არ შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს ჭიათურისა და ხონის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მაგრამ შემდეგ გამოქვეყნებულ ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულში (რომელიც 1922 წლის საქალაქო აღწერის შედეგს ეყრდნობა) ჭიათურა და ხონი შეტანილია ქალაქების ნუსხაში სათანადო სტატისტიკური ინფორმაციებითურთ. სამაგიეროდ, ამ კრებულის მიხედვით ნაცვლად ქალაქებისა საქალაქო ტიპის დასახლებებად არიან ჩათვლილნი თიანეთი, სურამი, ველისციხე, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ჯულევი და ცაგერი.

ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ანალიზი იმ გარემოებაზეც მიგვანიშნებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობაში ქართველთა ხვედრით წონას აღემატებოდა სომხური ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წონა, რაც ადრინდელი ეპოქების მემკვიდრეობას წარმოადგენდა. 1917—1922 წლებში ადგილი ჰქონდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში არაქართული ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წონის აბსოლუტურ და შეფარდებით შემცირებას. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ 1922 წლის ნოემბრისათვის საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში (496766 კაცი) ქართველების რაოდენობა შეადგენდა 232075 კაცს, ხვედრითი წონა — 46,5%-ს[12]. ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებების მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წონა 1922—1923 წლებში უდრიდა 49,2%-ს. სომეხი ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა 1922 წ. ქალაქების მოსახლეობაში — 27,2%-ს, საქალაქო დასახლებათა ჩათვლით კი 27%-ს. ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მცხოვრებთა შორის სომეხთა ხვედრითი წონა 1917—1922 წლებში ძლიერ უმნიშვნელოდ გაიზარდა, ხოლო საქართველოს მთელს მოსახლეობაში ამდენადვე შემცირდა. თურქი ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წონა 1922 წელს საქართველოს ქალაქების და საქალაქო დასახლებების მოსახლეობაში შეადგენდა 0,7%-ს[13],. ნაცვლად 1.8%-ისა 1917 წელს[14]. რუსი ეროვნების ხვედრითი წონა ქალაქების მოსახლეობაში უდრიდა 1922 წ. 11,9%-ს, ხოლო საქალაქო ტიპის დასახლებათა ჩათვლით 11,8%-ს[15]. თითქმის უცვლელი დარჩა ოსი მოსახლეობის ხვედრითი წონა ქალაქებში და საქალაქო დასახლებებსა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში[16]. აფხაზების ხვედრითი წონა ქალაქების მოსახლეობაში შეადგენდა 1922 წ. 0,2%-ს, ნაცვლად 0,1%-ისა 1917 წ., ხოლო ქალაქების ტიპის დასახლებებში — 0,3%-ს. მოტანილი მონაცემების მიხედვით ჩანს საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო დასახლებათა მოსახლეობაში 1917—1922 წელს თითქმის ყველა ეროვნების რაოდენობის შეფარდებითი შემცირება ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდის შედეგად.

საინტერესოა ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას მივაქციოთ ყურადღება. ეს არის საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განხილვა დედაენის მიხედვით[17]. ამ საკითხის შესახებ მხოლოდ 1922 წლის საქალაქო აღწერის ცნობები მოგვეპოვება. ამიტომ 1922 წელს არსებული მდგომარეობის ჩვენება თუნდაც მთავარი ადმინისტრაციული ცენტრების მაგალითზე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა დედაენის მიხედვით იმასთან ერთად, რომ დედაენა ეროვნული მიკუთვნებულობის პირდაპირი მაჩვენებელია, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-

12 სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის ნოემბრის 30 აღწერის ჯამები, ნაწ. 1, ნაკვ. 1, გვ. 25. შდრ. სტატისტიკური კრებული 1922—1926 წწ., გვ. 22—25, ცხრ. 4, შდრ. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., გვ. 11. რომლის მიხედვით 1922 წ. ქალაქების მოსახლეობაში ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 214859 კაცს, ამავე წყაროს მიხედვით ქართველების ხვედრითი წონა 1917 წ. უდრიდა 41,7%-ს.

13 სტატისტიკური კრებული 1922—1926 წწ., გვ. 22—25, ცხრ. 4.

14 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., გვ. 11.

15 სტატისტიკური კრებული 1922—1926 წწ., გვ. 22—25. შდრ. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., სადაც ნაჩვენებია 11,9%, ნაცვლად 19,5%-ისა 1917 წ.

16 სტატისტიკური კრებული 1922, 1926 წწ., გვ. 22—25, საქ. სახ. მეურნეობა 1924—1925 წწ., გვ. 11.

17 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., გვ. 11.

ბის სხვა ასპექტებზეც, მათ შორის ტრადიციაზე, ეროვნული კონსოლიდაციის ხარისხზე შეიძლება მიგვანიშნებდეს.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1922 წელს საქართველოს ქალაქებში მცხოვრებ ქართველთა 214853 კაციდან (ზოგიერთი ქალაქის გამოკლებით) აბსოლუტური უმრავლესობა — 211948 კაცი დედაენად მიიჩნევდა ქართულს, ხოლო სულ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების ქართველი მოსახლეობიდან (234452 კაცი) დედაენად თვლიდა ქართულს 231459, რუსულს — 1924, სომხურს — 189, თურქულს — 150, დანარჩენი კი სხვა ენებს.

ქართულს თვლიდა დედაენად სხვა ეროვნების მოსახლეობის ნაწილიც. კერძოდ, სომეხი ეროვნების 30,6%, ოსების — 31,7%, ებრაელთა — 68,4%, ბერძნების — 14,1%, რუსების — 5%. მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ქართულს თვლიდნენ სალაპარაკო ენად თურქები და სხვა ეროვნებანი, სომხურ ენას — სომეხი ეროვნების გარდა ქართველთა და ბერძენთა ძლიერ უმნიშვნელო ნაწილი, ხოლო რუსულ ენას — თითქმის ყველა ეროვნების მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი.

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განხილვა დედაენის მიხედვით უჩვენებს, რომ იგი მატარებელი იყო საერთოდ, საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციისა. თბილისში 80884-დან 79918 კაცი დედაენად თვლიდა ქართულს, თურქულს — 9, სომხურს — 86, რუსულს — 711, დანარჩენი 160 კაცი დედაენად თვლიდა სხვა ენებს. 85309 სომეხი მოსახლეობიდან დედაენად თვლიდა სომხურს 53967, ქართულს — 25443, რუსულს — 5824, ხოლო დანარჩენი — 295 კაცი — სხვა ენებს. 38612 რუსი მცხოვრებისაგან დედაენად თვლიდა რუსულს 36769, ქართულს — 663, ხოლო დანარჩენი 180 კაცი — სხვა ენებს და ა. შ.[18]. შედარებით მაღალი იყო თბილისში თურქი და ებრაული მოსახლეობის ხვედრითი წონა, რომელიც დედაენად თურქულსა და ებრაულს თვლიდა, ვიდრე შესატყვისი მაჩვენებელი მთლიანად საქართველოს ყველა ქალაქის მიხედვით. სხვა მნიშვნელოვანი სხვაობა დედაენის მიხედვით თბილისსა და საერთოდ, საქართველოს ქალაქებში სხვა ეროვნებათა შემადგენლობის შეპირისპირებაში არ შეიმჩნევა.

განსახილველი სტატისტიკური წყაროს, ასევე ოფიციალური სტატისტიკის სხვა მონაცემების (რომელიც 1922 წლის საქალაქო აღწერის მასალებს ეყრდნობა) ანალიზი ცხადყოფს, რომ სოხუმის მოსახლეობაში რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი ეკავათ რუსებს, რომელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დედაენად თვლიდა რუსულ ენას. ქართული მოსახლეობის ძლიერ მცირე ნაწილი დედაენად რუსულს თვლიდა, ხოლო სოხუმის აფხაზური მოსახლეობის თითქმის 40% დედაენად თვლიდა რუსულ, ქართულ და სხვა ენებს[19].

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ბათუმში, სადაც როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის უმრავლესობას, ხოლო ქართული მოსახლეობის თითქმის 95% დედაენად თვლიდა ქართულს. დედაენისადმი დამოკიდებულების მხრივ ქართველებთან

---

[18] სრულიად საქართველოს საქალაქო მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამი, ნაწ. 1, ნაკვ. 1, გვ. 25.

[19] სტატისტიკური კრებული 1922—1926 წწ., თბ., 1927, გვ. 32—35. პროცენტული მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.

ერთად პირველ ადგილზე იდგა რუსი ეროვნების მოსახლეობაც, რომელთა ხვედრითი წონა დედაენის მიხედვით გაცილებით მაღალია, ვიდრე მთლიანად საქართველოს ქალაქების მიხედვით გამოთვლილი ანალოგიური მაჩვენებელი.

ცხინვალის მოსახლეობაში დედაენის მიხედვით პირველი აღგილი ქართულ ენას ეკავა, რადგან ქართველთა და ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა და სომხური მოსახლეობის ნაწილი ქართულ ენას თელიდა დედაენად. ხსენებული ეროვნებების მოსახლეობა შეადგენდა ცხინვალის მთელი მოსახლეობის $^{4}/_{5}$-ზე მეტს.

. ჩვენს ხელთარსებული ანალოგიური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი საქართველოს საქალაქო ტიპის დასახლებათა მიხედვით ცხადყოფს, რომ ქართველთა ხვედრითი წილი დედაენის მიხედვით ქალაქების მაგალითზე (სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის გარდა) მცირეოდენ მაღალია, ვიდრე საერთო მაჩვენებელი გამოთვლილი ქალაქებისა და საქალაქო დასახლებათა მიხედვით.

ფრიად საინტერესოა 1922 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ამსახველი მონაცემების შეპირისპირება 1922 წლის მდგომარეობასთან მიმართებაში, რამდენადაც იგი შესაძლებლობას მოგვცემს თვალი გავადევნოთ სოციალისტური მშენებლობის პროცესში ქართველი სოციალისტური ერის კონსოლიდაციის პროცესს. საქართველოს საბჭოური მუშათა კლასის, როგორც სოციალისტური საზოგადოების წამყვანი კლასის კონსოლიდაციის პრობლემა გამოკვლეულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის საკმარისი ქართველი სოციალისტური ერის ფორმირების პროცესის ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლისათვის.

თინათინ ოჩიაური

ჭართველ მთიელთა წარმოდგენები ნადირთ მფარველებზე

(ნადირთ წინამძღოლი, ნადირთ პატრონი, ნადირთ მწყემსი)

კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში ნადირობა მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მდიდარი და მრავალფეროვანი ფაუნა, რასაც განაპირობებდა სათანადო კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, ნადირობისათვის მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. მონადირეობას მისდევენ როგორც საქართველოს დაბლობი და გარდამავალი ზოლის, ისე მაღალმთიანი რაიონის მცხოვრებლები. დღემდე შემონახული ნადირობის წესები და ტრადიციული სამონადირეო ხერხები, ნადირთა ზნისა და ბუნების ზედმიწევნით ცოდნა, მონადირეთა ურთიერთობისა და ნადავლის განაწილების წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, მითოლოგიური შეხედულებები და სხვა თავისთავად მეტყველებს ნადირობის შორეულ და მდიდარ საწყისებზე, საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციაზე. ამ მხრივ არსებულ ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ მასალას მტკიცე საყრდენს აძლევს არქეოლოგიური მონაცემები, რომელთა მიხედვით ვლინდება ნადირობის როლი საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ამა თუ იმ პერიოდის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ამასთან ერთად, ცხოველთა ქანდაკებები, ბრინჯაოს სარტყლებსა და სხვა საგნებზე გამოსახული სხვადასხვა სახის ნადირი თუ ნადირობის სცენები მიუთითებს, როგორც ცხოველთა საკულტო მნიშვნელობაზე, ისე წარმოდგენებზე ნადირთ მფარველთა თუ ღვთაებათა შესახებ. ამ შეხედულებებმა და მისგან მომდინარე წეს-ჩვეულებებმა შესაბამისი სახეცვლილებით ცალკეული გადმონაშთების სახით ჩვენამდე მოაღწია.

ნადირობასთან დაკავშირებული სარწმუნოებრივი წარმოდგენები და საკულტო ქმედებანი შედარებით უკეთ შემონახულია საქართველოს მთის რაიონებში, სადაც ნადირობის ობიექტს ჩლიქოსანი ე. წ. წმინდა ნადირი — ჯიხვი, არჩვი, ირემი, შველი წარმოადგენდა.

ჩლიქოსან ნადირთა შესახებ შემონახული შეხედულებები, მათი საკულტო ცხოველებად აღიარება და განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყოფა მტაცებელ ცხოველთა სამყაროდან, ალბათ, თავიდანვე განპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ ეს ცხოველები თავისი პროდუქტიულობით (ხორცი, ტყავი, რქები) ბევრად აღემატებოდნენ სხვა გარეულ მტაცებელ ცხოველებს. ამასთან ერთად, ჯიხვი და არჩვი ძნელად მისადგომ, ხშირად მიუწვდომელ, საიდუმლოებით და ხიფათით სავსე ადგილებში ბინადრობდნენ. მონადირის წარმატებას აქ მოულოდნელ გარემოებათა მთელი კომპლექსი განაპირობებდა, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ნადირთა მფარველ ზებუნებრივ ძალებსა და არსებებზე სათანადო წარმოდგენების შექმნისათვის, რომელთა კეთილგანწყობაზე იყო თითქოს დამოკიდებული მონადირის ბედ-იღბალი.

რაკი შორეულ წარსულში შემუშავდა წარმოდგენები ნადირთა ზებუნებრივი მფარველის — მწყემსისა და პატრონის შესახებ, რომლებიც შემდეგში ნადირთღვთაებებად იქცნენ, რაკი ითვლებოდა, რომ ნადირობის ბედ-იღბალი მათზე იყო დამოკიდებული, მონადირენი ცდილობდნენ მოემადლიერებინათ ისინი, სათანადო სარიტუალო წესების შესრულებით, აღკვეთებით, ვედრებითა და შესაწირავებით მოელბოთ მათი გული და იღბლიანი ნადირობა გაენაღდებინათ. მაგრამ მარტო ეს არ იყო გადამწყვეტი ნადირობაში წარმატებისათვის; ხევსურთა რწმენის თანახმად, „კარგ მონადირეს დაბადების დღიდანვე აქვს „შემოთვლილი“ (თანდაყოლილი), რომ ეს მონადირე გამოვიდესო. კაცს თუ დაბადებით არ „უწერია“ ნადირობა, რაც არ უნდა ეცადოს, მონადირე მაინც ვერ იქნებაო. რომელსაც დაბადებით აქვს „შემოთვლილი“, მას ნადირმენადირეთ გამჩენი ხელს უწყობს, რომ კლდეში სიარულისა არ შეეშინდეს და ნადირებიც ადვილად ხოცოს... ძალიან სალ კლდეს — „ნადირთ და მონადირეთ გამჩენი“ კიბირჭიან კლდედ მოაჩვენებს, თვალს არ შეუშინებს და ადვილად გადავა სიმაგრეებშიცო“[1]. ეს შეხედულება იმითაა საინტერესო, რომ ნადირობა წმინდა საქმედ მიიჩნევა. ხოლო მონადირე ღვთაების რჩეულად, რომელსაც პატრონობს „ნადირთ და მენადირეთ გამჩენი“. ამ მინიშნებული რწმენის უფრო გამოკვეთილი ფორმაა, როდესაც მონადირეს პირდაპირ ნადირთ ღვთაება ირჩევს და მასთან გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს, მისი მფარველობის წყალობით იგი იღბლიანი ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ ნაწილში, სადაც საჯიხვე მთებია (კავკასიონის მთავარხიხლის ჩრდილოეთი კალთები), მონადირეები გარკვეულ წესებს ასრულებდნენ როგორც სანადიროდ წასვლის წინ, ისე მგზავრობასა და სანადირო ადგილებში მისვლისას. ეს წესები პირველ რიგში გამოიხატებოდა სათანადო აღკვეთების დაცვასა და სამხვეწრო რიტუალების შესრულებაში. ხევსურეთში, მაგალითად, მონადირეს ეკრძალებოდა მეუღლესთან ურთიერთობა, დედათწესიანი ქალების ნავალზე სიარული. თუ ოჯახის წევრს დედათწესი ჰქონდა ან მშობიარე იყო, არც მაშინ წავიდოდნენ. გამგზავრების წინ აუცილებელი იყო ტანის დაბანა, ერიდებოდნენ სხვისთვის ირაღის ჩვენებას, ვინმესთან გზაში შეყრას. იცოდნენ თოფის განათვლა და ნალოცი ურძნის მძივების შებმა, რომ მას მიზანი არ გამრუდებოდა. მონადირე საგზალსაც თვითონ დაიმზადებდა, პურს, ყველს, მარილს მოიპარავდა და ჩუმად გაიპარებოდა[2].

სვანური მასალების მიხედვით, სანადიროდ წასვლის წინა სამზადისი ანალოგიური ჩანს ხევსურული შესატყვისი წესებისა. დარისპან მარგიანის ცნობით, სვანი მონადირე სანადიროდ არ წავიდოდა, „თუ ოჯახის ან ახლო მეზობლის ქალს ექნებოდა „ვიშდა“ (დედათწესი); მშობიარობის შემდეგ თუ არ იყო გასული 40 დღე მაინც; როცა მშობიარობდა ოჯახის ან ახლო მეზობლის ქალი; თუ მონადირეს ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა ცოლთან, მითუმეტეს სხვა ვინმე ქალთან, ორ-სამ დღეს ვერ წავიდოდა სანადიროდ, მაშინაც ტანი უნდა დაებანა; თუ სოფელში დაუსაფლავებელი მიცვალებული იყო“[3]. დარისპან მარგიანის ცნობითვე, მონადირე უთენია ან შეღამებისას უნდა წასულიყო, რათა არავის შეემჩნია და ავი თვალი არ ჯახყოლოდა.

---

1 ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, ნადირობის წესები ხევსურეთში, 1940. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი.

2 ნ. მაკალათია, ს. ბალიაური, დასახ. მასალები.

3 დარისპან მარგიანი, რელიგია სვანეთში (მასალები), საქ. ეთნოგრ. განყოფილების არქივი.

საყურადღებოა, რომ სხვა აღკვეთების გვერდით დადასტურებულია სიტყვის ტაბუც, რომელიც ელინდება ნადირობასთან დაკავშირებული მოქმედების, ნადირთა სახელწოდებების, იარაღის და მისთანათა სახელების შეცვლაში საიდუმლო ტერმინოლოგიით[4].

სანადიროდ გამგზავრების დროს დაცული აღკვეთები თავისი ხასიათითა და მიზანდასახულობით ემთხვევა ჯვარ-ხატების კულტში შესასრულებელ სათანადო წესებს. ცნობილია, რომ დღესასწაულის დროს და მის წინა პერიოდში (ერთი თვე, ორი კვირა და ა. შ.) ხატის მსახურები მეუღლესთან ურთიერთობას წყვეტდნენ. მათვე ეკრძალებოდათ დედათწესიანი ქალების ნაცალზე ფეხის დადგმა, „მირეულ“ სოფლის შარაზე სიარული, ტანდაუბანელი ჯვარში მისვლა.

სწ̈ვინდის დაცვის ეს ნორმები და მონადირის სათანადო აღკვეთები ერთმანეთს ემთხვევა და ალბათ იქიდან გამომდინარეობს, რომ მონადირემ ფეხი უნდა დაადგას მთა-წვერთ პატრონი ღვთაების სამფლობელოში, წმინდა ადგილზე, ისევე როგორც ხატში — ღვთაების საბზანისსა და მის მიდამოში ხატის მსახურმა.

ამ მხრივ საყურადღებოა მონადირე ჩორლას შესახებ არსებულ სვანურ ბალადაში დაცული ერთი მომენტი, როდესაც დალები ჩორლას დაატყვევებენ, რათა დასჯონ მრავალრიცხოვანი ნადირის გაწყვეტისათვის, მას წმ: გიორგი მიეშველება. ერთ-ერთი დალისაგან, რომელსაც სხვა დალები ჩორლას სიყვარულს აბრალებენ, იგი შეიტყობს თუ ყველაზე მეტად რა აშინებს დალებს: „მეძავი ქალის ფეხის ნადგამზე მამაკაცის აქ მოყვანაო“. — პასუხობს დალი წმ. გიორგის. ამის შემდეგ წმ. გიორგი დალებს ემუქრება: ან ჩორლა გამოუშვით, თუ არა „მეძავი ქალის ფეხის ნადგამზე ფეხის დამდგმელს აქ მოვიყვანო“. დალებს ისე აკრთობთ გაუწმინდურებული მამაკაცის მათ სამრძანებელში მისვლა, რომ იძულებულნი არიან ჩორლა გაანთავისუფლონ[5] (გავიხსენოთ თუ როგორ იცავდნენ ტაბუს ქალთან ურთიერთობის მხრივ სანადიროდ მომავალნი და ისიც თუ როგორ ეკრძალებოდა მეუღლესთან ურთიერთობა მონადირეს, რომელსაც სასიყვარულო კავშირი ჰქონდა ნადირთ ღვთაებასთან).

როდესაც მონადირე მოემზადებოდა, განზრახულ დროს ჩუმად გავიდოდა სახლიდან. ხევსურული მასალის თანახმად იგი გასვლისას იტყოდა: „ნადირთ-მენადირეთ გამჩენო! შენ მამიმართი ჯელი. ნუ დამაბრუნებ ჯელცალეს. კოქლაიდ ბრმა მაინც მამაკვლევიეთ, ის მაინც გაიმეტეთ ჩემთვისო (არხოტი)“. ამავე ხევსურეთში, შატილ-მიღმახევის მხარეს მონადირეები დანიშნულ ადგილს როდესაც მიაღწევდნენ, სანთელს აანთებდნენ და **მთა-წვერთ მამცაურს ხელის მომართვას** ევედრებოდნენ. ფშავში სანადიროდ მიმავალს საგზლის გარდა, თან მიჰქონდა სანთელი და ქადა. სანადიროში მისული სანთელს აანთებდა, კლდეზე მიაკრავდა, ქადას დაჭრიდა და იმ ადგილის მფარველს შემწეობასა და ხელის მომართვას შესთხოვდა დაახლოებით ამ სიტყვებით: „ამ მთა-წვერთ მყოლო ანგელოზებო, მამიმართეთ ხელი. კაი გზაზე მავლიეთ. ნადირ-მენადირეთ გამჩენო, ნადირთ ბატონ-პატრონო! მამაკვლევინე ნადირი, ერთი ან ბრმა, ან კოჭლი მამეციო“ (ს. სიონი, მთხრ. ლ. ბობღიაშვილი, 1976 წ.). მთიულეთში, როგორც ელ. ვირსალაძეს აქვს დამოწმებული, მონადირეებს თან მიჰქონდათ პაწაწინა ქალამნები და მას კლდეზე სტოვებდნენ

---

[48] Гаджиева С. Ш., Очерки истории семьи и брака у ногайцев. XIX — начало XX в. М., 1979, с. 109, 110.

Сводку материалов по другим периодам см. также: Фрэзер Дж., Золотая ветвь. Вып. II. Табу-запреты, М., 1928, с. 50—53.

[49] Бесаева Т. З., Цит. раб., с. 10.

[50] Магометов А. Х., Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.). Орджоникидзе, 1974, с. 121.

[51] Муратхан В. П., Цит. раб., с. 70.

[25] Потапов Л. П., Цит. раб., с. 243.

тивность бесчисленных вредоносных духов[53]. Борьба с вредными духами и дальше занимала родителей. У эвеков нельзя было выносить из чума ребенка поздним вечером — злой дух может его «съесть»; не следовало мыть даже очень грязное лицо на ночь — иначе дух его узнает и повредит ему[54]. Согласно традиционным представлениям маронитов, только что рожденный и еще некрещеный младенец мог стать жертвой нечистой силы и даже принести несчастье дому, поэтому родители и родственники стремились совершить обряд ребенка как можно скорее после его рождения[55].

Роженице во время родов всегда оказывают помощь старые, опытные женщины, часто это делает ее мать, лучше всех знающая свою дочь, но ей при случае может оказать помощь и муж, если рядом нет бабки-повитухи[56]. Здесь идея женской «нечистоты» отступает, главное — это сохранить жизнь матери и ребенка.

Привилегии и уважение, которыми всегда пользовались беременные женщины, узаконивались религиозными запретами и установлениями обычного права, освящались традициями и обычаями.

Говоря об отношении к женщине в период менструации, в до- и послеродовой период у разных народов, нельзя не обратить внимания, что в основе его лежит отношение к женской крови именно этого периода. И это отношение является универсальным. У хантов выделения во время менструации и родов назвали «не вар — кровь, а — плохая вещь».

Выше уже приводились многочисленные примеры отношения к женщине в период менструации и родов. Женщина в свою очередь стремилась изолироваться, имея в виду, что на нее именно в это время распространялись многочисленные, порой очень строгие запреты и табу.

Эвенские женщины в период менструации прежде подвязывали специальный поясок с повязкой, на которую накладывали тальниковые стружки, которые затем сжигали вне стойбища (считалось, что кровь не должна попасть на землю и на растительность) или позднее — закапывали в землю, чтобы никто не мог увидеть или собаки не раскопали[57]. Никто не должен видеть следов крови. Поэтому, например, у хантов женщины особенно тщательно следили за тем, чтобы не была видна повязка—пояс, их стирали и сушили отдельно, в местах, куда не мог проникнуть посторонний взгляд[58]. Башкирка на период менструации надевала специально сохраняемый комплект одежды, который она держала в чистоте, и никому не позволялось видеть его грязным[59].

Выше уже отмечалось, что менструирующая женщина не должна была мыться в проточной воде — это считалось предосудительным и даже опасным. Показательно, что менструирующей женщине запрет входить в холодную воду распространены исключительно широко у самых различных народов, что говорит прежде всего о его рациональной основе.

Особенно тщательно укрывался послед. У сельских турок послед зарывали в хлеве[60], у узбеков — в углу или у порога той же комна-

---

53 Подробнее см. Серебрякова М. Н. Семья и семейная обрядность в турецкой деревне (новейшее время). М., 1979, с. 129, 133.

54 Василевич Г. М., Цит. раб., с. 168.

55 Благодарю М. А. Родионова за предоставленную справку по этому вопросу.

56 Кулемзин В. М., Лукина Н. В., Цит. раб., с. 209.

57 Василевич Г. М., Цит. раб., с. 167.

58 Кулемзин В. М., Лукина Н. В., Цит. раб., с. 208.

59 Руденко С. И., Цит. раб., с. 270.

60 Серебрякова М. Н., Цит. раб., с. 131.

ты, где родился ребенок[61], у хантов — в землю, прежде завернув в белую тряпицу или подвешивали в берестяной набирке в лесу на дереве с восточной стороны так, чтобы не доставали собаки[62]. У амхара, тиграев и галла послед мальчика закапывали внутри дома, направо от двери — он продолжатель дома и должен остаться дома, а послед девочки — слева от дома, т. к. она должна будет все равно покинуть родительский дом[63]. У башкиров «послед уносился бабкой куда-нибудь на задворки и закапывался, непременно пуповиной вверх, поглубже в землю, чтобы собаки не отыскали его и не тронули»[64].

В основе отношения к женщине в период менструации и родов лежало негативное отношение к женской крови, выделявшейся именно в эти периоды. Многочисленные запреты и табу, как верили люди, могут предостеречь от того, чтобы слабость женщины не перешла на «всякое существо или всякий предмет, к которому они прикоснулись бы»[65]. В этом можно видеть проявление анимистических представлений.

Многие вещи, к которым прикасалась женщина в период «нечистоты», уничтожались. Так, нарты, на которых рожала ненецкая женщина, сжигали, а их оленью упряжку закалывали, мясо отдавали собакам[66]. В Уганде же горшки, к которым прикасалась женщина в период «нечистоты», разбивают, а оружие — проходит очищение[67]. Рациональное торжествует даже среди многочисленных запретов и табу, которые регламентировали до мельчайших деталей жизнь общества.

В рассматриваемой проблеме есть и биолого-медицинские аспекты[68]. Современная наука выделяет определенные тенденции происхождения рассматриваемых явлений. В одной из новейших антропологических работ нарисована следующая возможная гипотеза эволюции. «Редкие периоды эструса у самок ранних гоминид, во время которых они вступали в половые отношения с разными самцами, не вызывая конфликтов между ними, сменялись длительными периодами, когда сексуальные связи отсутствовали в связи с беременностью и лактацией. Именно такая естественная форма отношения между полами, определявшаяся физиологическим назначением — осуществить зачатие и не вызывавшая конфликта в стадах, была наиболее адекватной и должна была сохраняться в стадах формирующихся людей до тех пор, пока не создались какие-то особые условия для перехода к «человеческим» сексуальным отношениям с возможностью постоянных половых сношений безотносительно к физиологическому состоянию женщин. Возможно, в начале стремление мужских особей с их постоянной потенцией к половым сношениям вне периода овуляции и эструса было нежелательным и трудновыполнимым для женщин... Вне период эструса самки древнейших гоминид также ни психически, ни физически не были способны к половым актам. Понадобилось длительное время, пока совершилось соответст-

---

61 Троицкая А. Л., Цит. раб., с. 352.

62 Кулемзин В. М., Лукина Н. В., Цит. раб., с. 210, 211.

63 Райт М. В., Цит. раб., с. 184, 185.

64 Руденко С. И., Цит. раб., с. 270.

65 Фрэзер Дж., Цит. раб., с. 51.

66 Хомич Л. В., Цит. раб., с. 177.

67 Фрэзер Дж., Цит. раб., с. 51.

68 Подробнее см.: Немилов А. В., Биологическая традиция женщины. М., 1929, Фиялковский В., Биологический ритм плодовитости и регуляции рождаемости, Варшава. 1973; Алексеева Л. М., Полицикличность размножения у приматов и антропогенез, М., 1977.

вующая перестройка полового аппарата и психики женщин... Сначала возникали временные половые запреты, затем они принимали форму табу, и наконец, половые отношения были вынесены вообще за пределы стадных коллективов. Возник экзогамный род, а с ним и первое человеческое общество»[69].

В свое время К. Маркс и Ф. Энгельс напоминали о важности отношений людей не только в процессе производства, но и в процессе воспроизводства самих производителей. «Согласно материалистическому пониманию, определяющим моментом в истории является в конечном счете производство и воспроизводство непосредственной жизни. Но само оно, опять-таки, бывает двоякого рода. С одной стороны — производство средств к жизни: предметов питания, одежды, жилища и необходимых для этого орудий; с другой — производство самого человека, продолжение рода»[70].

Это положение только еще раз подчеркивает научную значимость поднятой проблемы.

---

69 Алексеева Л. В., Цит. раб., с. 175, 176.

70 Ф. Энгельс., Происхождение семьи, частной собственности и государства. В кн.: К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. второе, т. 21, М., 1961, с. 25, 26.

ჯულიეტა რუხაძე

მიწათმოქმედების სისტემის ერთი მოდელი

ახოს აღების, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო სისტემის, მნიშვნელოვანი მოდელის შესწავლას პროფესორი გ. ჩიტაიას შრომებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია[1]. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში მკვლევარმა გამოავლინა ყველა ის მოვლენა, რომელიც ახოს აღებასთან ერთად ისახებოდა. გ. ჩიტაიამ კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით აჩვენა, რომ ახოს აღების თანდათანობითი განვითარება მოხდა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთების, სათიბების, საძოვრების, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობისა და მელითონეობის საწარმოების დამუშავებისათვის[2]. ახოს, ამ მნიშვნელოვანი სამეურნეო მოდელის, შესწავლა ახლაც გრძელდება. ჩემი მოკრძალებული ამოცანაა მისი ახალი მასალით შევსება.

ახოს აღებაში მნიშვნელოვანია ტყის საკაფავების (ახო) საყანედ და სათიბად დამუშავება, რომლის ხალხური კულტურა დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად მაღალ დონეზე დგას.

ახოს აღება სახნავი მიწების განვითარების პირველი საფეხურია და უშუალოდაა დაკავშირებული მემინდვრეობის განვითარებასთან.

ცნობილია, რომ ახოს აღებას როგორც ბარის, ასევე მთის პირობებში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი, მაგრამ გვიან იგი უფრო მეტად მთაში იყო გამოყენებული, სადაც სახნავ-სათესი და სათიბი მიწები ტყის გაკაფვის გზით იზრდებოდა.

ახოს აღების, ანუ ნაკვეთების ათვისების სხვადასხვა წესი არსებობდა, რომელიც ხანგრძლივი წარმოებრივი გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ტყის სამეურნეო გამოყენების საქმისათვის საჭირო იყო ნიადაგის, ნიადაგის დაცვის ხერხების და საშუალებების, ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების (კლიმატი, ჰიდროგრაფიული რეჟიმი და სხვ.), ტყის შედგენილობის (ჯიშების) და მცენარეული საფარის თავისებურებათა პრაქტიკული ცოდნა და მათი გათვალისწინება. მაგალითად, ახოსათვის მეურნე არჩევდა სწორ და მზიან ადგილს, ზოგჯერ ტყეს ნაკლებად მზიან ადგილზეც კაფავდა, რადგან ყანის გამოღლის — „მოცვეთის“ შემდეგ ასეთი მიწა საუკეთესო სათიბი იყო[3]. იგი ყურადღებას აქცევდა ტყის მდებარეობას ტრანსპორტის მიდგომის თვალსაზრისით. თუმცა მასზე მდებარე სა-

---

[1] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (ცოლხეთში), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 2, თბ., 1959.

[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 150; ნ. რეხვიაშვილი, მშვილობა რაჭაში, თბ., 1959, გვ. 34—35.

[3] ოქტომბრის საველე დღიური, რაჭა, 1979, რვ. 3, 4.

კაფავი ყოველთვის სრულყოფილი როდი იყო. ზოგიერთი ადგილი ფერდობზე მდებარეობდა, სადაც ხის მოჭრის დროს ბანდულებს იცვამდნენ, რომ ფეხი არ დასცურებოდათ; ასეთ ადგილზე ხე-ტყის გამოსატანად ხარი ვერ ადიოდა, ამიტომ უვარგის ხეებს დაჭრიდნენ და დასაწვავად ერთიმეორეზე დააწყობდნენ — „დახორგავდნენ". კარგ ხეებს კი დააცურებდნენ.

ფერდობი ადგილის გასაკაფავად იგრძნობა ზედმიწევნით ფრთხილი და დაკვირვებული მოქმედება. ახო ფერდობზე გვიან იკაფებოდა, იმ დროს, როდესაც წვიმები ნაკლებად იყო მოსალოდნელი[4]. მეურნეთა აზრით, ფერდობის მსუბუქი — „მჩატე" ნიადაგი წყალს სწრაფად ატარებს, წვიმის დროს ადვილად ირეცხება, მიწა ნიაღვარს მიაქვს და ამისათვის ხშირად წყლის ასაქცევ თხრილებს აკეთებენ. ლეჩხუმსა და რაჭაში, განსაკუთრებით, იმ ფერდობზე მდებარე ახოს იცავდნენ, რომელიც ვენახისათვის უნდოდათ. ამის გამო მიწას „დალატნავდნენ", ტყე-ბუჩქნარისაგან „საბელავებს" გააკეთებდნენ, „შეყორავდნენ", სავენახე ადგილს ნიაღვრისა და ქარისაგან დასაცავად თავში ტყეს (ის იცავს ჩამონაყონ წყალს) დაუტოვებდნენ, რომ მიწა ადვილად არ გამოფიტულიყო[5]. ზოგჯერ ასეთ ახოზე საქონელი „ბინადრობდა" და მას დიდხანს ხმარობდნენ[6].

ახოს ასაღებად საუკეთესოდ იყო მიჩნეული მდინარის ახლოს მდებარე ჭალის ტყე, რომელსაც, გარდა სახნავ-სათესისა და საძოვრებისა, ბოსტნებისათვის, ხოლო ზოგჯერ ხის მასალის დასამუშავებლად იყენებდნენ[7]. ჭალის მიწაზე ბუჩქ-ჯაგნარის გატეხვა გაზაფხულზე იცოდნენ, ვიდრე ის შეიფოთლებოდა, რადგან ბუჩქს ბარში არ დაწვავდნენ.

მეურნე ცდილობდა, აგრეთვე, საკაფავი ადგილი მეჩხერი ყოფილიყო, რომ ძირების ამოძირკვა და ადგილის გასუფთავება გაადვილებოდა.

ყურადღება ექცეოდა ასევე ხის ჯიშებს: მურყნის—თხმელა—Alnus—barbata, მუხის—Quercus, იფნის—Fraxinus, წყავის—Laurocerasus officinalis Roem., არყის—Betula, ვერხვის—Populus tremula L., წაბლის—Castena, წიფლის—Fagus, რცხილის—Carpinus ნადგომი ადგილები მეტ-ნაკლებად საუკეთესოდ ითვლებოდა[8].

როგორც ქვეით დავინახავთ, ხალხურ საწარმოო პრაქტიკაში ტყის მოჭრა-გაკაფვა ისევე, როგორც მისი ზეზეურად გახმობა, სხვადასხვა წესით სრულდებოდა, იგი შეხამებული იყო სამეურნეო გარემოს კლიმატურ-რელიეფურ და ნიადაგების შედგენილობის თავისებურებასთან, ხის ჯიშებთან, ეს თავისებურება და ჯიშები განაპირობებდა აგრეთვე ხის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს ის ცოდნა, რომელიც მეურნეს ხის ჯიშებთან დაკავშირებით აქვს.

დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის ჭალა ადგილები, რომელიც „თხმელის" ხის კოროზებით იყო დაფარული, ცოტა ხანს „უანობდა", კარგ

---

[4] ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 1.

[5] მეურნეთა დაკვირვებით, რაჭაში მეწყერი და ზვავი ტყის გაკაფვას შედეგია. ამის შესახებ რადეც აღნიშნავს: იხ. Радде Г., Пугешествие в мингрельских аль пах и в трех их верх. продольных долинах. Записки Кавказского отделения Имп. русского Геогр. общества, кн. VII, V, с. 185.

[6] ავტორის საველე დღიური, რაჭა, 1979, გვ. 1, 2. ჭ-ში, 1961, გვ. 15.

[7] ვ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში.

[8] შდრ. ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში, თბ., 1969.

მოსავალს მხოლოდ ორი-სამი წლის მანძილზე იძლეოდა, რადგან თხმელის ხის ზედაპირულად განლაგებული ფესვები თუ ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მიწის გაფხვიერებას, მეორე მხრივ, ასეთი ადგილი წვიმის დროს ადვილად ირეცხებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა მიწის ნაყოფიერებაზე.

მიწისათვის კარგია თხმელის ფოთოლიც, მაგრამ იგი თუ არ დალპა ისე წყალს არ ატარებს და მოსავალს არ უხდება. საერთოდ გადამპალი ტყის ფოთლის მიწაში ჩათხნას, ან ჩახვნას და მასზე დათესვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეურნეთა მონათხრობით მუხის ტყის ნამყოფი მიწა კარგი სახნავ-სათესია და დიდხანს, დაახლოებით შვიდი-რვა წელი, იხმარება. ცნობილია, რომ მუხას დიდი და ღრმად გადგმული ფესვები აქვს, რომელიც მიწას „დარეცხვის“ საშუალებას არ აძლევს, წყალს იკრებს და ზომიერ სინოტივეს უნარჩუნებს, მას სველი მიწის გაშრობაც შეუძლია. მაგრამ მუხის ნადგომი მიწა ძნელი დასამუშავებელია. მიწას გამოფიტვისაგან იცავს აგრეთვე გარეული თხილისა და რცხილის მსხვილი და ერთმანეთზე „გადაბმული“ ფესვები.

ცალკე უნდა გამოვყოთ, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მომენტი, ნიადაგის შემადგენლობაზე მცენარეული საფარის თავისებური გავლენა, რომელიც ბუნებრივი სამეურნეო პირობების საგრძნობ სპეციფიკას უკავშირდება, მეურნეთა აზრით, სადაც მცენარე ასკილი—Rosa canina L., კოწახური—Berberis, მაყვალი—Rubus., იელი—Rhododendron flavum Don., მოცვი—Vaccinium myrtillus L., ბაძგი—Ilex colchica (ქვემო იმერეთი), ჯამფუზია—Phytolacca americana L. (სამეგრ.), შკერი—Rhododendron ponticum, შარშვალ, ამრანოლ (სვან.)[1], პირპილ—Trifolium (სვან.), წვი, წვალკაი, ფოშდელ (სვან.)[9]. ჭაფხვირ—Tragopogon reticulatus (სვან.), მაკნა, ლიხორნა (რაჭა), ძურწა—Setaria (ლეჩხ.), ინჭირი (სამეგრ.) || ანწლი—Sambucus ebulus L., დირჩე—Colchicum speciosum (სამეგრ.) იზრდება, კარგი მოსავალი მოდის და საუკეთესო სათიბ-საძოვარია. სახნავ-სათესისა და სათიბისათვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე წყალს, მიწის სისქეს და სიღრმეს, რადგან ასეთი მიწა დიდხანს იხმარებოდა. კარგი მოსავლიანობით გამოირჩეოდა ის ადგილი, რომელზეც „მძლავრი ხეები ხარობდა“[10].

როგორც აღნიშნული გვქონდა, ახოს აღება რთული მეურნეობაა, იგი მოიცავს სხვადასხვა შრომის პროცესებს, როგორიცაა: ტყის მოჭრა, „დაკოდვა“ — „გაქერქვა“ ბუჩქებისა და ჯირკვების ამოღება, ტყის გასუფთავება, დაწვა, მიწის „მოქვავება“, ნიადაგის დამუშავება: ფარცხვა, თოხნა, თესვა, სათიბისათვის წყლის გაყვანა და სხვა, რომლებისთვისაც ნიადაგის დასამუშავებელი უმარტივესი იარაღებია გამოყენებული.

ტყის გაკაფვისათვის გათვალისწინებული პირველი სამუშაო ხის დანიშვნა-დასაკუთრება იყო. ტყის დაკავების და ამ მიზნით „დათარჯვა-დანიშვნის“ წესს ყოფაში ბოლო დრომდე იყენებდნენ. მეურნე ტყეს სხვადასხვაგვარად დანიშნავდა, ტყეს ერთ მხარეს თხრილს ან სამანს გაუკეთებდა, ან ხეებს სავარეულო კუთვნილების ნიშანს დანით დაუჭდევდა[11]. ნიშანი „დალ“ (სვან.) იყო ჯვარი და წერტილი[12], ერთი ან ორი ჯვარი, რკალი, ნახევარი წრე, კბილები და კვადრატი[13]. ზოგი მეურნე ხეს ერთ მხარეს მცირე ზომით ამოჭრიდა, რაც იმას ნიშნავდა რომ იმ მხრიდან ტყე დაკავებული იყო. „დალ“-ი ყველაზე

---

[9] ზოგი მცენარის ბოტანიკური რაობა უცნობია, საჭიროებს გამოკვლევას. ამის გამო მათი შესატყვისი ლათინური სახელი არ არის აღნიშნული.

[10] ავტორის საველე დღიური, ქვემო იმერეთი, 1972, რვ. 2, გვ. 64.

[11] გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, გვ. 151.

[12] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი, თბ., 1964, გვ. 57.

[13] ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 1.

მეტად მაშინ სჭირდებოდათ, როდესაც ხე წყლის გზით უნდა დაეცურებინათ. ასე დანიშნულ ხეს პატრონი ადვილად პოულობდა. ადგილის შერჩევისა და დასაკუთრების შემდეგ ტყეს ხელს ვერავინ ახლებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახოს აღების ყველა სამუშაო „ნადის“||„მეშველის“ (რაჭა) დახმარებით სრულდებოდა. მეშველის რაოდენობა ახოს სიდიდის მიხედვით იყო განსაზღვრული. ზოგჯერ მრავალრიცხოვანი ოჯახი ახოში თვითონ მუშაობდა. ნადში, ახლო მეზობლები და ნათესავები იღებდნენ მონაწილეობას. მთაში დადასტურებულია თემის წევრების მიერ ახოს აღებისა და შიწის ერთად დამუშავების წესი. სათემო მფლობელობაში შედიოდა ტყის ნაწილი, საძოვარი და ურწყავი სათიბი[14]. იცოდნენ ახოს საზიარო დამუშავება (რაც საიჯარო ურთიერთობის კაპიტალისტური წესის მაჩვენებლად არის მიჩნეული)[15].

ახოს აღება უაღრესად რთული, შრომატევადი და თითქმის არსებითი მნიშვნელობის საქმე იყო. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მისი გატეხვა საიჯაროდ ხდებოდა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, გლეხებს ახოები, რომლებიც სხვადასხვა შედგენილობისა იყო, ხშირად „სანაშენოდ“ ეძლეოდათ. ე. ი. გლეხი მიწის პატრონისაგან იღებდა გასაკაფავ ადგილს და ვალდებულებას, რომ თაეის ინვენტარით ტყე გაეკრა, ადგილი გაეწმინდა, სახნავად გაეკეთებინა და შიგ ვაზი და ბაღი გაეშენებინა. მეურნე უვლიდა ნაკვეთს და ყურძნის პირველი მოსავლის აღების შემდეგ (როდესაც სხვა მოსავალი თითქმის აღარ ითესებოდა) მიწის პატრონს, დადებული პირობის თანახმად, შემოსავლის ნახევარს აძლევდა. ასეთ მიწას მოიჯარადრის გარდა ხიზანი უვადოდ ამუშავებდა, ანაზღაურება აქაც ნატურით იყოფოდა. ვინ იყო ასეთი მიწის ამღები, რა საშუალება ჰქონდა მას ამ დიდი სამუშაოს შესასრულებლად? დასმულ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა აქ ძნელია.

ზოგიერთ მიწაზე ახოს გატეხვის შემდეგ გადასახადი შემოსავლის მესამედს უდრიდა[16]. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონის მსხვილ მესაქონლეებს თითქმის სამჯერ იმაზე მეტი მიწა ჰქონდათ, ვიდრე ესაჭიროებოდათ. გლეხები მათ მიწებს იჯარით იღებდნენ, წმენდდნენ და სახნავ-სათესად იყენებდნენ. მსუბუქ, შედარებით ნაკლებ ნაყოფიერ მიწებში მის მფლობელს $^1/_3$-ს აძლევდნენ, ხოლო მიუდგომელ ადგილზე მდებარე მიწას და ნაკლებ ნაყოფიერს სამეათედოდ ამუშავებდნენ[17]. გადასახადის რაოდენობა მიწისმფლობელსა და იჯარადარს შორის წინასწარ იყო დადგენილი. ზოგჯერ ასეთი მიწისათვის გლეხი ტყის მფლობელს აძლევდა საფასურს შეშის გამოსატანად. ტყეს და სათიბს გლეხი იჯარით იღებდა ან ყიდულობდა. დღიური მიწის ფასი XIX ს-ის მეორე ნახევარში 30—40 თუმანს აღწევდა[18].

ზოგი მეურნე აღებულ ახოზე მხოლოდ ერთ ნაკვეთს დათესავდა, მეორეს საძოვრად გამოიყენებდა. გამოღილ ადგილს ხუთი წლის შემდეგ დაასვენებდა და მერე „საქონლის ნადგომს“ დაამუშავებდა. ცნობილია, ისიც, რომ მეურნე დიდ ტყეს ნელ-ნელა „დატეხავდა“ და ხმარობდა.

---

14 რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

15 ი. თურაშვილი, მიწის რენტის ფორმები საქართველოს სოფელში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, 4.

16 ავტორის საველე დღიური, რაჭა, 1979, რვ. 2.

17 ავტორის საველე დღიური, წალენჯიხა, 1955, რვ. 1.

18 ლ. წინამძღვრიშვილი, საქართველოს დემოკრატიული პრესა XIX საუკუნის 80—90-იან წლებში, თბ., 1970, გვ. 93—107.

ახოს გაკაფვისათვის ორი მთავარი მომენტი შეინიშნება. ერთი, როდესაც ახოს გაკაფვა ტყის სიცოცხლისუნარიანობის დროებით შეწყვეტას გულისხმობს, ხოლო მეორე, როდესაც ახოს აღებით ტყე ისპობა.

ახოს აღება სხვადასხვაგვარად იცოდნენ. მსხვილ ხეებს „გაქერქავდნენ", „შემოკოდავდნენ" ან მოჭრიდნენ, ხოლო ბუჩქებს ოწინარით, ხარებგამობმული ჯაჭვით ან თოკით ამოიღებდნენ.

თუ ხის ფეხზე გახმობა უნდოდათ, მაშინ „ლოპრობაზე", როდესაც ხეს წყალი აქვს, მას მიწიდან დაახლოებით 30—40 სმ დაშორებით 6—8 სმ ან 10—12 სმ ფართობზე „გაქერქავდნენ" — ნაჯახით კანს შემოაცლიდნენ ან „დაკოდავდნენ" — ჩაჩეხავდნენ. ხის დასაკოდავად და კანის შემოსაცლელად იყენებდნენ: ნაჯახს, ცულს, წალდს და სპეციალურ იარაღს — „საკოდს", ანუ „საყვერს"[19]. კანშემოცლილი ხე „ფოთოლს არ ამოიღებდა", სიცოცხლეს კარგავდა, იფიტებოდა და ლპებოდა. მეურნეთა დაკვირვებით „ზეზეულათ გამხმარი ხე მასალათ არ ვარგა, მატლი ადვილად უჩნდება, უღონოა, მაგრამ ასეთ ხეს ნოყიერი მიწა აქვს, „მეტ ნეშოს ყრის" და მიწას ანოყიერებს. ხის ფეხზე გახმობა" არა მარტო კანის შემოცლით იცოდნენ, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, კანგაცლილი ხის მერქნის შეჩეხვა-ჩაჭრით.

ზოგიერთი მონათხრობით „შემოკოდვა ხის ჩაჩეხვაა"[20]. ტყავშემოცლილი ხე თუ ჩაიჭრა, უფრო მალე გახმება, ვიდრე მხოლოდ „გაქერქილი". სცოდნიათ ხის „გაუქერქავად" ჩაჭრა[21]. კანშემოცლილ ხეს ზოგჯერ მასზე შემთხვევით დარჩენილი პატარა მერქანი აცოცხლებდა. ასეთი ხე მალე ნაყარსაც იკეთებდა. ამ ხერხს მიმართავდნენ საამშენებლო საქმისათვის გათვალისწინებული ხის „შემოქერქვის" დროს. ხეს მასაზრდოებლად — „წვენის სამოძრაოდ" ჩრდილოეთით წვრილ ზოლად კანს დაუტოვებდნენ.

სვანეთში ხის კანის შემოცლას და მერქნის შეჩეხვა-ჩაჭრას ორი განსხვავებული ტერმინით აღნიშნავენ. შემოკოდვას ზემო სვანეთში „ქალიყვრევი" — „ლიყროვი" ჰქვია, კანის შემოცლას — „ქალიცილე". ამის შესატყვისი უნდა იყოს ლეჩხუმში დადასტურებული ტერმინი „გაკანვა" — „გაქერქვა" და „გვარა". პირველი მხოლოდ კანის შემოცლას ვარაუდობს, მეორე კი კანგაცლილი ხის ნაჯახით ან წალდით ჩაჭრას. როგორც ჩანს, „გვარა" ჩაჭრის შესატყვისი სამეურნეო ხერხის აღმნიშვნელი ტერმინია. ფეხზე გამხმარი ხე უამინდობის დროს თითონ წაიქცეოდა ან მას ნაჯახის მორტყმით წააქცევდნენ. ამ ხერხს ძირითადად მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ძნელი იყო დიდი ხის მოჭრა. ხშირი ტყის „გატეხვას" იარაღით მომარჯვებული ბევრი მუშახელი სჭირდებოდა. თუ „დაკოდილი" ტყეში ერთი წლის შემდეგ (ზოგიერთი ხე) არ გახმებოდა, რაც ხის ჯიშზე და მის ზომაზეც იყო დამოკიდებული, მას ხელმეორედ „დაკოდავდნენ".

ხეს ჭრიდნენ როგორც ძველ, ასევე ახალ მთვარეზე. როდესაც ხე საამშენებლო საქმისათვის სჭირდებოდათ, მას „ფოთლობის" დროს, 17 რიცხვის სავსე მთვარეზე, არა „კუმეტ" დღეს: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს მოჭრიდნენ. ამ წესს იცავდნენ იმიტომ, რომ ხეს ჰქია — „მღილი" არ გასჩენოდა. მეურნეთა დაკვირვებით — „ხე ფოთლობის დროს უნდა მოიჭრას, ნეშოიანი

---

19 ავტორის საველე დღიური, 1979 წ., ზემო რაჭა, რვ. 3.

20 იქვე.

21 ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980 წ., რვ. 1. მთხრობელი სოფელ ლარჩვალში მცხოვრები 95 წლის პროკოფი გიორგის ძე ლარცულიანი.

ზე კარგად იწვება და ნოყიერ ნაცარს ტოვებს". ფოთოლი თუ ჩაცვივდა კარგად დაიწვება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზაფხულში მოჭრილი ხის ძირი კარგავს განვითარების — ნაბარტყის აღმოცენების უნარს. ზოგიერთი მეურნე ხის მოსაჭრელად უპირატესობას აგვისტო-სექტემბრის თვეს აძლევს, რადგან მაშინ ხეს ზრდა დამთავრებული აქვს და მერქანი გამაგრებულია. ასეთი ხისაგან მათი აზრით ყველაზე საუკეთესო მასალა გამოდის.

შეშისათვის საჭირო ხეს გაზაფხულზე 4-ის, 5-ის, 6-ის ან 7-ის მთვარეზე მოჭრიდნენ, რადგან ამ დროს მას ჭია უჩნდება, ჭიანაჭამი ხე სწრაფად ხმება და ფესვები მიწიდან ადვილად ამოდის.

ხეს მოჭრის დროს ორ მხარეს ჩაჭრიან. საითაც მისი წაქცევა უნდათ, იქით უფრო „დიდ სანაფოტეს" ამოიღებენ, ღრმად ჩაჭრიან. ხეს დიდ „ზურგს" დაუტოვებენ, რომ წაქცევის დროს ხე მჭრელს არ მოხვდეს. ხის მოჭრას ერთი კუთხიდან დაიწყებენ და იმდენს მოჭრიან, რამდენიც ზამთარში ეყოფათ. წლების განმავლობაში, მას ნელ-ნელა გაკაფავენ, მოჭრილს შემოდგომაზე გასხეპავენ, შეაგროვებენ და რამდენიმე ადგილზე ერთი მარხილის ოდენა „ხორყვ"-ს (ზემო სვან.) გააკეთებენ, რომელსაც სამარხილე ადგილამდე თითონ ჩამოიტანენ. იქ მეურნე „ხორყვ"-ს მარხილზე დააწყობს და წამოიღებს. სამშენებლო საქმისათვის გათვალისწინებულ, გასხეპილ და „დამორილ", „გამოცხვირულ" ხეებს ან დააცურებენ, ან წნელით — „ღვლეჭით", რკინის ჯაჭვით ან თოკით ერთიმეორეზე მიამაგრებენ, ხარებს უღელზე მოუბამენ და წამოიღებენ. უგზოობის დროს წვრილ ტყეს და თივას საგორავზე ან „სათრიელზე" (დატოტვილი ხეა)[21] დააწყობენ და ხელით ჩამოაცურებენ, რომელსაც სწორ ადგილზე ხარი წამოიღებს.

იცოდნენ აგრეთვე წვრილი დაახლოებით ათი სმ სისქის ხისათვის წალკატით ძირის გამოთხრა და ლომით, წალდით ან ნაჯახით მისი ამოღება. ასეთ ხეებს და ბუჩქებს ფართობზე გაშლიდნენ. მოფანტული ტყე კარგად ხმებოდა, ამასთანავე მიწას სხვადასხვა ატმოსფერული გავლენისაგან იცავდა, რის გამოც იგი ადვილი დასამუშავებელი იყო. მოჭრილმა ტყემ იცოდა გახარება. ქვემო იმერეთში ახლად ამოყრილ თხმელას — „ნოღას" ეძახდნენ, ხოლო მის გაკაფვას — „ნოღის გაკაფვას"[22]. საერთოდ თუ ახოში კვლავ ტყე უნდა გაზრდილიყო, მას შემოდგომაზე გაკაფავდნენ.

მცენარეულის სწრაფი ზრდის გამო ზოგიერთი სახნავი ადგილი რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ თხელი ტყითა და ეკალ-ბარდით დაიფარებოდა. ამ ადგილს ისევ გაწმენდა უნდოდა, რის შემდეგაც მისი ყოველწლიური თესვა იყო შესაძლებელი. საუკეთესო ნაკვეთზე ორი მოსავლის აღებაც იცოდნენ.

მიწის გასუფთავება, ბუჩქისა და კუნძის ამოღება ორგვარი ხერხით ხდებოდა. ძნელად ამოსაღებ ბუჩქს „კირკით" ძირს გამოუთხრიდნენ და მერე თოკს ან ჯაჭვს შემოახვევდნენ. ჯაჭვს ერთ ბოლოში კავი ჰქონდა გაკეთებული, მარყუჟში კავს გაუყრიდნენ და უღელზე მიამაგრებდნენ. როდესაც ხარი თოკს გასწევდა, თოკი ჩემოეჭირებოდა ბუჩქს და ამოწევდა, მეურნე კი ბლაგვი ნაჯახით ამოწეულ ფესვებს ჩაჭრიდა, ხარს ბუჩქის ამოღებაში დაეხმარებოდა.

---

21 ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ.1.

22 ავტორის საველე დღიური, ქვ. იმერეთი, 1972, რვ. 2, გვ. 63.

ზოგი ბუჩქს გაზაფხულზე ერთ ადგილზე ძირს გამოუთხრიდა და 5—6 სმ სიგრძისა და 10 სმ დიამეტრის მქონე ხის ოწინარის||ოწინწყალის (რაჭა-ლეჩხუმი)||საკარის (ზემო სვან.) საგანგებოდ გათლილ ბრტყელ ცხვირს ბუჩქის ძირთან მოათავსებდა. რაც უფრო ახლო იყო ოწინარი ძირთან, მით უფრო ადვილი იყო ბუჩქის ამოღება. მეურნე ოწინარს ქვემოთ — „წენთან“ ხეს „საუყელიო“-ს (ლეჩხუმი) ან ქვას დაუდებდა და მის მეორე ბოლოს, რომელიც მაღლა იყო აწეული, ქვემოთ დაწვდა. დაწოლის ძალით ოწინარი ბუჩქს ამოაგდებდა. მონათხრობით „ოწინარი გრძელი უნდა იყოს, ბოლოში — კუდში რომ სამი-ოთხი კაცი დააწვება, ბუჩქი ადვილად ამოდის“[23]. ოწინარი ძირითადად იხმარება გაზაფხულზე ნედლი ბუჩქის ამოსაღებად. როდესაც მიწას ჯირკვები მოშორდება, მას ნაპირზე გაიტანენ, ხოლო ორმოებს მიწით ამოავსებენ და თოხით გაასწორებენ. ამოგდებულ ბუჩქებს ხარებს მოუბამენ და თუ ხარი არ ჰყავთ, სათრევით იქ მიიტანენ, სადაც ღობე უნდა გააკეთონ.

ახოს აღების დროს დიდი ყურადღება ექცეოდა მიწის ქვებისაგან გაწმენდას. თუ მიწას ქვა ჰქონდა და ხელს უშლიდა ნიადაგის დამუშავებას[24], ის უნდა ამოეღოთ ან დაემტვრიათ, მიწის ქვა-ღორღისაგან გასუფთავებას „მოკარება“, „მოქვავება“ (ლეჩხუმი — რაჭა), „ლიკვცანარ“-(სვანეთი) ერქვა. ზოგი ქვა ლომით იმტვრეოდა, ზოგი ლაღუმით და რკინის უროთი. ქვას, რომელიც ფერდობზე იყო, რკინის კეტით ძირს გამოუთხრიდნენ, ამოაგდებდნენ და დააგორებდნენ. მეურნე ქვას ჯაჭვს მოაბამდა და „ხარით ამოიღებდა“. ლოდს ოწინარითაც იღებდნენ. იცოდნენ აგრეთვე ქვის ცეცხლით დახეთქვა. ქვაზე ცეცხლს დაანთებდნენ, გახურებული ქვა წყლის დასხმით გასკდებოდა, რომელსაც მერე კეტით ამოიღებდნენ[25]. თუ ქვა მიწიდან ადვილად არ ამოვიდოდა, მას მიწაში ჩასვამდნენ. ამოღებულ ქვა-ღორღს ერთ მხარეს დიდ გრძელ ხვავად შეაგროვებდნენ, სადაც გარკვეული დროის შემდეგ ბუჩქი წამოიზრდებოდა ხოლმე. ლეჩხუმში ასეთ ბუჩქს „აჭე“ ჰქვია. ორმოებს, რომლებიც ქვების ამოღების შემდეგ დარჩებოდა, მიწით და ფოთოლ-ფიჩხით ამოავსებდნენ. თუ ქვისაგან გაწმენდილი ადგილი ცუდმოსავლიანი იყო, მეურნე, ზამთარში, ნადის დახმარებით მიწას აიტანდა და გაზაფხულზე მოაყრიდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა (სვანეთი) სათიბად განკუთვნილი ადგილის გასუფთავებას. რადგან მოთიბვა ძირშია საჭირო და ადვილი შესაძლებელია ქვამ სამუშაო იარაღი დააზიანოს.

ტყის ნარჩენებისაგან მიწის გასუფთავება, ტოტების გადატანა-გადაწევა, მათი კუნძებზე და კუნძის ძირებთან დაწყობა და მიწაზე თანაბრად მოფენა ხის ორთითით ხდებოდა. შემოდგომით ან გაზაფხულზე, როდესაც ეს ნაგავი გახმებოდა, მას ცეცხლს მოუკიდებდნენ და „მორუჯულ“ მიწას ფოჩხით[26] და ფიწლით[27] გაწმენდდნენ. დარჩენილ ძირებს ნაპირზე გაიტანდნენ, დამწვარს მოფცხავდნენ და ნიადაგს თოხწერაქვით[28], თოხქარჩით, ბართოხათი, წერა-

23 ავტორის საველე ღღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 4.

24 შდრ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 141; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში, თბ., 105.

25 ავტორის საველე ღღიური, რაჭა, 1979, რვ. 3, 4.

26 კბილებიანი ხის იარაღი, რაჭა, 1979, რვ. 1, 2.

27 ორკაპა ჯოხი, რაჭა, 1979, რვ. 1, 2.

28 ცალპირი წალკატის მსგავსი, მასზე პირფართო იარაღი (ზოგჯერ მას ბართოხასაც უწოდებენ).

ქვით[29] ან წალკატით[30] დაამუშავებდნენ — „დააწერაქვებდნენ". ზოგი „ჩხუტებიანი" თოხით იმუშავებდა (ლეჩხუმი), ზოგი მიწას ჩენგით „მოჩორგნიდა" (სამეგრ.) დარჩენილ ბელტებს რაჭა-ლეჩხუმელი მეურნე „სარეკებით" — ორკაპიანი ჯოხებით დაშლიდა[31].

ახოზე პირველსა და მეორე წელს ოთხჯერ მეტი სამუშაო დრო იყო საჭირო, ვიდრე მომდევნო წლებში; შემდეგ წლებში მიწის დასამუშავებლად განიერპირიანი თოხი გამოიყენება. კომბინირებული თოხით იმ შემთხვევაში მუშაობენ, როცა მიწა სუფთა არაა და ნიადაგის აჩეჩვა თუ კუნჭებისა და ფესვების ამოძირკვა ხან თოხით და ხან წერაქვით უხდებათ. ახოს თოხები, როგორც ვხედავთ, საკმაო ნაირსახეობით არის წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ ახოს ასაღებად ტყეს ყიდულობდნენ, თუ ამ ტყეში ჯაგნარი და „თხელი", წვრილი ტყე იყო, მას მთლიანად გადაწვავდნენ. ცეცხლი მიწის გასათავისუფლებლად მძლავრი საშუალება იყო. ცეცხლის მოკიდება, ფერდობზე ქვემოდან იცოდნენ. როდესაც ტყე ხშირი იყო და ნაკაფი ჯგუფ-ჯგუფად ეყარა, მაშინ ცეცხლი თანაბრად ეკიდებოდა და მიწა კარგად დაიწვებოდა. ბარის ახოებში, ტყის ცეცხლისაგან დასაცავად, ცეცხლს შუაგულში — „ნამორში" აანთებდნენ. მეურნე ცეცხლს ორთითით უქცევდა, რომ ნაკაფში დატოვებულ ხეებს არ მოსდებოდა. ზოგი ხე მაღლარი ვახისათვის იყო გამოყენებული, ზოგი საზვინეს — „საგუე"-ს (ლეჩხუმი) და საჩრდილობელს წარმოადგენდა. ცეცხლით მიწა სუფთავდებოდა სხვადასხვა სარეველა მცენარეებისაგან და იგი ადვილი დასამუშავებელი იყო. ხანძრით გამოწვეული სიმხურვალით სკდებოდა მიწის ზედაპირი და შიშველდებოდა ხის ფესვები[32]. მათ ეკარგებოდათ აღმოცენების უნარი. მიწაზე დარჩენილი ფერფლი და ნაცარი მიწის გასანოყიერებლად იყო გამოყენებული. მეორე მხრივ ეს ხერხი ტყის ამოძირკვასაც ეხმარებოდა, რამდენადაც ფოთლოვან ხეთა ფესვები მიწაში ღრმადაა გადგმული და მათი ამოძირკვა ძნელია.

გადაწვისა და მიწის სხვადასხვა იარაღებით დამუშავების მიუხედავად, ეს ადგილები მაშინვე არ გაიწმინდებოდა. მის მთლიან გასუფთავებას ოთხიხუთი წელი სჭირდებოდა. მაგრამ როდესაც მიწა სავსებით გასუფთავდებოდა, „მეიქნებოდა", უყ მიწას დაბლობ ადგილებში კავით დახნავდნენ[33]. მთის ძირა და მთიანი ზოლის ახო მიწების დიდი ხნის გატეხილი ზოგიერთი ადგილი სახვნელი იარაღით იხვნებოდა. მიწას გაზაფხულზე ორჯერ მოხნავდნენ: ადრე გაზაფხულზე მხვნელს კვალდაკვალ მიყვებოდა მთოხნელი, რომელიც ბელტებს დაფშვნიდა და მიწას გააფხვიერებდა. მეორედ მიწა ფორჩხით გაიწმინდებოდა და „ფეხგასულზე" თესლთან ერთად გადაიხვნებოდა[34]. ხვნის დროს მიწის გასუფთავებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ახოს აღება სათიბ-საძოვრად, ძირითადად, მასზე განვითარებული სხვადასხვა სახის ბალახის მიხედვით ხდებოდა. იმ ადგილებს, სადაც ბალახი არ ამოდიოდა,

---

29 წერაქვის ერთი მხარე თოხისებურია, მეორე წვრილი, ქვისა და ფესვების ამოღება წვრილი პირით ხდება. ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 1, შდრ. გ. ჯაბაძე, მემინდვრეობა იმერეთში, იმერეთი, კრებული, თბ., 1978, გვ. 25.

30 წერაქვისებური იარაღი, გვხვდება ერთპირიანი და ორპირიანი. ერთპირიანი წალკატი წვეროვანია, ორპირიან წალკატს ერთი მხარე ცულივით აქვს.

31 ალ. რობაქიძე, რაჭის ეთნოგრაფიული მიკვლევების ანგარიში, ენიმკის მოამბე, IV, 3, გვ. 315.

32 გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, გვ. 150.

33 გ. ჩიტაია, ზემოთ დასახ. ნაშრ., გვ. 151; ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

34 ავტორის საველე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 2.

მეურნე გაზაფხულზე თესლს მოაყრიდა, დათესავდა. საყურადღებოა თესლის მოპოვების წესი. მონათხრობით, როდესაც საქონელი თივას ჭამს, ძირს რჩება თესლი, მეურნე ამ თესლს შეაგროვებს და გაზაფხულზე შიშველ ადგილებს დათესავს[35]. აჭარაში ყიშლების მოახოების შემდეგ გაზაფხულზე, თოვლის გაშრობასთან ერთად, სათიბ-საძოვრისათვის განკუთვნილ ნიადაგზე თესლნენ გარკვეული ჯიშის ბალახს, რომელთა თესლი ბარში ჰქონდათ მომარაგებული. თოვლისა და მიშვებული წყლით სველ ნიადაგზე რამდენიმე დღით საქონელს შერეკავდნენ, რომელიც მიწას ფეხით თხრიდა და ზელდა. აჭარაში ყიშლების სათიბ-საძოვრების ბალახეულის გაუმჯობესება კორდის მოფენის გზითაც ხდებოდა. სათიბისა და საძოვრის დაზიანებულ ნაწილს ცელიდნენ ყამირზე აჭრილი ბელტებით ან კორდით, რომელიც მთიდან ცხენებით მოჰქონდათ. სათიბ-საძოვრებზე ბალახის თესვის პრაქტიკა სამეურნეო ყოფის გარკვეულ დონეზე მიუთითებს. სამეურნეო თვალსაზრისით ბალახის თესვას ამიერკავკასიელ ტომებში ხანგრძლივი ისტორია აქვს[36].

ტყესთან დაკავშირებით მოკლედ შევეხებით რამდენიმე საკითხს. მასალიდან ირკვევა, რომ ტყე მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის არ იყო. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში, მიწის ნაკვეთებთან ერთად, მოხსენებული ყოფილა ხელოვნურად გაშენებული საკაფავი და სასარე ტყეები[37].

საყურადღებოა აგრეთვე ახოს აღების დროს ტყიდან გარეული ხეხილის კარმიდამოში გადმორგვის წესი[38], რომელიც ჩვენს საკვლევ რეგიონში ყველგან დასტურდება. პანტის, ბალის, შინდის, ზღმარტლის, ტყემლისა და სხვათა გადმოტანის და მათზე შინაური ხილის დამყნობა რაჭა-ლეჩხუმში ახლაც იციან.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ახოს აღების — მიწის ათვისების პროცესში სეზონური ხასიათის სამეურნეო ბაზის წარმოქმნა, რომელიც, პირველყოველისა, მიწათმოქმედების ინტერესებს ემსახურებოდა, ხოლო შემდეგ ფართო მასშტაბის მესაქონლეობის, ზამთრის საკვები მარაგის დიდი რაოდენობით მომზადების საჭიროებით იყო გამოწვეული. ასეთი მეურნეობა მიზნად ისახავდა მათ საზამთრო სადგომებში დაგროვილი საქონლის საკვებისა და პატივის ადგილზევე გამოყენებას, რაც მთური მეურნეობის პირობებში უგზოობისა და საქონლის საკვების თუ პატივის გადატანა-გადაზიდვის სიძნელეებთან დაკავშირებით გარდუვალი იყო[39]. გარკვეულია, რომ ასეთი დასახლების საფუძველზე იქმნებოდა ახალი ოჯახები და ახალი სოფლები[40].

სეზონური სამეურნეო დასახლება სხვადასხვა სახელწოდებით საქართვე-

---

35 ე. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 94; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 38.

37 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1934, გვ. 101; ნ. კეცხოველი, მცენარეთა საფარი და მისი როლი კულტურულ მცენარეთა დარაიონებისათვის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1942, გვ. 9; მ. გეგეშიძე, დას. ნაშრ., გვ. 151.

38 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., წიგნ. I, 1930; წიგნ. II, 1934; ნ. კეცხოველი, ველური ხილი, თბ., 1950, თბ., 5; მ. გეგეშიძე, დას. ნაშრ., გვ. 173—176.

39 გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 212.

40 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36—41, 58—59.

ლოს ყველა კუთხეში გვხვდება. იგი ცნობილია გურია-იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთსა და თუშეთში[41].

სეზონური ხასიათის დასახლება ივარაუდება ანაკლიის ნაგებობის კომპლექსში, რომელიც მეორე ათასწლეულის დასაწყისით, შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება (თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი). ჩვენი აზრით დასახლების მცხოვრებნი სიმბიოზურ მეურნეობას მისდევდნენ. მასალაში ჩანს ძლიერ განვითარებული მეცხვარეობის, მეთხეობის და მემინდვრეობის თანაარსებობა.

რა ითესებოდა და როგორი თესლბრუნვა იყო ყამირზე — ახოზე?

ახო ადგილისდა მიხედვით სხვადასხვა დროით იყო გამოყენებული და მასზე მარცვლეულის მრავალი სახეობა ითესებოდა. მაგ., თუ ბარში ახო დიდხანს იხვნებოდა, მთაში იგი რამდენიმე წლის (2—3 წ.) შემდეგ სათიბად უნდა დაეტოვებინათ. მორწყვისა და ბალახის წყალობით მიწა ისვენებდა და იგი ისევ დაითესებოდა. მეურნეთა აზრით „მთაში ახო სამ წელს არის კარგი, მერე ნაკლებია, სათიბად უნდა გაუშვა“. სვანეთში ახო სახნავიც იყო და სათიბიც. სვანეთში სათიბი ახო მესაქონლეობის განვითარების ძირითად ბაზას წარმოადგენდა. ხშირია სათიბების მემინდვრეობის სამუშაოებისათვის გამოყენების შემთხვევა.

რაჭის მასალის მიხედვით „ყანის შემდეგ სათიბი ახო პირველ წელს არ არის კარგი, მიწა მხოლოდ მეორე წელს გასწორდება და ბალახი კარგი მოდის[42]. აქ პირველ წელს ახოს სათიბად გამოყენება არ დასტურდება.

დასავლეთ საქართველოს ბარში, ნაწილობრივ რაჭაში, ლეჩხუმსა და ქვ. სვანეთში, ახოში პირველად, როგორც სათოხნი კულტურის, სიმინდის თესვაა დადასტურებული. ქვ. სვანეთის და ზემო რაჭის ზოგიერთ მიკრორეგიონში ახოში მიწის „მოსაქნელად“ „შავი ჭადი“ — „ქვრინოფა ჭადი“ — ფეტვი[43] ითესებოდა“. მეურნეთა განმარტებით, სიმინდის თესვა ყველა ახოზე არ შეიძლება, რადგან მიწა ყოველთვის „მთლად“ გახსნილი არ არის. „შავ ჭადს“ პატარა ფესო აქვს და ახოში კარგად ხარობს[44], ხოლო სიმინდი, რომელსაც სუფთა მიწა სჭირდება, ახალ ახოში კარგი არ იზრდება. შავი ჭადის შემდეგ ამ მიწაზე სამი წელი ზედიზედ სიმინდს დათესავდნენ და სათიბად დატოვებდნენ. სვანეთში პირველად ამგვარ ნაკვეთზე დათესავდნენ ფეტვს, შემდეგ ქერს, მას შემდეგ სიმინდს და მეორე წელს ხორბალს[45]. ნაყოფიერ მიწაზე სიმინდის შემდეგ ხორბალი უნდა დათესილიყო. სამეგრელოს ზოგიერთ რაიონსა და აჭარაში ახოში ღომის თესვა არის ცნობილი[46]. ღომი ძირითადად ნასიმინდარზე ითესებოდა, რადგან ხოხნის შემდეგ მიწა სარეველებისაგან სუფთა და ფხვიერი იყო. ნიადაგის გაფხვიერებაში სიმინდი თავის ფესვებით მო-

---

41 რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მსე, X, 1959, გვ. 201; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57—62; ნ. თოფურია, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XV; თ. ჩიქოვანი, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, — კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. I, გვ. 11, 16, 20; ვ. შამილაძე, დას.. ნაშრ., გვ. 92—93; მ. მაკალათია, მსხვილფეხა მესაქონლეობა თუშეთში, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 49—50.

42ავტორის საველე დღიური, ქვემო სვანეთი, 1980, რვ. 2.

43 ავტორის საველე დღიური, ზემო რაჭა, 1979, რვ. 3.

44 ავტორის საველე დღიური, ზემო რაჭა, 1979, რვ. 4.

45 ავტორის საველე დღიური, ქვ. სვანეთი, 1968, რვ. 1.

46 ნ. კახაძე, მაჭახლის ხეობა, 1974, ბათუმი, გვ. 36; თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 45.

ნაწილეობდა[47]. ახოში სიმინდის გაბუდმებული თესვის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ XIX ს-ის 80-იანი წლის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ამ რეგიონებში სხვა დასათესი კულტურა იშვიათია[48]. სწორედ ამ დროს გაიზარდა სიმინდის საბაზრო მნიშვნელობა, რასაც ხელს უწყობდა საერთაშორისო ბაზარზე მასზე გაზრდილი მოთხოვნილება.

დასავლეთ საქართველოში მთაში განსხვავებული თესლბრუნვაა შემჩნეული. მაგ., ქვემო სვანეთში ახოში ორი-სამი წლის მანძილზე შავი ჭადის — ფეტვის თესვაა დადასტურებული[49]. ლეჩხუმში სიმინდის შემდეგ ხულუგო, ჟაფლი, პოშოლა ითესებოდა. უფრო გამოღლილ მიწაზე კი ქერი, ქუბი და შავი ჭადი — ფეტვი. ლეჩხუმის დაბლობ ახოებში თესლმონაცვლეობის ასეთი თანმიმდევრობაა დადგენილი: სიმინდი, დოლი, მახა, ზანდური[50]. ლეჩხუმისათვის არის ცნობილი სიმინდის დატაროვების დროს, მის ნათესებში, ფხიანი პურის დიკას შეთესვა. მეურნეთა მონათხრობით „ამ დროს დათესილ დიკას სიმინდი ძალას აძლევს", სიმინდის მოტეხვის დროს დიკა აჯეჯილებულია. გადამწვარ ახოში სიმინდთან ერთად ითესებოდა და საუკეთესო მოსავალს იძლეოდა აგრეთვე პარკოსნები და ზოგიერთი ბაღჩეული — გოგრა და კიტრი. საყურადღებოა, რომ ლეჩხუმში კანაფის დათესვა იმ ახოებშიც დადასტურდა, სადაც საქონლმა „იბარგა" — საქონელი იდგა. ახოში ნაკელით განოყიერებულ მიწაზე კანაფის თესვა რაჭაშიც არის ცნობილი[51]. გამოღლილ ახოს, თუ კარგი მისადგომი იყო, ნაკელით გაანოყიერებდნენ, სათიბ ახოს არ დაასვენებდნენ.

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ახოს მოწყობა ძალზე შრომატევად საქმეს წარმოადგენდა და ტყის გახმობის, მოჭრის, დაწვა-მოახოების და მასზე თოხით თესვის გზით ხდებოდა. ახო მთაში ძირითადად 2—3 წელი იხმარებოდა, ბარში 4—5 წელი, რადგან გამოფიტვის შემთხვევაში მისი განოყიერება არ იცოდნენ. ახოს კაეით მოხვნის თუ განოყიერების ცალკეული შემთხვევები ახოს განვითარების შემდეგი საფეხური უნდა იყოს. ახოს აღების წესი დიდ გაერთიანებულ შრომას მოითხოვდა — საოჯახო, სათემო გაერთიანებას, მეზობლურ და ნათესაურ პრინციპზე დამყარებულ ურთიერთდახმარებას, ნადს; მთაში სათემო ტყეები თემის წევრებს უნდა გაეკაფათ, დაეთესათ ან სათიბ-საძოვრად ეცალათ, აღებული მოსავალი თანაბრად გაეყოთ. ზოგჯერ მოსავალი იმის მიხედვით იყოფოდა თუ ვინ რამდენს და როგორ შრომობდა. ოჯახი, რომელსაც შეეძლო მეტი მუშახელი გამოეყვანა, მეტ მოთიბულსაც მოიტანდა[52]. თემს ტყესთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობის აკრძალვისა და ნებართვის მიცემის უფლება ჰქონდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი[53], რომ ახოს ასაღებად, განვითარების ადრეულ საფეხურზე ურწყავი მიწათმოქმედების საწარმოებლად, არ იყო საჭირო მოზრდილი კოლექტივების შრომა და არც ამის პირობები ჰქონდათ, რადგან ნეოლით-ენეოლითის პერიოდში დიდი დასახლებანი არ დასტურდება. მთაში დიდი დასახლება არც ჩვენ შესასწავლ პერიოდში

---

47 ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 53.
48 ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., იქვე.
49 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.
50 ავტორის სავალე დღიური, ლეჩხუმი, 1980, რვ. 2.
51 ავტორის სავალე დღიური, რაჭა, 1979, გვ. 4.
52 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დას. ნაშრ., გვ. 79, 80.
53 ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 22.

ჩანს, მაგრამ ახოს აღება, ურწყაეი იყო ის თუ სარწყაეი, გაერთიანებულ შრომას ემყარება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახოს აღება შესაძლებელი იყო მხოლოდ დიდი ოჯახების არსებობის პირობებში[54]. ახოს აღებას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამიწათმოქმედო სისტემის მოდელებს შორის. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის მრავალსაუკუნოვან ეკონომიკურ განვითარებაში.

ახოს აღების აბსოლუტური ქრონოლოგიური საწყისების განსაზღვრა ძნელია. მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად ახოს აღება დასაველეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკავშირდება მიწათმოქმედების საწყისებს. აქვე აქვს მას განვლილი განვითარების გრძელი გზა. ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში ახოს აღება განვითარებული ყოფილა[55]. საკმაოდ ინტენსიური საახოვე მიწათმოქმედება ნეოლით-ენეოლითის ხანაში არსებობს[56]. მაგრამ არც მაშინ და არც შემდეგ, ადრებრინჯაოს ეპოქაში არ გვხვდება მესაქონლური მეურნეობა[57].

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ახოს აღება მისი ჩასახვის უმალ სამიწათმოქმედო ხასიათის იყო[58]. სათიბ-საძოვრად ახოს გამოყენება კი იმდროიდან არის სავარაუდებელი, როდესაც აღნიშნულმა მთის რეგიონებმა მესაქონლეობას მოკიდეს ხელი და სათიბების მორწყვა დაიწყო. სარწყავ მიწათმოქმედებას შუა ბრინჯაოს ხანაში სათიბების მორწყვით ჩაეყარა საფუძველი[59].

მაგრამ იყო თუ არა მთაში და მთისძირა ზოლში ყველგან ანალოგიური ვითარება? მართალია ხელოვნური მორწყვა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ადრინდელი საფეხურის მონაპოვრადაა მიჩნეული, მაგრამ მიწათმოქმედების, ისევე როგორც მესაქონლეობის განვითარება ყველგან და ყოველთვის არ ემყარებოდა ხელოვნურ მორწყვას, მაგ., რაჭა-ლეჩხუმში აღნიშნულ დარგების განვითარებას მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს.

ასეთი ვითარება საქართველოს სხვა რეგიონებშიც დასტურდება.

---

54 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დას. ნაშრ., გვ. 62.

55 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., გვ. 98, 103.

56 ნ. ბერძენიშვილი (კილაძე), ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. 29. თბ., 1951, გვ. 262; მისივე, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში.

57 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

58 ვ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 24—31.

59 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ივანე სურგულაძე

საქართველოს გაერთიანებული ხანის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მმართველობის ფორმების საკითხისათვის

სახელმწიფოს ტიპის ცნება უპასუხებს კითხვაზე თუ რომელი კლასის ხელშია სახელმწიფო ხელისუფლება, რომელ კლასს ემსახურება ეს სახელმწიფო.

კლასობრივი საზოგადოების თითოეულ ეკონომიკურ წყობას შეესაბამება გარკვეული ტიპის სახელმწიფო და სამართალი.

ექსპლოატატორული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური) და მათ საფუძველზე წარმოშობილი სახელმწიფოს ტიპები, ყველა იმ განსხვავების მიუხედავად, რაც მათ აქვთ, იცავს და ამტკიცებს იმ ეკონომიკურ მიმართებას, რომლის საფუძველია კერძო საკუთრების სხვადასხვა ფორმა.

სახელმწიფოს თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობის და წყობილების ფორმები.

სახელმწიფო მმართველობის ფორმაში იგულისხმება მმართველობის უმაღლესი ორგანოების შემადგენლობა და მათი შექმნის წესები, სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ურთიერთდამოკიდებულება. მმართველობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოები იყოფა მონარქიად და რესპუბლიკად.

სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია, ურთიერთობა, რომელიც არის სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. წყობილების ფორმის მიხედვით სახელმწიფო შეიძლება იყოს უნიტარული და ფედერაციული.

ფეოდალიზმის მიმართ უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ძირითადად შეესაბამება მონარქიული წყობილება. რესპუბლიკა ფეოდალიზმის დროს იშვიათი მოვლენაა. რაც შეეხება მონარქიას, იგი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი.

წყობილების მხრივაც სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალი თვისების მატარებელია.

ჩვენი კვლევის საგანია საქართველოს გაერთიანების ხანის სახელმწიფოს წყობილებისა და მმართველობის ფორმების საკითხები.

საქართველოს გაერთიანება X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იწყება. ამ პერიოდიდან მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა გაერთიანებული საქართველოს მეფეებსა და მსხვილ ფეოდალებს შორის.

ხელსაყრელი საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო დავით აღმაშენებელმა შესძლო მსხვილი ფეოდალების დაძლევა და ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა. ამის შედეგად მან დაამარცხა თურქ-სელჩუკები საქართველოში და მათ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადაიტანა. დავით აღმაშენებელმა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება

ჩაატარა მსხვილი ფეოდალების დასამორჩილებლად. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. დავითის შემდეგ მომდევნო მეფეების დროს ადგილი აქვს მსხვილი ფეოდალების გამოსვლებს (დემეტრე I, გიორგი III, თამარის დროს და შემდეგაც).

დავით აღმაშენებლის მეფობის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ისეთი გზით წავიდა, რომელიც უზრუნველყოფდა მსხვილი ფეოდალების კიდევ უფრო გაძლიერებას. მსხვილმა ფეოდალებმა თანდათანობით მოიკრიფეს ძალა და თამარის დროს მიაღწიეს იმას, რომ სამეფოს განაგებდნენ მეფესთან ერთად.

განვიხილოთ ის ძირითადი მიზეზები, რამაც, ჩვენი აზრით, გამოიწვია მსხვილი ფეოდალების გამარჯვება:

1. საქართველოს სხვადასხვა რეგიონი გაერთიანებაში შევიდა განვითარების სხვადასხვა დონით. ყველაზე დაწინაურებული ეკონომიკური და კულტურული განვითარებით იყო ქართლი ტაო-კლარჯეთით. ქართლს ტაო-კლარჯეთით განვითარების მხრივ ჩამორჩებოდა კახეთი, შემდეგ ეგრის-აფხაზეთი, ამ კუთხეებს ძლიერ ჩამორჩებოდა მთიანეთი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. დროთა განმავლობაში ამ სიჭრელის ნიველირება არ მოხერხდა.

საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებას წინ აქვს ცალკეული სამეფო-სამთავროების არსებობის დაახლოებით 1500 წლიანი ისტორია. ეს სამეფოები ერთდროულადაც არ წარმოშობილან.

XI საუკუნის ისტორიკოსების ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ფარნავაზს (III ს. ძვ. წ.), აგრეთვე ადრეფეოდალური აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს — ვახტანგს (V ს.) და არჩილს (VIII ს.) ხელი მიუწვდებოდათ დასავლეთ საქართველოზეც, თუ მის ნაწილზე, მაგრამ ამ ქვემდებარეობის ხარისხი არ უნდა ყოფილიყო ისეთი ხასიათის, რომელიც რეგიონების თავისებურებებს მოსპობდა. საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული არსებობის ვითარებაში საქართველოს ცალკეულ რეგიონებს ჰქონდათ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა, თავისი კულტურა, თავისი ენა, თავისი ტრადიციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ რეგიონებში არსებობდა ქართველური სამი ენა; ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური. საუბრის დროს ამ ენებით მოლაპარაკენი ერთმანეთს ვერც უგებდნენ. ენობრივ სხვაობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს კუთხურობის შენარჩუნების მიმართულებით. გაერთიანების შემდეგაც საქართველოს ცალკეული რეგიონები არ შეერწყა ერთმანეთს — ენით, კულტურით, წეს-ჩვეულებით და სხვ., ისე როგორც ეს მოხდა, მაგალითად, საფრანგეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. კუთხურობის ელემენტები საქართველოში დღემდისაც კი შემორჩა.

რეგიონების თავისებურებათა გამო, გაერთიანების შემდეგაც ქართველი მეფეები სახელმწიფოს განაგებდნენ ცალკე რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ბაგრატ III გადავიდა დასავლეთ საქართველოში და განაგო „ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი“[1].

ამგვარადვე, დავით აღმაშენებელი „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“[2], მეფე მოვიდა ქართლს და „განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა, ანისისა“[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I ს., ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, 1955, გვ. 278.
[2] იქვე, გვ. 339.
[3] იქვე, გვ. 345—396.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ჩამოთვლილია მეფის სტუმრები, რომლებიც ნაჭარმაგევში მეფის ტრაპეზს იზიარებდნენ: ოსეთის ორი მეფე, კახეთის მეფე, ალვანთა მეფე, წანართა მეფე, ტაოელთა სამი მეფე, სომეხთა მეფე, ტრაპიზონის მეფე, შირვან-შაჰი და შაჰინ-შაჰი[4]. როგორც ცნობილია, „ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია, რომელიც გაერთიანების პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს. მაშასადამე, გაერთიანების შემდეგაც საქართველოს რეგიონების მეფეები (ტაო, კახეთი) განაგრძობენ მეფის ტიტულის ტარებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებაში შემავალი საქართველოს ნაწილები დიდი ხნით ინარჩუნებენ თავისებურებებს.

2. ქალაქებმა საქართველოში ვერ შეასრულეს ის როლი, რაც ევროპის ქვეყნებში. სასანიდების ირანის, არაბების და თურქების დაპყრობებთან დაკავშირებით საქართველოს ქალაქებში — თბილისში, დმანისში და სხვა ქალაქებში ვაჭართა მაღალი ფენის უმრავლესობა არაქართველი აღმოჩნდა, რომელიც ნაცვლად ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისა დაინტერესებული იყო საქართველოს დამპყრობი დიდი სახელმწიფოს კიდევ უფრო გაფართოება-გაძლიერებით, რაც ხელს შეუწყობდა ფართო ტერიტორიალური მასშტაბით ვაჭრობის განვითარებას. ეთნიკურად და სარწმუნეობრივად ეს დიდი სახელმწიფოები (არაბეთი, თურქეთი) საქართველოს ქალაქების ამ ვაჭართა მაღალი ფენის შესატყვისი იყო. ამიტომაც შემთხვევით არ იყო ის გარემოება, რომ თბილისის, დმანისისა და განძის ვაჭრები ერთად გამოვიდნენ დავით აღმაშენებელის, ე. ი. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოუწოდეს თურქებს გაერთიანებულიყვნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად[5].

მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავენ, რომ ვაჭართა ეთნიკურ შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის: პოლონეთის ქალაქებში გერმანელების მოკალათების გამო, ხელი შეეშალა პოლონეთის სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმეს[6].

დავითის მიერ თბილისის აღებისა და თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ საქართველოს ქალაქები ებმებიან მეფის სამსახურში, მაგრამ მსხვილი ფეოდალების თანდათანობით გაძლიერებისას ქალაქების დიდი ნაწილი მათ ხელში აღმოჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა ივანე მხარგრძელის წერილი რომის პაპისადმი, რომ მისი ძმისშვილი მსხვილი ფეოდალი და დიდი მოხელე 15 ქალაქის მფლობელია[7].

მაგრამ იყვნენ ისეთი ქალაქები, რომლებიც მხოლოდ სამართლის საჯარო საწყისების მიხედვით განიგებოდნენ და სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ. ასეთი ქალაქების მსხვილი მოხელეები შეერწყნენ მსხვილ ფეოდალებს, როგორც მსხვილი მიწათმფლობელები და მათი ინტერესი აღარაფრით განსხვავდებოდა მსხვილ მემამულეთა ინტერესებისაგან.

3. მსხვილი ფეოდალები მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციას აწარმოებდნენ ძირითადად შრომა-მოგებითი წესით. მწარმოებელი კლასის დაყმევების პროცესი XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში უკვე დასრულებულია. ქალაქები, რამდენადაც ისინი მსხვილი ფეოდალების ხელში აღმოჩნდნენ, თავისუფლების მიმართებით ვერ იზიდავენ ყმებს. ყველაფერი ეს ხელს

[4] ჭართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედაქტორობით, 1970, გვ. 42—43, § 20.

[5] ქართლის ცხოვრება, I ს., ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, 1955, გვ. 340.

[6] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., т. V, 1956, с. 338.

[7] ვ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია საქართველოში, გვ. 9.

უშლის საქართველოში ბატონყმობის პროგრესიულ განვითარებას, აძლევს ამ ბატონყმობას ერთგვარად უძრავ ხასიათს, უახლოებს მას ე. წ. მეორე დაყმევებას.

Эти две легенды, зафикоированные в совершенно отдаленных друг от друга районах расселения осетин, неоспоримо свидетельствуют о том, что еще в недалеком прошлом подобные представления были характерны для религиозного мышления осетинского народа. Более того, мы получили прекрасную возможность для сопоставления и сравнений с аналогичным явлением в быту скифов, о генетическом родстве которых с осетинами свидетельствуют многочисленные параллели из области языка, фольклора, этнографии. Согласно известному мифу, на землю скифов упали золотые орудия — плуг с ярмом, секира и чаша, ставшие священными реликвиями скифов. В частности, плуг с ярмом миф связывает со знакомством и началом земледельческого труда у части скифов.

Как видим, несмотря на громадную разность во времени — две с половиной тысячи лет — скифский миф и осетинские легенды (особенно последняя) в деталях повторяют друг друга.

Из сказанного выше можно сделать следующие предварительные выводы:

1. Предки осетин относятся к числу тех народов, у которых еще в древнейшую эпоху сложилось представление, что земледелие и связанные с ним орудия являются божественного происхождения.

[1] В Триалети осетины пришли из Южной Осетии в 40—50 гг. XIX в. — Л. Ч.

2. Сравнение и близкое подобие осетинских легенд и скифского мифа является еще одной яркой иллюстрацией скифо-осетинских этнографических параллелей.

3. Один из главных персонажей в религии осетин — Уастырджи, помимо известных функций и полномочий (бог войны, покровитель путника, защитник обездоленных), был наделен и чертами земледельческого божества.

В пользу последнего предположения, т. е. связи Уастырджи с аграрным культом, свидетельствуют следующее. Во-первых, в ритуально-обрядовых действиях, а также и в песнях посвященных пахоте и севу, рядом с именем покровителя земледелия неизменно следует и имя Уастырджи. Во-вторых, термин «Уастырджи» производно от личного имени «Георгий», который в переводе с греческого означает «земледелец».

მიხეილ ჩიქოვანი

აკაკი და ფოლკლორი

აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება განუყრელი ცნებებია. ასეთი შეპირისპირება და კავშირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა, რასაც სულ მცირე 130 წლის ისტორია მაინც აქვს. ეს შეხამება მაშინ დაიწყო, როცა მგოსანმა პირველი საკუთარი მხატვრული სიტყვა წარმოთქვა და ხალხის დიდ შემოქმედებას ეზიარა. ახლა შეუძლებელია დასაწყისი თარიღის ზუსტი განსაზღვრა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იმ დროს მოხდა, როცა ქართველი ერის უკვდავი შვილი აღსაზრდელად სოფელ სავანეში იყო გაბარებული სადუნიშვილების ოჯახში და ისლით დახურულ უფანჯრო-უსარკმლო კათხასახლში ატარებდა ბავშვობის წლებს. უკვე მხცოვანი პოეტი გულწრფელად აღიარებდა: „თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი იმ დაუძლეველ სიყვარულსა და ესთეტიკურ განცდას, რომელსაც აკაკი წერეთელი მშობლიური სიტყვიერების მიმართ გრძნობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე აკაკი თედო ჟორდანიას ატყობინებდა, ეროვნული იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსეო. ქართულ ფოლკლორისტიკას იმის უდავო ცნობებიც მოეპოვება, თუ აღსრულების წინა დღეებში როგორ შეჰხაროდა აკაკი ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ახალ გამოცემას და ხალხური ლექსების წაკითხვას მოითხოვდა. 1915 წლის 7 მარტს ორმოცზე წარმოთქმულ სიტყვაში, ასევე ზეპირსიტყვიერებით თავდავიწყებამდე გატაცებული მეორე ქართველი მოღვაწე, ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა: „ძველ საქართველოს“ ტომებში დაბეჭდილი სახალხო ლექსებისა და ზღაპრების გამო აკაკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდაო. „ეხლაც, სიკვდილის წინა დღეებში, ჩვენ მივაწოდეთ ჯერ არ დამთავრებული მესამე ტომი „ძველი საქართველოსი“, რომელშიაც დიდძალი მასალაა სახალხო პოეზიისა და, როგორც მისმა მომვლელმა და ნების აღმსრულებელმა კონსტანტინე აბდუშელიშვილმა გადმოგვცა, მომაკვდავი მგოსანი აღტაცებაში მოსულა და მოუთხოვია წაკითხვა მისთვის ლექსებისა“ (ქართული ფოლკლორი, I, 377).

აკაკი წერეთელი მარტოოდენ პიროვნული ესთეტიკური სიამოვნებისა და შემოქმედებითი წყაროებისთვის როდი ზრუნავდა. პოეტს ღრმად სწამდა ფოლკლორის თავისთავადი მნიშვნელობა და ღირსება, იგი მას კულტურის განუყრელ ნაწილად მიიჩნევდა, ეროვნული მოღვაწეობის თვალსაჩინო ასპარეზად თვლიდა. ამიტომაც სიტყვითა და საქმით მუდამ იღწვოდა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებისა და გამოცემისთვის. თითოეულ ამ სფეროში მგოსნის დამსახურება და მაგალითი ფასდაუდებელია, მისი გადაჭარ-

ბებით შეფასება შეუძლებელი ჩანს. 1916 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ერის სახელით საყვარელ მგოსანს სამახსოვრო ნობათი გაუმზადა. ეს იყო „ხალხური სიტყვიერების“ ხუთასგვერდიანი პირველი ტომი, რომელსაც სურათთან ერთად გულწრფელი მიძღვნა ახლდა ზედწერილად: „ქართული ხალხური სიტყვიერების დიდი მოამაგის აკაკის ხსოვნას“. ამით ხაზგასმით აღინიშნა მისი ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი მოღვაწეობა ფოლკლორისტიკაში.

ჩვენი ვალია ვაჩვენოთ ის გვერდაუვლელი წვლილი, რაც აკაკის მიუძღვის ფოლკლორის წინაშე როგორც მისი ესთეტიკური როლის დამფასებელს, შემკრებს, მკვლევარს, გამომცემელსა და მხატვრულ გადამმუშავებელს. ძნელია მოინახოს მეორე ისეთი მწერალი, რომელიც ასე ახლოს იცნობდა საქართველოს ყველა კუთხის ყოფასა და ცხოვრებას, ისტორიასა და ფსიქოლოგიას. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე აკაკიმ მაშინდელი უგზოობის პირობებში მოახერხა მთელი საქართველო მოევლო, დაახლოვებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს და გაეგო მასების სულისკვეთება. ხალხთან მისვლასა და დაახლოებაში პოეტს ხელს უწყობდა ფოლკლორი.

ზეპირსიტყვიერება, ლექსი თუ პროზა პოეტს გზად და ხიდად ეფინებოდა მშობლიურ ერთან დაახლოვების საქმეში. ხალხსა და მგოსანს შორის სიყვარულის უხილავი ძაფების გასაბმელად ფოლკლორი კეთილი ელჩის როლს ასრულებდა. საკუთარი მომხიბლავი ლექსების წარმოთქმისას აკაკის ხალხური ანდაზები და იგავები, ზღაპრები და თქმულებები, გადმოცემები სანიმუშოდ მოჰყავდა. ნაცნობი სახეებისა და სიუჟეტების ახლებური ინტერპრეტაცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებთან მათი დაკავშირება აკაკის საჯარო გამოსვლებს სახალხო დღესასწაულებად აქცევდა. აკაკი ხალხის თვალში ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ გადაიქცა. მართალია მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვები: „აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი — ხალხში გამოსვლით. იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთ კუთხეს — საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირ-ვარამს უქარვებდა და სწმენდდა გულიდან“. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ რა ტრიუმფალური ხასიათი ჰქონდა მოხუცი ბრძენის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას! უშუალო კონტაქტი და ენის სიღრმისეული მოველენების შეუდარებელი ცოდნა აკაკის სრულ უფლებას აძლევდა საქვეყნოდ გაეცხადებინა: „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველი განათლებული ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებად“.

ამგვარი „უტყუარი სარკე“ და „ისტორიის მტკიცე საძირკველი“ დიდად საჭიროა დღესაც, მეოცე საუკუნის ბოლოს, ძვირფასი იქნება მომავალშიც, რადგან იგი, ვაჟა-ფშაველას აფორისტული გამოთქმის არ იყოს, ადამიანს აცნობს ხალხის სულისა და გულის მოძრაობას, ამდიდრებს სამეტყველო ენას და აზროვნებას ბუნებრივ ფორმას აძლევს.

ხალხთან სიახლოვემ და გენიალურმა პოეტურმა ნიჭმა აკაკი წერეთელს საშუალება მისცა სხვაზე უკეთ ამოეწსნა, რა ამოუწურავი სიმდიდრე იმალებოდა ზეპირსიტყვაობაში. „ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ მე თვითონ დავდიოდი სოფლით-სოფლით და იმდენი რამ სამნიშვილო და შესანიშნავი ვნახე და გავიგონე, რომ სწორედ გასაკვირველია... ესეები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ ფასსაც გავიცნობთო“, — ასკვნიდა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

ცხოვრების განვითარების სწრაფი ტემპი ჰშლის და სპობს ტრადიციულ სიტყვიერებას, ამავე დროს სახალხო შემსრულებელთა ძველი კადრები წყობიდან გამოდიან და სამარეში მიაქვთ დაუფიქსირებელი ფოლკლორული ცოდნის აურაცხელი მარაგი. საქმე მისწრებაზეა; მხატვრული სიტყვის ბევრი შედევრი შეიძლება თვალსა და ხელსშუა გაგვიქრეს, დავიწყების ბურუსში მოექცეს! ამის გამო აკაკი ყოველთვის და ყველგან გაიძახოდა: „ცოდვაა ამათი დაკარგვა, მიშველება უნდა და ჯერ კიდევ მოსახერხებელია მათი მოგროვება. იმათი დავიწყება წარსულზე ხელის აღებაა“. ეს გულში ჩამწვდომი მოწოდება არ რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. აკაკის ირგვლივ ირაზმებოდა პროგრესული ინტელიგენცია, სოფლისა და ქალაქის მოწინავე საზოგადოებრიობა. ასეულობით იკრიბებოდა საუკუნეებგამოვლილი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები; აქედან ზოგი იბეჭდებოდა, ზოგიც არქივებში ინახებოდა. მაგრამ აკაკი წერეთლის წუხილსა და საზრუნავს მაინც ბოლო არ უჩანდა. ბუნებრივია, ასეთი ბოლო არც შეიძლება არსებულიყო, რადგან ხალხური სიბრძნე უძირო ზღვას ჰგავს, რამდენსაც ამოხაპავ და წიგნებად აქცევ, იმდენი კვლავ ემატება და ზღვის დონე უცვლელი რჩება. შემკრებლობითი მოღვაწეობის ფართო გაშლას ნივთიერი საფუძველი სჭირდებოდა. აკაკი წერეთელი ამ აუცილებელი პირობის შექმნასაც ცდილობდა პიროვნული და საზოგადოებრივი სახსრების მობილიზებით. კერძო ინიციატივა არ ჩანდა საკმარისი. მთელ საქართველოში სპეციალური პირების გაგზავნა ხანგრძლივ დროსა და დიდძალ სახსრებს მოითხოვდა. აკაკის კადრების ნაკლებობისა არ ეშინოდა, მის დროს ბევრი ენთუზიასტი მოიპოვებოდა, მაგრამ მათი მოგზაურობის უზრუნველყოფა კი ძნელზე ძნელი იყო.

აქ აკაკი წერეთელმა ერთი უჩვეულო და გასაკვირი ნაბიჯი გადადგა — მარგანეცის წარმოების დაფუძნებას შეუდგა. არსებობს ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მოგონება, რომელიც ამ დიდი ეკონომიკური ღონისძიების ფოლკლორისტულ სარჩულს გვაცნობს. ეს ფაქტი შავიქვის წარმოების პირველ მოგებას შეეხება.

1893 წლის 26 მარტს მგოსანმა მცირე ბარათი მიიღო. მასში გულთამხილავად ეწერა: „უძვირფასესო აკაკი! გუშინ ჩამომივიდა მარგანეცში პირველად აღებული ორმოცდაათი მანეთი. რადგან მარგანეცის საქმე ჩვენში თავდაპირველად შენგან არის აძრული და დამთავრებული, ამიტომ დამიდეცს შენს საკურთხეველზედ ნათაური შემოსავლისა, როგორც ძველად იეჰღოვას სწირავდნენ ყოველს პირველ ნაშობს, პირველ ნამკალს და პირველ ნაკრეფს. აკურთხე და შეიწირე მცირე ძღვენი პირველშენაწირი, წრფელი გულითა და სიყვარულით შენის ერთგულის დავით ბაქრაძისაგან“. ბარათმა ბევრი მწარე თავგადასავალი მოაგონა მგოსანს და თავდაპირველი ჩანაფიქრიც გაამჟღავნა. მართალია, დღეს ეს ამბავი შორეულ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ მაინც გახსენების ღირსია, ვითარცა პატრიოტიზმის უჭკნობი ნიმუში. მოვუსმინოთ სულმნათი მგოსნის აღსარებას: „ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია... შავიქვის (მარგანეცის) საქმე რომ ჩემდა გუნებისად წასულიყო, მაშინ მე ვაპირებდი ამ დიდებულისა და დიად საჭირო საქმისათვის შემედგინა საყოფი თანხა. ჩვენში ბევრი ყმაწვილ-კაცთაგანია ნასწავლი და მომზადებული, რომელთაც სულითა და გულით ჰსურთ ჩვენი ქვეყნის სამსახური... იმათ რომ შრომისათვის სასყიდელი დაენიშნოსთ, ისინი დიდი სიამოვნებით იკისრებენ ამ განძის, ესე იგი ზეპირსიტყვიერების შეგროვებას, სიხარულით მოედებოდ-

ნენ ჩვენი ქვეყნის მთა და ბარს და რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ხელში გვექნებოდა ყოველგვარი მასალა ამ საშვილიშვილო განძისა. თუ რომ იმედი არ გამცუდებოდა, მე თვითონ ვფიქრობდი ამის სისრულეში მოყვანას სხვების დაუხმარებლად... დღეს, როდესაც ბ-ნი დავით ბაქრაძის წერილი მივიღე, იმედმა ისევ იფეთქა გულში და მეც ეს ფული ძვლად დავუდევ ამ საქმეს" (თხზ., XIII, 76).

13 წელიწადი შეალია აკაკი წერეთელმა შავიქვის წარმოების დაფუძნებას. მართალია, პირადად ბედმა არ გაუღიმა ამ საქმეში, მაგრამ საკთამადნო მრეწველობას მაინც ჩაეყარა საფუძველი და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას დიდად შეეწყო ხელი. ფოლკლორის შეკრების ამოცანა კი კვლავ გადაუჭრელი დარჩა და აკაკისაც ზრუნვაზე ხელი არ აუღია. სულ ბოლოს, სიკვდილის მოახლოების ჟამს კვლავ სამაგალითო მამულიშვილური ნაბიჯი გადადგა. ამის წერილობითი საბუთიც მოიპოვება ანდერძის სახით, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია: „ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთო ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნული მიზნისათვის" (XIV, 589).

დიაღ, სწორედ ამას ეწოდება ეროვნული საქმის სიყვარული და თავდადება! აკაკი წერეთლის ნახევარსაუკუნოვან ღვაწლსა და დიდებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეს ქველმოქმედებაც შარავანდედად ადგია თავზე.

აკაკი წერეთელი მხოლოდ რჩევა-მოწოდებებით არ კმაყოფილდებოდა, პრაქტიკულ მაგალითსაც თვითონ იძლეოდა. პირადად მას არაერთი ძეგლი გადაურჩენია დაკარგვას და გამოუქვეყნებია. საკუთარი ჩანაწერების გარდა ხშირად აქვეყნებდა სხვა ფოლკლორისტ — ენთუზიასტთა მიერ მოპოვებულ მასალებს. მრავალი ასეთი ნიმუში თავმოყრილია „აკაკის კრებულის" წიგნებში და მათი აქ ჩამოთვლა ტექნიკურად შეუძლებელი ჩანს. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ამ ჩანაწერებში წარმოდგენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს რაიონების ფოლკლორული რეპერტუარი. „აკაკის კრებულის" თანამშრომელ ფოლკლორისტ-შემკრებთაგან ჩანაწერთა სიუხვით გამოირჩეოდნენ სოსიკო მერკვილაძე, ალექსანდრე მაჩაბელი, მიხეილ როსტომაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, ზაქარია ჩხიკვაძე, დომენტი ოყრეშიძე და სხვანი.

ეროვნული საუნჯის შეკრება-გამოცემის მხრივ აკაკის ანდერძი განხორციელების პროცესშია. დიდმნიშვნელოვანი ამოცანის მოთავეხელება საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ვერ მოხერხდა. სამახსოვრო ანდერძი 1912 წლის 7 ნოემბერს იქნა შედგენილი ქუთაისში. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ორიოდე კრებულის გამოცემა მოასწრო პოეტისვე სიცოცხლეში. შემდეგ კი ფოლკლორისტული საქმიანობა აღორძინების მაგიერ ძირს დაეშვა. გარდატეხა ოციოდე წლის შემდეგ დაიწყო. პირველი მერცხლები ამ გზაზე აკაკი შანიძის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და პეტრე უმიკაშვილის ცნობილი კრებულების გამოჩენა იყო. დღეს კი, პოეტის დაბადების 140 წლისთავზე, თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დიდი წინაპრის სურვილები ქართული ხალხური პოეზიის მკითხველებამდე მიტანის თვალსაზრისით განხორციელებულია. ხელთ გვაქვს თორმეტტომიანი სრული კორპუსი, რომლის შემზადებაში მგოსნის ღვაწლი ფასდაუდებელია, წინ კი პროზის კორპუსის გამოცემა მოგველის.

ქართული პოეზია მსოფლიო ასპარეზზე მე-19 საუკუნემდე გარკვევით არ ჩანს, თუმცა მას ისეთი მანათობელი ვარსკვლავი ადგა თავზე, როგორიც რუსთაველი იყო. მაგრამ აი, გამოჩნდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და ცის კარიც გაიხსნა! რუსეთისა და ევროპის ქვეყნების სახელოვან პოეტებს გვერდში ამოუდგნენ ორ ხღვას შუა გადაშლილი პატარა საქართველოს შვილები. აკაკი წერეთლის ლირიკა საკაცობრიო პრობლემებით და ხილვებითაა დატვირთული. მისი ჩანგის ჟღერა არათუ ჩამორჩება სხვა გამოჩენილ ლირიკოსთა ხმას, იქნება ზოგიერთ მომენტში აჭარბებდეს კიდეცაც! და ამგვარ საკაცობრიო ჰანგების შემუშავებაში, ესთეტიკური აზროვნების შედევრებამდე ამაღლებაში გენიალურ პოეტს მშობლიური ეროვნული საუნჯეც მხარში ედგა. გერმანელმა მეცნიერმა კარლ ბიუხერმა მსოფლიოს ხალხთა შრომის პოეზიის ნიმუშთა შორის სამართლიანად აკაკი წერეთლის მუშური ლექსებიც განიხილა. ევროპის მწერლების საკაცობრიო სევდას გვერდში ამოუდგა აკაკის „ღმართ-ღმართ მივდიოდი“, „განთიადი“, „სულიკო“, „ამირანის სიმღერა“, „გაზაფხული“ და კიდევ მრავალი სხვა ლირიკული თუ ეპიკური შედევრი.

აკაკი მხატვრულ-ფილოსოფიურ სიმბოლოთა შექმნის ჰეშმარიტი დიდოსტატია. ამ მხრივ ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და მარადიული სახე ქართული ფოლკლორიდან აქვს ნასესხები. ესაა მიჯაჭვული ამირანი, ვისაც განთავისუფლების იმედი არ ჩაქრობია, მაგრამ ყვავ-ყორნები მარად გულს უწიწკნიან და დასუსტებას უპირებენ. გაკერპებული გმირი ქედს არ იხრის ბოროტების წინაშე და მომავლის იმედს აფრქვევს. საუკუნეებგამოვლილი და ხალხის მიერ ღვთაებრივი სიყვარულით შემკობილი ტიტანი აკაკი წერეთელმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდ აქცია და პრომეთესეული ცეცხლით გაანათა მისი ტანჯული სახე. მასებში არალეგალურად გავრცელებულ, 1883 წელს დაწერილ ლექსში ნათქვამია:

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.

სინამდვილის კონსტანტაციის შემდეგ გმირის პირსახდელის ახლებური ფილოსოფიური გაგებაა მოცემული:

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვაე-ყორანი.

ამას კი ოპტიმისტური დასკვნა მოსდევს:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
ამ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი..

მშრომელი მასების აღმაფრთოვანებელი და გამარევოლუციონერებელი ეს ლექსი მისმა ავტორმა ჰიმნად ჩაურთო პოემა „თორნიკე ერისთავში“. „თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ მხედრებს გული აუძგერა და საგმირო ჩვეულებრივ, შემოსძახეს მათ სიმღერა“. ლექსი ნამდვილ საბრძოლო ჰიმნად იქცა და საქართველოს გარეთაც გავიდა. ამირანის მაგალითზე შემუშავებული სიმბო-

ლო კავკასიურ ნართულ ეპოსზე გავრცელდა, მათ შორის აფხაზური აბრსკილის სახეც შემდეგ ამნაირად იქნა გააზრებული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებშივე იჩენს თავს. შესაბამისი დოკუმენტური მასალა 60-იანი წლებიდან არის მოღწეული. ამ მხრივ სანიმუშოა არსენა ოძელაშვილის ტიპის დამუშავების ისტორია. თვითონ ფაქტს აკაკისმცოდნეობაში თვალსაჩინო ადგილი უნდა მიეკუთვნოს. სამწუხაროდ, იგი დღემდე ჯეროვნად შესწავლილი ვერაა. ამ ვითარებას თავისი მიზეზი აქვს და ლიტერატურის ისტორიკოსების უყურადღებობით არ აიხსნება. საქმე იმაშია, რომ დიდხანს ცნობილი არ იყო აკაკის რუსულად დაწერილი სამმოქმედებიანი დრამა: „ყაჩაღი არსენა. ნამდვილი შემთხვევა ქართველთა ცხოვრებიდან". პიესა სრულად დაწერიდან მხოლოდ ასი წლისთავზე დაიბეჭდა. ახალგაზრდა პოეტის პირველი დრამატურგიული ცდები უიღბლო აღმოჩნდა, რამაც გავლენა იქონია პოეტის მრავალფეროვან შემოქმედებაში არსენას თემის ადგილის განსაზღვრაზე. ცხადია, აქ პოეტს ბრალი არ მიუძღვის, დამნაშავეა ის სოციალურ-პოლიტიკური წყობა, რომელშიც რუსეთის იმპერია და მასში შემავალი კოლონიური საქართველო იმყოფებოდა. საგულისხმო თავგადასავალი აქვს აკაკის დრამას და ორიოდე სიტყვით უნდა გავიხსენოთ. ეს დრამა ვრცელი ნაწარმოებია და მისი შექმნისთვის ავტორს უთუოდ ხანგრძლივი დრო და ფიქრი დასჭირდებოდა. რუსულ ენაზე დაწერილი ტექსტი აკაკის საცენზურო კომიტეტში 1864 წელს წარუდგენია, ხოლო 1865 წლის 18 სექტემბერს კი კომიტეტს იგი არ მოუწონებია დასადგმელად, ე. ი. აუკრძალავს. იგივე მწარე ხვედრი გაიზიარა აკაკი წერეთლის კიდევ ორმა პიესამ 1866 და 1867 წლებში. აქედან აშკარად ჩანს, რომ აკაკი 60-იან წლებში, პეტერბურგსა და მოსკოვში ცხოვრების პერიოდში, დაძაბულ დრამატურგიულ მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, ე. ი. ვერც ერთ პიესაზე დადგმის უფლება ვერ მოიპოვა. წარუმატებლობის მიზეზი ნაწარმოებების შესრულების დაბალი დონე კი არ იყო, არამედ შინაარსი, კერძოდ, „ყაჩაღ არსენას" რევოლუციურ-დემოკრატიული სული. ასე ჩაიჩუმქრა აკაკი წერეთლის პიესები საცენზურო კომიტეტის მტვრიან არქივში, სანამ ისინი 1948 წელს პროფ. ელ. ვირსალაძემ არ აღმოაჩინა ლენინგრადის თეატრალურ ბიბლიოთეკაში და პროფ. გ. აბზიანიძემ არ გამოაქვეყნა 1963 წელს პოეტის თხზულებათა მე-15 კრებულში.

რას წარმოადგენს აკაკის დრამა? ეს არის პირველი დრამატული ნაწარმოები ბატონყმობისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხის არსენა ოძელაშვილის თემაზე ქართულ ლიტერატურაში. აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ, ორმა ბუმბერაზმა მწერალმა, თითქმის ერთდროულად შემოიტანეს არსენას ცხოვრება ლიტერატურაში და ამით სათავე დაუდვეს დიდმნიშვნელოვან მოძრაობას. ილიას და აკაკის შორის ამ შემთხვევაში მხოლოდ ჟანრობრივი სხვაობა იყო, პირველმა პოემა შექმნა არსენას შთაგონებით, მეორემ დრამა. ორივე ნაწარმოებმა მძიმე საცენზურო ტანჯვა-წამება განიცადეს. ილიას „კაკო ყაჩაღი" მთლიანი სახით მხოლოდ 1879 წელს დაისტამბა, 1860 წელს დასრულებული პოემა 1863 და 1864 წლებში საცენზურო ხრიკების წყალობით ცალ-ცალკე ნაწილებად გამოქვეყნდა მხოლოდ, მსგავსად აკაკის დრამისა 1868 წელს „ცისკარში" რომ დაიბეჭდა პირველი მოქმედების დასაწყისი ორი სურათის სახით და თემატურად არსენას ტრადიციულ თავგადასავალთან კავშირი არ ჰქონდა. სწორედ ამით აიხსნება პოეტ-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის 1959 წელს გაკეთებული დაბეჯითებითი ხასიათის

განცხადება: „ჩვენი მკვლევარების საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პიესა „არსენას“ საერთო არაფერი აქვს ცნობილ არსენა მარაბდელთან“ (აკაკი, IX, 403). ცხადია, ი. გრიშაშვილი ამ დროს აკაკის რუსულ დრამას არ იცნობდა, თორემ მსგავს დასკვნას ვერ გააკეთებდა. ამგვარად, ილია და აკაკი ათეული წლების განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის მიმზიდველ სახეს და ხელოვნებაში მისი დამკვიდრებისთვის იბრძოდნენ. ასე წვალებით გაიკვალა ის გზა, რომელიც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოებების საშუალებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში ფოლკლორული შემოქმედების საფუძველზე.

აკაკი წერეთელს სწამს, რომ მისი პიესის მეორე და მესამე ნაწილები, სადაც ყაჩაღ არსენას მოქმედება არის გადმოცემული, სინამდვილეში მომხდარ ამბავს წარმოადგენს და შესაფერის განმარტებასაც იძლევა ქვესათაურში: „ეშმარიტი შემთხვევა ქართველთა ცხოვრებიდან“. სამმოქმედებიანი დრამის სიუჟეტი რთულია, იგი რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება, რომელთა სინამდვილესთან მიმართება არ არის ერთგვარი. დრამის პირველი მოქმედება საყოფაცხოვრებო სიტუაციაზე აგებული ჩანს. ობოლი მაკრინე ავი დედინაცვლის ელისაბედის დევნის საგანია და გაიძვერა აპეკუნ ხერხაძეს უნდა ჩაუვარდეს ხელში. კვანძი ბოროტხრახულებათა გაჩსინით მთავრდება: მაკრინე ხერხაძეს ჰკლავს, ხოლო მაკრინეს მიჯნური გიორგი დედინაცვალს ხერხაძის კვალს გაუყენებს. ობოლ ქალწულსა და მის საქმროს სხვა გზა აღარ რჩებათ, თუ არა ტყეს შეაფარონ თავი. ამის შემდეგ ჩნდებიან დრამაში არსენა ოძელაშვილი და მისი ტყის მეგობრები — თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირები. თუ აქამდე მწერალი საოჯახო-სამიჯნურო კოლიზიას ჰქმნიდა, ახლა ხალხურ გადმოცემაზე იღებს ორიენტაციას და პიესის ორ მოქმედებას არსენა ოძელაშვილის ტრადიციულ თავგადასავალზე ამყარებს. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია დრამის მეორე და მესამე მოქმედება შეუდარდეს ხალხურ ლექსებს. რადგან დრამა 1864 წლამდეა დასრულებული, ხოლო ამ დროს ხალხური მესტვირული ლექსის მთლიანი ბეჭდვური ვერსია არ არსებობდა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აკაკი წერეთელი დრამის წერის დროს უფრო ზეპირსიტყვიერებას ემყარებოდა და არა წერილობით წყაროებს. ახლა ვნახოთ, რა შეხვედრები ახასიათებს ლიტერატურულ ნაწარმოებს პროტოტიპულ ფოლკლორულ წინამძღვართან? უმთავრესი მსგავსებანი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. აჯანყებული მარაბდელი გლეხი ტყეში არის გავარდნილი და ცარისტული ხელისუფლება სდევნის, საციმბიროდ დაეძებს მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. არსენას მომხრეები ჰყავს, მაგრამ მოწინააღმდეგენიც არ აკლია. ხელისუფლებამ მისი თავი ძვირად შეაფასა და ამიტომ ყოველდღიურად საფრთხეში იმყოფება. ამას გვაცნობს როგორც დრამის მეორე მოქმედების პირველი გამოსვლა, ისე მესტვირული ლექსის ცალკე ადგილები.

2. არსენა ოძელაშვილი და მისი ტყის მეგობრები ტირანებსა და მჩაგვრელებს ავიწროვებენ, მშრომელებს კი ეხმარებიან, ხელს უმართავენ, მტრისგან იცავენ. დრამაში ის პრინციპია გატარებული, რასაც ხალხი ქადაგებს: „მდიდარს აჭმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“ (II ნაწ., I გამოსვლა).

3. ტყეში გახიზნულნი ამხილებენ მატყუარა ჩარჩ-ვაჭრებს, არსენა შეიდმტკვლიან ადლით ვაჭრობას დაუწესებს მათ (მესამე მოქმედება, V გამოსვლა).

4. სიცოცხლეშიც და შემდეგაც არაიშვიათად არსენას სახელით ბოროტად სარგებლობდნენ; ცრუარსენები ხალხს ძარცვავდნენ (მესაშე მოქმედ. II სცენა, I გამოსვლა). საამისო დოკუმენტირებული ცნობა შემონახულია საქ. ცენტრ. არქივში.

5 სეფისკვერაძე მიპარვით ხანჯლით განგმირავს არსენას, მაგრამ თავის შოკვეთას ვერ ახერხებს, რათა ჯილდოს მისაღებად წარადგინოს, და ტყის მეგობრების ხმაზე გარბის (III მოქმ., III სცენა, III გამოსვლა). აქ გიორგი კუჭატნელის ცნობილი ეპიზოდი იგულისხმება იმ განსხვავებით, რომ მოღალატე შენიღბულად მოქმედებს და დამხმარე არავის ჰყავს.

6. ტყის ძმები არსენასა და მეზღვანაკრავე ნინოს, აბესალომ და ეთერის მსგავსად, ერთად მიაბარებენ მიწას, მერე შამილთან მიდიან გამანთავისუფლებელი ბრძოლების გასაგრძელებლად.

7. რამდენიმე სიტყვა პერსონაჟებზეც უნდა ითქვას. აკაკი წერეთლის დრამაში მოქმედებენ ისეთი პერსონაჟები, რომელთა პროტოტიპები აშკარად ფოლკლორული წარმოშობისაა. პირველყოვლისა, ასეთია მთავარი მოქმედი გმირი არსენა ოძელაშვილი, შემდეგ მისი მიჯნური ბატონის ასული ნინო (ქართული პიესით მაკრინე გოჩუნიძე), არსენას მკვლელი იმერული კვერნაძე თუ სეფისკვერაძე (ხალხური ლექსით კუჭატნელი და მისი მსახური), მეწვრილმანე ვაჭრები და სხვ., რომელთა ჩამოთვლა აქ აუცილებელი არაა, ხოლო აკაკის დრამის ქართულ და რუსულ ვერსიებში სხვადასხვა სახელს ატარებენ.

ყველა ეპიზოდი მეტად დაძაბულ სიტუაციებში ვითარდება. მწერალი უთუოდ აღწევს ესთეტიკურ ეფექტს. აშკარა მსგავსი ადგილების გარდა დრამაში კიდევ რამდენიმე ისეთი სცენა და მოტივი მოიპოვება, რომელთა შესაპირისპირებელი ფოლკლორული მასალა ამჟამად ხელთ არა გვაქვს და ამის გამო ავტორისეულ პასაჟებში ვაქცევთ, თუმცა წყარო შეიძლება ზეპირგადმოცემა იყოს. ასეთია, მაგალითად, ჰიდაობის მოტივი (II მოქმ., სცენა III, გამოსვლა I), რომლითაც აკაკის დრამას მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ ენათესავება, იმ დროს, როცა არავითარი მითითება არ არსებობს, რომ სახელოვანი რომანისტი დაუბეჭდავ დრამას იცნობდა. თუ აქ შემთხვევით თანაზიარობას არ აქვს ადგილი, მაშინ ხალხშია საძებარი შესაბამისი კვალი.

შედარებითი ანალიზიდან კიდევ ერთი საყურადღებო დასკვნა გამომდინარეობს: აკაკი წერეთლის ნაწარმოებში დადასტურებული ზეპირსიტყვიერებასთან ყველა საერთო მოტივი ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, ვიდრე დრამა; აკაკის დრამა ასი წლის განმავლობაში ხალხისთვის უცნობი იყო და, მაშასადამე, მას გავლენა არ შეეძლო მოეხდინა ფოლკლორულ შემოქმედებაზე. ამრიგად, ლიტერატურული ძეგლი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს არსენას ლექსის მე-19 საუკ. 60-იან წლებამდელი სტრუქტურის განსაზღვრისას.

აკაკი წერეთლის ფოლკლორული წყაროების პრობლემა შემოქმედებითი თემაა. იგი ყველა ჟანრს მოიცავს, რომელშიც კი მგოსანს კალამი უცდია.

მაინც განსაკუთრებით რით იზიდავდა პოეტს ხალხური სიტყვიერება? სხვა მხარეთა შორის პირველი ადგილი ესთეტიკურ თვალსაზრისს უნდა დაეთმოს. ფოლკლორში აკაკის ყველასთვის გასაგები დაყურსული ენა და მდიდარი ფანტაზია, მხატვრულ მიგნებათა დაუშრეტელი წყარო ეგულვებოდა. დამახასიათებელია, რომ ზეპირი პოეზიის საუკეთესო ნიშნებიდან იგი უფრო ხშირად ბარის კუთხეების მაგალითებს მიმართავდა. ერთი ასეთი შედეგი — „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო“ 1913 წელს

პოეტური ხელოვნების პარნასზე აიყვანა. „მსოფლიო გენიოსმა მხატვარმა, რაფაელმა, როდესაც მშვენიერების გამოხატვა უნდოდა, უკეთესი ვეღარა მოახერხა–რა და მშვენიერ მადონას მისცა ხელში უმშვენიერესი ყრმა, რომელსაც სიყვარულით ზედ დაჰქათქათებს დედა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შაირის დამწერს, არც ეს სურათი უნახავს და არც რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარდმო შთაგონებამ მიიყვანა რაფაელის აღმაფრენამდე!“.

შენს ლოყას ვარდი ჰყვაოდა, გშვენოდა ღია ფერია,
ღაწვს მოცმიცმე ხალივით ნამი ცით მონაბერია;
შურით დაგფრენდა ნიავი, გირხევდა დალალ-კავებსა,
წარბი-წამწამი ყორნისა ბურავდა გიშრის თვალებსა...

„არა თუ დღევანდელი მჯღაბნელი და მათ რიცხვში მე, თქვენი უმორჩილესი მონა, თვით რუსთაველიც კი მოაწერდა შეურცხვენლად ხელს, და ამგვარი მარგალიტები იშვიათი არ არის ზეპირსიტყვაობაში“ (XIV, 545—46).

XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტი ღრმად შეიჭრა თავისივე ერის სულიერ სამყაროში და ოქროსმაძიებლური ალღოთი ნათელყო ხალხური პოეზიის წარუვალი ესთეტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა.

სერგი ჯიქია

მასალები „გუთან" სიტყვის ისტორიისათვის

1971 წელს სტამბოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო ორგანოში — „თურქული ენისა და ლიტერატურის კრებული" — დაიბეჭდა პროფ. ა. ჯაფეროღლუს სტატია სათაურით: „ქოთან"-ი მემინდვრეობის კულტურის ეთნოგრაფიის მიხედვით[1]. სტატიაში ლაპარაკია გუთან სიტყვაზე, რომელიც თურქულ ენებსა და ზოგ სხვა ენაშიც kotan‖köten (ქოთან‖ქოთენ)-ად წარმოითქმის. სტატიაში მთლიანად უგულებელყოფილია გუთან სიტყვის წარმომავლობისა და მის ოდინდელობაზე საქართველოსა და სხვაგანაც არსებული კონცეფციები და მოცემულია ისეთი დებულებები, რომელთაც, ჩვენი აზრით, არავითარი მეცნიერული საფუძვლები არ მოეპოვებათ.

ავტორი, განსვენებული სტამბოლელი პროფ. ა. ჯაფეროღლუ, ეფიქრობ, ყოველგვარი მეცნიერული მონაცემების გარეშე გუთან სიტყვას აცხადებს თურქული, ვითომდა, kotan სიტყვის ქართულ სახეცვლილ ფორმად. იგი საქართველოს მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის სინამდვილეში შექმნილ და თავისი დანიშნულების მიხედვით ჩვენშივე მეტად სრულყოფილ სახვნელ იარაღსა და მის აღმნიშვნელ გუთან სიტყვას შუა აზიის მკვიდრ თურქ ხალხთაგან მომდინარედ და საქართველოში დაფუძნებულ სუბსტრატად მიიჩნევს.

ა. ჯაფეროღლუ ანატოლიასა და აზერბაიჯანს (რა თქმა უნდა, ამ მხარეებში თურქული მოსახლეობის გაჩენას — XI ს-ის II ნახევრის შემდგომი პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ისეთ რეგიონებს, რომლებიც ერთ-ერთი უველაზე ძირითადი ფაქტორები იყვნენ მემინდვრეობის კულტურის განვითარებაში (გვ. 43). ავტორს აქ მხედველობაში აქვს ქოთან (=გუთან) სახვნელი იარაღი, რომელსაც „როგორც ყოველ მატერიალური კულტურის ელემენტს, ჰქონდა თავისებური ისტორიული სტადიებისა და ნახტომების მთელი რიგი" (გვ. 43). აქ ავტორი საყვედურს გამოთქვამს, რომ მიუხედავად ქოთანის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მის შესახებ ხელჩასაკიდებელი არაფერი დაწერილა. ის კი არაო — განაგრძობს იგი — ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ ჩვენს ლექსიკონებშიც, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და ალმოსავლეთ ანატოლიაში saban სიტყვის მაგივრად kotan-ი იხმარება და ამ kotan სიტყვას ძლიერ უყურადღებოდ ეპყრობიან. მაშინ როდესაც kotan-მა ისტორიის მანძილზე მემინდვრეობის კულტურის განვითარების მრავალი ეპოქა გაიარა და სხვადასხვა ქვეყანასა და მხარეში წარუშლელი კვალი დატოვაო (გვ. 43). ავტორი დიდხანს ჩერდება

[1] Jstambul üniversitesi Edebiyat Fakültesi — Türkbilive Edebiyati Dergisi, ტ. XIX, სტამბოლი, 1971, გვ. 43—50.

ამ საკითხზე და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს თურქული სახვნელი იარაღი ძლიერ გავრცელდა ერთმანეთისაგან დაშორებულ მრავალ ქვეყანასა და ხალხში. საინტერესოა, რომ ავტორი იქვე დასძენს — ქოთანმა საბან სიტყვა მოშალა და ხმარებიდან განდევნაო (გვ. 43).

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ა. ჯაფეროღლუს ამგვარ მსჯელობას, რომელიც მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს სახვნელ იარაღს ეხება, არავითარი მეცნიერული საყრდენი არ გააჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ დღესაც და ისტორიულ წარსულშიც თურქული წარმომავლობის ხალხთა უდავო სამშობლოში — შუა აზიაში დარჩენილ და არც შუა აზიის გარეთ გასულ თურქულ ტომთა ენებში kotan (ქოთან) სიტყვა სახვნელის მნიშვნელობით არ მოიპოვება. ჯერ ჩავიხედოთ ძველი თურქული ენების ლექსიკონში, სადაც ეგზომ მნიშვნელოვანი, ხალხის ყოფითი სიტყვა უნდა იყოს ასახული. ძველი თურქული ენის ლექსიკონში გვაქვს qotan, qutan და kütan სიტყვა — ფორმები, მაგრამ მათ არ აქვთ არაფერი საერთო სახვნელი იარაღის მნიშვნელობასთან. ამ სამიე ვარიანტს განმარტებად მიწერილი აქვს მხოლოდ и[мя] собств[енное][2].

სამაგიეროდ, ამ ლექსიკონში სახვნელის მნიშვნელობით წარმოდგენილია Saban парная упряжка волов с земледельческими пахотными орудиями, და ზმნა Sabanla—пахать[3]. ვ. რადლოვის ლექსიკონში, რომელიც ყველა თურქული სისტემის ენას მოიცავს, котан — كوتان სიტყვას „გუთნის“ მნიშვნელობა მიწერილი აქვს მხოლოდ აზერბაიჯანულისა და თურქული (ოსმალური) ენებისათვის, ხოლო სხვა თურქული ენებისათვის, როგორიცაა ყირგიზული, ჩაღათური, ტარანჩიული და სხვათათვის, სრულებით სხვა მნიშვნელობაა მოცემული (ფარეხი, მშიშარა, ფრინველთა სახეობანი და სხვ.[4]). ცნობილი ფინელი მეცნიერის M. Räsänen-ის ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც kotan-kutan სიტყვას (ჩაღათური, ოსმალური, იაკუტურ-თურქ. ენებში) სახვნელის მნიშვნელობა არა აქვს. ყველგან ფრინველის გარკვეული სახეობაა: Čag. kotan Pelikan, osm. kutan, jak, kuta ŋ' eine art Vogel, k'tan ein besonderer Landvogel, von der Grosse des Kraniches.., gutan Wasserrabe...[5]. ამავე დროს მ. რიასანენიც რიგი თურქული ენებისათვის (ყირიმულ-თათრული, ყაზახური, ოსმალური, აზურბაიჯანული) სახვნელის სახელად ასახელებს sapan//saban-ს.[6] თვით ა. ჯაფეროღლუს თავის უიღურულ-თურქულ ლექსიკონში kotan სიტყვის მნიშვნელობად „პერსონული სახელი“ აქვს მოცემული.[7] ზოგ თურქულ ენაში котан სიტყვას ფარეხის მნიშვნელობა აქვს,[8] „გუთნის“ მნიშვნელობით კი იგი არსად არ დასტურდება. ასეთივე მნიშვნელობაა ფიქსირებული котан სიტყვისათვის ყარაიმულ-თურქულ ლექსიკონში: хлев, овчарня, загон для овец[9]. პროფ. ნ. ბასკაკოვისა და რ. ნასილოვის ლექსიკონშიც gotan სიტყვას უწე-

---

[2]. Древнетюркский словарь, Ленинград, 1969, с. 330, 473.

[3] იქვე, გვ. 478.

[4]. Б. Б. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. II, СПБ., 1899, с. 607, 922, 1216.

[5] M. Rasanen, Versuch eines etimologischen Wörterbuchs der Türksprachen, Helsinki, 1969, s. 284.

[6] იქვე, გვ. 402.

[7] A. Caferoglu, Uygur Sözlügü, Jstanbul, 1934, გვ. 142.

[8] Э. Н. Наджиб. Уйгурско-русский словарь, Москва, 1968, с. 601.

[9] Караимско-русско-польский словарь под редакцией Н. А. Баскакова, А. Зайончковского, С. М. Шапшала, Москва, 1974, с. 335.

რაა: загон для мелкого скота[10]. შუა აზიის თურქული ენებისათვის кутан სიტყვა დადასტურებულია მნიშვნელობით загон для скота, место для скота[11], ასევე „საზაფხულო ფარეხად“ და „ახორად“ არის ახსნილი kotan სიტყვა ე. წ. აღმოსავლურ-თურქულ-უიღურულ, ტარანჩიულ და უზბეკურ ენებში პროფ. ს. ჩაღათაის მიერ.[12] ბულგარეთის თურქული მოსახლეობის მეტყველებაში სახვნელი იარაღისთვის დასახელებულია მხოლოდ saban სიტყვა, თან saban-ის სურათიცაა წარმოდგენილი.[13] ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ თურქულ ენაში—ყარაჩაულ-ბალყარულში „плуг-сабан“-ია[14], თურქულ ენებში სახვნელი იარაღის ძირითადი ეროვნული სახელი რომ сабан-ი იყო ეს დასტურდება გამოჩენილი თურქოლოგის აკად. ნ. კ. დმიტრიევის მიერაც: „Сабан встречается в „Codex Cumanicuse“ (XIII—XIV სს. ყიფჩაყურ-თურქული ძეგლი. ს. ჯ.) и почти во всех тюркских языках (турецкий, татарский, башкирский, азербайджанский и др.). Связано с интереснейшим вопросом о переходе тюрок от скотоводства к земледелию. Проникло в областную речь русских крестьян“[15].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოცემულ შამს-ედ-დინ სამი-ს ვრცელსა და დიდი ისტორიულ-მეცნიერული ღირებულების მქონე თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში (ეს ლექსიკონი თავისი დიდი მეცნიერული მნიშვნელობის გამო ახლახან ხელმეორედ გამოიცა თურქეთში) **საბან** სიტყვა განმარტებულია როგორც ძირითადი თურქული სახვნელი იარაღი, მოცემულია მისი შემდგენელი ნაწილების ვრცელი და დეტალური აღწერილობა, მაშინ როდესაც **ქოთან** სიტყვა, როგორც ალბათ არათურქული და შემდგომში შემოსული, მეტად მოკლედ, სულ ოთხიოდე სიტყვითაა განმარტებული[16].

ასევე მეცნიერული მნიშვნელობის მქონე აჰმედ ვეფიქ ფაშას ლექსიკონში **საბან**, როგორც თურქული ეროვნული სახვნელი იარაღის აღმნიშვნელი სიტყვა, დაწვრილებით არის ახსნილი თავისი შემადგენელი ნაწილებით, ხოლო kotan ძლიერ მოკლედ [ივარაუდება ევროპული flug] — „ფულლუღის დიდი სახეობის — საბან'-ი“[17]. 1976 წ. ანკარაში გამოცემულ „სახელოსნო ტერმინთა ლექსიკონში ძლიერ ვრცლადაა მოცემული saban სიტყვა, თითოეული მისი ნაწილი ცალ-ცალკეა განმარტებული, kotan/köten სიტყვა კი ძალიან მოკლედ არის წარმოდგენილი — როგორც saban-ის გარკვეული ნაწილი. ამ სიტყვის (kotan) გამოყენების არედ მოხსენებულია ისტორიული ქართული პროვინციები (ისპირი, ფოცხოეი)[18].

---

[10] Н. А. Баскаков и Ф. М. Насилов, Уйгурско-русский словарь, Москва, 1939, с. 126.

[11] Г. Г. Дитрих, Топонимы бассейна р. Арг в фанских горах Таджикистана, сб., „Ономастика Средней Азии“, Москва, 1978, с. 134.

[12] S. Çağatay, Türk Lehçeleri örnekleri-Yasayan agiz ve Lehçeleri, II, Ankara, 1972, с. 68.

[13] Н. Dalli, Kuzeydoğu Bulgaristan Türk Ağizlari üzerine Arastirmalar, Ankara, [1978], с. 169.

[14] Русско-балкарский школьный справочный словарь, Нальчик, 1940, с. 142.

[15] Н. К. Дмитриев, Строй тюркских языков, Москва, 1962, с. 542.

[16] გვ. 793, 1103 ، ۱۳۱۷ ، قاموسی ترکی ، درسعادت ، شد. سامی

[17] სტამბოლი, 1306(=1888), გვ. 472 და 656. ، احمد وفیق پاشا—لهجهٔ عثمانی

[18] Zanaat Terimlert sözlüğü, Ankara, 1976, გვ. 123, 125, 160.

ჩვენ თემასთან დაკავშირებით ძლიერ მაჩვენებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ თურქეთის სამეცნიერო საზოგადოების მიერ 1977 წელს გამოცემულ „თურქულ დასურათებულ ლექსიკონში“ სახვნელი იარაღის მნიშვნელობით წარმოდგენილია მხოლოდ saban სიტყვა და იქვე მოცემულია saban—სახვნელის სურათი, ხოლო ოფიციალური საენათმეცნიერო ორგანიზაციის მიერ შედგენილ ამ ლექსიკონში kotan სიტყვა სრულებით არ იხსენიება[19].

ამრიგად, უტყუარი წყაროებიდან ამოწერილი ფაქტობრივი მონაცემების შუქზე დამაჯერებელი ხდება, რომ შუა აზიისა და შუააზიური წარმომავლობის, მაგრამ ისტორიულ ვითარებათა შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრებულ თურქულ ტომთა ენებისათვის თავდაპირველი, ოდინდელი ეროვნული სახელი სახვნელი იარაღისა ყოფილა „საბანი“ (ასო, saban), ამ მოსაზრებას, ვფიქრობ, ჩრდილს ვერ მიაყენებს ის ფაქტი, რომ თითოოროლა თურქულ ენაში საბანი ბოლო ხანებში განდევნა რუსულმა плуг, соха სიტყვებმა, რაც შედეგია ამ თურქული ენების მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტისა რუსულ ენასთან. ასეთია, მაგ., ჩუვაშური[20] და იაკუტური თურქული[21], რაც შეეხება kotan სიტყვას, ჩვენ დავინახეთ, რომ არც ძველ თურქულში, არც თანამედროვე თურქულ ენებში kotan-ი ან სულ არ იხმარება ანდა არა აქვს სახვნელი იარაღის მნიშვნელობა.

მიუღებელია პროფ. ა. ჯაფეროღლუს მტკიცება, რომ kotan სიტყვა და ამ სახელით ცნობილი სახვნელი იარაღი ყოველ ენობრივ არეალში თითქოს თურქულენოვანი ხალხებიდანაა გავრცელებული.

ა. ჯაფეროღლუს ძალიან ზერელედ მიაჩნია ცნობილი მეცნიერის P. Leser-ის[22] ცნობები თურქული სახვნელების შესახებ და დიდ საყვედურს გამოთქვამს ამ მეცნიერის მიმართ იმის გამო, რომ მის შრომაში თურქებთან დაკავშირებით სრულებით არ არის ნახსენები ქოთან სიტყვა[23].

ა. ჯაფეროღლუ დაჟინებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „აზერბაიჯანულმა და ანატოლიურმა kotan-მა [=გუთან-ს] საუკეთესო ფორმით გავრცელებისა და განვითარების შესაძლებლობა საქართველოში მოიპოვა“[24].

რა თქმა უნდა, ავტორს არავინ არ დაეთანხმება იმაში, რომ თურქულმა kotan-მა ჰპოვა „საუკეთესო ფორმით გავრცელებისა და განვითარების შესაძლებლობა“ საქართველოში. პირიქით, მოხდა სავსებით ბუნებრივი რამ: უძველესი და მაღალი მიწისმოქმედების კულტურების მქონე საქართველოდან თვით სიტყვაც და სახვნელი იარაღიც (გუთანი) გადავიდა იმ თურქული მოდგმის ტომებში (აზერბაიჯანელები და ანატოლიელი თურქები), რომლებსაც ისტორიულმა ბედმა არგუნა საქართველოს მომიჯნაეე და უშუალო მეზობლები გამხდარიყვნენ.

შემდეგ ა. ჯაფეროღლუ ვითომდა თავის სასარგებლოდ იყენებს აკად. გ. ჩიტაიას აზრს იმის შესახებ, რომ „kotan“-ი ჯერ კიდევ X—XII საუკუ-

---

[19] Resimli Türkce Sözlük, Ankara, 1977, გვ. 484.

[20] Русско-чувашский словарь, под редакцией Н. К. Дмитриева, М., 1959, с. 481.

[21] Э. К. Пекарский, Краткий русско-якутский словарь. Петроград. 1916, с. 199; Э. К. Пекарский, Словарь якутского языка, Ленинград, 1927, с. 2375.

[22] ა. ჯაფეროღლუ, დასახ. სტატია, გვ. 46.

[23] Paul Leser, „Enstehung und Verbreitung des Pfluges, III. Münster, 1931, გვ. 360—361 (ვასახელებ ა. ჯაფეროღლუს მიხედვით).

[24] ა. ჯაფეროღლუ, დასახ. შრომა, გვ. 46.

ნეებში[25] დაინერგა ქართულ ენაში „გუთანი"-ს წარმოთქმით. ამის დასამტკიცებლად ა. ჯაფეროღლუ გ. ჩიტაიას შრომიდან იმოწმებს ისტორიკოსების მიერ შესწავლილ იმ ფაქტს, რომ თამარ მეფის დროინდელ (XII—XIII სს.) საქართველოში საფლავის ქვებზე გამოხატული იყო გუთანი-ო და გ უ თ ა ნ სიტყვის თურქულობის შესახებ თავის აზრის ვითომ უფრო განსამტკიცებლად დასძენს, რომ „თურქეთშიც, იშვიათად, მაგრამ მაინც ეხვდებით საფლავის ქვებზე ცულის, სახვნელი იარაღის (აქ თვითონ ჩვენი ავტორი saban სიტყვას ხმარობს. ს. ჯ.), დოქის; ხანჯლის, ყავის ფინჯნის და მსგავსთა გამოსახულებას".

შემდეგ ჩვენი ავტორი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ზემომოტანილი მასალების საფუძველზე გ. ჩიტაია kotan-ის სამშობლოდ კავკასიას თვლის. არ მოსწონს ისიც, რომ ა. დიტმერი[26] აგრეთვე kotan-ის ტიპის დიდი სახვნელების სამშობლოდ მიიჩნევს არა შუა აზიას, არამედ უშუალოდ კავკასიას.

შემდეგ ა. ჯაფეროღლუ უბრუნდება კვლავ გ. ჩიტაიას, როგორც საქართველოს მემინდვრეობის კულტურისა და ეთნოგრაფიის სპეციალისტის, მიერ შესწავლილი გ უ თ ნ ი ს (ავტორი აქაც ს ა ბ ა ნ სიტყვას ხმარობს) ტიპებს, როგორიცაა ა ჩ ა ჩ ა გ უ თ ა ნ ი, ს ა ა ნ ე უ ლ ო გ უ თ ა ნ ი და ა ნ ე უ ლ ი ს გ უ თ ა ნ ი და ასკვნის, რომ ეს კლასიფიკაცია სრულ ტექნიკურ ცოდნაზეა დამყარებული, ეს ჩემი თემის დედააზრის გარშემო და ამის შესახებ ჩემი აზრის გამოთქმისაგან თავს ვიკავებო (ასეა!)[27] და ა. ჯაფეროღლუ კვლავ უბრუნდება იმ საკითხს, რომ სახვნელი იარაღის — kotan-ის თურქულიდან დამკვიდრების საუკეთესო ნიმუშებს საქართველოში დარჩენილ გუთნის ტიპებში ეხვდებითო. კავკასიასა და მეზობელ მხარეებში ამ ძველი კლასიკური სახვნელი იარაღის გაგება დაცულია ისე, როგორც მას თურქულ ენებში ჰქონდაო[28]. შემდეგ უცნაურია, რომ ავტორს მოაქვს მის მიერვე წამოყენებული აზრის საწინააღმდეგო ფაქტები: „მიუხედავად იმისა, რომ კავკასიასა და მეზობელ მხარეებში ძველმა კლასიკურმა სახვნელმა იარაღმა (ქოთან-მა) შეინარჩუნა თავისი ნამდვილი გაგება, ამის საპირისპიროდ ჩრდილოეთის თურქი ხალხები და ალთაის მხარეების თურქი ტომები დაჟინებით [kotan-ს] ağïl-ის (ე. ი. ფარეხის—ს. ჯ.) მნიშვნელობით ხმარობენ, ისევე როგორც ახალ უღუღრულში, აღმოსავლეთ თურქესტანის თურქებში qutan, qutun-ის ფორმით, ძველ უიღურულში, ყირგიზულში, განსაკუთრებით ჩაღათაურში და სხვადასხვა მონღოლურ დიალექტებში ყველგან „შემოღებული ცხვრის ფარეხის" მნიშვნელობით იხმარებოდა. ეს სიტყვა მონღოლურში ჰოთო, ოთონ-ად, ჩრდილოეთ ალთაის მხარეში კი kutan და kotan-ად წარმოითქმოდა და იმავე ფარეხის მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგ თურქულ მხარესა და რეგიონში kotan სიტყვა მთლიანად ამოღებულ იქნა ხმარებიდან და მისი ადგილი saban-მა დაიკავა"[29].

თვით ა. ჯაფეროღლუს მიერ მოტანილ ამ მასალებს თუ ჩაუკვირდებით, ცხადი ხდება, რომ kotan სიტყვა, როგორც ჩვენ ამას ზევითაც აღვნიშნავდით, ან სულ არ იხმარებოდა თურქულ ენებში, ან მას სრულებით არ ჰქონდა ის

---

[25] იქვე, გვ. 47; იმოწმებს: Г. С. Читая, Пахотные орудия и системы земледелия в Грузии. Труды двадцать пятого международного конгресса востоковедов, т. III, М., 1963, с. 650—656.

[26] A. Ditmer, Algemeine völkerkunde, 1950 (ა. ჯაფეროღლუს მიხედვით ვასახელებ).

[27] ა. ჯ ა ფ ე რ ო ღ ლ უ, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[28] ა. ჯ ა ფ ე რ ო ღ ლ უ, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

[29] იქვე.

მნიშვნელობა, რომლითაც მას ექნებოდა შესაძლებლობა გავრცელებულიყო და საფუძვლად დადებოდა საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებში სახვნელი იარაღის — გუთნის გაჩენას.

შემდეგ ავტორი გვთავაზობს თავის შეხედულებას საქართველოში ხმარებულ სახვნელის „ჯილღა-გოგორას" შესახებ, რომელიც გ. ჩიტაიას გარკვეულად არ განუსაზღვრავსო. ჯ ი ლ ღ ა, რომელიც დღევანდელი ანატოლიის, განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ რაიონებში — ჩილდირში, არტაანსა და მის მიდამოებში „პატარა გუთნის" მნიშვნელობით იხმარება, ზონ-გულდაქის ერეილიში, არტანუჯში, არტაანსა და შავშეთში იგი მარტივად „საბან"-ის (ე. ი. გუთნის) გაგებითაა. როგორც ამ საზღვრებიდანაც ჩანს, განაგრძობს ავტორი, ზუსტად kotan-ივით, ჯ ი ლ ღ ა ს ტ ი პ ი ს სახვნელიც აღმოსავლეთ თურქეთისა და საქართველოს საზიარო სახვნელი იარაღია. გ ო გ ო რ ა კი ქართული სიტყვაა და ბორბალს ნიშნავსო. ვერც ამაში დავეთანხმებით ავტორს. რამდენადაც ჯილღა-გოგორა, როგორც ამას თვით ა. ჯაფეროღლუც აღნიშნავს, გავრცელებულია მხოლოდ არტაანს, არტანუჯს, ჩილდირსა და შავშეთში, რომლებიც ცნობილია რომ წარმოადგენენ ისტორიულ ქართულ რეგიონს, ამდენად იარაღიცა და მისი სახელწოდებაც მთლიანად ქართულს უნდა წარმოადგენდეს. ზემოთაც ჰქონდა ჩვენს ავტორს ლაპარაკი kotan-ზე, რომ ის ძალიან ფეხმოკიდებულად არის აღმოსავლეთ ანატოლიასა და აზერბაიჯანშიო და ამტკიცებდა, რომ აქედან დაფუძნდა იგი საქართველოში, მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სინამდვილეში როგორც ეს kotan-ი ისე ჯილღა-გოგორა ძველი ქართული სამიწათმოქმედო მაღალი კულტურის ნიშანი› და ქართული სამყაროდან არის გადასული სხვა ხალხების ენაში.

ავტორის საბოლოო დასკვნა, რომლის გაზიარება შეუძლებელია, შემდეგია: „როგორც ამ (ზემოთ მოტანილი) ახსნა-განმარტებებიდანაც გასაგებია, ანატოლიის საზოგადოებრივ სამიწათმოქმედო ცხოვრებაში არსებული „ქოთან"-ი ზუსტად შუა აზიიდანაა ანატოლიაში გადმოტანილი..." და შედეგია გარკვეული ენისა და კულტურის განფენილობისა. თუ მისი საფუძველი ხოტონ სიტყვაა (ხოტონ მონღოლურია და მეჯოგეობაში ფარეხს ნიშნავს). მან სხვა თურქულ რეგიონებში ხიდები გაიკეთა და ანატოლიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში დაფუძნდა სუბსტრატის მდგომარეობაში[30].

ავტორის ამ დასკვნას დართული აქვს წინადადება, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიცავს მისი დებულებების საწინააღმდეგო მასალას. ავტორი ჩივის და უკმაყოფილოა მით, რომ kotan სიტყვას თურქეთში გამოსულ ლექსიკონებში ნაძალადევად აქვს ადგილი მიჩნეული მაშინ, როდესაც დ. ა. მაგაზანიკის რუსულ-თურქულ ლექსიკონში საჭიროდაა მიჩნეული მისი დიდი სახვნელის (ავტორი აქაც sabun სიტყვას ხმარობს) მნიშვნელობით და kutan-ის ფორმით მოთავსებაო"[31]. აქედანაც ცხადად ჩანს, რომ როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, kotan სიტყვა თურქულში ნასესხებია, თურქული ენის სინამდვილეში არ არის ის ფეხმოკიდებული, რაც იქიდანაც ცხადია, რომ სხვაც რომ არაფერი იყოს, თვითონ ა. ჯაფეროღლუს ამ სტატიაში სახვნელი იარაღის აღსანიშნავად თურქულ ეროვნულ saban-საბან სიტყვის ხმარება უფრო ეხერხება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო გამოეხმაურებოდით ამ სტატიას, გვეჩვენებინა მკითხველისათვის ავტორის უმართებულო მოსაზრებები სა-

---

30 ა. ჯ ა ფ ე რ ო ღ ლ უ, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

31 იქვე.

კითხის შესახებ და ის წინააღმდეგობები, რომელიც ამ სტატიაში საკმაოდ ბევრია. ჩვენ გვინდოდა მკითხველისათვის გვეჩვენებინა სათანადო წყაროებიდან ამოწერილი ცოცხალი მასალები, რომელთა საფუძველზე ავტორის მოსაზრებების მიღება შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ არ შევხებივართ იმ შესანიშნავ ნაშრომებს, რომლებიც საქართველოში გამოიცა და რომლებიც არავითარ ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ გუთან სიტყვა ქართულია და თვით გუთანი, როგორც სახვნელი იარაღი, ქართული სამიწათმოქმედო მაღალი კულტურის მაჩვენებელია. პროფ. ა. ჯაფეროღლუს მოსაზრებათა უკუსაგდებად საკმარისია დავასახელოთ ჩვენი დიდი მეცნიერის აკად. ივ. ჯავახიშვილის ჰეშმარიტად ფუძემდებელი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I წიგნი (თბილისი, 1930). ა. ჯაფეროღლუ აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომს არ იცნობდა, მაგრამ ვინც „საქ. ეკონომიური ისტორიის“ იმ ადგილებს გაეცნობა, რომელიც გუთანს ეხება, უსათუოდ დაინახავს, რომ ამ ნახევარი საუკუნის წინათ გამოსულ ამ ფუნდამენტურ ნაშრომში უკვე გაცემულია კონკრეტული პასუხებიც კი პროფ. ა. ჯაფეროღლუს უმართებულო და, შეიძლება ითქვას, ნამდვილ უგზო-უკვლო დებულებებზე. აკად. ივ. ჯავახიშვილის აქ დასახელებულ წიგნში ამომწურავად არის შესწავლილი ქართული გუთნის წარმოშობა, მისი შემადგენელი ნაწილები, გუთნის სხვადასხვა სახეობა. ბ-მა ივანემ შესანიშნავად იცის, რომ „გუთანი ამიერკავკასიის თურქთა და ნაწილობრივ ოსმალეთის აღმოსავლეთის თემების თურქთა გარდა, სხვა თურქ ტომთა შორის სრულებით უცნობი ტერმინია. (და ეს გარემოება) ცხადჰყოფს, რომ „გუთანი“ სახვნელის თურქ ტომთა სახელი არ უნდა იყოს... სახვნელის ნამდვილი თურქული ტერმინი საბან ან საფან-ი უნდა იყოს[32]. აქვე ჩამოთვლილია თურქ ტომებში გავრცელებული ქართული გუთნის სხვადასხვა სახეობა და გუთან სიტყვის თურქული ფონეტიკური ვარიანტები. აქვე მოვიტანთ გუთნის შესახებ ბატონი ივანეს დასკვნითი ხასიათის მოსაზრებებს.

„ოსმალეთში“ „ჭოთენ“ მარტო აღმოსავლეთის მოსაზღვრე და კავკასიის მეზობლად მდებარე ნაწილშია, სხვაგან „საბან“-ი იხმარება, რომელიც სახვნელის ნამდვილ თურქულ ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული, რადგან ეს ტერმინი მიღებულია ერთმანეთისაგან ისეთ დაშორებულ ერთა შორის, როგორც ყაზანელი „თათრები“, ნოღაელნი და ოსმალონი არიან. აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მხოლოდ აზერბაიჯანელ თურქ-თათრებს შორის გეხვდება. მაშასადამე, ტერმინი „გუთანი“ და ყველა მისი ფონეტიკური სახეცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებულ ერთაგან არც ერთს ამ ტერმინის არსებობის ესოდენ ძველი საბუთების წარმოდგენა არ შეუძლიან, როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშვება აზრი, რომ „გუთანი“ პირველად საქართველოში, სახელდობრ ლიხთ-იმერეთში, უნდა იყოს გაჩენილი და აქითგან გავრცელებულია მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აბრკოლებს, რომ გუთნის ეტიმოლოგია გამოურკვეველია“[33].

---

32 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი, 1930, გვ. 247, 248.

33 იქვე, გვ. 260.

მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი სახვნელი იარაღებისა საერთოდ და კერძოდ ქართული გუთნის შესწავლისადმი აკად. გ. ჩიტაიას, მისი აზრით, „სახვნელ იარაღთა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით საქართველო ითვლება მათ ცოცხალ მუზეუმად"[34]. ამ თვალსაზრისით აკად. გ. ჩიტაიას დიდი დასაბუთება მრავალჯერ არის აღნიშნული აკად. ივ. ჯავახიშვილის აქ მოხსენებულ წიგნში.

აქ განხილულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ითქვას, რომ ახლახან თურქეთში გამოცემულ 7 ტომიან თურქულ განმარტებით ლექსიკონში kotan სიტყვაზე ნათქვამია, რომ ის ქართული ა. უნდა შეინიშნოს, რომ ეს სიტყვა ორი მნიშვნელობითაა განმარტებული. 1. დიდი სახვნელი (იარაღი), ინგლ. large plough, 2. თევზის მჭამელი გრძელფრთიანი დიდი ფრინველი. რა თქმა უნდა, პირველი მნიშვნელობის მიხედვით, ეს განმარტება სწორია, ხოლო მეორე მნიშვნელობა kotan-ს შერჩენია ძველი თურქულიდან[35].

პროფ. ვასილ აბაევი kutan//გუთანს მიიჩნევს საერთო კავკასიურ სიტყვად, რომელსაც ეტიმოლოგიური ძირები არა აქვს. ვ. აბაევი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ გუთან სიტყვაში -ან დაბოლოებას ფორმანტად მივიღებთ, მაშინ kut შეიძლება დაუკავშირდეს ტომობრივ სახელს, საიდანაც წარმოიშვა იარაღის ეს სახეობა. შეიძლება kut მოდიოდეს skut-скиф-იდან, ამ შემთხვევაში გვექნებოდა *skutan, *kutan 'სკვითური (სახვნელი)' და ეს შეიძლება დაუკავშირდეს ცნობილ ლეგენდას, რომ სკვითებმა გუთანი ციდან მიიღეს[36].

ძლიერ საინტერესოა პროფ. თინა გონიაშვილის მოსაზრება გუთანის ეტიმოლოგიის შესახებ. „გუთნის ეტიმოლოგიური ამოხსნა ამჟამად ერთი ენის მიხედვით არ ხერხდება, თუმცა ქართული გუთანი იმ ან სუფიქსითაა ნაწარმოები, რომელიც აწარმოებს აგრეთვე უძველეს სასოფლო-სამეურნეო იარაღს ერქვან-ს და შინა ყოფაში ფართოდ გავრცელებულ ტერმინს ქოთან-ს. წინასწარი ვარაუდის სახით, ვფიქრობთ, გუთანი კავკასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენათა ორგანული ენობრივი შენაძენი უნდა იყოს[37]. ამ მოსაზრებას შეიძლება დაემატოს ისიც, რომ მართალია ამჟამად გუთფუძის მნიშვნელობა უცნობია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად ძველ ქართველურ ენაში ან აფიქსი აწარმოებდა სიტყვას საგნის დანიშნულების შინაარსით. ამის მაგალითები ბევრია შემორჩენილი ქართველურ ენებში; შგუთან — ერქვან-ის — ქოთან-ის გარდა: აქვ-ან-ი, საკ-ან-ი, საბ-ან-ი, საგ-ა-ნი, მეგრ. ლაგვანი და სხვ.

---

[34] Г. С. Читая, დასახ. ნაშრ., გვ. 650.

[35] Pars Tuğlaci, Okyanus Ansiklopedik Sözlük, ტ. IV, სტამბოლი, გვ. 1729.

[36] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Москва—Ленинград, 1958, с. 527.

[37] თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 580—581.

Iván Balassa

Prähistorische Säpflüge und ihre neuzeitichen Äquivalenten im Nahen Osten

Professor G.S. ČITAJA, der hervorragende ethographische Forscher des Kaukasus feiert seinen 95. Geburtstag. Seine grundlegenden Werke machen es möglich, dass wir die Volkskultur dieses Gebietes, das für die gesamte europäische Bildung so wichtig ist, besser kennenlernen. Dies ist auch darum von grosser Bedeutung, denn wichtige Elemente der kaukasischen Kultur können aus dem Mediterraneum ebenso belegt werden, wie aus den nördlich liegenden Gegenden. Seine wissenschaftliche Tätigkeit bezieht sich hauptsächlich auf den Gebirgsackerbau[1], ganz besonders aber auf die Form und Arbeit des Pfluges[2]. Er hat seine Forschungsarbeit vor sechs Jahrzehnten begonnen und seiner Tätigkeit danken wir, dass der alte Pflugbestand Grusiens heute bereits klar und systematisiert vor uns steht. Dieser Pflugbestand wies so nach Norden,wie nach Süden Beziehungen auf,bewahrte aber in Ausseren und in der Terminologie sehr viel archaisches. Die wichtigsten landwirtschaftlichen Geräte einer verschwundenen Wirtschaftsperiode beleben sich in den Werken von G.S.CITAJA und diese Exemplare, die heute nur mehr in den Museen aufzufinden sind, erhalten so einen neuen Sinn.

* * *

Eine der meistumstrittenen Fragen der Untersuchung der Geschichte des frühzeitlichen Pfluges ist der Säpflug und es gibt kaum eine Zusammenfassung dieser Frage, welche diese Frage, dieses Gerät nicht berühren wurde. Heute ist es schon unbezweifelt, dass unseren bisherigen Kentnissen nach die früheste Pflugdarstellung von den sumerischen Stadtstaaten stammt. Wir können sie frühestens von dem Ende des IY . Jahrtausends (3200-3000 v.u.z.), als Schriftzeichen belegen, es ist aber anzunehmen, dass dieses Arbeitsgerät schon etwas früher angewendet wurde. Es ist nämlich bekannt, dass es eine gewisse Zeit dauert, bis ein Gerät dermassen allgemein wird, dass es auch unter den Zeichen der Bildschrift erscheint. Von dieser Zeit an begegnen wir häufig den Pflug auf verschiedenen Abbildungen und dies bezeugt - wenigstens in Uruk und anderen sumerischen Städten - seine allgemeine Verbreituhg[3]. Alldiese Angaben sind nur im letzten halben Jahrhundert bekannt geworden und sie haben auch die Erforschung der Geschichte des Säpfluges gefördert.

